

არა არა ღავარული...



მეუზე იოანე



მეუზე ეფრემი



მეუზე ილარიონი



მეუზე სარაფიმი



მეუზე დავითი



მეუზე ჩარასიმე

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“
გამოქვეყნებული ინტერვიუების პრეპული

ავტორთა ჯგუფი:

შორენა სიხარულიძე, შორენა ციცელაშვილი,
ეპა რობაძიძე, გიორგი კორძაძე, ვანო ჩოქორაძე

რადიკალური ლიბერალური წრეებისათვის მართლმადიდებლური სამყარო, დიდი ხანია, მთავარ სამიზნედ იქცა. საყოველთაო ვესტერნიზაციის მესვეურები მართლმადიდებლური სივრცის დისკრედიტაციისთვის იყენებენ გულუხვად დაფინანსებულ ასეულობით არასამთავრობო ორგანიზაციას, მოსყიდულ მედიას, კონკრეტულ მარგინალ „მოღვაწეებს“, მარიონეტი რეჟიმების წყალობით კი მართლმადიდებლობასთან ომში აქტიურად მიმართავენ სახელისუფლო რესურსისა და სტრუქტურების გამოყენების პრაქტიკას.

მართლმადიდებლობის წინააღმდეგ გაშმაგებული პრძოლა რადიკალი ლიბერალების მხრიდან კანონზომიერია, რადგან სწორედ მართლმადიდებლობა განსაზღვრავს ტრადიციულ საზოგადოებას, მის მაღალ ზნეობრივ ნორმებს, ეროვნულ, კულტურულ და კონფესიურ თვითმყოფადობას, რომელში შეღწევაც ძალიან უჭირთ საყოველთაო ვესტერნიზაციის იდეის მქადაგებლებს.

რადიკალ ლიბერალებს ძალიან კარგად ესმით, რომ საკუთარი იდეების დანერვვას, ადგილობრივი საზოგადოების ზნეობრივ კოორდინატთა სისტემის მოშლას მანამ ვერ მოახერხებენ, სანამ არ დაანგრივენ მართლმადიდებლურ ეკლესიას, ამიტომაც ეპრძევიან ასე დაუნდობლად და გაშმაგებით მართლმადიდებლობას. გამონაკლისი არც საქართველოა, ჩვენც იმ მართლმადიდებლური ქვეყნების სიაში ვართ, რომელიც ზემოხსენებული რადიკალი ლიბერალების მთავარ სამიზნეს წარმოადგენენ.

თუ უახლეს ისტორიას გადახედავთ, ცხადი გახდება, რომ სწორედ მართლმადიდებლობა ის ჯებირი, დამცავი ზღუდე, რომელიც საქართველოში ჯერჯერობით ვერ მოაგრია საყოველთაო ვესტერნიზაციამ და ჩვენი ტრადიციული ეროვნული კულტურისათვის მიუღებელმა სხვა მანკიერებებმა. ყველა დანარჩენ სფეროში ეს პროცესები გამალებულად მიმდინარეობს. ბოლო უამს ეკლესიის წიაღშიც დაიწყო საშიში, არასასურველი პროცესები, რადგანაც, რადიკალური ლიბერალიზმის მესვეურები ხვდებიან, რომ სანამ დედაეკლესიის ერთიანობას არ შეარყევენ, მის დისკრედიტაციას, ხალხის ინტერესებისა და საზრუნვისგან მოწყვეტას არ მოახდენენ, საყოველთაო ვესტერნიზაციის იდეას ასრულება არ უწერია. ამიტომ რადიკალური ლიბერალები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რათა დაშალონ, დააქუცმაცონ მართლმადიდებლური ეკლესია, გაუჩინონ მრევლს გაორების გრძნობა, უნდობლობა როგორც კონკრეტული იერარქების, ასევე რიგი სასულიერო ინსტიტუტებისა და ზოგადად მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ. რადიკალ ლიბერალებს კარგად ესმით, რომ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია არის ერთადერთი ინსტიტუტი, რომელმაც ჩვენი ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მო-

პოვების შემდეგ შეძლო დადგენილ საზღვრებში დეიურე ერთიანობის შენარჩუნება. ისტორიულად საქართველოს, ქართველი ერის ცხოვრებაში მართლმადიდებლური ეკლესია და მართლმადიდებლური ქრისტიანული კულტურა გადამწყვეტ როლს ასრულებდა, ასეა დღესაც. უფრო მეტიც, სხვა სახელმწიფოებრივი ინსტიტუციების დევალვაციის ფონზე მართლმადიდებლური ეკლესის როლი, მისი მნიშვნელობა ერთორიად გაიზარდა. სწორედ ამოტომ საკუთარი მიზნების დაუბრკოლებლად განსახორციელებლად რადიკალი ლიბერალები ყველა ღონეს ხმარობენ, რათა შეგნიდან დაშალონ, განხეთქილება შეიტანონ, მოსპონ მთავარი წინააღმდეგობა — საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია.

ასევე განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ მართლმადიდებლობა არის ის ერთადერთი მნიშვნელოვანი საფუძველი, რომელმაც უნდა მოგვცეს აფხაზებთან და ოსებთან გაერთიანების შესაძლებლობა.

ამ ფონზე საზოგადოებისათვის ყოვლად მიუდებელია როგორც გარე ძალების, ასევე ხელისუფლების და მასთან დაახლოებული წრების აგრძესიული, მტრული დამოკიდებულება ეკლესის მიმართ.

ამდენად, დღეს, როგორც არასდროს, მნიშვნელოვანია, რომ მართლმადიდებლურმა სივრცემ, ერთმორნმუნე ქვეყნებმა შეძლონ ერთიანი მიდგომების შემუშავება, რათა თავიდან აიცილონ უდიდესი საფრთხე, რომელსაც რადიკალი ლიბერალების მიერ წამოწყებული ანგიმართლმადიდებლური ომი გვიქადის.

გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ აქტიურად აშუქებდა ეკლესის გარშემო მიმდინარე პროცესებს და გადმოსცემდა მათ ყოველგვარი შელამაზებისა თუ ინტერპრეტაციის გარეშე.

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, შემოგთავაზოთ რეზიუმირებული კრებული იმ პუბლიკაციებისა, რომლებშიც სასულიერო იერარქები, წმინდა სინოდის წევრები და რიგითი სასულიერო პირები გამოხატავენ საკუთარ პოზიციას მართლმადიდებლობის წინააღმდეგ გარე ძალებისა და ხელისუფლების ხელდასმით მიმდინარე პროცესების მიმართ.

სახელისუფლო პროპაგანდისტული მანქანა წარამარა გვარნ-მუნებს, რომ ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის სრული იდილია და ურთიერთგაგება სუფევს, რომ თითქოს ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ხელისუფლების ყველა გადაწყვეტილებას უპირობოდ ეთანხმება და მხარს უჭერს... წინამდებარე კრებულიდან ნათლად ჩანს, რომ ეს ასე არ არის და სინამდვილეში ეკლესის პოზიცია ხალხის, საზოგადოების დამოკიდებულების იდენტურია და იგი მართლმადიდებლობის წინააღმდეგ გარე ძალებისა თუ ხელისუფლების თავგასულობის, მტრული პოლიტიკის ერთმნიშვნელოვან დაგმობაში გამოიხატება.



„საჭიროული ტექნიკური და მეცნიერებელი“ ©

თავი პირველი
ნების სიცოდის ნევრი,
რეის-უჩენისის
მიზროვობისი
გაუფა იოგი (აქიანილი)

ეკლესიის საქმეში არასასურველი პირები ერვისან

არა არას დაფარულო...

— მეუფე იობ, მინდა დაგისვათ ერთი კითხვა, რომელიც საზოგადოებას ძალიან აინტერესებს. თქვენ თითქმის შვიდი წელი პატრიარქის ქორეპისკოპოსი ბრძანდებოდით, შემდეგ კი დატოვეთ ეს თანამდებობა და წახვედით. რატომ წავიდა მეუფე იობი — მართლა იმიტომ, რომ ეპარქიაში უამრავი საქმე ჰქონდა, თუ იყო რაღაც სხვა მიზეზი?

— ქორეპისკოპოსობა ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. ეს ნიშნავს იმას, რომ ეპისკოპოსმა, რომელიც ამ თანამდებობაზეა დანიშნული, უშუალოდ პატრიარქის ლოცვა-კურთხევით უნდა იმოქმედოს. თითქმის 7 წელი ვიყავი პატრიარქის ქორეპისკოპოსი. მქონდა ჩემი მოვალეობანი განქორწინებასთან, ტაძრის კურთხევასთან დაკავშირებით. ბევრი სულიერად შეჭირვებული ადამიანი მოდიოდა მაშინ ჩემთან. ჩემი არაკეთილმოსურნები ხედავდნენ, რომ ჩემი ბუნებიდან გამომდინარე, ბოლომდე მორჩილი ვერ ვიქნებოდი იმ ყველაფრის მიმართ, რასაც, სამწუხაროდ, ვხედავდი. ჩემი ირგვლივ ბევრი რამ ისეთი ხდებოდა, რაც ეკლესიისთვის, სასულიერო პირთვის დაუშვებელი იყო.

მე ქორეპისკოპოსი ვიყავი და ჩემთან პავრი მღვდელობრივთავარი მოდიოდა და უკმაყოფილებას გამოხატავდა, რომ ეკლესიის საქმეში არა-სასურველი პირები ერვისან. უცმინდესთან შეთანხმების შემდეგ გადავწყვიტე, რეზორმები გამოტარებინა, ცესდებები შეგვეძგინა თითოეული განყოფილებისთვის, ფუნდციები გადანაწილებულიყო. ეს უშუალოდ ეხებოდა

პატრიარქის მდივანისაც. მავანს და მავანს და არა პატრიარქს (ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული) ეს არ ესიამოვნა... იცით, მე პირდაპირი ადამიანი ვარ, როგორც სახარებაში წერია — „ხო — ხო და არა — არა“ — მესამე ჩემთვის არ არსებობს, ის ეშმაკიდან მოდის. დღეს კი რატომღაც, სასულიერო პირთათვის დიპლომატია აუცილებელ თვისებად არის მიჩნეული. ხმამაღლა ვიტყვი, რომ დიპლომატია პოლიტიკოსების საქმეა და არა სასულიერო პირების. სასულიერო პირმა, მით უმეტეს დიდმა იერარქმა იქ, სადაც „ხოა“ სათქმელი, ხოუნდა თქვას და სადაც „არა“ — იქ არა. მესამე, რაღაც ბუნდოვანი „დიპლომატიური“ პასუხი ჩემთვის მიუღებელია.

თანდათანობით ურჩ, ჩემი ნების გამტარებელ ქორეალისკონასად მიმიჩნიეს და გადაცყვითეს, რომ ზედმეტი ვიყავი. ყველა პირობა შეემნეს იმისთვის, რომ წამოვსულიყავი. მეც მივხვდი, მართალი სიტყვა იქ არავის სტირდებოდა და ნამოვედი...

— დღეს, სამწუხაროდ, ძალიან მომრავლდნენ სოდომ-გომორული ცოდვის მატარებელნი არა მხოლოდ ერში, არამედ ეკლესიაშიც... ამ საშინელი ცოდვის გამო ხომ არ იყო, რომ გარდასულ საუკუნეში ქართულმა მართმადიდებლურმა ეკლესიამ ცოლოსანი ეპისკოპოსები დაუშვა?

— მახსენდება მართალი აბრაამი და მისი ძმისწული — ლოთი. ლოთი ქალაქ სოდომში ცხოვრობდა, სოდომ-გომორული ცოდვა იმდენად შემაშფოთებელი და ამაზრზენია, რომ ყოვლადწმინდა სამება ჩამოპრძანდა სამი ანგელოზის სახით — ღალადისი ზეცამდე ამოვიდა, ჩამოვედით, რათა ჩვენი თვალით ვიხილოთ, რა ხდებაო. აბრაამს მაინც ეცოდებოდა ეს ქალაქები გასანადგურებლად; უფალს ევედრებოდა, ორმოცდაათი მართალი მაინც თუ აღმოჩნდა, არ დაწვა ეს ქალაქებიო, მაგრამ სო-

დომ-გომორში თავისი ცხოვრებით მართალი ათი კაციც კი არ აღმოჩნდა. (ამაში იგრძნობა ადამიანისადმი უფლის უდიდესი სიყვარული. აბრაამი ის წმინდანია, რომელსაც მისი ერთადერთი შვილი უნდა შეენირა უფლისათვის). ამ საზარელი ცოდვის გამო უფალმა გადაწვა ეს ქალაქები და მათ ადგილას დღეს მკვდარი ზღვაა, რომლითაც უფალი კაცობრიობას შეახსენებს, თუ რა შედეგი მოსდევს ამ ცოდვას — მკვდარ ზღვაში არანაირი ცოცხალი არსება არ ცოცხლობს. ასე სასტიკად სჯის უფალი ამ ცოდვის ჩამდენს...

სჯულის კანონი ცერია, რომ ხეიბარი, მამათ-მავალი, ასევე მსახიობი და ისიც, ვისაც მსახიობი ჰყავს ცოლად, არ შეიძლება გახდეს მღვდელი. დღეს, სამრეხაროდ, აღარ ითვალისწინებან სჯულის კანონის სწავლებას. ამითომაც არიან ასეთი ცოდვის მატარებელი სასულიერო პირები. ეს, რა თქმა უნდა, დაგლუკველია ჩვენი ეკლესიისთვის. ყველაზე უფრო საშინელი კი ის არის, რომ მამათმავლები თითქოს გრძნობენ ერთმანეთს და ცდილობენ, ირგვლივ მხოლოდ თავისნაირი ხალხი შემოიკრიბონ...

იცით, შეიძლება კაცს ბავშვობაში გამოუცდელობით რაღაც შეემთხვა, მაგრამ მას შემდეგ აღარ აგრძელებს ამ ცოდვაში ცხოვრებას, იქით გახედვაც აღარ უნდა. ასეთი ადამიანის კურთხევა, რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ, თუ კურთხევის შემდეგ იმავე ცოდვას დაუბრუნდება, მისი მღვდლად დატოვება ყოვლად დაუშვებელია, ეს არის ღვთის კანონის წინააღმდეგ წასვლა. ვინც ასეთ კაცს ხელს დაასხამს და აკურთხებს, თვითონაც მომაკვდინებელ ცოდვას სჩადის (ამის შესახებ მითითებულია „მცირე სჯულის კანონში“). რაც შეეხება გარდასულ საუკუნეში არსებულ ცოლოსან ეპისკოპოსებს, რადგან ეკლესიამ ეს დაუშვა, ესე იგი, ამის მიზეზიც არსებობდა...



„დღეს ქალი ქალს აღარ ჰგავს და კაცი – კაცს.
ქალმა ქალური თვისება დაკარგა,
კაცმა კი – კაცური. ეს ჩვენი ცოდვების შედეგია“

**„დღეს ქალი ქალს აღარ ჰგავს და კაცი – კაცს.
ქალმა ქალური თვისება დაკარგა,
კაცმა კი – კაცური. ეს ჩვენი ცოდვების შედეგია“**

— ძალიან მომრავლდნენ მარტოხელა დედები — ქალები, რომლებიც ვერ გათხოვდნენ და გადაწყვიტეს, შვილი გაეჩინათ. საზოგადოება მათ ამართლებს – აბა, რა ექნა, შვილი უნდოდა...»

— ეს, რა თქმა უნდა, მრუშობაა. ქალისა და მამაკაცის კურთხევის, ჯვრისწერის გარეშე გაჩენილი ბავშვი მრუშობის ნაყოფია, ცოდვის შვილია. მაგრამ სულ სხვა საკითხია, თუ ქალზე ვინმემ იძალადა და ამის შედეგად დაორსულდა. მუცელს ხომ არ მოიშლის მორწმუნე ადამიანი? თუ იგი ამ ბავშვს გააჩენს, მას ეს მრუშობად არ ჩაეთვლება განსხვავებით იმ ქალისგან, რომელიც თავისი ნებით, წინასწარ შეარჩევს თავისი მომავალი შვილის მამას.

ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ დღეს ქალი ქალს აღარ ჰგავს და კაცი – კაცს. ქალმა ქალური თვისება დაკარგა, კაცმა კი – კაცური. ეს ჩვენი ცოდვების შედეგია. ჩვენი მოუნაიერებელი ცოდვები ჩვენს სულში ილეაბა და გენებით

თაოგიდან თაობაზე გადაღის. ჩემთვის ყოვლად წარმოუდგენელი იყო, რომ ქალს დიდ თანამდებობაზე ემუშავა. ქალი ოჯახში უნდა იყოს და შვილებს უნდა ზრდიდეს. **დედის სითბოს მოკლეპული ბავშვი უხეში გამოდის, სიყვარული ნაკლები აქვს. დედა განსაზღვრავს შვილის მომავალს...**

...მე ბავშვთა სახლში აღზრდილი უამრავი ბავშვი მინახავს – მათ თვალებში რაღაცნაირი სიცივე, სიუხეშე მაინც იგრძნობა. შეიძლება დედური სითბო მათ მიმართ სხვამ გამოხატოს, მაგრამ დედას ხომ მაინც ვერ შეუცვლის? ცხრა თვე მუცლით ატარებს ბავშვს ქალი და ბავშვი სულიერად და ფიზიკურად დედის წიაღში ყალიბდება, მაგრამ ამქვეყნად უკვე მოვლენილს, უფრო მეტი სითბო და სიყვარული სჭირდება. თუ მას ეს სითბო დედამ არ მისცა, მისი სული თანდათანობით უხეშდება...

— თქვენ ფიქრობთ, რომ, თუ წყვილს შვილი არ მიეცა, უმჯობესია აიყვანოს, ვიდრე სინჯარის ბავშვი ჰყავდეს? ბევრი ოჯახი მინახავს, შვილი აუყვანიათ, მაგრამ შემდეგ უფალს მისთვის საკუთარიც მიუცია. მასსოვს, ერთხელ ბრძანეთ, ადრე, როცა ადამიანი სხვის ბავშვს შვილად აიყვანდა, მას სპეციალურ ლოცვებს უკითხავდნენო...

— შვილად აყვანის ქრისტიანული წესი საქართველოში დღესაც არსებობს, ლოცვის დროს შვილად ასაყვანი დაჩირქილია და დედა ან მამა მას მუხლს ადებს მხარზე ნიშნად იმისა, რომ მორჩილება გასწიოს. ოფიციალური საიდუმლოება შვიდია, მაგრამ მამები ფიქრობდნენ, რომ ბერად ან მონაზვნად აღკვეცაც ერთ-ერთ საიდუმლოდ უნდა მიჩნეულიყო — ამ დროს ხომ მართლაც საოცარი რამ ხდება ადამიანში?! მე კი ნამდვილად შემიძლია განვაცხადო, რომ ამ საიდუმლოებათა გვერდით შვილად აყვანაც უნდა მოიაზრებოდეს. ენით აუწერელი გრძნობაა. ეს მე საკუთარ თავზე გამოვცადე — მართალია, შვილად



**„პავლის ჩასახვიდან მშობლებს შორის ურთიერთობა
უძა შენაბეს, რაღაც პავლი ყველაფერს გრძნობს“**

ასაყვანი არ არის შენი სისხლი და ხორცი, მაგრამ ამ სა-
განგებო ლოცვების წაკითხვის დროს იმხელა მამა-შვი-
ლური ერთობა ყალიბდება... ვერც კი წარმოვიდგენდი
ასეთ რამეს.

თუმცა გენები მაინც თავის საქმეს აკეთებს – რაც ბი-
ოლოგიურ მშობლებს ჰქონდათ, არც თუ იშვიათად შვი-
ლებში გამოჩნდება ხოლმე...

— **ძალიან ხშირად აყვანილი შვილები ტანჯვად გა-
დაექცევათ ხოლმე ადამიანებს.** იმიტომ ხომ არა, რომ
ამით უფალს უნდა, რომ გაგვაგებინოს — მე შვილი
არ მოგეცი, შენ კი თავი განსაცდელში შენივე ნებით
ჩაიგდეო?

— ასეც არის, თქვენც აღნიშნეთ, რომ არის უშვილო
ოჯახები, რომელთაც ბავშვი აიყვანეს, რამდენიმე თვის
შემდეგ კი უფალმა მათ საკუთარიც მისცა. იცით, ასე რა-
ტომ მოხდა? იმიტომ, რომ ადამიანები, რომელთაც
ამპარტავების გამო შვილი არ ეძლეოდათ, დამ-
დაბლდენ — სხვისი შვილის მიმართ გამოხა-
ტეს სითბო და სიყვარული. უფალმა კი არ დაა-

ყოვნა და ამ თავმდაბლობისთვის მათზე ცყალობა მოიღო — საკუთარი შვილი მისცა.

— ქართველისთვის ქალწულობის ინსტიტუტი ტრადიციულად ძალიან მნიშვნელოვანი იყო, დღეს კი ქალწულობა წარსულის დრომოქმულ გადმონაშთად ითვლება. ერთხელ ბრძანეთ, არაქალწულთა შეუდლება მომავალ თაობაზე დიდ გავლენას ახდენსო. ხანდახან მათი შვილები საერთოდ არ გვანან მშობლებსო. საინტერესოა, ქალწულობის რელიგიური ასპექტები არა მხოლოდ მორალური კუთხით, არამედ მომავალი თანაცხოვრების ჭრილშიც.

— ქალწულების პირველი დიდი მაგალითი მოგვცა იოანე ნათლისმცემელმა, რომელიც სუფთად აღიზარდა უდაბნოში; ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა დედამ, რომელმაც შობა უფალი ჩვენი – იესო ქრისტე და ქალწულადვე დარჩა. ქალწულება – ეს არის პირველქმნილი ადამიანის მადლი, რომელიც განასხვავებს ქალწულს არაქალწულისგან.

ყველა მონამეს, რომელიც ქალწულად აღესრულა, მართლმადიდებელი ეკლესია განსაკუთრებით მოიხსენიებს — ქალწულმონამეო. მოციქულთაგან იოანე ღვთისმეტყველი იყო ქალწული და მამები ამბობენ, რომ სწორედ ამის გამო განსაკუთრებით შეიყვარა იგი უფალმა – მკერდს მიყრდნობილი ჰყავდა. იოანე ღვთისმეტყველი თავის თავს სახელით კი არ იხსენიებს, არამედ — „მონაფე, რომელიც უყვარდა იესოს“. ამაში უდიდესი აზრია ჩადებული.

გავიხსენებ ქალწულმონამე პელაგიას, რომელმაც ქალწულების შენარჩუნებისთვის თავი კლდიდან გადაიგდო. გახსოვთ, ალბათ, ეს ეპიზოდი ფილმიდან „ბაშიაჩუკი“, რომელშიც ყიზილბაშის ხელში ჩავარდნილი ქალი მტარვალს ეუბნება – ისეთი ბალახი ვიცი, დავიდებდა, დანაც რომ დამისვა, არ მოვკვდებიო. იგი მზად არის, მტარვალის ხელით მოკვდეს, ვიდრე მას დანებ-

დეს. ეს ამბავი ერთ-ერთი წმინდანის ცხოვრებიდან არის მოტანილი და მასში უდიდესი ღვთიური საიდუმლოებაა ჩადებული. და **თუკი დღეს ჟეზმარიტად — სულით და ხორცით ქალცულია ვინეა — ქალი თუ მამაკაცი, შეიძლება ითქვას, იგი ცოცხალი წმინდანია, რომელსაც პატივი უნდა მივაგოთ და გავუფრთხილდეთ** (რა თქმა უნდა, ეკლესიურ ადამიანს ვგულისხმობ). **ჟეზმარიტი ქალცულება სხეულისა და სულის სიცმინდეს ერთნაირად გულისხმობს.** ქალწულს ისეთი დაცვა აქვს უფლის-გან, რომ იგი ყველასგან განსხვავდება; როგორც მანა-თობელი ვარსკვლავი, ისე გამოირჩევა ადამიანებში...

თუ შეუდლებისას მამაკაციც და ქალიც ქალ-ცულია, მათ ლვთაებრივი, სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი გვილები ეძლევათ. მინდა, გითხ-რათ, რომ ბავშვის აღზრდა მისი გაჩენიდან კი არა, ჩა-სახვიდან იწყება. მდედრმა ცხოველმაც კი იცის, რომ აივერება მამრს ალარ მიიკარებს; ქალი და კაცი კი ხანდა-ხან დაორსულების შემდეგაც არ წყვეტს ცოლ-ქმრულ კავშირს — ბუნებრივად თუ არაბუნებრივად. და რა გა-მოდის? რომ მამაკაცი არა მხოლოდ ცოლთან, არამედ მუცლად მყოფ შვილთანაც ამყარებს სქესობრივ კავ-შირს! ჩასახული ბავშვი ხომ დედის სისხლით იკვებება, რომ გაიზრდება უკვე გარყვნილებისკენ არის მიდრეკი-ლი ან გაუკულმართებულად, ან არაბუნებრივად იქცე-ვა, ისევე, როგორც მისი მშობლები იქცეოდნენ.

ესეც არის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ამდენი გაუკულმართებული ორიენტაციის მამაკაცი და ქალი არსებობს დღეს! მერე მშობლები იტყვიან — რა-ტომ ჩაიდინა ჩემმა შვილმა უმსგავსი საქციელიო. იმი-ტომ, რომ თავი ვერ შეიკავა ფეხმძიმობის დროს და გარყვნილებას მიეცა. ამ საკითხს სამეფო სახლებში ძა-ლიან დიდ ყურადღებას აქცევენ. **პავშვის ჩასახვი-დან მშობლებს შორის ურთიერთობა უნდა**

შეცყდეს, რადგან პავშვი ყველაფერს გრძნობს; მშობელი ეკლესიურად უნდა ცხოვრობდეს, რომ სულიერი საზრდო, უფლის მაღლი პავშვზეც გა-დავიდეს. პავშვი მუცლად ყოფნის დროს გრძნობს აგრესიას, მშობლებს შორის უთანხ-მოებას, მისი ფსიქიკა უკვე მასივებისა და ამიტომაც არის, რომ ასე მომრავლდა ნევრო-ზული პავშვები.

თუ არც ქალი იყო ქალწული და არც მამაკაცი, ოჯა-ხები ხშირად ინგრევა... საჭიროა უფრო მეტი პროპა-განდა, რომ დაიცვან ქალწულობა და ქალწულებით მოხდეს ადამიანთა შეულლება...

თუმცა დღეს ისეთი ცხოვრებაა, ადამიანის აზროვ-ნება ისე გადაგვარდა, რომ გარყვნილება ალარაფრად მიაჩნიათ. ადამიანი თვით ყველაზე საზარელ ცოდვა-საც ისე გეტყვის აღსარებაში, რომ არც კი შეიცხადებს — თითქოს ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამ ყველაფ-რის შემდეგ განა გასაკვირია, რომ ქალწულება დრო-მოჭმულ, სასაცილო მოვლენად მიაჩნიათ?

აფხაზები, ოსები... ჩე ისინი მიყვაჩას!

— მეუფე იობ, ერთმა ბერმა თქვენზე მითხრა, მეუფე სიყვარულის უდიდესი, უნაპირო ოკეანეა, მაგრამ მტერსაც კი არ ვუსურვებ განრისხებული მეუფე იობის ხილვასო. განრისხებული მეც მინახიხართ, როცა ჩვენს სამშობლოში ის ხდება, რაც ერისთვის დამღუპველია. რამ შეიძლება განვარისხოთ?

— მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ვიცი განრისხება, მაშინ, როცა კაცი იმ ზღვარს გადადის, რომელსაც ქრისტიანობა ჰქვია. საშინლად მიმდიმს ლალატის გადატანა. ლალატში ვგულისხმობ ბერული ცხოვრებისთვის ზურგის შექცევას, სარწმუნოების, ქრისტეს, სამშობლოს, მეგობრის ლალატს. ლალატი პირდაპირ ეშმაკის მსახურებაა. როცა ვმრისხანებ, ყველას ვუხსნი, რომ ეს მრისხანება მათკენ კი არა, იმ ეშმაკის წინააღმდეგ არის მიმართული, ვინც ისინი ამ მდგომარეობამდე მიიყვანა და ახლაც მათ გვერდით დგას და ცოდვილ აზრებს ჩააგონებს, რომ ისევ დასცეს და ცოდვაში ჩააგდოს. ადამიანი მიყვარს და ეს უფალმა იცის.

დღეს ხომ მტრებად ცარმოგვიდგნენ აფხაზები, ოსები, რუსები. მე ისინი მიყვარს, რადგან მათში ღვთის ძმილებებს ვხედავ. ეს ხალხი დღეს დაწეულები, ეშმაკისგან შეცდენილები არიან. ამ ერთა შორის დაპირისპირების პროცესში მონაცილეობან ეშმაკსდამონებული ადამიანები ხელისუფლების სახით. და, საერთოდ, ამ ქვეყანას ორი ძალა მართავს — ძალა ღვთისა და ძალა ეშმაკისა; მესამე ძალა, უბრალოდ, არ არსებობს. ამ ორ ძალას შორის არის გადანაწილებული მთელი კაცობრიობა. არიან ღვთისანი — ძალიან მცირენი

და არიან ეშმაკისანი, რომლებიც ეშმაკის მორჩილებაში იმყოფებიან. ჩვენ თანამედროვე ენაზე მათ ხან პოლიტიკოსებს ვუწოდებთ და ხან სხვა სახელებს. აქ უნდა გამოვრიცხოთ ხელისუფლებაში მყოფთა პიროვნული, ადამიანური ბუნება, რადგან ყველა უკეთურებასა და საშინელებას მათ ის ძალა ჩააგონებს, რომელსაც კაცობრიობის განადგურება უნდა — ეს ძალა კი ეშმაკია. ამიტომ, როცა ბაგაფშის განცხადებას მოვისმეოთ — ერთხელ და სამუშაოდ ცერტიფი უნდა დავუსვათ საქართველოსთან ურთიერთობასო, ან კოკოითის შეურაცხებულებელ გამონათქვამებს, არ უნდა ავყვეთ და მდგომარეობა კიდევ უფრო არ უნდა გავამოვავოთ. გვახსოვდეს, რომ ადამიანს ცვალებაზე პუნება აქვს და, თუ დღეს ეშმაკს დამორჩილდა და გაღიზიანებულად მოიცავა, ხვალ შეიძლება სრულიად სანინაალმდებო ძმედება ჩაიდინოს — გონიერა გაუნათდეს და სხვანაირად დაინახოს ესათუ ის მოვლენა, ისე, როგორც ლვითისთვის, ჩვენთვის სათხოა.

შევარდნაძის მმართველობის პერიოდი იყო. მახსოვს, ერთხელ სიონში ღვთისმშობლის ხატის წინ ვიდექი და ხმა ჩამესმა — რატომ სასოებ მთავრობას? ეგენი ხომ პაიკები არიან, არაფერს წარმოადგენენ, დღეს არიან და ხვალ აღარ იქნებიან, ამიტომ გულთან ახლოს ნუ მიგაქვს მათი საქციელიო. იმ დღის შემდეგ ჩემს სულში იმხელა სიმშვიდემ დაისადგურა, რომ ენით ვერ აგინერთ... ჩემი ეპარქიის ერთ-ერთ ტრაფარეტზე ჩემი უსაყვარლესი სიტყვები დავაწერ: „უფალი მაფობა!“ ეს, იცით, რას ნიშნავს? იმას, რომ უფალი მაფობს და არა — შევარდნაძე, სააპაშვილი თუ სხვა ხელისუფალი. უფალი მეფობს და ის წარმართავს ყველაფერს, იგია შემოქმედი, ჩვენ კი ჯიუტ ბავშვებს ვემსგავსებით, რომელნიც არ ვენდო-



„საჭიროული ტექნიკურულია“ ©

„იყო ძართვები და არ გიყვარდეს – ეს ჩვეთვის
ცარმოუდგენებია. თუ ეართვება სიყვარული არ აქვს,
ესე იგი მასში სხვა განია შესული, სხვა ფესვებიდან მოღის“.

ბით უფალს და უფლისადმი არ გვაქვს თვალები აპუ-
რობილი; მისკენ არ გვაქვს მიმართული მთელი სასოე-
ბა და სიყვარული.

— მეუფე, თქვენ აფხაზეთი და სამაჩაბლო ახსენეთ.
როგორ ფიქრობთ, რა პოზიცია უნდა დავიკავოთ მა-
შინ, როცა ვერ ჩავდივართ და ვერ ვლოცულობთ
იკორთაში, ბედიაში, ილორში? როცა ხედავ, როგორ
ითელება შენი წინაპრის ნალოლიავები მიწა-წყალი,
როცა შენი სულისა და ხორცის ნაწილს გაგლეჯენ,
ერთ ლოყაში გირტყამენ, მეორეს მიუშვერ და იმაშიც
გითავაზებენ? როდემდე უნდა „გვილანუნონ“ და რო-
დემდე უნდა „მივუშვიროთ მეორე ლოყა?“ გუშინ
აფხაზეთი და სამაჩაბლო დავკარგეთ, დღეს სომხები
ჯავახეთს გვედავებიან, ჩვენს ეკლესია-მონასტრებ-
ზე ამბობენ, სომხურიაო; რუსთაველი სომეხი იყო,
ბაგრატიონებიც სომხური წარმოშობისანი იყვნენ.

როდემდე უნდა ვითმინოთ? ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ ყველაფერზე საბარტიარქომ, წმინდა სინოდმა უფრო ხმამაღლა უნდა გამოხატოს თავისი პოზიცია? მე, როგორც რიგით ქართველს, მიმაჩნია, რომ წმინდა სინოდი დღეს პასიურია.

— ჩვენს ცნობიერებაში პოლიტიკა ძალიან ღრმად შემოიჭრა; ჩვენ პოლიტიკურად ვაზროვნებთ. ყველაფერი ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, ძველია და სათავეს ჯერ კიდევ ადამ და ევასგან იღებს. თუ ბიბლიის გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ყველა წინასწარმეტყველი გულმტკივნეული მამა იყო თავისი ერისა. თავისი სამშობლოს ბედით გულდამძიმებული უფალს შესჩიოდნენ — როდემდე უფალოო. უფალი კი პასუხობდა — ხეები რომ გადაიჭრება და იმ გადანაჭერზე ახალი ყლორტი ამოიყრის, ხსნაც მაშინ მოვაო. ეს ახალი ყლორტი კი ახალი თაობაა. მოსემ გამოიყვანა ეპრაელი ერი ეგვიპტიდან და 40 წელი ატარა უდაბნოში. განა 40 წელი იყო საჭირო უდაბნოს გასავლელად? მაგრამ მოსემ იმიტომ აურია მათ გზები, რომ ახალი თაობა, ახალი ცნობიერებით შემოსულიყო აღთქმულ მინაზე.

„ქართლის ცხოვრებაში“ წერია, რომ უფალმა არაბები, მონღოლები თუ თურქ-სელჩუკები ჩვენ წინააღმდეგ „ნკეპლად“ გამოიყენა, რათა ჩვენი ცოდვებისთვის დავესაჯეთო. დღეს საქართველო ასეთ მდგომარეობაში ცოდვების გამოა, მაგრამ ამას დანახვა სჭირდება. **მი** ხმამაღლა ვიტყვი, რომ უფალმა აფხაზეთი და სამაჩაბლო ცაგვართვა აპორტის ცოდვების გამო! დიახ, აპორტის! აპორტი უდიდესი ცოდვაა. ეს არის ყველაზე უფრო საზარელი ცოდვა, რაც კი შეიძლება ძალა ჩაიღიონ — დედა საპუთარი ხეპით კლავს შვილს. ამ გაჭირვების, სიდუხჭირის პირობებში, როგორ ვარჩინოთ მრავალი შვილიო, ამბობენ. თუ უფალმა შვილი მოგცა, თავის ქმნილებას

არ მიატოვებს! აფხაზეთისა და სამარაპლოს და-
კარგვით უფალია გვაუცყა – რად გინდათ ეს
ტერიტორიები, თუ თევენს შვილებს თქვენივე
ხელით ხოცავთო. თუ ეართველი აღარ იძნება,
რად გინდათ ცარიელი მინა? ჩვენ რომ ეს საზარე-
ლი ცოდვა მოვიშოროთ, უფალი აფხაზეთსაც დაგვიბ-
რუნებს და სამარაბლოსაც. ალბათ, ალარც ჯავახეთის
— ამ საოცარი მიწის ღირსი ვართ, რადგან სათანადო
ყურადღებას ვერ ვაქცევთ და შედეგმაც არ დააყოვნა
— უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონებიანო,
ხომ გაგიგიათ?

...ჩვენი წინაპარი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ქარ-
თველი დედები მამების თანხმობით საკუთარ შვილებს
დახოცავდნენ. ალბათ, ნახეთ ის გადაცემა, მოსაკლა-
ვად განწირული ნაყოფი როგორ იცავს თავს დედის მუ-
ცელში, როგორ იბრძვის სიცოცხლისათვის? ვერ წარ-
მომიდგენია, ამ გადაცემის შემდეგ ან ქალი როგორ უნ-
და წავიდეს აბორტის გასაკეთებლად, ან ექიმმა როგორ
უნდა აიღოს ბავშვის მოსაკლავად იარაღი ხელში! კი-
დევ რამდენი ცოდვა მოვამრავლეთ?! კომუნისტების
ხელით რამდენი ეკლესია-მონასტერი დაინგრა!

**ცოდვაა ისიც, რომ ცულალატეთ სარმოუნოე-
ბას და ათასნაირი სეატა გაჩნდა; ცოდვაა ისიც,**
რომ მთელი ყურადღება მიწიერ საზრუნავება
გადატანილი და სულიერი აღარაფერი გვახ-
სოვს; **ცოდვაა ისიც, რომ სიყვარული დავპარ-
გეთ;** ცოდვაა ისიც, რომ აღარ ვლოცულობთ;
არადა, ლოცვით დამყარდება მშვიდობა, გა-
დარჩება და გაბრძყინდება საქართველო, რად-
გან ღმერთის ხელშია ყველაფერი. მთელი სასო-
ება მიმართულია ამერიკაზე, ნაცვლად იმისა, რომ
უფალს მივენდოთ და მისი იმედი გვქონდეს... ამ ყვე-
ლაფრის ფონზე, კიდევ შეიძლება გაგვიჩნდეს კითხვა
— რატომ? იმიტომ, რომ ცოდვა მოგვიმრავლდა და სი-

ნანული მოგვაკლდა. ეს ყველაფერი უნდა გავაანალიზოთ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ ამერიკისადმი, ევროპავშირისადმი ნდობა, ერთგულება გამოხსატა, რეალური დახმარება მაინც არ გვაძვს. ჩვენ ხომ ძალიან პატარა ქვეყანა ვართ. ხუთი მილიონიც არ ვართ, ევროპაში, ამერიკაში ამზელა და გევრად უფრო მრავალიცხოვანი ქალაქები აძვით. გაუჭირდათ პატარა საქართველოს შენახვა, დახმარება? მაგრამ ამას უფალი არ დაუშვებს, რადგან ერთველ ერს სულ სხვა მისია აკისრია კაცობრიობის ცინაშე.

დიდი მამები წინასწარმეტყველებდნენ, რომ უკანასკნელ უამს, როცა მართმადიდებლობა ყველა მართლმადიდებლურ ქვეყანაში ჩაქრება, საქართველო გაბრნეინდებათ. მე ნამყოფი ვარ საბერძნეთის ეკლესიებში — იქ მართლმადიდებლობას ფორმალური სახე აქვს მიღებული. ჩვენ მართლმადიდებლობით ვცხოვრობთ, ცოცხლად ვგრძნობთ ღმერთს, ანგელოზებს. საქართველოში უდიდესი რწმენა აქვს უბრალო ადამიანსაც კი. როცა დიდხანს ვლოცულობდი, დედა მეტყოდა ხოლმე — ნუ ლოცულობ ამდენს, ღმერთი ზედმეტად არ შეანუხო, თავი არ შეანებიო, ცოტა ხანს ესაუბრე, არ დაღალო უფალიო. დედაჩემის ეს სიტყვები ძალიან ხშირად მახსენდება; რამხელა სიყვარული, კრძალვა, მორიდება აქვს უფლისა! ეს არის უდიდესი რწმენა. ერთხელ, ჩემს ბავშვობაში, დედამ გერგეტის სამებიდან სახლში ღვთისმშობლის ხატი მოაბრძანა, ჩარჩო თავისი ხელით გაუკეთა, განსაკუთრებული ადგილი მიუჩინა და ბავშვები გაგვაფრთხილა — ეს ღმერთის დედაა, მას ხმაური და ბილნისიტყვაობა არ უყვარს და ოთახში წყნარად იყავითო. იმხელა მოკრძალება ჩაგვინერგა ღვთისმშობლის მიმართ, რომ ხატისკენ გახედვაც კი გვერიდებოდა,

ოთახში ფეხაკრეფით დავდიოდით. ასეთი რწმენით გაგვზარდა დედამ — ამ უპრალო გლეხის ქალმა.

— **მეუფე, ყველაზე მეტად რა გახარებთ ამქვეყნად და ყველაზე მეტად რა გნებინთ, რა გტკივათ?**

— ყველაზე მეტად მახარებს მრევლის სულიერი ცხოვრება, ერის სულიერი, მატერიალური წინსვლა, მაგრამ უფრო ბედნიერი ვიქნებოდი, მთელი ერი მართლმადიდებელი რომ ყოფილიყო, ხელისუფლება კი — უფრო ეკლესიური. მე, რა თქმა უნდა, არ მოვითხოვ რომ საქართველო თეოკრატიული ქვეყანა გახდეს. ადამიანის თავისუფალი ნებაა, თუ რომელ სარწმუნოებას აირჩევს, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ **ქართველი მართლმადიდებელი უნდა იყოს. ქართველი სხვა ფეხისა და მასში სხვა გენერაცია; ქართველს ღმერთმა უდიდესი ჯილდო, ტალანტი მისცა — ეს სიყვარულია; იყო ქართველი და არ გიყვარდეს — ეს ჩემთვის ნარმოულგენელია.** თუ ქართველს სიყვარული არ აქვს, ეს იგი მასში სხვა გენერაციაში უსული, სხვა ფეხისა და მასში სხვა გენერაცია მოძის. ქართველ ფეხისა და მასში სხვა გენერაციაში საჭირდება. ბავშვობიდან ვკითხულობ საქართველოს ისტორიას, ვეტრფი თამარის, დავითის ეპოქას. მინდა, მთელი ერი საქართველოს სიყვარულში, მართლმადიდებლობის მადლით გაერთიანდეს. ამისთვის ვლოცულობ. ეს გამახარებდა ყველაზე მეტად.

მთკივა ის, როცა ადამიანი ეშმაპს შეგნებულად ემსახურება — ნარკომანობით, ლოთობით, სასულიერო პირთამდების შეუცერებელი საქონელით. როცა სასულიერო პირი ისევ ერული თვისებებით ცხოვრობს და მასში ქველი კაცი ჯერ არ მომკვდარა; ის საღვთო მადლი, რომელიც მასზე მღვდლად კურთხევის დროს გადმოვიდა, გასვარა ერული ცხოვრებით — მრუაბით, ლოთობით, ნარკოტიკებით, სოდომ-გომორული ცოდვით. უცოდველი ადამიანი არ არსებობს,

მაგრამ მან ყოველი ცოდვა უნდა გაიაზროს და სინა-
ნულს მიეცეს, ომერთმა სინანული იმიტომ დაგვიწესა,
რომ გამოვსწორდეთ. მაგრამ, როცა კაცი არ ნანობს და
თავისი ცოდვის გასამართლებლად საბუთებს ეძებს, ეს
უკვე ეშმაკთან თანამშრომლობას ნიშნავს. იგი უკვე
აღარ არის ღვთის მსახური, რადგან ცრუობს, მოჩვე-
ნებითად ცხოვრობს. ჩვენი ძალა უბრალოებასა და თავ-
მდაბლობაშია. ეს, უპირველესად, უნდა ჰქონდეს სასუ-
ლიერო პირს...

იმ სულიერი ჟასპლანებობით, რომელიც დღვეს გავვაჩინა, საქართველოს ვერ გავაპრესინები

„ძალის მიზანი მუშავდება“ ©

— მეუფე იობ, დღეს ეკუმენურმა აზროვნებამ ჩვენს რეალობაში ფართოდ მოიკიდა ფეხი და ყველაზე მტკიცნეული კი ის არის, რომ სასულიერო პირებიც ხან დაფარულად, ხანაც დაუფარავად გამოხატავენ ზედ-მეტად ტოლერანტულ დამოკიდებულებას სხვა რელი-გიების მიმართ. მახსოვს, მუსლიმანებმა მოითხოვეს თავიანთი რელიგიური დღესასწაულის უქმე დღედ გა-მოცხადება. რა პოზიცია უნდა დავიკავოთ მართლმა-დიდებლებმა, რომ ერთადერთი ჭეშმარიტი არ შევლა-ხოთ, მაგრამ მუსლიმანებს და სხვა რელიგიის მიმდევ-რებსაც არ ვაწყენინოთ? როცა ეს საკითხი დგება, მუდმივად შეგვახსენებენ, რომ ჩვენი წმინდანი მეფე — დავით აღმაშენებელი მეჩეთშიც დადიოდა და სინა-გოგაშიც... იგი არ შეურაცხყოფდა სხვა ადამიანთა რწმენას, მაგრამ არა მართლმადიდებლობის დაკი-ნების ხარჯზე... ქრისტეს ეკლესია ხომ არასოდეს ყო-ფილა ისეთი ძლიერი, როგორც დავითის დროს? დღეს კი... დღეს რა ხდება?

— მუსლიმანების, ისევე, როგორც სხვა რელიგიის მიმდევართა მიმართ, ჩვეულებრივი, ადამიანური და-მოკიდებულება უნდა გვქონდეს; მათ, როგორც ღვთის ქმნილებებს ისე უნდა ვუყურებდეთ, მაგრამ ადამიანის სიყვარული სულ არ ნიშნავს იმას, რომ ეშმაკის მოძღვ-რება გვიყვარდეს და პატივს ვცემდეთ. შეიძლება ბევრს

არ ესიამოვნოს, მაგრამ მაინც ვიტყვი: უფალი ბრძანებს – შემდგომად ჩემსა მოვლენ ცრუ წინასწარმეტყველნი და მრავალს აცდუნებენო. მუჰამედი ქრისტეს შემდგომ მოსული ცრუ წინასწარმეტყველია, რომელმაც ანგარების მიზნით შეირთო მდიდარი ქვრივი ქალი ცოლად, იოანე ღვთისმეტყველი ბრძანებს – ვინც იესო ქრისტე არ ირწმუნოს და ძე ღვთისად არ ჩათვალოს, ანტიქრისტეა. მთელი ყურანი ხაზგასმით ამტკიცებს, რომ უფალს ძე არ ჰყოლია და არც სჭირდებოდა. სახარების მიხედვით, მუჰამედი ანტიქრისტეა. სახარებას არ დავუჯეროთ? მის ჭეშმარიტებაში ეჭვი შევიტანოთ? გამორიცხულია!

თუკი მუსლიმანები მოითხოვენ, მათი ძირითადი რელიგიური დღესასწაული უქმე დღედ გამოცხადდეს, ამის წინააღმდეგი ნამდვილად არ ვარ. კი, ბატონო, იყოს უქმე მათთვის და არა ჩვენთვის — მართლმადიდებელთათვის.

რაც შეეხება ეკუმენურ აზროვნებას, რომელიც ჩვენს რეალობაში ასე ძალუმად იკიდებს ფეხს, ეს ჩვენი მცირედმორწმუნეობის ბრალია; ეს არის შედეგი იმისა, რომ სილომისეულად ვერ სწვდებიან სახარებისეულ სწავლებას. სამცხეაროდ, დღეს ისეც ხდება, რომ ზოგი-ერთ სასულიერო პირთ ანგარება ამოძრავები, ხანც პოლიტიკურ ზეგავლენას განიცდიან. პოლიტიკოსთა უმრავლესობა დღეს არაეკლესიურია, არა ლიტერატურია და არც თუ იშვიათად სასულიერო პირები მათ საამებლად გუნდრუკს უკვევენ...

— მახსოვს, არჩევნების დროს მრევლს მიმართეთ, მოსულიყვნენ და გამოეხატათ თავიანთი მოქალაქეობრივი პოზიცია, ოღონდ მარკირების გარეშე. რატომ? მარკირებაში ისეთი რამ დაინახეთ, რაც მართლმადიდებელი ადამიანისთვის მიუღებელი იყო? ნუთუ ეს ეშმაკის დამღაა?



„საჭიროული ტემაზე აღნიშვნა“ ©

— მა ზუსტად ვიცი, რომ ნივთიერება, რომელი-
თაც ადამიათია მარკირება ხდება, გაურკვევე-
ლი შემადგენლობისაა. მისთვის სასურველი ინ-
ფორმაცია მთერს ჩვენში სითხის სახითაც შე-
უძლია შემოიტანოს. ჩვენი კანი ხომ იწოვს ამ
სითხეს? მა დაპიჯითებით არ ვამბობ, რომ ეს
ეშვაკის დამლაა, თუმცა ეს უდავო ნინაპირობაა,
რომ ერთი დღეს მარჯვენა ხელზე, რომელითაც
პირველს ვიცერთ, ეშვაკის დამლით დაფიქ-
რაც დაგვიპირონ. ამიტომ დღეს, როცა მართლ-
მადიდებლობის ნინააღმდეგ მთელს მსოფლიო-
შობრძოლაა გაჩაღებული, ფრთხილად უცდა ვი-
ყოთ და მსგავსი მარკირებისაგან თავი შორს
დავიჭიროთ....

...აქვე მინდა სწორად განვსაზღვრო სიტყვა — განათ-
ლება. დღეს განათლებულად იმ ადამიანს მიიჩნევენ,
რომელსაც ბევრი უმაღლესი სასწავლებელი აქვს დამ-
თავრებული და ბევრი წიგნი აქვს წაკითხული. ეს
არასწორი მიდგომაა, რადგან ასეთი ადამიანები მწიგ-
ნობრები არიან და არა განათლებული. სახარებაში
უფალი მწიგნობრებს მიმართავს: „ჰეი, თქვენ მწიგ-
ნობარნო და ფარისეველნო! არც თქვენ შედიხართ სა-

სუფეველში და არც სხვას უშვებთო!”, „შვილნო იქედნეთანო” — გველის შვილები უწოდა მათ. ნათელი არა უმაღლესი სასწავლებლიდან და წიგნებიდან, არამედ უფლისაგან მოდის — „ნათელი ქრისტესი განანათლებს ყოველთა!”. სწავლა სულიერებით აღმშენებელია და სრულმყოფელი, სწავლა უღმერთოდ — და-მანგრეველი!

— მეუფეო, ივერია გაბრწყინდება?

— ივერია აუცილებლად გაბრწყინდება, მაგრამ არა ისე, როგორც ჩვენ წარმოგვიდებინა. ჩვენი ხელისუფლება ხშირად წარმოთქამს — საქართველო გაბრწყინდება; მე არ ვიცი, რას გულისხმობენ ისინი, სიმართლე კი ერთია — საქართველოს გაბრწყინება არის ქართველი ერის სულიერი და არა მინიერი მხარე. იმ სულიერი შესაძლებლობებით, რომლებიც დღეს გაგვაჩნია, საქართველოს ვერ გავაბრწყინებთ. ჩვენს სამშობლოზე, დედა ლვთისმშობლის წილხვედრ მინაზე, ისევ თვითონ იზრუნებს დედა ლვთისა. მეორედ მოსვლამდე საქართველო სულიერად გაბრწყინდება! მაგრამ ამას, რა თქმა უნდა, დიდი სულიერი შრომა სჭირდება. დღეს საქართველოს ყველა მხრიდან უტევენ — რუსეთიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, დასავლეთიდან. ეს ეშმაკის ხრიკებია, რადგან არ აწყობს ეშმაკს საქართველოს სულიერი გაძლიერება. საქართველო ისე აღდგება, როგორც ოთხი დღის მკვდარი ლაზარე აღდგა! დღეს საქართველო აღდგომის პროცესშია და ამ პროცესში ბევრი გამოაშკარავდება, ბევრი წარმოჩნდება — „ბნელსა შინა მსხდომნი“ გარეთ გამოვლენ. სანამ იესო ქრისტე ძე ლვთისა და ძე კაცისა მოვიდოდა, ადამიანები თავიანთ ცოდვებს ვერ ხედავდენ, მისი მოსვლის შემდეგ გაცხადდა მათი ცოდვები, ამიტომაც გალიზიანდნენ ცოდვილნი და ჯვარს აცვეს მაცხოვარი. ასევე მოხდება საქართველოს გაბრწყინებისას — ჩვენი ქვეყნის ყველა მტერი წარმოჩნდება თავისი ბნელი საქმეებით; ისინი ქვეშეცნეულად გრძნობენ,

რომ საქართველო სულიერად ძლიერდება და მოსვენება დაკარგეს...

გავიხსენოთ საქართველოს ისტორია — ერთმორწმუნე ბიზანტიის იმპერია ვითომ დახმარებას გვპირდებოდა, თუმცა ბერძნები გრძნობდნენ, რომ ის, რაც თვითონ შრომითა და ღვანლით უნდა მოეპოვებინათ, უმთავრესი და უპირველესი ადამიანებისთვის, სიყვარული — ეს ქართველებს ბუნებრივად გვეკონდა, ლვთისგან ბოძებული. გაიხსენეთ, როგორ ცდილობენ იერუსალიმში — წმინდა მიწაზე ქართული კვალის წაშლას; ისე გადაშალეს, გაავერანეს შოთა რუსთაველის ფრესკა, რომ ხელი არ აუკანკალდათ; რუსეთი? გვეგონა ერთმორწმუნე ქვეყანასთან გავერთიანდით, მაგრამ შურს და სიძულვილს მაინც ვერ მალავდნენ — თეთრად ღებავდნენ ჩვენს უნიკალურ ფრესკებს, ჩვენს სიწმინდეებს იტაცებდნენ და გაჰქონდათ საქართველოდან. ესეც ნიშანი იმისა, რომ რუსებიც გრძნობდნენ ლვთის ჯილდოს — სიყვარულს ქართველ ერზე. მაგრამ ვინც არ უნდა ეცადოს, ქართველის სულში სიყვარულს ხომ ვერ წაშლის! ლვთის რჩეული ერი ვართ ქართველები და ლვთივკურთხეულია ქართული მიწა. უფალს ვევედრები, მთელი საქართველო, ყველა ქართველი „ერთ სულ და ერთ ხორც“ გაერთიანდეს მართლმადიდებლური დროშის ქვეშ უფლის სადიდებლად.

დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ბევრს ეჭვი უჩინდება — რომელ გაბრწყინებაზეა ლაპარაკიო, მაგრამ ყველაზე მეტად დედა ლვთისმშობლის იმედი მაქვს. მისი მეოხებით, მისი შეწევნითა და უფლის კურთხევით საქართველო გადარჩება და გაბრწყინდება — ერთი პირითა და ერთი გულით განადიდებს ყოვლადნ-მინდა სამებას.

— ახლა რომ გითხრან, რამდენიმე წინადადებით მიმართეთ ერსო, რას ეტყოდით?

— ჩვენი პათოლიკოს-პატრიარქის სიტყვებით: „ქართველო, ერთად — ლვთისაკენ!“ ამ

მიმართვას იმდენჯერ გავიმეორებდი, რამდენის თქმის უფლებაც მეენებოდა. მაგრამ მინდა გითხოვათ, რომ ეართველში მხოლოდ ეართველს არ ვგულისხმობ, ჩვენს ნინაპრებს მართლადიდებლოგა ძართველოგასთან ჰქონდათ გაიგივებული. იოანე საბანისძე აბო თბილელზე წერს — „ისმაილელყოფილი და აც ძართველიონ“. ტომით ისმაილელი იყო, მაგრამ, რადგან მართლადიდებლად მოინათლა, უკვე ძართველად იწოდა.

რამდენიმე წლის წინათ, იმ საშინელ დღეებში, როცა რუსეთში ქართველებს ქართველობისთვის სასტიკად უსწორდებოდნენ და სასიკვდილოდაც კი იმეტებდნენ. არასოდეს დამავიწყდება რუსი მართლმადიდებლების საქართველოს სიყვარულით ანთებული გამოსვლები გულზე გაკრული წარწერებით — „მე ქართველი ვარ!“, „მე მიყვარს საქართველო!“. ამით ისინი საქართველოს — დედა ლვისმშობლის წილხვედრი მიწის მართლმადიდებლობის, ქრისტეს სიყვარულს გამოხატავდნენ. ჩვენთვის ისინიც ქართველები, ჩვენი სხეულის ნაწილები არიან. ქართველობას საზღვარი არ აქვს! მართლმადიდებელი ყველა ქართველია, რუსი იქნება, ოსი, აფხაზი თუ სომები, ეს ქართველი ერის სულიერი მისიაა და ამას ქვეშეცნეულად ყველა მართლმადიდებელი გრძნობს. ასეთი მიდგომით გაერთიანდება და გაპრეყინდება საქართველო.

ჩვენი ხსნა მართლებადიდებები ერთა ერთობაშია

— მეუფე იობ, ამ ბოლო ხანებში ძალიან ხშირად ბრძანებთ თქვენს ქადაგებებსა თუ პირად საუბრებში, რომ ძალიან რთულ დროში გვინწევს ცხოვრება და მომავალშიც ბევრი იქნება განსაცდელი. რას გულის-ხმობთ და როგორ უნდა გავუმკლავდეთ ამ განსაცდელებს?

— წმინდა მამები ამბობენ: „ნამდვილი სიკვდილი მაშინ კი არ დგება, როცა სული და ხორცი ერთ-მაცოთს გაეყრება, ნამდვილი, ჟეზმარიტი სიკვდილი მაშინაა, როცა ადამიანი ღმერთს დასცილდება, ღმერთთან საერთო აღარაფერი ე-ნებაო“.

იესო ქრისტეს მიწიერი ცხოვრებიდან შეგახსენებთ — როცა მას ერთ-ერთი მოწაფე ეუბნება, რომ მამა გარდამეცვალა და გამიშვი, რომ დავკრძალოო, უფალი იმას კი არ ეტყვის — ნადი და დაკრძალეო, არამედ — აცადე „მკვდართა მკვდრის“ დაფლვაო. მკვდარმა მკვდარი როგორ უნდა დაფლას? მაგრამ აქ უფალმა იგულისხმა ის ადამიანები, რომელთაც ღმერთთან კავშირი აღარ ქონდათ. ჩვენ კი ღმერთთან კავშირი გვაქვს წმინდა ზიარებით, აღსარებით, იმ საიდუმლოებებით, რაც ეკლესიაშია მოცემული. „ვინც ჩემს სისხლსა და ხორცს ღებულობს, ის ჩემთანა ჰეგისო,“ — ასე ბრძანებს უფალი. ამიტომ ჩვენს ახლობლებზეც უნდა ვიზრუნოთ; **ძალიან ხშირად გვახსენდება აჭხაზე-თი, სამაჩაბლო — დაკარგული ჩვენი მიწები, სა-დაცეართველები სახლობდნენ, მაგრამ არ გვახ-**

სენდება ის დაკარგული ახლობლები, რომელიც ეპლესის ციალიდან წავიდნენ, რომელიც არ მოძიან ეპლესიაში, რომელიც საქართველო-დან არიან ნასული და ასეთები მიღიონია, ჩვენ გათთვის არ ვზრუნავთ. პირიძით, უნდა გავაძლიეროთ ლოცვები, რადგან ესაა ერთადერთი საშუალება უფალთან ურთიერთობის, რომ ღვთის გადლითა და წყალობით დაუგრუნდნენ ღვთივაურთხეულ საქართველოს, ღვთისმშობლის ცილჩვედრ ჩვენს მიწას, რათა დაიცყონ ჭეშმარიტი, მართლმადიდებლური ცხოვრება. არა-ერთგზის მითიქვამს და პილევ გავიმარებ — მხოლოდ მართლმადიდებლობაშია ჩვენი ხსნა!

მართლმადიდებლობა — ეს არის მართლის დიდება, სიმართლის, ჭეშმარიტების დიდება. ეს არის უდიდესი საუნჯე, ეს არის ჩვენი ცხოვრება. მართლმადიდებლობა — ეს საქართველოს ისტორიაა, ეს ის რწმენაა, რომლითაც მივეახლებით უფალს. მართლმადიდებლობა — ეს არის მიტევების, კეთილი საქმეების კეთების უნარი და საერთოდ, ჩვენი თვითმყოფადობა განსაზღვრულია მართლმადიდებლობით — ჩვენი მეობა, ჩვენი ხასიათი, ჩვენი ბუნება. დიდი წყალობაა ღვთისა, რომ ჩვენ მართლმადიდებლები ვართ და ამისათვის უნდა ვმადლობდეთ უფალს. რადგან სწორედ იგია მსოფლიოში ერთადერთი ჭეშმარიტი რელიგია; როგორც პავლე მოციქული ბრძანებს — „**ერთ არს ღმერთი, ერთ არს სარმაზუნოება, ერთ არს ნათლისლება**“. მართლმადიდებლობაა სწორედ ის სულიერი საუნჯე, ის სულიერი საგანძურო, რომელსაც უნდა მოვუფრთხილდეთ. მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მართლმადიდებლობა საქმის გარეშე „მკვდარ არს“. თუ საქმით არ დავადასტურეთ, საქმით არ მოვემსახურეთ ჩვენს დედაეკლესიას, თუ წმინდა მამათა სწავლებით არ ვიცხოვრეთ, მაშინ ჩვენი მარ-



თლმადიდებლობა არაფერს ნიშნავს, რადგან მართლ-
მადიდებლობას მაშინ აქვს ძალა, როცა მას საქმით
ვამტკიცებთ.

...სახარებიდან მინდა გაგახსენოთ ის ეპიზოდი, სადაც
მეორედ მოსვლაა აღწერილი — უფალი თავის მარჯვე-
ნითა და მარცხენით მდგომთ ერთნაირად მიმართავს.
მარჯვენით მდგომნი ასრულებდნენ ღვთის მცნებებს —
გაჭირვებულებს ეხმარებოდნენ, საპყრობილები მიდი-
ოდნენ და პატიმრებს ნახულობდნენ, საავადმყოფოში —
დავრდომილებსა და ავადმყოფებს, მშიერს აჭმევდნენ,
შიშველს აცმევდნენ, მწყურვალს ასმევდნენ; მაგრამ მარ-
ცხენით მდგომნი ამას არ აკეთებდნენ. უფალი მიმართავს
ორივე მხარეს მდგომთ — „**ის, რაც მცირედთაგანს
გაუკათათ, მა გამიკათათო!**“. მართლმადიდებლო-
ბა ცოცხალია მაშინ, როცა ჩვენ ქმედითად ვასრულებთ
ღვთის მცნებებს.

საქართველოს ისტორიაში გვყავდა ისეთი მეფეები,

დედოფლები, ღირსი და ღმერთშემოსილი მამანი და დედანი, რომელთაც თავიანთი ცხოვრების წესით და-ამტკიცეს, სისხლის ფასად დაიცვეს მართლმადიდებ-ლობა.

მართლმადიდებლური სამყარო განსაკუთრებულად აღნიშნავს ჩვენი რწმენის ზეიმს — დიდმარხვის პირ-ველივე კვირას მართლმადიდებლობის ზეიმი იდლესას-ნაულება. დღესასწაული მერვე საუკუნის შემდეგ და-ნესდა, როდესაც ათასნაირი ბრძოლა მიმდინარეობდა ჭეშმარიტი სარწმუნოების წინააღმდეგ; საბოლოო ბრძოლა იყო ხატმებრძოლობა — ხატებს შეურაცხ-ყოფდნენ, წვავდენ, ყრიდნენ, მაგრამ, როცა მეშვიდე საეკლესიო კრებაზე გაიმარჯვა ჭეშმარიტმა სწავლე-ბამ, რომ ხატებისთვის თაყვანი უნდა გვეცა, მაშინ და-ნესდა მართლმადიდებლობის ზეიმი და მეშვიდე საეკ-ლესიო კრება ასე დაგვირგვინდა.

ჩვენ, ქართველები, მართლაც ის ერი ვართ, რომელ-ნიც ყოველთვის ჭეშმარიტი სარწმუნოებით ვცხოვრობ-დით; ჩვენს წინაპრებს არასოდეს გადაუხვევია მართლ-მადიდებლური რწმენისგან, როცა ხატბრძოლობის მწვალებლობა თითქმის ყველა ადგილობრივ ეკლესიას შეეხო, მაშინ ჩვენ მტკიცედ და შეურყევლად ვიდექით; ამ დროს საქართველოში ჩამოდის იოანე გუთელი და სვეტიცხოველში ხდება მისი ეპისკოპოსად კურთხევა. ეს არის ღვთის დიდი ნიშანი და დასტური იმისა, რომ ჩვენ ვართ ერთგული ჭეშმარიტი სარწმუნოებისა, აქამდე ამან გადაარჩინა საქართველო და მომავალშიც მართ-ლმადიდებლობა გადაარჩენს.

**...უკვე მკაფიოდ და გამოკვეთილად უცდა
ვთქვათ, რომ მთელი მსოფლიო ორ ნაწილად
არის გაყოფილი — ერთი ნაწილი არის ჟამბა-
რიტი მართლებადიდებელი სამყარო მართლმა-
დიდებლური ევეფნების სახით და მეორე — ეს
არის ნარმართულ-მცვალებლურ-სატანისტური**

სამყარო, რომელიც, მართლმადიდებელთა გარდა, თითოების ყველაა გაერთიანებული, სამყარო, რომელიც ეშმაკსაა დამონიტული — ადამიანები, რომელებიც ან წარმართობაში არიან, ან ერთიკულ მცვალებლობაში, ან პირ-დაპირ სატანას ემსახურებიან.

ბრძოლა ამ ორ სამყაროს შორის მიმდინარეობს — ისინი არიან ეშმაკის მსახურნი, ჩვენ — მართლმადიდებლები კი, ვინც ეკლესიურად ჭეშმარიტი რწმენით ვცხოვრობთ, ჭეშმარიტ ღმერთს ვემსახურებით; სხვა „მესამე“ არ არსებობს. დღეს კი არის მცდელობა იმისა, რომ ხალხი დაარწმუნონ, თითქოს კათოლიკეები, პროტესტანტები, სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიები, მუსლიმანები და სხვ. ღმერთს ემსახურებიან. ეს ტყუილია, სიცრუეა! დღეს გამაღებით ამზადებენ მსოფლიოს ანტიქრისტესთან შესახვედრად, ამ პროცესს კი მხოლოდ მართლმადიდებლები ეწინააღმდეგიბიან, დანარჩენები ვერც კი მიხვდებიან, რომ ის ანტიქრისტე იქნება, რადგან ისინი მიყვებიან ცხოვრების იმ დინებას, რომელსაც მათ „ძლიერნი ამა სოფლისანი“ — მასონები სთავაზობენ; მათ — მასონებს აქვთ შემუშავებული გეგმა, თუ როგორ მოიყვანონ ანტიქრისტე. თუ თვალს გადაავლებთ დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას მსოფლიოში, ნახავთ, რომ თითქმის ყველა სახელმწიფო ხალხი ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდის, ხელისუფლების შეცვლა უნდა. ეს ერთ-ერთი ნიშანია იმისა, რომ ანტიქრისტეს ასეთი საზოგადოება როგორც მეფეს, მხსნელს, მესიას ისე მიიღებს! დღეს პრესით, ტელევიზიით, მასმედიის საშუალებებით საზოგადოების გამაღებული შემზადების პროცესი მიმდინარეობს ანტიქრისტესთან შესახვედრად! დიდი სიბრძნე და სიფრთხილე გვმართებს! მხოლოდ მართლმადიდებელი ერები დაინახავენ, რომ ის ანტიქრისტე იქნება. იგი ეკლესიის წინააღმდეგ გამოვა.

დღეს ელექტრონულ პირადობის მოწოდებას ურიგებენ ხალხს — ეს არის წინა სახე ანთიძრისთვის პეტდისა. მოძიან ადამიანები და მეკითხვებიან — ავილოთ თუ არა პასაროლთვები და პირადობის მოწოდებიო. მე ყველას ვკასუხობ, რომ არ შეიძლება მათი აღება. ისინი კი მასუხობებენ — რა ვძნათ, სამსახურიდან გაგვათავისუფლებენ, რა ვაჭაროთ შვილებს, რით შევინახოთ ოჯახიო? ზუსტად იგივე კითხვები ეძნებათ მათ ანთიძრისთვის პეტდის მიღების დროსაც — ვინც ადვილად აიღებს ამ ელექტრონულ პასაროლს, ასევე ადვილად მიღებს ანთიძრისთვის პეტედსაც. ამითომ ყველაფერი იძიოთ უდეა თარვართოთ, რომ არ ვიყოთ სახელმწიფოზე სრულად დამოკიდებული, კერძო მეურნეობას უდეა მივყოთ ხელი, მინა დავამუშავოთ, ვიზრუნოთ, ვიმუშაოთ და „ჰური ჩვენი არსობისა“ ასე მოვიპოვოთ, ასე გადავირჩინოთ თავი.

ხედავთ, რომ შიმშილობის პირასაა მისული მთელი მსოფლიო, ძვირდება პირველადი მოხმარების საგნები, საკვები პროდუქტები. ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენ მეორედ მოსვლის წინა პერიოდში ვიმყოფებით. ბუნებრივმა კატაკლიზმებმა, რაც მსოფლიოში ხდება, უნდა დაგვაფიქროს და კიდევ უფრო მეტი შემართებით უნდა დავდგეთ მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე, რადგან მხოლოდ ის გადაგვარჩენს, ის აგვიხელს სულიერ თვალს, რათა დავინახოთ და გავარჩიოთ კეთილი ბოროტისაგან. ამის გარეშე ადვილად მივენდობით ანტიქრისტეს სწავლებას, მის შემოთავაზებებს ბუნებრივად აღვიკვამთ. ამიტომა ჩვენმა დიდმა წინაპრებმა ფარზე (და ფარი ეს არის საფარველი), მართლმადიდებლობასთან დაკავშირებით, შემდეგი სიტყვები ამოკვეთეს „**სდეპიტ მტკიცედ და შეურყებლად!**“. ჩვენ კი ეს სიტყვები უნდა ამოვიკვეთოთ ჩვენს

გონებაში, ჩვენს გულში, რათა განსაცდელის ჟამს გა-
მოგვაფხიზლოს! უნდა ვიცხოვროთ ჭეშმარიტი სარწ-
მუნოებით! ვმადლობდეთ უფალს, რომ მართლმადი-
დებლები ვართ. ჩვენთვის, ქართველთათვის, სხვა იდე-
ოლოგია, სხვა მოწოდება არ უნდა არსებობდეს.

ის, რაც დღეს საქართველოში ხდება — უხილავი
ბრძოლაა ჭეშმარიტი სარწმუნოებისა და ჭეშმარიტი
სარწმუნოების მიმდევარი ერის ნინაალმდეგ! ტერიტო-
რიები ჩამოგვაჭრეს, უამრავი განსაცდელი დაგვატყ-
და თავს. თუ გადავავლებთ თვალს ბოლო პერიოდის
მოვლენებს, ყველაზე დიდი შეტევა არის მართლმადი-
დებლურ ქვეყნებზე.

**გავიხსენოთ, სერბეთი — დაბომბეს და სერ-
ბეთის ქალაქებისთვის ნასროლ რაკეთებს
აცირდნენ:** „გილოცავთ აღდგომის დღესასწა-
ულსო!“ — ასე „მიულოცეს“ მართლმადიდებ-
ლურ ქვეყანას უფლის აღდგომა! ან თუნდაც
რუსიეთი — მართლმადიდებლური ქვეყანა
დაადანაშაულეს ბომბების დევნესა და შევიწ-
როებაში. არც მოლდოვაა დაწყნარებული! ან
თუნდაც: საბერძნეთში არეულობაა, გამოსვ-
ლები, მძიმე ეკონომიკური გლობალიზაცია. ეს არ
გეგონოთ შემთხვევითი! რა ხდება რუსეთსა და
საქართველოში? ეს არის მსოფლიო შეთქმულე-
ბა მართლმადიდებლობისა და მართლმადიდე-
ბელი ქვეყნების ნინააღმდეგ! ისიც კი მოახერ-
ხეს, რომ დააპირისაირეს მართლმადიდებელი
საქართველო ერთმორჩოუნი რუსეთთან! არც
ესაა შემთხვევითი! აქედან გამომდინარე, ჩვენ
უნდა ვილოცოთ ყოველი მართლმადიდებელი
ერისტიკანისთვის, ვინც უნდა იყოს, რა ეროვნე-
ბისაც უნდა იყოს ის, უნდა ვილოცოთ მართლ-
მადიდებელი რუსეთისთვის, რუსიეთისთვის,
სერბეთისთვის, მოლდოვისთვის და ყველა

მართლმადიდებელი ქრისტიანისტვის. ჩვენ, უპრალოდ, მოვალეობი ვართ, ასე მოვიძეოთ, რადგან ჩვენი ხსნა მართლმადიდებელ ერთა ერთობაში!

...მსოფლიოს დიდი განსაცდელები დაუდგება და კი-დევ ერთხელ დავრწმუნდებით, რომ მართლმადიდებელ ერებთან მჭიდრო სულიერი და ფიზიკური კავშირი გა-დარჩენისთვის აუცილებელია. ვმადლობდეთ უფალს, რომ ჩვენ ცხონების საშუალება მოგვეცა ჭეშმარიტი სარწმუნოების სახით. მართლმადიდებლობა — ეს არის ხიდი საიქიოდან სასუფევლის კენ, რადგან მხოლოდ ამით შეიძლება დაიმკვიდროს ადამიანმა ცათა სასუ-ფევლი.

... არასოდეს დაგვავიწყდეს წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის ანდერძი — „ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკ-ვდილსა!“ — მთელმა ჩვენმა ერმა მოიძია ქრისტესთ-ვის სიკვდილი — ასი ათასი ქართველის, ექვსი ათასი გარეჯელი ბერისა და სხვა მოწამეთა მოწამეობა სწო-რედ ამ ანდერძის ასრულებაა. მსოფლიოში არ არსებობს სხვა მართლმადიდებელი ქვეყანა, რომელსაც ამდენი მოწამე და წმინდანი ყავს. ჩვენ ჯვარცმული ქვეყანა ვართ, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ ჯვარ-ცმას დაფლვა მოსდევს და შემდეგ აღდგომა და ამაღ-ლება! აი, სწორედ ეს პროცესები ელოდება საქართ-ველოს, ქართველ ერს ღვთისაგან — სწორედ საქარ-თველოთი უნდა გამართლდეს მართლმადიდებელი სარწმუნოება, სწორედ აქ უნდა გაძლიერდეს მართ-ლმადიდებლობა! სწორედ ამით გაბრწყინდება საქარ-თველო და არა განათებებითა და ფიზიკური სინათ-ლით, როგორც ზოგიერთს წარმოუდგენია! ეს პროცე-სი კი უკვე დაწყებულია! იმედი არ უნდა დავკარგოთ, გულხელდაკრეფილნი არ უნდა ვიყოთ და არ უნდა ვე-ლოდოთ, რომ ვიღაც გვიხსნის — თითოეულმა ჩვენ-თაგანმა უნდა გადაწყვიტოს საქართველოს ხსნა! სა-

ქართველოს გამთლიანება თითოეული ჩვენთაგანი-დან იწყება!

არ უნდა ვიყოთ დაიხედებული ვიღაცაზე, რო-გორც პევრს ჰგონია, რომ ამარიკა დაგვეხმარება, ზოგს კი რუსეთისკენ აქვს იხედი მიმართული! ჩვენი თავიდან დავიცყოთ საქართველოს გა-დარჩენა. თუ ჩვენ გამოვსწორდებით, თუ ჩვენ ეკ-ლესიურად ვიცხოვოთ, თუ უფალთან წრფელი ურთიერთობა გვეძნება, მაშინ დათის მაღლიც არ დააყოვნებს საქართველოზე. საქართველო გა-ნინმინდება ბოროტი ძალებისაგან და გამთლიანდება. მხოლოდ სულინმინდა გააერთიანებს საქართველოს — ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს! არ უნდა ვიყოთ მომხრე სხვა სარწმუნოების მიმდევართა ტაძრების თუ მეჩეთების მშენებლობისა, რადგან სადაც ისინი შენდება, ის ტე-რიტორია საქართველოსი აღარ არის, ჩვენ მხოლოდ ოკუპაციით კი არ ვკარგავთ ტერიტორიებს, არამედ ასე-თი წარმართულ-ერეტიკული სამღლოცველოების შენე-ბითაც! ყველანი უნდა გავუფრთხილდეთ ამ ტერიტო-რიებს, რამეთუ ეს არის ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა და ერიცა და ბერიც ვალდებული ვართ, გა-ვუფრთხილდეთ დედა ღვთისმშობლის მინას!

ჩვენ მადლიერი უნდა ვიყოთ ჩვენი მეფეების, დე-დოფლების, იმ ასი ათასი ქართველი მოწამის, ექვსი ათა-სი გარეჯელი ბერის, საქართველოს მნათობის — ქეთე-ვან წამებულისა და სხვა მეფე-მოწამეების, რომელთაც სისხლის ფასად დაიცვეს მართლმადიდებლობა. რომ არა ისინი, ჩვენ დღეს შეიძლება მართლმადიდებლები არც ყოფილიყავით, ან გავმქრალიყავით როგორც ერი — ყოველთვის ეს იყო გადამწყვეტი საქართველოსთვის, ამან გადავვარჩინა და სწორედ ამ ჭეშმარიტი სარწმუ-ნოების წყალობით გავაგრძელებთ ცხოვრებას, სანამ ეს ქვეყანა იარსებებს!

...არც ისაა შემთხვევითი, რომ ქართველ ერს მფარ-

ველად ჰყავს წმინდა დიდმოწამე გიორგი, რომელიც ქრისტესათვის ეწამა და სისხლის ფასად დაამტკიცა ჭეშმარიტი სარწმუნოება. ჩვენი ერიც ხომ თავისი მფარველი წმინდანივითაა წამებული?! როგორც წმინდა იღია მართალმა ბრძანა — „**ქრისტე ჯვარს ეცვა კაცობრიობისთვის, ხოლო ქართველი ერი ჯვარს ეცვა ქრისტესთვის!**“. სწორედ ესაა ჩვენი ხვედრი, ამით მტკიცდება, რომ ჩვენ ბოლომდე დავიცავთ ჭეშმარიტ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას.

დღეს ჩასაც პოლიტიკას ვექანით, შეიარებას და ტურიზმა დაფუძნებული

(ქარელის რაიონის სოფელ ჭანდრეგაში
პვილაცხოვლობის ტაძრის
ქურთხევისას მაუვე იოგის მიერ
ნარმოთქმული ქადაგებიდან)

ღმერთი ირჩევს, თუ ვინ აღადგინოს ტაძარი. შეიძლება ადამიანს ჰქონდეს მატერიალური შესაძლებლობა, მაგრამ აზრადაც არ მოუვიდეს ტაძრის აღდგენა! არა-ერთგზის მითქვამს, რომ ადამიანს შეიძლება ყველაფერი ჰქონდეს, მაგრამ იგი მაინც მკვდარი იყოს. ასეთი „მკვდარი“ ადამიანები ძალიან ბევრია ჩვენ გარშემო, სამწუხაროდ. წმინდა მამები გვასწავლიან, რომ ადამიანი, რომელიც ეკლესიურად არ ცხოვრობს, სულიერად მკვდარია. მკვდარ ადამიანს კი აზრადაც არ მოუვა სიკეთის კეთება, ტაძრის აღდგენა.

დავით წინასწარმეტყველი ბრძანებს: „თავა უგუნ-ურმან გულსა შინა თვისსა, „არა არს ღვერთი“, კაცი კათივსა შინა იყო და არა გულისხა-ჰყო, ჰყაპვიდა იგი პირუტყვსა უგუნურსა და მიემს-გავსა მას“. უგუნურადაა მიჩნეული ადამიანი, რომელიც ეპლესიურად არ ცხოვრობს. პირუტყვსაა მიმსგავსებული კაცი, რომლისთვისაც მხოლოდ ჭამა-სმა, დროსტარებაა მთავარი და სულზე არ ვიძრობს!

გავისენოთ დავით აღმაშენებელი — დიდი მაფე, რომელიც, რომორც სასულიერო პირთამდის, ისე ხელისუფლებისთვის მისაბაძი უდია იყოს. ის სულ ღოცულობდა, ნელინადგი რცდაოთხვერ სამოციქულოს კითხულობდა.

არა არს დაფუძნელი...



სამოციქულოს წაკითხვას მხოლოდ რაოდენობით კი არ განისაზღვრებოდა, არამედ ეს იყო სულიერი საზრდო მეცისტვის, რომ გაძლიერებულიყო და პრძნელად ემართა თავისი სახელმწიფო, თავისი ქვეყნა. ასეთი მეციები და ხელისუფალი გვყავდა და სწორებ ამან გაგვამარჯვებინა! რომენა, უფლის, სამშობლოს სიყვარულია მთავარი, თორებ დღეს ვერავინ ვერავის მოატყუებს, დღეს ყველას ყველაფერი აწერია სახეზე. სანამ სიტყვას იტყვის ადამიანი, უკვე ჩანს, რისთვის ამბობს და რა დგას ამ სიტყვის უკან. ეს ნებისმიერ გლეხსაც კი არ შეეშლება, წერა-კითხვის უცოდინარსა და გაუნათლებელ ადამიანსაც კი არ გაუჭირდება იმის გამოცნობა, როდის ტყუიან ადამიანები...

სამწუხაროდ, დღეს რასაც პოლიტიკას ვეძა-ბით, ამ ცხიერებაზე, ტყუილზეა დაფუძნებული. სწორებ ეს ტყუილის გავრცობა გამოიწვევს იმას, რომ ადამიანებს უკვე ნდობა აღარ ეხებათ ხელისუფლების მიმართ. ეს კი, თავის მხრივ, მათ ცხობიერებაში მოამზადებს ნია-

დაგს, რომ აიღონო ანთიქრისტე. ის თავიდან ფარმოაჩენს თავის სახეს, როგორც კეთილშობილს, როგორც ბრძენსა და განსცავლულს. აზა-მიანები სწორებ ამისთვის არიან შემზადებული, რომ მეორე ადამიანი გარეგნობით შეაფასონ. გარეგნობით კი არა, კაცი ღირსებით, ადამიანობით, დამსახურებით უნდა შევაფასოთ. პრძენ ეართველს უთქვაშს: „საქმეებან შენ-მან წარმოგარიცხოს“. მართლაც, მისი გაკეთებული საქმე გამოაჩენს ადამიანს, გაკეთებული საქმიან წარმოჩენება თითოეული ჩვენთა-განის პიროვნება! ზეპათილი ადამიანები კი ეკლესიის წიაღვის იგადებიან, რადგან სწორებ ტაძარი გეძლევათ საშუალება, მიიღოთ ის მაღლი, რომელიც ეკლესიაშია დავანებული, რომლითაც უფალს ვუკავშირდებით. ამიტომაა ტაძრის აღდგენა, აშენება ასეთი დიდი, საღვთო საქმე; ამიტომაც ასე განსაკუთრებულად ვლოცავ ამ ტაძრის აღმდგენსაც და იმ ხალხსაც, ვინც მცირეოდენი წვლილიც კი გაიღო ამ საქმისთვის.

მე მინდა უფლის სიტყვები შეგახსენოთ: „**ვინც ჩემ-თან არ არის, იგი მთელ ჩემდა არს**“. ისევ უფალი გვპასუხობს, ვინ არის მასთან — ვინც ჩემს სისხლსა და ხორცს ღებულობს, ის ჩემთანა ჰყიესო — ვინც ეზიარება, ეკლესიურად ცხოვრობს, მხოლოდ მასზეა სულინმინდის მადლი გადასული.

არაერთგზის მითქვამს, რომ ძალიან რთულ დროში გვინევს ცხოვრება, როცა ჩვენი ეკონომიკა თითქმის სრულად და საინფორმაციო საშუალებების თითქმის ოთხმოცი პროცენტი „ვილაცების“ ხელშია... და გვკარნახობენ, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ. სწორედ აქ უნდა გვექნდეს სულიერი თვალი, რომ მათი კარნახით არ ვიცხოვროთ, მათი შემოთავაზებული ცხოვრების წესი არ გავიზიაროთ, თუ გვინდა, რომ სწორი, ღვთივსათნო

იყოს ჩვენი ცხოვრება. რადგან იქ, ვისთანაც სულიერება დაკარგულია, მკვდარია; ის, ვინც თავისი აზროვნებით მართლმადიდებელი არ არის, ჩვენ მისგან მაგალითს ვერ ავიღებთ; სულიერად მკვდარ ადამიანებს ვერ მივემსგავსებით...

ხშირად „გვიქადაგებენ“ დასავლური ცხოვრების იმ მხარეს, სადაც გაუფასურებულია ადამიანური ლირებულებები; იქ თითოეული ადამიანი მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს. მათთვის სამშობლოს მცნება არ არსებობს; მათი გონება მატერიალური კეთილდღეობისკენაა მიმართული. სული კი მკვდარია. ეს უნდა გავაცნობიეროთ. ჩვენ სულით და ხორცით ცოცხალი მაშინ ვართ, როცა ეკლესიაში ვართ. **ვერანაირი პრესა, ტელევიზია, ვერანაირი მოწოდები პატრიოტიზმს და ზეორგას ვერ ჩამოაყალიბებს.** ამის მომცემი მხოლოდ ეკლესიაა. თუ ადამიანი ეკლესიურად ცხოვრობს, ის ზეორგივადაც ღირებულია და მას პატრიოტული სულისკვეთებაც გააჩნია.

საოცარია, როცა ჩვენი ერის, ეკლესიის ისტორიას ვეცნობით, ვგრძნობთ, რომ აშკარად ღვთის ხელი მოქმედებს როგორც ჩვენს ერზე, ისე ეკლესიაზე. ეს ჯერ კიდევ იმ დროიდან მომდინარეობს, როცა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა დედამ მოციქულებთან ერთად მიიღო მონაწილეობა წილისყრაში — თუ ვის სად უნდა ექადაგა. **აი, სცორედ იქიდან განისაზღვრა საქართველოს მომავალი, ჩვენი ცხოვრება, როდესაც გადაცყდა, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმოგები უდეა თამობრძანებულიყო საქართველოში, მისი ამ ქვეყნიდან გასვლის დღი იყო დამდგარი, მას მაცხოვარი გამოეცხადა და უთხრა — შენ წილევედრ ქვეყანაში გააგზავნე ანდრია პირველოდებული და „არა გავნიოო ერი ესე საზეაურო უკანასკნელ ზამამდეოო“. სცორედ დე-**

და ღმრთისმამართებელი პრეზიდენტი ჩვენი უზეს-თავისი პატრიოტი, ჩვენი მფარველი, ჩვენი დედა, რომ არა ეს განსაზღვრულობა უფლისგან, ჩვენ ნამდვილად აღარ ვიარსებებდით, ჩვენზე უფ-რო ძლიერი, განვითარებული ქვეყნები წაიშა-ლა ისტორიიდან, მაგრამ საქართველო ისევ არ-სეპონს და იარსებებს „უკანასკნელ ჟამამდე“. ეს კი ყოვლადწმინდა ღვთისმამართებლის დიდი დამსახურება...“

მინდა, ერთი მაგალითი მოგიყვანოთ: ყოველთვის გვებრძოდნენ, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკ-ლესია არ ყოფილიყო დამოუკიდებელი. მეთოთხმეტე საუკუნეში საბერძნეთში იყო პატრიარქი — კალისტე კონსტანტინეპოლელი, რომელსაც მისმა ქვეშევრდო-მებმა და სასულიერო პირებმა სთხოვეს, გაეუქმებინა ქართული ეკლესის ავტოკეფალია და ისტორიულად აუხსნეს, თითქოსდა არ ვიმსახურებდით ამ დამოუკი-დებლობას. შეადგინეს წერილი, ტრაქტატი და ამ გა-დაწყვეტილებას ხელი მოაწერა კალისტემ. მოხდა ისე, რომ მალევე შეწყდა მისი პატრიარქობა და ეს გადაწყ-ვეტილება მან სისრულეში ვერ მოიყვანა. ჩვენ ავტო-კეფალური და დამოუკიდებელი ვიყავით და ვართ დღე-საც. სწორედ ამაშია ღვთის ხელი.

ისიც მინდა გავიხსენო, თუ როგორ დამაჯერებლად დაუსაბუთა ღირსმა მამამ, გიორგი მთაწმინდელმა ის-ტორიული წყაროებით ანტიოქიის პატრიარქს, თეოდო-სი მესამეს, რომელიც „იყო კაცი მაღალი და ფილოსო-ფოსი, ორთავ ცხოვრებაში გამოცდილი“, რომ ჩვენი ეკ-ლესია ნამდვილად იმსახურებდა ავტოკეფალიას — „ნეინდაო მეუზეო, შენ იტყვი ვითარებედ თავი-სა მის მოციელულისა პეტრეს საყდართა ვზიო, ხოლო ჩვენ პირველი მოდებისა და პირველი ვართ და სამცყენ-ნი და მის მიერ მოქცეული და განათლებული.



და ერთი ცხილათა ათთორმეტთა მოციქულთა-
განი სვიმონ კანაცელი ქვეყანასა ჩვენსა დამარ-
ცულ არს აჭხაზეთს, რომელსა ნიკოლა ეცოდე-
ბის. ამათ ცხილათა მოციქულთა განათლებულ-
ნი ვართ და ვინაითგან ერთი ღმერთი გვიცნო-
ბის, არღარა უარგვიყოფის და არცა ოდეს
თვალებისა მიმართ მიღრეკილ არს ნათესავი
ჩვენი, და ყოველთა უარისმყოფელთა და მცვა-
ლებელთა შევაჩვენებთ და დავსწყოვთ... შვენის
ესრეთ, რათა ცოდებული იგი მცოდებელსა მას
დაემორჩილოს, რაგეთუ პეტრესი ჯერ არს, რა-
თა დაემორჩილოს მცოდებელსა თვისა და ძმა-
სა ანდრეას და რათა თქვენ ჩვენ დაგვემორჩილ-
ნეთ“, რაღგან ანდრიას პირველად მოუწოდა
იესო ქრისტემ და ამის გამო პირველწოდებული
ეცოდა, ეპიტოლები კი მისი მოძველები
ვართ, ხოლო პეტრეს — ანდრიას ძმას, ანდრიას
შემდგომ მოუწოდა უფალია მოციქულად და აკე-
დან გამომდინარე, ჩვენ კი არ უდია დაგემორ-

ჩილოთ თქვენ, არამედ თქვენ უნდა დაგვემორჩილოთ ჩვენ, თქვენ უნდა იყოთ ჩვენს დაქვემდებარებაგაში...

უფლის მადლითა და წყალობით მაშინ გიორგი მთაწმინდელმა შეძლო დაემტკიცებინა, რომ ქართული სამოციქულო ეკლესია ავტოკეფალიას იმსახურებდა. ეს ფაქტები კიდევ ერთხელ მეტყველებს, რომ **ძართული ეპლესის ნინააღმდეგ ყოველთვის იყო ბრძოლა და დღეს განა შეიძლება რამე გაგვიკვირდეს?** დღეს რაღაც ჯგუფება — არარართველებებია და-იცხეს ეპლესის ნინააღმდეგ შატევა (ვინც დე-დაეპლესის ეპრეზის, მას არ შეიძლება ძართველი ეცოდოს).

ის მაინც გაიხსენონ, რომ ისტორიულად ასე იყო ყოველთვის — როცა მტერი შემოდიოდა, ცდილობდა, პირველად ეკლესია-მონასტრები დაენგრია, მცდელობა იყო იმისა, რომ მეფე-დედოფალთ სარწმუნოება შეუცვალათ და მერე სხვა ფენის ადამიანებიც შეიცვლიდნენ სარწმუნოებას, მაგრამ ჩვენი მეფე-დედოფალნი ქრისტეს ერთგულნი რჩებოდნენ. ამისი ყველაზე ნათელი დადასტურებაა ქეთევან დედოფალი, მეფე ლუარსაბი, არჩილი... დღეს კი ჩვენს ვაი-ძართველებს (მე ძალიან მთკიდა გული ამ ადამიანებზე) არ ესმით ეპლესის მნიშვნელობა და მიზანი-მართულად, შეგნებულად ეპრეზის ეპლესის და ის კი არ იციან, რომ ეპლესი ბრძოლაში იწრთობა, უფრო ძლიერდება და მყარდება! ჩვენ ბრძოლის არ გვეპინია. ეპლესის დაარსები-დან, პირველი საუკუნიდან დღემდე მიმდინარეობს ეპლესის ნინააღმდეგ ბრძოლა და ბრძოლაში ასე გამობრძმებილ ძრისტეს ეპლესის ვერც გარეული მტერი... ეს კარგად ახსოვდეს ცველას!...

ჩვენ გამოვიარეთ კომუნისტური ეპოქა, რომელშიც ათებიზმს, ულმერთობას გვასწავლიდნენ. შეიძლება ითქვას, რომ დღესაც იგივე მდგომარეობაა — **ტელევიზიტით თუ პრესის საშუალებებით პირდაპირ თუ არაპირდაპირ მიღის მოწოდება, რომ ლეირთი არ ვინამოთ, ტაძრები, მონასტრები არ ავაშენოთ... ასეთი რთულ ვითარებაში ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ ლოცვები გავაძლიეროთ, რომ ლვთის მაღლით, ანდრია პირველდებულის ლოცვით (სწორედ ანდრია პირველნოდებულმა მისცა ჭეშმარიტი სარწმუნოება ქართველ ერს, რომლითაც დღესაც ვცხოვრობთ და მომავალშიც ასე გავაგრძელებთ სიცოცხლეს) **სულიერი თვალი აგვენილოს.****

შევთხოვ წმინდა ანდრია პირველნოდებულს, რომელსაც პირველად მოუწოდა უფალმა მოციქულთა შორის, რომელმაც საქართველოში დედა ლმრთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი ჩამოაბრძანა ნიშნად იმისა, რომ ეს ქვეყანა ყოვლადწმინდა ლმრთისმშობლის წილხვედრია, რომ სულიერად წარიმართოს საქართველოს მომავალი, მართლმადიდებლური ჭეშმარიტი სარწმუნოებით განმტკიცდეს ქართველი ერი და ჩვენი ეს ღვთივეურთხეული მინა-ნყალი ყოველთა ქართველთა წმინდანთა ლოცვით დაცული ყოფილიყოს ხილული და უხილავი მტრებისგან. ჩვენს სამშობლოს ძალიან ბევრი მტერი ჰყავს — შინაური თუ გარეული. ქართველ წმინდანთა ლოცვით ყველა ეს მტერი დათრგუნულიყოს; ყველა, ვისაც ჩვენი სამშობლო, ჩვენი დედაეკლესია არ უყვარს, ვინც ქართველი ერის მიმართ მტრულადა განწყობილი. საქართველოს ყველა მტერი — შინაური თუ გარეული, ყველა წმინდა გიორგის ძლევაშემოსილი მახვილით განგმირულიყოს! ხოლო ვინც ერთგულია დედასამშობლოსი, დედაეკლესისა, ღვთისა და წმინდანთა მფარველობა არ მოჰკლებოდეს!

დღეს ვინც თანამდებობისთვის იბრძვის, ვინც თავის პირადულს სამშობლოზე წინ დაუყენებს, მას ხელი მოეცარება. ასეთი ადამიანები წარმატებას ვერ მიაღწევენ, ვერ გაიმარჯვებენ...

სამწუხაროდ, ერის დღევანდელი მდგომარეობით განისაზღვრება ქართული ეკლესიის სულიერება — დღეს რა მდგომარეობაცაა საქართველოში, ის სულიერებაა ეკლესიაში. თუ ჩვენ გვაკმაყოფილებს ერის ასეთი მდგომარეობა, ეს იმას ნიშნავს, რომ გვაკმაყოფილებს სულიერების დონეც ეკლესიაში. ხოლო თუ ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა არ მოგვწონს, არ გვაკმაყოფილებს, მაშინ უნდა დავიწყოთ სულიერი გამოცოცხლება, სულიერი გაზრდა. ეს ჩვენ — სასულიერო პირებმა, ეკლესიამ უნდა გავაკეთოთ!.. სამწუხაროდ, საქართველოში მომხდარი ბოლოდროინდელი მოვლენები კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ ჩვენი ერი სულიერად აღზრდილი არაა, ეს კი სწორედ ჩვენი, სამღვდელოების, „დამსახურებაა“ — ჩვენ არასწორად ვზრდით მრევლს, არ ვაძლევთ მათ მაგალითს სულიერი ძალისას, რწმენისას, რაც საჭიროა თითოეული თქვენგანისთვის.

ერი რომ სულიერად სწორად აღზრდილი იყოს, დემეტრე თავდადებულისნაირი მაგალითის მიმცემი რომ ჰყავდეს, ჩვენ ერთიანი ვიქენებოდით, მაშინ საქართველო ერთიანი იქნებოდა — არ გვექნებოდა წართმეული არც აფხაზეთი, არც სამაჩაბლო. სწორედ ამ ტერიტორიების წართმევა, სულიერი თუ მატერიალური დანაწევრება ერისა, მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენში ძალიან დაბალი სულიერებაა. ერში მაღალი სულიერება მაშინ იქნება, როდესაც ნებისმიერი რიგითი მღვდელი ლოცვა-კურთხევას მოგცემთ ნებისმიერ საქმეზე და თქვენ ამ კურთხევას მორჩილებით აღასრულებთ. სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. ჩვენ ეკლესია და მოძღვართან ურთიერთობა მხოლოდ კეთილდღეობისთვის, მხოლოდ

კარგი პირობებისთვის გვჭირდება, მხოლოდ იმისთვის, რომ ვთქვათ: „აი, ეს ჩემი მოძღვარია“, და ამითაც კი ვიტრაბახოთ, ამითაც თავი მოვიწონოთ, ეს ყველაფერი პირად განდიდებას ემსახურება. აბა, გვყავდეს მკაცრი მოძღვარი? აბა, მიგვითითოს ნაკლოვანებებზე? ჩვენმა-შინვე დავტოვებთ მას!...ასეთი მდგომარეობაა, სამწუ-ხაროდ, ერმი და **ჩვენ — ეკლესიამ და ლვილის მსა-ხურებამ, ყველანაირად უნდა ვიზრუნოთ, რომ საემით, სიტყვით, სულიერებით მაგალითის მიმდევნი ვიყოთ ჩვენი მრევლისთვის. აյ მრევ-ლი არაა დამნაშავე, აյ დამნაშავენი ვართ ჩვენ — მოძღვრები! „მცხოვრი“ არიან პასუხისმგე-ბელი მრევლის ასეთ სულიერ მდგომარეობაზე. როცა ჩვენი ერის, ეკლესიის ისტორიას ვეცნ-ბით, ვგრძნობთ, ჩვენი ნინაარები ყოველთვის შეგვახსევებენ, რომ ჩვენ სასულიერო პირები უნდა ვიყოთ მაგალითის მიმდევნი ერისთვის, თუნდაც თავგანწირვის ფასად! დიახ, ჩვენ უნ-და დავდოთ თავი ერისთვის მისთვის მნიშვნე-ლოვან ზამს და სცორედ ამის შემდეგ გამოვიზ-ლდება და გაერთიანდება ერი, ამის შემდეგ თი-თორეული ჩვენგანი დავუშიერდებით — თუ რის-თვის ვართ ახავეყნად!..**

ძალიან რთული დრო დაგვიდგა. ეს არის დრო, რო-დესაც „რჩეულნიც კი შეცდებიან“. იმდენად საშიში მდგომარეობაა, ადამიანების დასაღუპად, წარსაწყმე-დად ისე ბრდლვინავს ეშმაკი, „ვითარცა ლომი“, ამიტო-მაც მეტი სულიერება გვმართებს, მეტად უნდა ვიაროთ ეკლესიაში, რადგან უმთავრესი ღირებულება, ფასეუ-ლობა — სული გადავირჩინოთ, ეს კი ეკლესიური ცხოვ-რებით მიიღწევა! სულიერი სიმტკიცით, ეკლესიური, სწორი ცხოვრებით მოვიპოვებთ ღვთის წინაშე სულინ-მინდის მადლს, რომელიც დაგვიცავს ხილული და უხი-ლავი მტრებისგან...“



„საჭიროული ტექნიკური და მეცნიერებელი მუშაობებისა“ ©

როგორც წმიდა მამები გვასწავლიან, ეს ცხოვრება გამოცდაა თითოეული ჩვენგანისთვის, თითოეულ ჩვენგანს ათი, ასი, ორასი ეშმაკი დაჰყვება დასაღუპად, ეს უნდა გვახსოვდეს და ამიტომ ერთმანეთს მსარში უნდა ამოვუდგეთ, როგორც სახარება გვაძლვას, „ურთიერთას სიგძიმე იტვირთეთ და ესრათ აღასრულეთ სჯული იგი ერისთავიონ“, ერთმანეთის თანადგომით, ერთმანეთის გვერდით ყოფილი ჭირსა თუ ლიცემი უნდა გავაძლიეროთ ერთმანეთი, სოფორული ესაა ერისთავობა!.. ხოლო თუ გული გაგვიცივდა, თუ ერთმანეთს გვერდით არ დავუდექით, თუ სხვისი ჭირი ჩვენთვის ლხენაა, მაშინ ჩვენი საქმე ცუდად ყოფილა. ერთმანეთის სიყვარულში უნდა გავიმტკიცდეთ. ერისთავობა მხოლოდ ჰილვალის გადაწყვერა და ტაქარში სიარული არ არის, ერისთავის

ჩა მოყვასის თანადგომაა, მიტევებაა, ძრისფი-
ანობა თავდადებაა მოყვასისათვის, ერისათ-
ვის...და სცორედ ამ სულისკვეთებით უნდა აღ-
ვზარდოთ ჩვენ — მოძღვრება ჩვენი სულიერი
შვილები, ჩვენი მრევლი. სცორედ ამის მაგა-
ლითს გვაძლევენ ჩვენი ღირსეული წინაპრები!..

დღეს, როგორც ვხედავთ, პირადი კეთილდღეობა
აღემატება ქვეყნის ინტერესებს. ძალიან ბევრი დღიდი
პიროვნებისგან მომისმენია, რომ, თუ ჩემი ოჯახი კარ-
გად იქნება, ჩემი შვილები კარგად იქნებიან, მე ეს
„მანყობსო“, მთლიანად საქართველო, მთელი ერი კი
არა, საკუთარი ოჯახის კეთილდღეობაზე ზრუნვენ
მხოლოდ! ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ უკვე არჩევანი
გააკეთეს. არჩევანი გააკეთეს წარმავალზე, ხრნნადზე,
დროებითზე... ჩვენ მარადიული ღირებულებები უნდა
ავიყვანოთ თავის სიმაღლეზე — ეს არის სამშობლოს,
დედაეკლესიის, მოყვასის სიყვარული. ჩვენი ცხოვრე-
ბა სწორედ ამ ღირებულებებზე უნდა დავაფუძნოთ, ეს
უნდა იყოს მთავარი და არა ფიქრი და ზრუნვა მხოლოდ
პირად კეთილდღეობაზე, კარგად ცხოვრებაზე, კარგ
თანამდებობაზე. **დღეს ვიც თანამდებობისთვის**
იბრძვის, ვიც თავის პირადულს სამშობლოზე
წინ დააყენებს, მას ხელი მოეცარება. ასეთი
ადამიანები წარმატებას ვერ მიაღწევენ, ვერ
გაიგარჟვებენ... და თუ საქართველოსთვის, სა-
ქართველოს გაერთიანებისთვის, ეკლესიის
ერთიანობისთვის იბრძვიან, მათზე ღვთის
მფარველობა და ღვთის კურთხევა იქნება. ეს
ყოველთვის უნდა გვახსოვდეს!..

ძალიან რთულია, ადამიანმა აიტანო ამდენი განსაც-
დელი, ამდენი შეურაცხყოფა, ამდენი დამცირება, ქარ-
თველი ერის ღირსებების ფეხქვეშ ასე გათელვა. ამის
ატანა მართლაც ძალიან ძნელია. ჩვენ, უპირველესად,
რა თქმა უნდა, ღმერთის იმედი გვაქვს, რომ უფალი მოგ-



„საჭიროული ტექნიკურულია“ ©

ვხედავს, მოგვხედავს ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი დედა, ვისი წილხვედრიცაა საქართველო. მათი იმედი გვაქვს, რომ ასე აღარ გაგრძელდება. ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ ერთსულოვანნი ვიყოთ, გვიყვარდეს ჩვენი დედაეკლესია და ჩვენი სამშობლო. თორემ, თუ ჩვენ, სასულიერო პირნი, ვიტყვით, რა თქმა უნდა, ამას ძალა მიეცემა — ყველა იუდა, გამყიდველი, მოლა-ლაჟე იუდასავით დაასრულებს თავის ცხოვრებას, ხოლო სამშობლოს, დედაეკლესიის ერთგული ყველა ადამიანი დაცული იძნება ღმრთისაგან! უფალს შევთხოვ, მისი მფარველობის ქვეშ ამყოფოს ერთგული, თავდაღებული ადამიანები. ჩვენ დღეს ისე, როგორც არასდროს, გვჰირდება ერთსულოვება, ერთგულება სამშობლოსა და დედაეკლესიის მიმართ...

რა თქმა უნდა, მოთხოვებით ქალიან გავრი რამ უნდა მოვითხოვოთ. მოთხოვება ღვთიური ნიშია, მაგრამ მოთხოვებასაც საზღვარი აევს!.. წერტილი უნდა დაესვას იმას, რაც დღეს საქარ-

თველოში სდება, სდება მასეადის საშუალებებით, ტელევიზიით, ინტერნეტით, ეს ერთგვარი გამოცდაა ძართვები ერისთვის და ეს გამოცდა ჩვენ ულიკობით უდეა ჩავარაროთ! უდეა გვეპოდეს ღვერთის დიდი იმედი, ღვერთს მიღებობილი უდეა ვიყოთ... დედა ღმრთისებობელს შევავეძროთ ჩვენი ქვეყანა, რადგან სწორებ იგია ჩვენი ერთაშეობის პატრონი!.. ეს არა სოდეს დაგვარულო...
არა არა დაფუძნებული...



„ისტორიული ტემპერატურებისა“ ©

თავი ეორე
**ნეიდა სიცოდის ნევრი,
პოლელი ეპისკოპოსი
ეფრემი (გაერეკალიძე)**

სეაგაღლა და გეაფიორდ უდია 30ქვათ, 26 მაისის დახა იყო პორტუგალი! ეს იყო კაცის ცოდვა და არა მხრიდო ცოდვა, ეს დანეშაული იყო!

— მეუფე ეფრემ, როგორ დაგხვდათ ადგილობრივი მოსახლეობა, როგორი იყო არაქართული მოსახლეობის დამოკიდებულება ეპარქიაში ქრისტიანული ცხოვრების აშკარად გამოცოცხლების, აღმავლობის გზაზე დადგომასთან დაკავშირებით? ეს უკვე თვალშისაცემი იყო თბილისიდანაც კი...

— რა თქმა უნდა, კარგად მახსოვს და ან რა დამავიწყებს იმ პირველ მეხებას ბოლნისის სიონის დიდებულ ტაძართან, პირველ საშობაო წირვას. თუმცა, თქვენგან — მრევლისგან განსხვავებით, მე მაშინ ყინვასა და სიცივეს ვერ ვგრძნობდი, იმხელა ემოციებსა და განცდებში ვიყავი. იმხელა იყო მადლი ბოლნისის სიონისა. არც იმის დრო მქონდა, გამერჩია — ვინ სომეხი იყო, ვინ — აზერბაიჯანელი; ჯერ თვითგამორკვევის მდგომარეობაში ვიყავი — უცხო მხარეში ხარ, არც არავის იცნობ, ახლობელი არავინ გყავს. თუმცა, რომ წარმომედგინა, იმაზე უფრო ნათელი მდგომარეობა დამხვდა. ქართველ მართლმადიდებლებს, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი სიხარული ჰქონდათ. ძალიან თბილად და სიყვარულით დამხვდა მოსახლეობა.

მოგეხსენებათ, ეკლესიის იარაღი დაპირის-აირება, მრისსანება და ეთნიკური ნიშნით გარჩევა არაა. ყველა ადამიანი ღვთის შვილია და ყველას სიყვარულით უნდა შეხვდე, ყველა სიყ-

ვარულით უდა მიიღო. ჩვენი ხასიათიც და სარმატუნოებრივი მისცრავებაც ესაა — სიყვარული, უპირველეს ყოვლისა! მერე კი დრო გა-მოაჩენს, ვინ მიიღებს, გაითავისებს ამ სიყვარულს, ვის სულს შეახება სულინობილა. მერე ავ-ტომატურად მოსდება გადარჩევა — ვინ დარჩეხა ამ სიყვარულთან, ვინ — ნავა.

... ჩვენ აზერბაიჯანულ ეთნოსთან, ისტორიიდან გა-მომდინარე, არ გვქონია (ყოველ შემთხვევაში, ქართველების მიზეზით) რაიმე სახის მცდელობა დაპირის-პირებისა. და ეს ეტყობა კიდეც ჩვენს ქვეყანას — ამიტომაა ასეთი მრავალეროვანი, ამიტომაა ამდენი სხვა-დასხვა სარწმუნოების მიმდევარი. ამ რეგიონში კი კი-დევ ერთხელ რწმუნდები, რომ სიყვარულია ყველაზე დიდი და დაუმარცხებელი იარაღი. ის, რომ ბოლნისის სიონი დღეს აბსოლუტურად აზერბაიჯანულ გარემოც-ვაში დგას, ეს კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა, რომ ეკლესია მარადიულია, ურყევია და სწორედ ეკლესიი-დან უნდა დაიწყოს ქვეყნის გადარჩენა და გაერთიანება; ეს ადამიანები, მართალია, სხვა სარწმუნოების მიმ-დევარნი არიან, თუმცა ზოგადად, ასე ვიტყვი, ღვთის შიში (ღმერთს ვის უნოდებენ თავიანთ წარმოდგენაში, ეს სხვა თემა) აქვთ, ღვთისმოშიში ხალხია; იციან, რომ ეს ტაძარია — ღმერთის სახლია და მას ცუდად არ უნდა შეეხონ, იქიდან რაღაც არ უნდა მოიპარონ, შეგნებულად არ უნდა დააზიანონ. ამდენი წელია, აქ ვარ და არ მახსოვს, ბოლნისის სიონიდან რაიმე დაკარგული-ყოს — ისინი შემოდიან ტაძარში, სანთელს ანთებენ (ჩემზე მეტი მამა ბესარიონმა იცის, უკვე 20 წელია, ღვთის მსახური და ბოლნისის სიონის ნინამძღვარია), თავისებურად ევედრებიან ღმერთს. ყველასთვის ცნო-ბილი ფაქტია, წმიდა გიორგის როგორ პატივს მიაგებენ მუსლიმანები, თუნდაც ქურმუხის წმიდა გიორგის მაგალითი რად ღირს. აქაც, ხატისუბანია სოფელი, სა-

დაც გიორგობის დღესასწაული განსაკუთრებით აღინიშნება და 23 ნოემბერს, გიორგობას, აზერბაიჯანელი მუსლიმანებიც ცხვარს სწირავენ, სანთელსაც ანთებენ, თავისებურად ევედრებიან, სასოებენ წმიდა გიორგის და მიაჩინათ, რომ წმიდა გიორგი არის სიძლიერის, გამარჯვების სიმბოლო და ყველა განსაცდელში მათი განსაკუთრებული მეოხი. და რახან უფალი ამას უშვებს, ეს შემთხვევით არ იქნება.

ქართული ეკლესიის ისტორიიდან ვიცით, რომ პირველი წმინდანები არაქართველები, არაქრისტიანები იყვნენ და, თუკი სხვა სარწმუნოების მიმდევარს აქვს სურვილი, ქრისტიანულ ტაძარში წმინდანებს ესასოოს, ეს ძაფი უხეშად არ უნდა გავწყვიტოთ.

... რამდენიმე მუსლიმანი მართლმადიდებლად მოინათლა კიდეც — ერთი ჩვენს ტაძარში სტიქაროსანია, ერთი გოგონა მედავითნეა. ჩემია აზერბაიჯანელი მართლმადიდებელი მძღოლიც დღემდე ჩვენ გვერდითაა და ნებისმიერ ქართველზე არანაკლები ერთგულებით ემსახურება ეკლესიას — ტაძრების მშენებლობაშიც იღებს მონაწილეობას. ასე რომ, ზოგადად ურთიერთობა ხალხის დონეზე ძალიან ნორმალური, სტუმარმასპინძლურია (ისინი მასპინძლებად მიიჩნევენ თავს). ხშირად მოსულან და უკითხავთ, რამე ხომ არ გვჭირდებოდა; ტყეებში, საზღვრისპირა რევიონებში, სადაც ძველი ტაძრები და ნამონასტრალებია, ქართველი ადამიანი ფაქტიურად არ დადის, აზერბაიჯანელებმა კი ფეხდაფეხ იციან თითოეული ხე და ბუჩქი, თითოეული ბილიკი და ბევრჯერ დაუზარებლად მეგზურობას გვიწევენ, გზაც გვიჩვენებენ ჩვენი ტაძრებისკენ. ბევრჯერ თავიანთი სურვილითაც მოსულან და უთქვამთ — ამა და ამ ადგილას თქვენი ქილისაა (ქილისას ეკლესიას ეძახიან) და გაჩვენებთო. არავის არასოდეს დაუმალავს ეს, პირიქით — გვეუბნებოდნენ, რომ ეს თქვენია, ქრისტიანულიაო; არც თუ იშვიათად, ტაძრების განმენდაშიც, გზების გაკვალვაშიც გვეხ-

მარებოდნენ. უკან არასოდეს დაუხევიათ. ალბათ, ღვთის შიშით.

— და შიში შეიქმის სიყვარულსა?..

— ეს რამდენად გადაიზრდება სიყვარულში, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, მათში მზაკვრობა არ არის; ან-ტიგანწყობას, აგრესიას, სიუხეშეს, უპატივცემულობას ვერ ვგრძნობ უბრალო მოსახლეობისგან. თუმცა არის რაღაც დაჯგუფებები ან ცალკეული ადამიანები, რომელთაც ძალიან აღიზიანებთ, „არ აწყობთ“ ჩვენ შორის ასეთი თბილი, ადამიანური დამოკიდებულება; რომელ-თაც უნდათ, ეს ხალხი ჩვენ მიმართ აგრესიულად გა-ნაწყონ...

— და ვინ არიან, მეუფეო, ეს დაჯგუფებები, ეს ადა-მიანები?

— არ ვიცი... მაიცნ და მაიცნ თუ იუიკრიგთ, რომ ისინი არაძართველები არიან, შეიძლება ქარ-თველებიც იყვნენ ან რაღაც არასამთოვრობო ორგანიზაციები, რომელთაც ეთნიკური შუღ-ლის ჩამოგდება სურთ ქართველებსა და აზერ-ბაიჯანელებს შორის. ამ შემთხვევაში რეზი-გია და ეროვნება განუყოფელია — თუ ერთ სა-კითხეთან მიმართებაში იძნება დაპირისპირე-ბა, ამას ავთომატურად მოჰყვება მეორე და პი-რიპით! რამდენიმე ადამიანი თუ ჯგუფი ადა-მიანებისა, რომელებიც შოვინისტურად აზროვ-ნებენ, ცდილობენ, მართონ აზერბაიჯანელები. იყო რამდენიმე შემთხვევა, პვერი აღვენარ-თათ. მოსახლეობისგან არანაირ წინააღმდე-გობას არ წავიყდომივართ, მერე ვიღაცები უსებად ჩაერივნენ (არ გამომიდიებია, ვინ იყვ-ნენ) — იყო საფელეფონო ზარები, თურმა ამით აზერბაიჯანელებს შეურაცხეყოფდით. ყოველ შემთხვევაში, მა ნამდვილად შემიძლია გითხ-რათ, რომ ეს მოსახლეობის განცყობა არ არის,

ეს არის რაღაც მცირე ჯგუფის სურვილი და და-
მოციდებულება, რომელიც ცდილობს, რომ ერ-
თმანეთს გადაჰქიდოს ეს ორი ერი.

— თქვენი სულიერი გადასახედიდან როგორ ხედავთ,
მეუფეო, იქნებ, ამ არაკეთილმოსურნე ადამიანთა შეშ-
ფოთება იმითაა გამოწვეული, რომ რამდენიმე ეთნი-
კურმა აზერბაიჯანელმა რჯული შეიცვალა და გაქრის-
ტიანდა?

— ზოგადად, მე არ ვიტყვი, რომ იმ პერიოდში, რაც
მე აქ ვარ, რაღაც ისეთი მასშტაბური და გრანდიოზუ-
ლი ხდება. მაგრამ, ეპარქია რომ გამოცოცხლდა, ამას
ყველა დაინახავდა, ქართველიც და არაქართველიც,
მტერიც და მოყვარეც — რამდენი ჯვარი აღიმართა,
რამდენი ტაძარი აღდგა, მონასტერი გაიხსნა, სამღვ-
დელოება მომრავლდა, მოძრაობაა მრევლისა, ეს ამ
არაკეთილმოსურნე ადამიანებისთვის გასაკვირიც იყო
და მოულოდნელიც, ამისთვის „მოუმზადებელნი“ აღ-
მოჩნდნენ და მოსვენება დაკარგეს. მერე ხმას ავრცე-
ლებდნენ, რომ თითქოს ძალით გაქრისტიანება გვინ-
დოდა ვინმესი, ხალხს ეუბნებოდნენ: „ჯვრებს იმიტომ
გიდგამენ, თქვენი ძალით გაქრისტიანება, თქვენთვის
მინების წართმევა, თქვენი უფლებების შეზღუდვა უნ-
დათო“. შეგნებულად ასე თესავდნენ შუღლსა და ბო-
როტებას. ამ დროს ჩვენი იარაღი მხოლოდ ჯვარია უფ-
ლისა, ჯვარი და სიყვარული. მე ისიც კი არ გამომიძიე-
ბია, ვინ იყვნენ ეს ადამიანები, რადგან, ვინც უნდა ყო-
ფილიყვნენ, ადამიანთა შორის მტრობის ჩამოგდება იმ-
ხელა ბოროტებაა, რომ ამ ბოროტებას მხოლოდ სიყ-
ვარულით თუ დაუპირისპირდები, ამხელა სიბოროტეს
მხოლოდ სიყვარული ამარცხებს.

— მეუფეო, ცოტა უფრო სხვა ჭრილში განვიხილოთ
ქართულ-აზერბაიჯანული საკითხი. აქ, საქართველო-
ში, აზერბაიჯანელებს ყველანაირი საშუალება აქვთ,
რომ სრულფასოვნად იცხოვრონ — აქვთ საკუთარი

სკოლები, მიწა და, რაც ყველაზე მთავარია, ყოველ ფეხის ნაბიჯზე მეჩეთებს იშენებენ, აზერბაიჯანში ფერეიდნელ ქართველებს კი ადგილობრივი ხელი-სუფლება, ეკლესიების გახსნას კი არა, ლამის ქართული სახელების დარქმევას უკრძალავს. ცოტა უფრო მეტად ხომ არ უნდა ვიმოქმედოთ მათ დასაცავად? ისინიც ხომ ჩვენი სხეულის ნანილები არიან და თანაც ყველაზე ტკივილიანი. იქნებ, ჩვენ ყველანი ვცოდავთ ინგილოების წინაშე? აზერბაიჯანული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა ფერეიდნელი ქართველების მიმართ ძალიან აგრესიულია, კატეგორიულია; მაშინ, როდესაც აგერ, ბოლნისის სიონის გვერდით, მეჩეთებს გვიშენებენ, ამის სანაცვლოდ ხომ არ ფიქრობთ, რომ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას უნდა მოეთხოვა თუნდაც ერთი ტაძრის გახსნა ფერეიდნელი ქართველებისთვის?

— მართალი ბრძანდებით, ამ მხრივ ჩვენ ძალიან არა-თანაბარ მდგომარეობაში ვიმყოფებით. სახელმწიფო-ებრივად კი ვაღიარებთ, რომ თანასწორუფლებიანი ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ აღმოჩნდება ისე, რომ ჩვენ ძალიან ბევრს ვთმობთ და სანაცვლოდ ძალიან ნაკლებს ან არაფერს ვიღებთ — თუნდაც საინგილოში, სადაც იქაური მთავრობა ხატისა და სასულიერო ლიტერატურის შეტანის უფლებასაც არ გვაძლევს. გვეუბნებიან, რომ ეს სხვა სახელმწიფოა და ჩვენთან ასეთი კანონებიაო, ჩვენ კი ვამბობთ, რომ მეტი დემოკრატები ვართ, მეტად შემწყნარებელნი, უფრო ტოლერანტები. მაგრამ ეს უკვე შემწყნარებლობა აღარ არის, ეს უკვე საკუთარის დაუცველობაა, სიბრიყეა და ამ მხრივ ნამდვილად გამოსასწორებელია მდგომარეობა.

— ჩვენი ეკლესია რატომ არ ითხოვს, რომ საინგილოში ამოქმედდეს ტაძრები?

— არაერთგზის მოუთხოვია, მაგრამ აზერბაიჯანის მხრიდან ყრუ კედელს ვაწყდებით მუდამ — ჩვენ ასე-

თი სახელმწიფო კანონი გვაქვსო. რა თქმა უნდა, ხელისუფლებამ უფრო მკაცრად უნდა დააყენოს საკითხი და კიდევ ერთხელ შეახსენოს აზერბაიჯანულ მხარეს, თუ რა საოცარ, შეუზღუდავ პირობებში იმყოფებიან აქ, საქართველოში, აზერბაიჯანელები და სანაცვლოდ მათაც მოსთხოვონ ფერეიდნელი ქართველებისთვის ის, რაც ამ ხალხისთვის ასე აუცილებელია, მაგრამ ასე არ ხდება, სამწუხაროდ. ეკლესიის მხრიდან არის მზაობა, მცდელობა, მაგრამ აქ მხოლოდ ეკლესია სხვა სახელმწიფოში ვერაფერს გახდება... ეკლესიამ თავისი საქმე უნდა გააკეთოს, სახელმწიფომ კი თავისი წილი პასუხისმგებლობა აიღოს თავის თავზე და ასე, ერთობლივად გადაწყდება ერისთვის მნიშვნელოვანი საკითხები ქვეყნის სასიკეთოდ! მოვლენები კი ჩვენდა საზიანოდ ვითარდება, ამისათვის თუნდაც დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მაგალითიც კმარა — დავით გარეჯი გაგვიხდა სადაც და დღემდე ბუნდოვანი განცხადებები გვესმის, რომ „მხოლოდ სტრატეგიული სიმაღლეები ეკუთვნით“ აზერბაიჯანელებსო. არადა, სწორედ ამ „სტრატეგიულ სიმაღლეებშია“ მოქცეული ჩიჩინიტურის კოშკი, აღდგომის ტაძარი. ჩვენ იმდენს ვთმობთ, ყველანაირ პირობას ვუქმნით აქ აზერბაიჯანელებს. საინგილოში ქართული ტაძრისა და მონასტრის გახსნას ვინ ჩივის, როცა გარეჯი გაგვიხდა მათთან სადაცო? ხელისუფლება ცდილობს, „დაგვამშვიდოს“, რომ ყველაფერი მოგვარდება, მაგრამ მოგვარების ნაცვლად დღითიდღე ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესები იღახება, ქართველი ხალხის უფლებები იზღუდება. ამასობაში ქართული მიწებიც იკარგება და ასე ბრმად „მივყვებით და ვეგუებით“ ამ ყველაფერს. იმას ვფიქრობთ, „სტუმრებს“ არ ვაწყენინოთ. კი, ბატონო, ნუ ვაწყენინებთ, მაგრამ, სტუმრსაც ხომ თავისი ადგილი აქვს? დღეს კი რა ხდება? ქართველს უფრო ნაკ-

ლები უფლება აქვს თავის საკუთარ მინაზე, ვიდრე სხვა ეთნოსს. ჩვენთან სტუმარი უფრო პრივილეგირებულია „რაღაცის“ თუ „ვიღაცის პირადი ინტერესების“ გამო. ეს არის მტკიცნეული, თორემ ჩვენ რომ ვიცით სტუმრის დახვედრა და მიღება, ისეთი მსოფლიოში არავინ იცის. ეს ხელოვნურად ხდება, რადგან „ვიღაცებს“ ეს ხალხი თავიანთი ამბიციური მიზნებისთვის სჭირდება. აზერბაიჯანელს საქართველოში ყველაფერი უნდა ჰქონდეს — მეჩეთიც, სკოლაც, არ უნდა ვაწყენინოთ, ჩვენი მეგობარია, ჩვენი ძმაა. არ ვარ ამის ნინაალმდეგი, მაგრამ ერთხელ მათმა ხელისუფლებამაც გვიმეგობროს და თანაც საქმით, რომ საინგილოში ეთნიკურმა ქართველმა დაჩაგრულად არ იგრძნოს თავი! მაგრამ სათანადოდ არ ითხოვს, ალბათ, ის, ვინც უნდა მოითხოვოს, რადგან საქართველოში აზერბაიჯანული მოსახლეობა მისი მიზნებისთვის უფრო გამოსადეგია, ვიდრე აზერბაიჯანში მცხოვრები ჩვენი ქართველები! ეს მანამდე გაგრძელდება, სანამ ჩვენ ჩვენსას არ დავაფასებთ. შენ თუ შენსას არ დააფასებ, არც სხვა დააფასებს. ერს, ისევე, როგორც ყველა ადამიანს, თავისი ღირსება აქვს და, თუ შენ არ დადექი შენს სიმაღლეზე, შენ არ დააფასე შენი ეროვნული ღირსება, ამას შენს მაგივრად არავინ გააკეთებს. ახლა კი რა გამოდის? ადამიანი სახლში შემოუშვი, სტუმრად მიიღე და ისევ შენივე უნიათობით თუ ზომაზე მეტი ტოლერანტობით, შენივე ადგილს იკავებს ნელ-ნელა. ამ გადამეტებულმა ტოლერანტობამ რა შედეგამდეც მიგვიყვანა, ყველანი ვხედავთ.

— კი, სამწუხაროდ, ტოლერანტი და მიმტევებელი რომაა ჩვენი ხელისუფლება, ოლონდ სხვების და არა საკუთარი ხალხის მიმართ, ეს ამ ბოლოდროინდელმა მოვლენებმაც ცხადყო. 26 მაისის ბართლომეს ღამეს ვგულისხმობ, როცა ხელისუფლება სასტიკად გაუსწორდა საკუთარ ხალხს უკვე მერამდენედ! მე, რო-

გორც ერთ რიგით ქართველს, არ მაინტერესებს ამ მოვლენების პოლიტიკური სარჩული, რადგან მე და-ვინახე საზარელი კადრები, როგორ გამეტებით, უმოწყალოდ ურტყამდა ათი სპეცნაზელი ერთ წაქცე-ულ, ხელებშეკრულ ქართველს — თავის ძმას, ვინც უნდა ყოფილიყო — „ძე-შეცდენილი“ თუ შეუმცდარი. როცა ცემით მოკლულ ადამიანებს შენობების სახუ-რავებზე პოულობდნენ ან მტკვარში გადაყრილს, რო-ცა დღემდე არ ვიცით, ზუსტად რამდენი ადამიანი და-იხოცა, უნდა დაეგმო თუ არა ხმამალლა ეკლესიას ეს ფაქტი, ეს სისხლისღვრა, ერთს ასე გამეტება? და რა მივიღეთ — საქართველოს საპატრიარქომ და ამერი-კის საელჩომ თითქმის იდენტური განცხადებები გაა-კეთეს. თქვენ გტკივათ საქართველო და ქართველო-ბა და, ალბათ, ყველაზე უკეთ იცით, რას ნიშნავს თი-თოეული ქართველის სიცოცხლე! გავხდით თუ არა 26 მაისის ბართლომეს ღამის კაენის ცოდვის მომსწრე-ნი და თქვენ, წმინდა სინოდის ერთ-ერთი ყველაზე ნა-თელი წევრი, რას ეტყვით ხალხს, რომელიც, ამდენი ხანია, ელის ხმას ეკლესიის?

— ყველაზე აღმატებული და ძვირფასი ქმნილება ღვთისა — ეს ადამიანია, მისი სულია და თუნდაც ყვე-ლაზე უღირსი ადამიანის სიცოცხლე, სული არ ღირს არავის ამბიციად თუ პატივმოყვარეობად. ყველა ადა-მიანის სიცოცხლე, ბარიკადის ორივე მხარეს მდგომი, ჩვენთვის ერთნაირად ძვირფასია. სამწუხაროა, რომ ამ მოვლენებს არაერთი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა და კიდევ ვიმეორებ, ერთი ადამიანის სიცოცხლედაც კი არ ღირდა ეს ყველაფერი. ქართველები მაქსიმალისტები ვართ — ან ძალიან ცუდი უნდა გავაკეთოთ, ისეთი სა-შინელი, საკუთარი თავის მიმართ თუნდაც, რომ გავაკ-ვირვოთ ყველა, ან ძალიან დიდი სიკეთე — რადიკალე-ბი ვართ, უკიდურესობების ხალხი ვართ, ზომიერება ძალიან ნაკლებად გვაქვს ყველაფერში.

როცა 26 მაისის ღამის კადრებს ვუყურებდი, წინასწარ რომ არ მცოდნოდა, რომ საძართველოში ხდებოდა ეს ყველაფერი, ნამდვილად ვიზიტორები, რომ XVII საუკუნის შაჰ-აბასის როგორილაც შემოსვას მარვენებდნენ ან როგორილაც მთრულად განვითარებილ სახელმწიფოსთან ომი აფიძა, მაგრამ ვაი, რომ ეს ყველაფერი რუსთაველზე ჩვენს დროში ხდებოდა! თუმცა რა მნიშვნელობა აქვს საუკუნეს? იცდამე ერთე საუკუნეში თუნდაც იმავე რუსთაველზე არ დაღვრილა სისხლი ქართველისა ისევ ქართველის ხელით? ხშირად მტრის ხატს გარეთ ვეძებთ და აღმოჩნდება, რომ არანაკლებ ზიანს ერთმანეთს ვაყენებთ ქართველები. ამიტომაც თქვა ქართველთმოძულე შაჰ-აბასმა: „ქართველების ერთად ყოფნა არ მანახოს ღმერთმა და დანარჩენი მე ვიცი. ისინი თუ ერთად დადგნენ, მათი მომრევი არავინაა; ქართველს ისევ ქართველი თუ დაამარცხებსო“.

ამ „ფორმულას“ მტერი ჩვენ წინააღმდეგ საუკუნების მანძილზე შესანიშნავად იყენებდა — ქვეყნის შიგნით პოულობდა მოღალატეს ან მოღალატე ხელისუფლებას დაგისვამდა. რა მოუგვარებელი გვჰირს? რა ვერ გავიყავით? ეს ჩვენი ამგიცირს, ამართავების პრალია — როცა ადამიანი რაღაც საზეცურზე შედგება, მერე თავი ძლიერი ჰგონია და ყველაფრის უფლებას ანიჭებს თავის თავს ამ საფეხურზე დიდხანს დგომისთვის...

... იმ ადამიანთა უმრავლესობა გაჭირვებამ გამოიყვანა ქუჩაში, უპირველეს ყოვლისა კი, მორალურმა ტკივილმა და არა მხოლოდ მატერიალურმა გაჭირვებამ — შეურაცხყოფამ, ღირსების შელახვამ, რაც ფიზიკურ შიმშილზე უფრო ძნელი ასატანია ღირსების მქონე ადამიანისთვის. ვერაფრით დავივჯერებ, რომ ნონა გაფრინდაშვილს ან ლუკა კურთანიძეს, ან სო-სო ჯაჭვლიანს, ან პევრ იმ ქართველს, როგორ

ნიც იქ იდგნენ, საქართველოსთვის უფრო ნაკლებად უდეათ სიკათა, ვიღრე იმათ, ვინც დღეს ხელისუფლებაშია. სიტყვით თუ საქმით ღირსების შელახვაა სწორედ ის, რაც ღირსების მქონე ადამიანს პროტესტის გრძნობას გაუჩინს. და ეს ასეც უნდა იყოს! **ქართველი ცლების მანძილზე მიერვია უშუალებას, უსამსახურობას, შიმშილს, გაფირვებას, მაგრამ ითმონდა. მაგრამ, როცა ღირსებას შეგიღაბავენ, ამის მოთხენა ძნელია, ძალიან ძნელი.** აქ მხოლოდ პიროვნულ ღირსებაზე ხომ არაა ლაპარაკი, აქ ეროვნულ ღირსებაზეა საშპარი!

ამ ულეტვაში ისევ ეს უბრალო, ღირსებააყრილი ხალხი მოხვდა! მე არ ვიცი, ვინ ვინ არის, მაგრამ ერთი მხარეც და მეორეც ისევ ისე არიან. ხშირად მომხდარა, რომელიღაც პოლიტიკურ ძალას ხალხის პროტესტი, ავტორიტეტული ადამიანები გამოუყენებია სათავისოდ და ამიტომაა, რომ ხალხმა უკვე ამ ე. წ. პოლიტიკოსების მიმართ ნდობა დაკარგა. ერთადერთი, დღეს ჯერ კიდევ ხალხის ნდობას რომ ინარჩუნებს და ყველზე მაღალი რეიტინგი აქვს, არის ეკლესია, ამიტომ სწორედ ეკლესიამ უნდა შეასრულოს ერთს გამაერთიანებლის როლი, ეს ორი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული პოლუსი უნდა დაბრუნოს თავის ადგილზე. უნინაც ასე იყო, როცა ერთი პოლიტიკური ჯგუფი ჩაანაცვლებდა მეორეს, იგი რევანშს იღებდა ნინაზე. არ ვიცით თანაბარი, ზომიერი გადასვლა ერთი მდგომარეობიდან მეორეზე... თუმცა ყველას მინდა შევახსენო — დრონი მეფობენ და არა მეფენი!..

და რადგან ამ დაძაბულ, არეულ ვითარებაში ხალხი მხოლოდ ეკლესიის იმედად დარჩა, ამიტომ ხმამაღლა და მაციოდ უდეა ვთქვათ — 26 მაისის ღამე იყო ბოროტება! ცოდვა! ცოდვას უდეა ეცოდოს ცოდვა! (და საერთოდ, ყველა-

ფერს თავისი სახელი უდება დაერქვას) და არა მხოლოდ ცოდვა — ეს დანაშაული იყო! ძაღლი მოკლა ქმა. დიახ, ეს იყო კაენის ცოდვა. არავერი, არანაირი პოლიტიკა ამართლებს ამას! რაც უნდა ილაპარაკონ, რომ ეს იყო ანთისახელმწიფოებრივი ქმედება, ეს ხელისუფლების ქმედებას არ ამართლებს! მით უაფეს, რომ იქ არ იყო გამოუვალი მდგომარეობა, მოდი პირდაპირ ვთქვათ — ერთი გასასვლელი მაინც ხომ უნდა მიეცათ საჭეისოვის?! მთერი აკეთებდა ამას — ალყაში მოაქცევდა და შემდეგ ხოცავდა ხალხს! მიეცათ გასასვლელი და ის ადამიანები დაიგლებოდნენ, გაიფანტებოდნენ და მსხვერპლიც ნაკლები იქნებოდა და ხელისუფლების მიმართ ზიზღიც.

კიდევ გეუბნებით, ჩვენ არ გვაინტერესებს პოლიტიკური ახსნა ამ მოვლენებისა — რომ დამენახა, ათი მომიტინგე ერთ ხელებშეკრულ, წაქცეულ სპეცნაზელს თუ პოლიციელს სასიკვდილოდ ასე უმოწყალოდ, ასეთი სისასტიკით რომ იმეტებდა, ესეც უნდა დაგვეგმო, რადგან ჩვენთვის არ აქვს მნიშვნელობა, ვინ რომელ მხარეს დგას. აქ ლაპარაკია ქართველობაზე, კაცობაზე, ვაჟკაცობაზე, ლირსებაზე. ბოლო-ბოლო, ქართველი წაქცეულს და ხელებშეკრულს მოსისხლე მტერსაც კი არ ურტყამდა!

«ქალიან ათელია ჩვენი უნიტარესი გდგომარება!»

— მეუფე ეფრემ, თქვენ ბრძანეთ, რომ ერთადერთი ინსტიტუტი, რომელიც საზოგადოების ნდობას ჯერ კი-დევ ინარჩუნებს, ეკლესია. ალბათ, ასე ძალუმად ამი-ტომაც ცდილობენ მისი ავტორიტეტის შელახვას. ხომ არ მიიჩნევთ, რომ საპატიორიარქოს სიჩუმე, გნებავთ გა-ურკვეველი განცხადებები 26 მაისის ღამესთან დაკავ-შირებით, ნმინდა სინოდის ავტორიტეტს ჩრდილს აყე-ნებს, რაც, რა თქმა უნდა, ეკლესის არაკეთილმოსურ-ნეთა წისქვილზე ასხამს წყალს, რაც, არა მგონია, სი-კეთის მომტანი იყოს...

— ძალიან რთულია ჩვენი უწმინდესის მდგომარეო-ბა. ხშირად, ასეთ რთულ ვითარებაში, ვცდილობ, ჩემი თავი მის ადგილას წარმოვიდგინო და ვფიქრობ, თავად როგორ ვიტყოდი, როგორ მოვიქცეოდი და მთელი სი-სავსით ვგრძნობ ენით აუნერელ სიმძიმეს... თვალწინ თითქმის ჯოჯოხეთური მდგომარეობა წარმომიდგება ხოლმე — ეს არის მისი ჯვარცმა! წარმოიდგინეთ, უწ-მინდესის ერთი სიტყვა რამდენად წონადია და როგორ ელოდება ერიც და ბერიც! რამდენად სწორად უნდა თქვას თითოეული სიტყვა, რომ იმ ერთმა სიტყვამ კი არ გათიშოს, არამედ გააერთიანოს ერი! და ღმერთმა ნუ ქნას, მისი ეს სიტყვა სწორად არ გაიგოს ან ერთმა, ან მეორე მხარემ. ამან შეიძლება ერის ტრაგედია გა-მოიწიოს! ეკლესია ყოველთვის ცდილობს, ვინმეს მხა-რე კი არ დაიჭიროს, არამედ სიმართლის, ჭეშმარიტე-ბის მხარეს დადგეს, მაგრამ ხანდახან უჭირთ ამ ჭეშ-მარიტების სწორად დანახვა და დაუმსახურებლად „მი-აწერენ“ რომელიმე მხარის — ან მთავრობის, ან ოპ-ზიციის მხარდაჭერას. უდიდესი სულიერება სწორედ ის

არის, რომ ორივე მხარეს, როგორც უნდა აშავებდეს იგი, ისე შეხედო, როგორც შენს შვილს. და მესმის, როგორ სტკივა უწმინდესს ყველა ადამიანი, განურჩევ-ლად იმისა, თუ სად დგას იგი.

— კიდევ ერთხელ ჩაგეეკითხებით: საპატრიარქოს მხრიდან იყო თუ არა ხმამაღლა დასაგმობი ხელისუფ-ლების ქმედება 26 მაისის დამეს? და მისმა სიჩუმემ მიაყენა თუ არა ჩრდილი ეკლესის, საპატრიარქოს, წმინდა სინოდის ავტორიტეტს?

— რა თქმა უნდა, 26 მაისის დამე ერთმნიშვნელოვნად დასაგმობი იყო! უნდა დაგმობილიყო ცოდვა ძალადობისა, მკვლელობისა... ასეთი სისასტიკისა. რა მნიშვნელობა აქვს, რომელი მხარე ჩაიდენს ამ სისასტიკეს? ჩვენთვის ხომ ყველას სიცოცხლე ერთნაირად ძვირფასია?! მე მჯერა, მოსახლეობა ეკლესიდან არ ელოდა პოლიტიკურ განცხადებებს (და ეს ასეც უნდა იყოს), მაგრამ როგორ შეიძლება, ადამიანი უყურებდე, როგორი სიძულვილითა და სისასტიკით ურთყამს და სასიკვდილოდ იმეტებს ათი სპეცრაზმელი ერთ ხელებშეკრულ კაცს (კიდევ გეუბნებით, მნიშვნელობა არ აქვს, ვინ რომელ მხარეს დგას) და ეს არ დაგმო! რაც სათქმელია, უნდა ითქვას — თეთრზე თეთრი უნდა ვთქვათ და შავზე — შავი! როცა ასეთი საშინელი რამ ხდება, როცა ადამიანი ასე უმოწყალოდ, ასე-თი სისატიკით ეპყრობა ადამიანს, ქართველი ქართველს, ამაზე დუმილი არ შეიძლება!

— იცით, მეუფე ეფრემ, იმ პერიოდში, კარგად მახსოვს, ხალხი ხმამაღლა ამბობდა: „ბოლოს და ბოლოს რა უნდა მოხდეს, რომ ეკლესიამ ხმა ამოიღოს? როდემდე? სანამ ჩვენი სისხლის მდინარეებით არ წაიღეკება საქართველო? რას ვერ თმობენ ეკლესის მსახურნი — ჯიპებს, კეთილდღეობას, კომფორტს, მდიდრულ ცხოვრებას? ისინი ხომ იმისთვის არიან იქ, რომ სიმართლეს, ქრისტეს, ერს ემსახურონ? და როდესაც ხელისუფლებამ უკვე მერამდენედ მოუწყო ბართლო-

მეს ღამე საკუთარ ხალხს, იყო თუ არა ეს ქრისტეს მცნებების წინააღმდეგ წასვლა?“. რა ვუთხრათ ამ ადამიანებს? რით ვანუგეშოთ ისინი, ვისაც უკვე მდიდრული ავტომანქანიდან გადმოსული სასულიერო პირი ალიზიანებს, რადგან ახსენდება, როცა შვილი ცემით მოუკლეს, მაშინ ეკლესია დუმდა.

— ყოველ ადამიანში მეტ-ნაკლებად არის ეგოიზმი და ასეთ ვითარებაში მასში თვითგადარჩენის ინსტინქტი იღვიძებს... და აღარ უნდა „აირიოს“ თავისი საკუთარი „დამშვიდებული“ სიცოცხლე...

„და ასე, ვეღარ ელევა ამ კომიტეტულ ცხოვრებას და ფიქრობს, რომ ოღონდ მას არაფერი ეტკინოს, მის ოჯახს არ დაემუქროს საფრთხე და დუმს! ამის საპირისპირო თვისება კი თავგანწირვაა, რასაც ადამიანს რწმენა, ღვთის სიყვარული აძლევს; სამწუხაროდ, ერშიც და ბერშიც თავგანწირვის მუხტი შემცირდა და „თვითგადარჩენის“ ინსტინქტმა წამოიწია წინა პლანზე... ამიტომაცაა, „სანამ მე და ჩემს ოჯახს არ შეგვეხება, მანამდე გავჩუმდები“ — ს პრინციპით ცხოვრობს ერიც და ბერიც, სამწუხაროდ!

— ანუ, რაც ბერი, ის ერი? თუ პირიქით — რაც ერი, ის ბერი?

— ეს ზიარჭურჭელივითაა და დასამალი არცაა. ჩვენი ერის არსებობის მანძილზე ყოველთვის ასე იყო — აინტერა სულიერების დონე ბერ-მონაზვნობაში? ეს ავტომატურად ვრცელდებოდა ერზეც.. სწორედ ამის გამო ჩატარდა რუის-ურბნისის საეკლესიო კრება! დავით აღმაშენებელმა დაინახა, რომ როგორც კი დაეცა სულიერება და ზნეობრიობა ბერში, ეკლესიაში, ავტომატურად აირია, დეგრადაციისკენ წავიდა მთელი ქვეყანა, მთელი ერი! ასე რომ, ეკლესია, სასულიერო დასი არის წამყვანი, ერის სულიერი ლოკომოტივი, ჩირალდანი და თუ ნიც მიმავალ გზაზე ის ჩაგირა, ყველა — ერიც და პერიც, რა თემა უნდა, სიგნალები აღმოჩდება, დაიბნევა. ამიტო-

„საჭიროული ტემაზე დღესასწაულისა“ ©



მაუზე ესაია — მიტროპოლიტი ნიქოზისა და ცხინვალისა;
მაუზე იოგო — მიტროპოლიტი ურბნისისა და რუსისა;
მაუზე ეფრემი — ბოლნელი ეპისკოპოსი

მაც ვალდებული ვართ, ერს ყოველთვის სიმართლე ვუთხრათ და ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ! კიდევ ერთხელ ხმამაღლა და მანაზონდ ვითყვდი — 26 მაისის ღამე იყო ბოროტება! ცოდვა!

— მაშინ, როდესაც ლუკა კურტანიძე, სოსო ჯაჭვლიანი დააპატიმრეს, ადამიანები, რომელებმაც უამრავი სიხარული მიანიჭეს ქვეყანას (შეიძლება ზოგიერთს, იმ მიტინგზე მდგომს დასწამო რაღაც ანგარება, მაგრამ განა რა ჰქონდა გასაჭირი ამ ადამიანებს და მათნაირს კიდევ ბევრს, თუ არა ქვეყნის ტკიცილი და ტრაგედია?), ხალხი მთავრობისგან და საერთოდ პოლიტიკოსებისგან პასუხს აღარ ელოდება, აღარ სჯერა მათი. ერთადერთი საყრდენი, რაზეც ეროვნული ცნობიერება დგას, ეკლესიაა. და საკუთარი, აზრის მკაფიოდ არგამოხატვით მრევლის უდიდეს ნაწილში ეკლესის ავტორიტეტს ჩრდილი თუ მიადგა?

— ასეთ რთულ ვითარებაში ადამიანები ეპლესიას ყოველთვის ბოლო იმედის თვალით შეჰყურებენ, რადგან სხვაგან აღარსადაა შველა. ვითომ შეიცვალა მთავრობა, დადგა რომელილაც პოლიტიკური ძალის გვერდით, მაგრამ ყველა შემთხვევაში მანიც მოტყუებული დარჩა! **სალეირთადერთ სსნას, შველას, სიმართლეს მხოლოდ ეკლესიისგან ელოდება, ამითომ ეს ხეა ზარის რეკვასავით უნდა ისმოდეს ეკლე-**



სიღდან! რაც სამხილებელია, მკაფიოდ, დაუჭარავად, შეულამაზეპლად უნდა ვამხილოთ; რაც სათქმელია, უნდა ითქვას, ოღონდ ყოველგვარი სიყალბის გარეშე!!! თუმცა, არც თუ იშვიათად, თუ ვინმემ სიმართლე თქვა, მის ნათქვამს ხანდახან ირონიით იღებენ ხოლმე ერშიც და ბერშიც!.. სამწუხაროდ!..

...**მერე სასწრაულოდ გამოჩდებიან გავანნი ეკრაზე, აუცილებლად ტაქარში, სანოლით ხელში და რატომდაც ფიქრობენ, რომ ამით ჩამორეცხენ თავიანთ დანაშაულადეცეულ ცოდვებს...** რატომდაც პირისი, ასე ადვილად დაიჯერებს ხალხი, რომ ტაქარში შესვლით სულ სხვა პიროვნებად გარდაიძმეონ. ეს კათებორია ადამიანებისა ცდილობს, რომ ეკლესია ნიღბად

გამოიყენოს და ეს „ნიღაბი“ ეკლესიურობისა კარგად მოიჩინოს — ახლა სანთელი დაიშირა და აათო?!

ამით ცდილობენ, რომ მასის თვალში მორმაზედ გამოჩდენა და ცოდვა ჩამოირჩეონ?!

მაგრამ ამ სისხლს რა ჩამორეცხავს, მე არ ვიცი!

არც ამ მოასვენებს მათ ეს ცოდვა და არც იქ.

თუ ჟეზმარიტი, ცრემლიანი სინაცხლი არ ეძნებათ. საერთოდ, როგორ სძინავთ და-მე, არ მესმის!

უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ ეკლესია უშიშრად უნდა ამბობდეს თავისი სათქმელს, ვისაც, როგორ ავტო-რიტეტსაც უნდა ეხებოდეს ეს. ერთი სიტყვით, შიში არ უნდა იყოს! დღეს კი რაღაცნაირად ეს შიში სინდრომია თითქოს.

— **ანუ ეკლესია დღეს დაშინებულია, მეუფე ეფრემ?**

— ეკლესია მთლიანად დიდი და ფართო ცნებაა, მე ვამბობ ცალკეულ პიროვნებებზე. ვინ ვის უკრავს დღეს პირს? გასაგებია, რომ პატრიარქის სიტყვას დიდი წონა აქვს და მას ანგარიშს ვუწევთ; ველოდებით, რომ რთულ ვითარებაში პირველი სიტყვა მაინცდამაინც მან უნდა თქვას. თუმცა ნებისმიერ მღვდელმთავარ-საც ხომ შეუძლია, რომ სიმართლე უთხრას თა-ვის სამცხოვროს თავის ეპარქიაში? ნებისმიერ მღვდელს შეუძლია თავის უბანში, თავის ეპარქი თავისი მართალი სიტყვა ამგიონილა გააგონის მრავლს! რატომ ვერ აგებობენ, პიში აქვთ ვინოვას? უფლის გვემინდეს, უფლის, ჩვენი არასწორი საქციელის, ჩვენი ცოდვების გამო!

დიახ, ვისაც სურვილი აქვს, ყველას შეუძლია სიმართლე თქვას, რომ 26 მაისის დამე იყო და-ნაშაული! ამ შემთხვევაში, ვინც უნდა იყოს ხე-ლისუფლებაში, უდეა ამზილო... რადგან უფალი მეფონს ამ ქვეყანაზე და არა ვიღაც ხელისუ-

ფალი! ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ყველას — ერსაც და პერსაც, რომ მხოლოდ უფლის მაუფებაა მარადიული და უნდა ვეცადოთ, უფალთან ვიყოთ მართალი და არა მიწიერ, ნარმავალ ხელისუფლებასთან, რომელიც დღესაა და ხვალ აღარ იძნება!

— იქნებ, ეს უბრალო მღვდელი, თუნდაც დიდი იერარქი, იმ პირველ სიტყვას ელოდება, რადგან ეკლესიისთვის ხომ უპირველესია მორჩილება და კურთხევა? იქნებ, თქვენ, ყველანი, იმას უწევთ ანგარიშს, რომ იმ პირველმა არ ან ვერ თქვა? ამიტომაც, იქნებ, თქვენ, ყველას — ნმინდა სინოდის წევრებს უნდა გეთქვათ? იქნებ, იგი, თქვენი და ჩვენი მამა, თავისი შვილების სიტყვას ელოდა და არა მხოლოდ იგი, არამედ მთელი ერი?

— ჩვენი უწმინდესი ეპოქალური მოვლენა!.. საქართველოს შენირული!.. იცით, მან შეიძლება პირდაპირ და მკაცრი ტონით არ თქვას სათქმელი და მაინც სწორი შეფასება მისცეს მოვლენებს ისე, რომ გამგებმა გაიგოს! მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ პატრიარქის ძალა არის თითოეული ჩვენთაგანი — დაწყებული სინოდის წევრებით, დამთავრებული უბრალო დიაკვნით. ამ შემთხვევაში ჩვენ ვართ მისი ძალა.

გავიხსენებ — ეკუმენური საბჭოდან რომ გამოვდიოდით, მაშინ, როცა მთელს ეკლესიაში მომწიფედა ამის პირობა და ყველამ — მღვდელმთავრებმა და ზოგადად სამღვდელოებამ, ხმამაღლა, ერთად თქვას თავისი სიტყვა, სინოდმა, უწმინდესმაც ერთობლივი, ლოგიკური გადაწყვეტილება მიიღო. ეს იყო უწმინდესის აზრიც და ქართულმა ეკლესიამ დატოვა ეკუმენური საბჭო!

— ანუ დღეს პატრიარქს თითოეული თქვენგანის, ჩვენგანის თანადგომა სჭირდება?

— თითოეულის თანადგომა სჭირდება და სჭირდება ჩვენი ერთიანი აზრი. იცით, ჩვენ ხშირად როგორ ვიქცე-

ვით? ერთ ადამიანს, ყველაზე ხშირად კი პატრიარქს, ავ-კიდებთ ხოლმე მთელს სიმძიმეს ეკლესიისას თუ ერისას. აბა, მიდი და ატარე შენ ერთმა, მარტოდ მარტო ეს ამხე-ლა სიმძიმე... ერთი წამით წარმოიდგინეთ, როგორი სა-ტარებელია, ეს რა მძიმე ჯეარია? მან უნდა გამოიყვა-ნოს ერი ამ ურთულესი მდგომარეობიდან, პოლიტიკუ-რი იქნება ეს თუ სულიერი... და თუ რამე ისე არ მოხდა, როგორც ერი თუ ბერი ელოდა, მერე პატრიარქისკენ ვა-იშვერენ თითს — მხოლოდ მას დაადანაშაულებენ! პრა-ზის უნდა თავისი ნილი ჰასუესისგან გაღორების აღე-ბა საკუთარ თავზე. ჩვენ გავურჩივაროთ ჰასუეს-გაგებლობას, თითოს ვფრთხილობთ და ეს ზღვარგადასული სიცრთხილე მარე უკვე სიმხ-დალები გადადის. აა ადამიანია განა რამდენი ტვირთი ატაროს? რომელი ერთის? ყველა, თავის ეპარქია იქნება თუ რეგიონი, ეპარქი, სოფელი — იქ დადგეს ფეხმარიტების მხარეზე, იქ იქა-დაგოს სიმართლე და მარე უფრო გაადვილდე-ბა ერისთვის მძიმე მღვრმარეობიდან გამოსვ-ლა; მარე, როცა ყველას ერთიანი აზრი გვეპნე-ბა ერისთვის მნიშვნელოვან ზამს, ეპლესია უნ-და იყოს ერთსულოვანი და არა, რომორც დღე-საა — ერთი სხვას ამჟობს, მეორე — სხვას; ერ-თი ერთ მხარესაა, მეორე — მეორე მხარეს... მე-გობრებად, ნათესავებად თუ დაჯგუფებად არ უნდა იყოფოდნენ სასულიერო პირები... ჩვენ, ყველანი ერთ მხარეს — სიმართლის მხარეს უნ-და დავდგეთ!

ანტიკური სიბრძნეა — პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება ჩემი ყველაზე დიდი მეგობარია. არის ფეხმარიტება და არის სიყალბა. შეიძლე-ბა ჩემი საკუთარი ქმა ცდებოდეს — სიყალბის, სიცრუის მხარეს დადგეს, მაგრამ რადგან ქმა, ამიტომ მას ტაში დავუკრა, ფეხმარიტებას

ზურგი ვაქციო და უფალს ვუღალათო? გამო- რიცხულია!!!

უფალთან ყველანი ცალ-ცალკე, მარტონი ვაგებთ პა-
სუხს ჩვენს საქციელზე — სამართლიანზე თუ უსამარ-
თლოზე. ვერავინ, უნმინდესიც კი, ჩვენს მაგივრად ვერ
აგებს პასუხს ჩვენს ცოდვებზე. ეს უნდა გვახსოვდეს
ყველას!..

**— ანუ მაპატიეთ, მაგრამ სინოდს მართლმკვეთე-
ლობა აკლია?**

— მე ვერავის შევაფასებ. მინდა, პასუხი საკუთარ
თავზე ვაგო. მოდით, ჩვენ ყველამ ჩვენი თავი შევაფა-
სოთ და ჩვენს გულებში ჩავიხედოთ — რამდენად ვართ
ჩვენ ჩვენი მოწოდების სიმაღლეზე. რაც მეტი მოგეცა,
მით მეტი მოგეთხოვება და ყველას განგვსჯის თავის
დროზე უფალი და მომავალი თაობა და არავინ და არა-
ფერი ღირს იმად, რომ უფალს ვუღალატოთ! **ახლა
თვალთმაპორბა და თამაში ყველაზე ღიღი და-
ნაშაულია, მე ასე ვიტყოდი!** ერთთან ერთი
თქვა, მეორესთან — მეორე, ერთთანაც კარგი
გინდა იყო, მეორესთანაც, ამ ღროს ყველას ღა-
ლატობა, პირველ რიგში კი — უფალს! თუ ამბობ,
უდღა თქვა სიმართლე ყველასთან, ყველგან!
სიმართლე არ შეიძლება გავრნაირი იყოს! სი-
მართლე ერთია!

შეიძლება პიროვნებას ან ხელისუფლებას აქვს კარ-
გი გაკეთებული, უნდა ვთქვათ და არ დავმალოთ მისი
სიკეთეც, სიძულვილმა არ უნდა დაგვაბრმავოს და ობი-
ექტურობა არ უნდა დაგვაკარგვინოს. იმ სტერეოტი-
პიდან არ უნდა შევხედოთ ყველაფერს, რომ მის მიმართ
ცუდი განწყობა გვაქვს, რახან დააშავა, ის ყველაფერ-
ში ცუდია და ამიტომ კარგი არ უნდა დავინახოთ! **პი-
რიპით, თუ რამ კარგი გააკეთა — ასფალტი და-
აგო, გზები აღადგინა, წყალი თუ გაზი გაიყვა-
ნა სადღაც სოფელში, ახალი, ლამაზი შენობე-**

ბი ააშენა თუ ფაქტი და მონასტერი — ესეც ხეამაღლება ვუთხრათ მრავლს, მაგრამ ისიც უნდა ვუთხრათ, რომ ის, რაც 26 მაისის ლამეს ჩაიდინა — სისხლი დაღვარა, ხალხი განირა, ეს ცოდვაა, პოროფებაა, დანაშაულია და ამაზე დაღუმება უფლის დალატია!

— მეუფე ეფერემ, როდესაც ხელისუფლება და მისი მხარდამჭერები ხშირად შეგვახსენებენ, რომ ამ მთავრობამ ბევრი გააკეთა, გზები დააგო, ქალაქები გაალამზა, სკვერები, სათამაშო მოედნები ააშენა (თუმცა ამ გალამაზებულ ქალაქებში, იმ სკვერებსა და მოედნებზე მშეირი და ლირსებააყრილი ხალხი რა „სიხარულით“ ივლის, ეს მეორე, ყველაზე მტკიცნეული საკითხია) და თითქოს ამით ცდილობენ, „გადაფარონ“ ის უზნეო საქციელი, რასაც ყოველდღიურად ვაწყდებით. მე მახსენდება საქართველოს ისტორიის ის პერიოდი, როცა გამაპმადიანებული როსტომ ხანი მართავდა ქვეყანას — ცალი ხელით ეკლესიებს აშენებდა, მეორე ხელით კი — ჰარამხანებს, ქვეყანა გარედან „ლამაზდებოდა“, შიგნიდან კი მოყვარეს უბრმავებდა თვალს, რადგან უზნეობის მორევში ეფლობოდა.

— მე კიდევ უფრო ადრინდელ დროს გავიხსენებ — დავით აღმაშენებლის დროს, როცა საქართველო უძლიერესი სახელმწიფო იყო! და ეს ყველაზ ვიცით, რატომაც — დავითი თავად იყო ზეობისა და სულიერების მაგალითი, წელი-წაფში 24-ჯერ სამოციულოს კითხულობდა, ყველაზე მნიშვნელოვან საერთებს გიორგი ჭყონელიდელს უთანხმებდა. საერო და სასულიერო ხელისუფლება ერთად ცვეტდა ევეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებს. მაფე თავად იყო ზეობის, რჩეანის, ქართველობის მაგალითი! დავითს ძალიან რთული საქართველო ერგო მემკვიდრეობად. ქუთაისში იმიტომ ივადა, რომ

თბილისში ჯერ კიდევ მუსლიმანები პატონობ-დნენ, და იმდენი იპროტოლა, გაათავისუფლა 4-სა-უკუნოვანი ტყვეობიდან საქართველოს დედა-ქალაქი და ისევ თბილისში გადმოიტანა სამე-ცო ჭახტი! ეს არავის დაგვავიცყდეს!

თამარი, რომელიც ფეხშიშველი მიუძღვდა ბრძოლაში მიმავალ ლაშქარს, რომელიც დღე-დაღამ ლოცულობდა, მთლიანად ევეყნის ტკი-ვილითა და ცრელშით ცხოვრობდა! სწორებ თა-მარია შეამნა დარჩაზი, სადაც თავისუფალი აზრის გამოთხა ყველას შეეძლო. დავითისა და თამარის ძროს რომ იყო აღმავენებლობა, ისეთი უნდა, მაგრამ ისინი მხოლოდ მატერია-ლურ აღმავენებლობას არ ეცეოდნენ; ისინი უზ-ნეოდ არც თვითონ ცხოვრობდნენ და, მათიც ყა-ლობითა და ღვაწლით, — არც ევეყანა! სამშობ-ლოს შესირეა თავიანთი პირაჭი ცხოვრებაც. რად გვინდა აღმავენებლობა, თუ სული წაგვიხ-დება, შეირყვნება?.. ისინი ჯერ ზნეობრივად, სული-ერად თვითონ ძლიერდებოდნენ და ქვეყანასაც აძლი-ერებდნენ, რადგან იცოდნენ, რომ ზნეობრივი საფუძ-ველის გარეშე სახელწიფო ქვიშაზე აგებულ სასახლეს ჰგავს! ამიტომაც იყო მათი დროის საქართველო ზესა-ხელმწიფო!

დღეს კი სახელმიწო შეიძლება „აშენდეს“, მაგრამ რაგდენად იქნება იგი ძალული, ან იქ-ნება კი საერთოდ, საკითხავია.

როგორი საქართველო გვინდა — მატერიალუ-რად „აყვავებული, გაპრეცინებული“, მაგრამ ამავე ძროს სულიერად დეგრადირებული, სუ-ლიერად დაცემული და გაზრდილი, გადაგვარე-ბული?

ამის გარჩევის უნარს ადამიანს აძლევს რწმენა და, როცა რწმენა არ გაქვს, ეკლესიაში არ დადიხარ ან და-

დიხარ „მოსაჩვენებლად“ და განიკითხავ ეკლესიას, განიკითხავ პატრიარქს, არ გინდა არაფერი ღვთიური და ასე ებმები „ცივილიზაციის ფერხულში“, მაშინ შენი დევიზია „ჩემი სამშობლო იქ არის, სადაც კომფორტი მექნება და ჩემი ღმერთი ჩემი საჭმელი და მუცელია“. ამ „გლობალიზაციას ფეხსაყოლილებს გვავიწყდება, რომ ქართველობა სულ სხვა ფენომენია, ქართველობა მხოლოდ ეროვნება არ არის, ეს ცხოვრების წესია, ეს ჯილდოა, ღვთისაგან ბოძებული და ამ ღვთისგან ნაბოძებ საჩუქარს თუ ვერ გავუფრთხილდებით, ამისთვის პასუხს ვაგებთ უფლის წინაშე!.. ცოცხალი რწმენა დავკარგეთ,...ვკარგავთ ქართველობას...“

დაგვიდგა სულსა და ხორცს შორის არჩევანის გაკეთების დრო და ეს არჩევანი დღესვე გვაქვს გასაკეთებელი: როგორი საქართველო გვინდა — დავით ალმაშენებლისა და თამარის თუ როსტომ-ხანისა?

«იქ, სადაც გართლებადიდებლობას აჩღვევენ, იჩღვევა ქართული სახელმწიფოს ჩირბა»

— მეუფე ეფრემ, ჩვენი საზოგადოების „ზე-ლიბერალური“, კოსმოპოლიტურად მოაზროვნე ნაწილი იტყვის — რაღა დროს ქართველობაზე, ეროვნებაზე, მართლმადიდებლობაზე საუბარია? ამერიკა ჩვენი პარტნიორია, მეგობარია, რუსეთი კი — ჩვენი მტერი...

ეართველობა სხვა ფენომენია, რომ უთხრა, ძალიან ხმაგაღლა, ძილიკით გაფყვიან — „არა-ფერი სხვა ფენომენი არ არის, ჩვენ არაფრით განვსხვავდებით სხვა ერებისგან და გვინდა „კარგი, მოწესრიგებული ცხოვრება განათებულ ქვეყანაში“. მერე რა მოხდა, რომ სხვა ორი-ენტაციის ადამიანები არსებობენ და მათ აღ-ლუმის ჩატარება უნდათ? მერე რა, თუ „კოცნის კონკურსი“ (ი.ტ. „KISS PARTY“) ტარდება, ჩვენ ხომ ევროპის ნაცილი ვართო?.. („პურების საენა“ ცნობილი მოწოდება არ დამავიწყდეს).

— ყველაფერში ჩვენ უნდა „ვაჯობოთ“, მეტიც, გადავამეტოთ სხვებს? კიდეც არიან გაოცებულები და-სავლეთში — ბევრ რამეზე ამბობენ, ასეთი რამ ჩვენც არ მოგვდის აზრადო. ეს ყველაფერი გეგმაზომიერად, შეგნებულად ხდება —

რაც უფრო ზნედაცემულია ადამიანი, მით უფრო ადვილი სამართავი ხდება იგი და ემსგავსება ბრძოს — უმნეუმსო ცხვრის ფარას, ის მერე ყველაფერზე ნამს-ვლელია. მას ზნეობა, სინდისი ალარ აკავებს, რადგან

სულიერი საყრდენი აღარ აქვს, მორალურად წაქცეულ „მასას“ (ძალიან ცუდი სიტყვაა) ყველაფერს გააკეთებინებ! ზნეობრივი, მართალი, შინაგანად მოწესრიგებული, ღმრთის მოშიში ადამიანი ასე ადვილად სამართავი არაა!

უფლის რწმენა და სიყვარული მთავარია, რადგან რწმენისგან მოდის ზნეობრიობა, სულიერი სიმყარე, სიძლიერე... რწმენით აღჭურვილი ადამიანი უკვე სულიერად ცოცხალი, გონიერი, მოაზროვნე არსებაა, გამრჩევი კეთილისა და ბოროტისა, თეთრისა და შავისა... სწორედ ასეთი, ცოცხალი ადამიანები არ უნდათ, იმიტომ, რომ ასეთი ერის მართვა არაა ადვილი. საკმარისია, გავიხსენოთ ცნობილი ამერიკელის (ბზიგნევ ბზეზინსკას გულისხმობს. — შ.ს.) სიტყვები: „მსოფლიოში ცესრიგის დამყარებისა და მსოფლიოს განვითარების შემაფერხებელი მართლებადიდებლობაა და ამასაც უნდა მივხედოთ“. ასე ძალუმად ამიტომაც ცდილობენ მართლმადიდებლობის მოშლას. იქ, სადაც მორალი იშლება, ზნეობა, ჭეშმარიტი რწმენა აღარაა, იქ ქართული სახელმწიფო იშლება. იქ, სადაც მართლმადიდებლობას არღვევენ, ირღვევა ქართული სახელმწიფოებრიობა... მართლმადიდებლობა და ქართველობა ერთია! გავიხსენებ იოანე საბანისძის სიტყვებს: „ისმაიტელყოფილი და ან ქართველიო“, აბოტფილელზე წერს, მას შემდეგ, რაც არაპი აბო ქრისტეს სჯულზე მოექცა, ავტორი მას უკვე ქართველად მოიხსენიებს.

მართლებადიდებლობის უარყოფით ჩვენ მოვიმდით იმ საყრდენს, რომელზეც, საუკუნეებია, ვდგავართ და დამყარებულია ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობა; ახლა კი ცდილობენ, დანერგონ და განავითარონ აზრი, რომ არაა აუცილებელი, იყო მართლებადიდებელი, იყავის სხვა სარმაზუნოების, სხვა სექტის მიმდევარი?

მერე რა მოხდა? მაინც იქნები კარგი ქართველი, არავისზე ნაკლები!“. თიშავენ მართლმადიდებლობას ეროვნებისგან, ქართველობისგან, რადგან იციან, რომ, როცა სული და სხეული ერთია ადამიანში, ესაა სიცოცხლე. სიკვდილი სულისა და ხორცის გაყრაა, რაც ბიოლოგიურ სიკვდილზე ადრე შეიძლება დაუდგეს ადამიანს. ეს მაშინ ხდება, როცა ადამიანი სულიერად გადაგვარდება, სულიერად კვდება. გამოაცალე ერს ეკლესია, სარწმუნოება, ზნეობა, რა დარჩება? — მივიღებთ მართლა მასას, რომელიც გაითქვიფება ყველაფერში და, რასაც ჩააგონებ, იმას გაითავისებს, ნინაალმდეგობას ვეღარ გაგინევს. მთელი მსოფლიოს მასშტაბითაც იგივე ხდება, რადგან ერთადერთი მადლი ჭეშმარიტი ცხონებისა და სულიერი გადარჩენისა მართლმადიდებელ სარწმუნოებაშია. ამიტომ ყველა მართლმადიდებელ ქვეყანაზე ხორციელდება დარტყმები, რადგან ეკლესია — ქრისტეს მისტიკური სხეული, ჭეშმარიტად მართლმადიდებელი ადამიანების, ერების გაერთიანებაა (ეკლესია ხომ კრებულს ნიშნავს). მხოლოდ ჭეშმარიტი სარწმუნოება — მართლმადიდებლობა, ეკლესია — ქრისტეს ეს მისტიკური სხეული, თავისი არსით ენინაალმდეგება დამყარებულ „მსოფლიო წესრიგს“ — მასონურ გეგმას „მსოფლიოს დიდი გაერთიანებისა“.

გეგმა ნათელია — მოშალონ, დაანაცევრონ ჯეპმარიტი სარწმუნოება, მთლიანად შეცვალონ ადამიანთა ცხობიერება, ფსიქოლოგია! ამის მისაღვევად კი დღეს უამრავი გზა არსებობს — მასხელის საშუალებები მთლიანად, ინტერნეტი. რას უყურებს ხალხი ტელეეკრანებიდან? მდარე ხარისხის სერიალებს, უხამს გადაცემებს ან გადაცემებს, რომლებიც გვაჩვენება, რომ „ევეყანაში ყველაფერი კარგადაა“, „ცხოვრება მშვენიერა“... ათასგვარი გზებით

ხორციელდება უზნეობის პროგრამანდა!.. ზეო- პაგამოცლილი, მასადაცეული აღამიანების მართვა ხომ ადვილია!

სულიერი ადამიანი ადვილად გაარჩევს ნათელს ბე-
ლისგან, ქრისტეს — ანტიქრისტესგან, მტერს — მოყ-
ვრისგან. ამიტომაც უნდათ, რომ მოსპონ ადამიანში სუ-
ლიერება, ამას კი ვერ მიაღწევენ ადამიანში რწმენის
გაქრობის, ეკლესიის დარღვევის გარეშე. სამწუხაროდ,
ამ საფრთხეს ადამიანთა უმრავლესობა ვერ აცნობიე-
რებს, თითქოს გონების თვალი აქვთ დაბრმავებული და
მხოლოდ ზედაპირულად უყურებენ ყველაფერს — თა-
ნამედროვე შენობა აშენდა, ქალაქები გალამაზდა — ამ
ყველაფერს გარეგნული ეფექტი აქვს. და ასე, ამ „ეფექ-
ტებით“, ხიბლით, ვირტუალურ სამყაროში ვცხოვ-
რობთ, ეს გარეგანი „ეფექტები“ თვალს ახარებს, გო-
ნებას ადუნებს, აბნელებს, სული კი ამ დროს კვდება!
ამიტომ ყველა უნდა მივიდეს ეკლესიაში, რომ სულიე-
რი თვალი აეხილოს.

— მივიდნენ ეკლესიაში. მაგრამ ვალიაროთ: განა ეკ-
ლესია — სასულიერო იერარქია ამ საკითხებთან მი-
მართებაში ერთიანია? ან, ვინც ეკლესიაში დადის,
ყველა მრევლია? ნანილი ხომ, უბრალოდ, „მასაა“, რო-
მელიც, სამწუხაროდ, დღემდე ვერ გარკვეულა ჭეშ-
მარიტებაში, რადგან პირდაპირ ვიტყვი — ძალიან ბევ-
რმა სასულიერო პირმა თავისი შეუფერებელი საქცი-
ელით დააბრკოლა, ვინც, როგორც მეუფე იობმა ბრძა-
ნა, „თქვენ, სასულიერო პირებმა სწორად ვერ აღზარ-
დეთ და ვერ მიეცით სულიერების სათანადო მაგალი-
თი“... ხომ არ მიიჩნევთ, რომ ერის გამოკეთება, „გა-
მოჯანმრთელება“ ეკლესიის გაჯანსაღებით, სასული-
ერო პირების მოწოდების სიმაღლეზე დადგომით უნ-
და დაინყოს?.. მორწმუნე მრევლი ხშირად ამბობს,
რომ დავითისდროინდელი რუის-ურბნისის საეკლე-
სიო კრება ნამდვილად სჭირდება ერსაც და ბერსაცო...

— რა თქმა უნდა, ერის გამოჯანმრთელება ეკლესი-ის გაჯანსაღებით უნდა დაიწყოს! უფრო მეტსაც გეტყვით — ალბათ, დღეს საზოგადოებისთვის, ერის-თვის ყველა საფრთხეთა შორის ყველაზე დიდი საფრ-თხე უღირსი სასულიერი პირია. დავანებოთ თავი შე-მოტევებს ეკრანებიდან და სხვა, კიდევ ბევრ, ერისთ-ვის სახიფათო რამეს. ხმამაღლა ვიტყვი: **ჩვენი სა-ზოგადოებისთვის ყველაზე მეტად დამაბრკო-ლებელი, დამანგრევებელი უღირსი სასულიერო პირია!** ჩვენ შეიძლება ვთქვათ, რომ სასული-ერო პირიც ადამიანია და, რა თქმა უნდა, მას აძვს ადამიანური ნაკლი და სისუსტეები, მაგ-რამ ნაკლიც არის და ნაკლიც! საზოგადოების ყველა წევრს ვერ მოსთხოვ, რომ ამ ნაკლსა თუ სისუსტეს გაგებით გახდოს, გადააგიჯოს მას და ჩათვალოს მღვდლის პიროვნულ ცოდვად. ვინც ქლიერია რწმენაში, მას ვერავინ და ვე-რაფერი დააბრკოლებს! მაგრამ განა რამდე-ნია ასეთი ქლიერი ადამიანი? მრევლის უმა-ტესობა ტაძარში ახალმოსულია, ეკლესიაში თავისი სულის სამყურნალოდ მოვიდა, მაგრამ სულიერად ვერ გავანსაღდება, თუ თავისი ნაკლოვანებები სწორად ვერ დაინახა. მას თა-ვისი ნაკლი კი ჩვენ, სასულიერო პირებმა, უნ-და დავანახოთ. ჩვენ ხომ სარკე ვართ? თუ ეს სარკე დასვრილია, ეს ადამიანი თავის მახიჯ-სახეს დაინახავს მასში? უზურებს მღვდელს, რომელიც ერისტეს სახეს უნდა განასახიერებ-დეს და, თუ სასულიერო პირი უღირსია, „მახიჯ-შია“, ისიც დაფიქრდება და იტყვის — ესაა რწმენა, ერისტეს ეკლესია? ესაა მართლმადი-დეპლობა? შეიძლება ეს ადამიანი საერთოდ ურნებულობამ მოიცვას, სასოწარკვეთილება-ში ჩავარდეს და შეიძლება სამუდამოდ დაიღუ-

პოს. სამცხეაროდ, ჩვენში, სასულიერო პირებში, პირადად ჩვებით დაცყებული, გევრი რამა მოსაბ-ვარებელი, მეტ-ნაკ-ლებად. ყველამ თა-ვის თავზე აგოს პა-სუხი.

დავით აღმაშენებელი და მის მიერ მოწვეული რუის-ურბნისის საეკლესიო კრება ახსენეთ. დიახ, დავითმა, რომლის საქართველოსაც ასე მივსტირით, ერის გამთლიანება, გაჯანსაღება ეკლესიის გაჯანსაღებით დაიწყო, რადგან კარგად ესმოდა, რომ ძლიერი სახელმწიფო ვერ შეიქმნებოდა ძლიერი ეკლესიის გარეშე. ეკლესია, სულიერი საყრდენი ქვეყნისა — ეს არის სასულიერო პირთა იერარქია და ყველა მათგანი მოწოდების სიმაღლეზე უნდა იდგეს საქმით და არა მხოლოდ სიტყვით!

დიახ, დავითს ეს კი ესმოდა, მაგრამ დღეს არ ესმით ადამიანთა იმ კატეგორიას, ვისაც ეს ყველაზე უკეთ უნდა ესმოდეს — რომ, თუ გინდა, შენი სახელმწიფო მმართველობის სისტემა ძლიერი იყოს, ქვეყანა, ერი გაერთიანდეს, ეკლესია კი არ უნდა დაარღვიო, არამედ უნდა გააძლიერო! სამწუხაროდ, დღეს ეკლესიის სახით მეტოქეს ხედავენ და არა მოკეთეს! ეკლესი-ის, ყველაზე მეტად კი პატრიარქის მაღალი რეიტინგი აღიზიანებთ — რაომანა, რომ საზოგადოების უდიდესი ნაწილი ეკლესიას, პატ-



რიარქს ედღობა და არა მეო! რატომ აქვს მის სიტყვას უფრო დიდი ცონა ხალხში და ჩემსას არამ! ამიტომაც გამოუცხადეს პრძოლა პატ-რიარქს — იმ სამარცხევინო გადაცემებს ვგუ-ლისხმობ, პატრიარქის ნინააღმდეგ აგორე-ბულ პინძურ კამპანიას. გაგიჟდენის: „რას ქვია, პატრიარქის სიტყვა გაითვალისწინეს, ანგა-რიში გაუნიესო!“.

არავინ იფიქროს, რომ თეოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ვგულისხმობ!.. მაგრამ ერსაც და ბერ-საც უნდა უხაროდეს, როცა ერს ჰყავს ადამიანი, რომე-ლსაც უსმენს, ვისი სიტყვაც მისთვის წონადია და ზუს-ტად იცის, რომ ქვეყნისთვის ყოველთვის სასიკეთო რჩევას მისცემს! კიდევ ერთხელ ვიტყვი — **პატრიარ-ქი მართლაც ეპოქალური მოვლენაა და ბევრი ერი ისურვებდა, ჰყოლოდა მისნაირი გონიერი, ბრძენი სულიერი ნინამძღოლი, ძალიან ბევრი გონიერი ხელისუფალი გამოიყენებდა მის პი-როვნებას, გამოცდილებას, სიპრძეს ქვეყნის ნინსვლისთვის, აღორძინებისთვის, ერის გა-ერთიანებისთვის, სახელმწიფოს ფეხზე დად-გომისთვის!**

— ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მიიჩნევთ თუ არა, რომ, სანამ ჯერ კიდევ ურყევად დგას ეკლესია და მისი ავტორიტეტი საფუძვლიანად არ შერყეულა, თავისი ძალა, კარგი გაგებით, უნდა „გამოიყენოს“ ერის კონსოლიდაციისთვის, სულიერი გაჯანსაღების-თვის და ჩვენ ირგვლივ მიმდინარე პროცესების ეროვ-ნულ რელსებზე გადაყვანისთვის? არ ფიქრობთ, რომ ამის დრო უკვე მოვიდა?

— რა თქმა უნდა! უკვე დროა. „ან დადგა უამი“ და ერის გაჯანსაღების პროცესი უნდა დაიწყოს ერის გუ-ლიდან — ეკლესიიდან და შემდეგ ეს ჯანსაღი სისხლი უნდა გადაესხას მთელს ერს. ნაკლის დაფარვა თავის

მოტყუებაა, დანაშაულია! იმის ფიქრი, რომ „კარგად ვარ და შეგნით რა ხდება, არაა საგანგაშო, გარედან მაინც არაფერი მეტყობა,“ — ეს დღეს უფლის წინაშე ყველაზე დიდი დანაშაულია! მოდი, შენს თავს შეხედე პირდაპირ, თავის მოტყუებისა და ილუზიის გარეშე, და აღიარე, ვინ ხარ, ღმერთმა სად დაგაყენა, რა მისია გაკისრია ღვთისა და ერის წინაშე. ბოლოსდაბოლოს ასე აღარ შეიძლება! შენს თავს მაინც უთხარი სიმართლე!

როდემდე უნდა ვიყოთ სირაქლემის მდგომარეობაში — რომ „გარედან ყველაფერი ლამაზია; ამდენი ტაძრები და მონასტრები იხსნება, ხალხი ტაძარში დადისო“. მხოლოდ ამით რატომ ვკმაყოფილდებით? თვითკმაყოფილება მომაკვდინებელი შეიძლება იყოს ამ დროს. მეტი მოვთხოვოთ საკუთარ თავს: „**იყავი მკაფიოდა დაუნდობელი საკუთარი თავის და გაცილებით მემყნარებელი სხვათა მიმართო**“. ყველამ საკუთარი თავიდან უნდა დავიწყოთ და, სანამ ტალახს სხვას ვესვრით, ყველა სასულიერო პირმა საკუთარ სულში უნდა ჩავიხედოთ. **ეკლესიის პროპლემა ეკლესიის შიგნით უძღავობვარდეს, ვიდრე ეკლესია** — ძრისტია ეს მისტიკური სხეული, ჩვენი არასწორი საეცილის, ჩვენი ცოდვების გამო არ გაიხრენება, დალაპა. ნაკლა თუ შეცდომებს, სასულიერო პირებისას, უძღავაგვარებდეთ ეკლესიის, ეპარქიის შიგნით, სანამ ეს ნაკლი თუ უღირსი საეცილი ხალხში, მრევლში გავრცელდება და ეკლესიის ავტორიტეტს მოღიანად შეარყევს!..

სანამ სხეულის დაავადებული ნაწილი დაგინელულდება, გაიხრენება და მოსაკვეთი გაგიხდება, მასზე გაჩენილ იარას მანამდე უნდა ვუშველოთ. ჩვენს შემთხვევაში კი პირიქით ხდება — როდესაც ხალხი აყვირდება და „**შირი თავს ვეღარ დამალავს**“, მხოლოდ

მერე ვამბობთ ხმამაღლა, მერე ვაღიარებთ, რომ ვიღაც სასულიერო პირი ცუდად, არასწორად მოიქცა, უღირსი საქციელი ჩაიდინა. სანამ უღირსი სასულიერო პირი, სულ მცირე, ორი ათას კაცს მაინც არ დააბრკოლებს, მანამდე ვართ ასე — „**ვერ ვხედავ, არ მესმის, ყველაფერი კარგადაა**“-ს მდგომარეობაში... გამოსავალი კი ისაა, ალკვეთო დაავადება, სანამ იგი მთელ სხეულს არ მოედება!

«გავაცი საქართველოს ისე უყარებან, როგორც პირად საქართველოს, რომელიც შეუძლიათ ისე განკარგონ, როგორც თავად უდიათ»

— მეუფე ეფრემ, სომხეთის პატრიარქის ვიზიტის თაობაზე მინდა გკითხოთ. თავდაპირველად გამოცხადდა, რომ რა სტატუსიც ექნება ქართულ ეკლესიას სომხეთში, ის სტატუსი ექნება სომხურ ეკლესიას საქართველოში. უნმინდესმა მაშინ საკმაოდ მკაფიოდ და დამაჯერებლად, არაორაზროვნად განაცხადა, რომ საქართველოს ინტერესები არ შეილახებაო. რამდენად შესაძლებელია ეს განხორციელდეს დღევანდელ ვითარებაში?

— ვფიქრობ, ეს პირობები სომხური მხარისთვის იყო მიუღებელი, რამეთუ მათ ბუნებაში არ ზის, ვინმეს რამე დაუთმონ ან ვინმესთან თანაბარ პირობებში იყვნენ. მათი დევიზი ყოველთვის იყო და ახლაც არის — მხოლოდ მე, ჩემი! ამიტომაც ისინი ყოველთვის ცალმხრივ პირობებს აყენებენ — ჩამოვიდნენ ამაყად, თავანეულნი, დარწმუნებულნი იმაში, რომ, ჩვენ რასაც ვიტყვით, ისე განხორციელდება ყველაფერიო. რატომ იყვნენ ასე დარწმუნებულნი? ისევ ჩვენი ზედმეტად სტუმართმოყვარე, დამთმობი ბუნების გამო. მათ პირდაპირ, დაუფარავად თქვეს, რაც უნდოდათ: ხუთასი თუ ექვსასი ეკლესია არის ჩვენი და ამას წყალი არ გაუვაო! რახან ჩვენ ვთქვით, ასეაო! ჩვენ არაფერს გვეკითხებოდნენ, უნდოდათ, სომხეთის ეკლესიის საქართველოს ეპარქია დაეფუძნებინათ იურიდიული სტატუსით და ჯავახეთ-

ში ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის სიმრავლე მოჰყავდათ...არგუმენტად და არა მხოლოდ ჯავახეთში. თითქოს ჩვენ ვალი გვექონდეს სომხების! ისტორიულად — არც შორეულ და არც ახლო ისტორიის მანძილზე, არ ახალია, ძველია მათი ჩვენდამი ასეთი დამოკიდებულება! მათ შესაბამისი პასუხი პატრიარქისაგან კი გაეცათ: **ეს არის საქართველო და ესროველი ერია მისი პატრიონი და სხვას როგორც სურს, ისე ვერ იქნება!** ბუნებრივია, სომხები ცხოვრობენ ჩვენს მიწაზე და მათ არავინ უკრძალავს აქ ცხოვრებას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ყველაფერზე თამსვლელები ვართ. ჩვენ გვაქვს გამოცდილება აფხაზეთის, სამაჩაბლო-სი — ეს საკმარისზე მეტი ტკივილია, ამას რომ ჯავახეთიც არ დაემატოს.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ქართული მიწა, სადაც ახლა ჩვენ ვცხოვრობთ, ღვთივეურთხეული მიწაა, სადაც უფლის კვართია დამარხული. ეს დედა ღვთისმშობლის წილხვედრი მიწაა, უამრავი მადლით დაჯილდოებული, და ამ მიწას რომ ნებისმიერი თაობა, როგორც ღვთაებრივ საუნჯეს, ისე არ მოუფრთხილდება, არ მოუვლის და უდიერად გაფლანგავს, არ დააფასებს, პასუხს აგებს უფლის წინაშე. როგორც ილია მართალი ბრძანებს, სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა — მამული, ენა, სარწმუნოება — თუ მათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებითო? კაცობის და ლირსების საკითხი დგება. უნდა გაიაზროს თითოეულმა ქართველმა, რომ ეს მიწა მარტო მისი მამა-პაპის კუთვნილი, ნივთიერი საკუთრება კი არა, ღვთაებრივი საუნჯეა. შენ იცავ ღვთაებრივს და, თუ მას არ მოუვლი, ღვთის წინაშე, დედა ღვთისმშობლის წინაშე ხარ დამნაშავე. სანამ ამის ეროვნული გააზრება არ მოხდება, სანამ ადამიანები მიწას პირად საკუთრებად მიიჩნევენ და ფიქრობენ, რომ ვისზეც უნდათ, იმაზე გაყიდიან, მანამდე არაფერი გამოვა. სამ-



„ისტორიული ტექნიკურიად“[©]

წუხაროდ, დღეს მავანნი საქართველოს ისე უყურებენ, როგორც პირად საკუთრებას, რომელიც შეუძლიათ ისე განკარგონ, როგორც თავად უნდათ!

ერი უნდა იდგას თავისი მოწოდების სიმაღლეზე, ერიც და ჩერიც, სახელმწიფოც და ეკლესიაც. ეს ცალმხრივად არ გამოვა. რაც არ არის დასათხოები, უნდა ითქვას მყაცრად და მორჩა! უნდა ითქვას მყაცრად — ეს არის საქართველო, ქართული ტრადიცია, ქართული კულტურა, ქართული ცხოვრების წესი. იზიარებ ამას? იცხოვოს, პატონო, არავინ გიშლის, არავინ გაზლებს. არ მოგმონს? მაშინ გამოსავალი თავად უნდა ნახო. არავის ვუშლით საკუთარ ენაზე საუბარს, არც ლოცვას, არც რწმენას, არც სწავ-

ლა-განათლებას. სხვა რომელ ქვეყანაში აქვთ ასეთი უფლებები? მაგრამ, მათთვის გარკვეული უფლებების მინიჭებით, საკუთარს ნუ შევიღავთ.

— რა გამოდის, მეუფე, იქ აზერბაიჯანელების ინტერესები არ ილახება, აქ — სომხებისა. არავის გვინდა, ვაწყენინოთ, მაგრამ ხომ აშკარაა, რომ საკუთარ ქვეყანაში დაჩაგრულები და ინტერესშელახულები ისევ ჩვენ გამოვდივართ.

— ჩვენ ყველანი — ერიც და ბერიც პროქართულები უნდა ვიყოთ! ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა ეროვნების წარმომადგენელი დაჩაგრო, მაგრამ არა შენი საკუთარი ქართველის დაჩაგვრის ხარჯზე. მიწის გაყიდვა ისე, რომ მერე იქ ქართველს პერსპექტივაში აღარანაირი უფლება აღარ ჰქონდეს, არ შეიძლება. ასე არც ერთ ქვეყანაში არ ხდება. მიწა შეიძლება დროებით სარგებლობაში გადაეცეს ისე, რომ მასზე კონტროლის უფლება ისევ სახელმწიფომ დაიტოვოს. ამაზეა აქ საუბარი.

ამ ქვეყნის, ამ მიწის პატონ-პატრონი არის ქართველი ერი, მოსწონე ეს ვინგას თუ არ მოსწონეს, და სხვა დანარჩენი, მის იღგვლივ შემოკრებილი. ცენტრში სწორედ უნდა იღგას საძართველო, ქართველი ხალხი და ქართული ინტერესის შესახებ და ადგილობრივი უფლებების უზრუნველყოფის უზრუნველყოფა. მე მგონი, ეს დემოკრატიას ხელს არ უშლის და ყველა ერი ასე იქცევა, დაწყებული ამერიკიდან, დამთავრებული იაპონიით. აბა, ნებისმიერ ქვეყანაში ჩადი და ადგილობრივს უთხარი, რომ გაიწიე, მე უნდა ვიყო აქ მმართველი და ბატონიო. აბსურდულ ვითარებაში ვართ და ეს მაკვირვებს სწორედ — ჩვენთან არის მაინცდამაინც უნიკალური დემოკრატია? რაღაც ახალი ჯიშის „დემოკრატები“ ხომ არ ვართ, ყველასგან განსხვავებული?

— ადამიანის ცნობიერების ჩამოყალიბება სკოლიდან იწყება. თქვენ ბრძანდებოდით ქარელის გიორგი

მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის ერთ-ერთი და-
მაარსებელი და მისი პირველი რექტორი, რომელიც
საქართველოში დღეს ერთ-ერთი გამორჩეულია. ბოლ-
ნისშიც გაქვთ ითანე ბოლნელის სახელობის სასული-
ერო გიმნაზია... საჯარო სკოლებში სალოცავი კუთხის
არსებობა ძალიან აღიზიანებდა მავანს, მაგრამ სამა-
გიეროდ დღეს მათი ადგილი ე. ნ. ნატოს კუთხემ დაი-
კავა — თითქოს, უფალი კი არა, „ნატოა“ ჩვენი ერთა-
დერთი მხსნელი. ამ ყველაფერზე ეკლესიას თავისი
პოზიცია არ უნდა დაეფიქსირებინა?

— გეთანხმებით. ბევრი რამ უნდა ითქვას ხმამაღლა,
მაგრამ რატომდაც ყოველთვის არ აღწევს ჩვენი ხმა
ხალხამდე. რაც შეეხება სკოლებს, ამ საზოგადოების
გარდაქმნა რომ უნდათ, სწორედ ამიტომაც დაიწყეს
მოზარდი თაობის, ბავშვების ცნობიერების შეცვლა.
ბავშვობიდან დაიწყეს „ახალი ადამიანის“ — ევროპუ-
ლი, თუ „ნატოს“ სტანდარტების, თუ დასავლური ღი-
რებულებების შესაბამისი ადამიანის ჩამოყალიბება და
სკოლა ერთი ხელის მოსმით გადაიქცა ამ ახალი „ტი-
პის“ ადამიანის „ჩამოსასხმელ დანადგარად“. ჩვენ
თურმე არც ისტორია გვქონია, არც ტრადიციები, ახ-
ლიდან, ახალ ადამიანებად დავიბადეთ თითქოს. ერთ-
ბაშად მოჭერი ხე და ჩაარჭე ჯოხი მიწაში — უფესვო
ჯოხი ნაყოფს გამოიღებს?

ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავვარდით —
უარვყავით რუსული და სამაგიეროდ უცებ ყველანი ინ-
გლისურენოვანნი გავხდით. ფილმების ყურებასაც კი
ინგლისური სუბტიტრებით აიძულებენ ხალხს. უკვე ეს
სასაცილო კი არა, სატირალია. საიდან მოდის ასეთი
იდეები, მე არ ვიცი. გადავხედოთ სხვა ქვეყნებს — ინ-
გლისელისთვის ჯერ ინგლისურია პრიორიტეტი და მე-
რე სწავლობს სხვა ენას. ასეა ნებისმიერ ქვეყანაში და
ეს ხალხი ამაყობს ამით. ჩვენ ვაუკაცური ბუნების ერი-
დან ყველასთვის გუნდრუკისმკმეველ ერად გადავიქე-

ცით. ყველას ვეფერებით, ყველას ანგარიშს ვუწევთ და ამასოპაში საკუთარ თავს ვკარგავთ. ეს არასოდეს იდო ქართველის ხასიათში — ჩვენ გვიპრძოლია ათჯერ და ასჯერ მეტი მტრის წინააღმდეგ და იქ ქართველ კაცს ყველაზე უთანასწორო ბრძოლაშიც კი არ „აულოკავს მტრის ფეხი“.

ახლა კი უსისხლო ომი მიღის — ამას ასე და-ვარებევდი! რუსეთის სახით თითქოს ხელული მთერი გვყავს, რომელიც ჟერიტორიებს გვარ-თხავს, მაგრამ ეს ნაკლები საფრთხეა იმასთან შეღარებით, რაც ამ უსისხლო ომის შეღებად შეიძლება მივიღოთ! ერის სულიერი ოპუპაცია მიღის. ეს კი საშინელ შეღებს გამოიღებს, რად-გან ადამიანთა სულებს ვკარგავთ, ადამიანის სული კი ჟერიტორიაზე უფრო მეტია! გადაგვა-რებული, სულდაპარგული ეპოდები კი მკვდა-რი ეპოდებია. სულამოგლეჯილი თაორა რო-მელი აფხაზეთის და სამაჩაბლოს დამპრუნებე-ლია!?

თუმცა მხოლოდ ქართული სახელი და გვარი არ არის ქართველობა, მაგრამ მალე შეიძლება ესეც სანატრე-ლი გაგვიხდეს — ახალ, ბიომეტრიულ პასპორტებში სა-ხელს და გვარს შეამოკლებენ, ამბობენ, და გავხდე-ბით ვიღაც „მისტერ X“ ან „Ny“ ადამიანი. რახან ადამი-ანს ცოცხალ სულად არ განიხილავენ, მათთვის იგი მხოლოდ რაღაც ბიოლოგიური არსებაა და არა ღმერ-თის მიერ თავის ხატად და მსგავსად შექმნილი. ბიო-ლოგიური არსებები კი მხოლოდ ინსტინქტების დონე-ზე მოქმედებენ — ჭამენ, სვამენ, სძინავთ, კვდებიან.

— ახლახან ერთი პატიმრის წერილი წავიკითხე, რო-მელიც ამბობს, რომ საკანში საეკლესიო კუთხე მოუ-შალეს და სასტიკად უკრძალავენ ხატების დაბრძანე-ბას. მე არ ვაპირებ, განვიკითხო ეს პატიმარი — დიდი დანაშაული ჩაიდინა მან თუ პატარა. ამ ადამიანს უნ-

და ლოცვა და ამის უფლებას არ აძლევენ. ამაზე ვინ უნდა ამოიღოს ხმა?

— ლოცვა და მრნამსი ადამიანის ხელშეუხებელი ნებაა და არავის აქვს უფლება, ადამიანს, მით უმეტეს პატიმარს, ეს აუკრძალოს. მას ისიც ეყოფა, რომ ჩადენილი დანაშაულისთვის საკანშია გამოკეტილი, მოწყვეტილია გარე სამყაროს. მაგრამ სულიერ თავისუფლებას რომ ართმევ, ეს არანაირ ჩარჩოში აღარ ჯდება — არც მორალურში, არც ზნეობრივში. უნდათ ადამიანის სულიერი გატევვა, იმიტომ, რომ, როცა ის იქიდან გამოვა, უკვე სხვა ადამიანი უნდა იყოს, ისე აღარ აზროვნებდეს. ვინ უნდა უპატრონოს ამ ადამიანს? — ყველამ ერთად და არა ცალ-ცალკე, მთელმა ეკლესიამ, მთელმა ერმა, მთელმა საზოგადოებამ. ამიტომ ვართ ამ დღეში — **ყველა ფიქრობს, სანამ მე არ გამიზირდება, ხმას არ ამოვიღებო.** სანამ მთელი ერი ერთის ტკივილს არ იგრძნობს, არ გაითავისებს, სანამ გულგრილობის სენისგან არ განვიკურნებით, ასეთი ფაქტები კი არა, ხომ ხედავთ, ამაზე პევრად უარესები ხდება და, თუ დროზე არ გამოვიზიზდებით, კიდევ რამდენი მოხდება, უფალმა იცის. ეს აძლევი ყველას ჭიშკართან დაიჩრებს და მარე უკვე გვიან იქნება, ძალიან გვი-**ან!** გათითოვაცება, ილიასი არ იყოს, ყველაზე დიდ მტრად მოგვიბრუნდება და ფიქრი, რომ მე ჯერჯერობით ლუკმა მაქვს და მეშინია, ისიც არ დავკარგოო, გადაგვარებამდე მიგვიყვანს. რაღა გვაქვს იმაზე მეტი და-საკარგი, ვიდრე დავკარგეთ?

— მეუფე ეფრემ, დღევანდელი ვითარებით ხალხი ძალიან დათრგუნულია. ნარმოიდგინეთ, თქვენ ახლა თქვენი სიტყვა უნდა მიაწვდინოთ ერს და როგორც სინოდის ერთ-ერთი წევრი, ქრისტეს ერთი მხედარი რას ეტყვით იმ ადამიანებს, რომელნიც ამ რამდენიმე ნელიწადმა და განსაკუთრებით კი ამ ბოლოდროინდელ-

მა მოვლენებმა უიმედობაში, ნიჰილიზმში, სასოწარკვეთილებაში ჩააგდო და რომელნიც ეკლესიისგან მართალ სიტყვას ასე ცხელი თვალებით ელოდებიან? არ შეიძლება, ხსნა არ იყოს...

— ამ რთულ ვითარებაში ადამიანმა უნდა იპოვოს ერთი ჭეშმარიტი გზა — ეს არის გზა უფლისკენ! რისთვის ატარა უფალმა ებრაელი ერი ორმოცი წელი ეგვიპტის უდაბნოში? სანამ ერმა არ შეიგრძნო, რომ უფალია მათი ღმერთი, მათი პატრონი და სხვა მხსნელი არ არსებობს! მხოლოდ იგია სასიცოცხლო წყაროს, ღვთაებრივი მანანას, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის, ბედნიერების, ეროვნული სიმშვიდის მომცემი! **უფალმა საქართველოს სახით სამოთხის მსგავსი ძველანა მოგვცა და ვერ ვივარებით, ვერ ვუფრთხილდებით!** როგორ არ გვაძვს და ხსნას სადღაც სხვაგან, რაღაც მიწიერში ვეძებთ, პოლოგდე არ ვენდობით უფალს, მას არ ვსასოებთ, მისაენ არ ვიხედებით. ჩვენ ყველგან ვეძებთ ხსნას, ყველგან, სადაც ის არ არის. **უფლისკენ მივისედოთ, ვისშიც ხსნაა!** ახლა დუღს მთელი ერი და, როდესაც ამ დუღილის პერიოდს გავდივართ, ამას ბევრი სისხლი, ბევრი ფანჯრა მოჰყვება, თუ ერი და ბერი ერთად არაა — არაა ძრისტები! არავინ ითიქროს, რომ მე ცალკე ვარო, რაც უნდა დაიბრმავო თვალი და გული დაიმშვიდო, ამ დუღილში შენც იხარშები და, ადრე თუ გვიან, ეს სიმწვავე შენზეც გადმოვა — ვინც უნდა იყო, ეკლესიაში იქნები თუ ეკლესის გარეთ, ყველანი ერთად გავიჭყლიტებით, თუკი თითოეული ქართველი არ იგრძნობს, რომ ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით და უერთმანეთოდ გამოსავლის პოვნა წარმოუდგენელია!

იმის ფიქრი, რომ რომელიდაც ჯგუფი იხსნის ქვეყნას და მეც მოვყვები ამ კეთილდღეობაში, ან ვიღაცის მხრებზე გადავა ეს სისხლი და მე გადავრჩებიო, თავის

მოტყუებაა მხოლოდ. ერთმანეთის ტკივილი არ გვეს-
მის, აღარც ერთმანეთის სიხარულის გაზიარების ნიჭი
შემოგვრჩა! ამიტომაც, რადგან უფალია ჩვენი მამა, რა-
სან ლმრთისმშობელი დედაა ჩვენი, მოდით, მივიდეთ იქ,
მათთან — ჩვენს მარადიულ მხსნელთან და პატრონ-
თან. შევურიგდეთ, ხალხო, უფალ! სხვა დანარჩენზე
სასოება, დაყრდნობა — ესაა ბაბილონის გოდოლის შე-
ნება. ერთ დღეს ყველაფერი, რაც ულმერთოდ შენდე-
ბა და კეთდება, ყველაფერი დაიმსხვრევა! ლმერთმა
მოგვცა ეს ქვეყანა და გვითხრა — ალორძინდით, გამ-
რავლდით, აშენდითო. რატომ ჰგონიათ, რომ უფალი
წინააღმდეგია მშენებლობისა, წინსვლისა, ალორძინე-
ბისა, კეთილდღებისა? ოლონდ ეს ყველაფერი ულმერ-
თოდ ნუ მოგინდებათო! მოდით, ღვთისნიერად ვაშე-
ნოთ ეს ქვეყანა! ღვთისნიერად ვმართოთ! არ მოვკლათ
ეროვნულობა და მართლმადიდებლობა, სარწმუნოება,
სიყვარული და ისე ვაშენოთ! სახელმწიფო სიყვარუ-
ლით აშენეთ და ამ წყობას მერე, რაც გინდათ, ის და-
არქვით! **ოდონდ საქართველოში მაგრძობინე**
თავი ძართველად, ძრისფიანად, მართლმადი-
დებლად! მაგრძობინე, რომ ეს ჩემი ქვეყანაა
და აქ არ ვარ მეთხსარისხოვანი. ამ გემოვე-
ვაში, დამერნებული, არავის გაუჩნდება სურვი-
ლი, მოიკითხოს, ვინაა ქვეყნის მეართველი,
აღარავინ გამოვა ქუჩაში შელახული ღირსეპის
დასაცავად!

ასეთ საქართველოს ვისურვებდი საკუთარი თავისთ-
ვისაც და თქვენთვისაც! უფალს ვევედრები, ყველა ქარ-
თველს აენილოს თვალი და დაინახოს, რაშია ჩვენი ხსნა.
ყველა ქართველმა გააცნობიეროს, რომ უფალში, ეკ-
ლესიაში, სიყვარულში, პატიებაში, მიტევებაში, ერთმა-
ნეთის გვერდით დგომაში, სიმართლის თქმასა და ამ სი-
მართლისთვის თავგანწირვაშია ჩვენი ხსნა! და არა —
ამბიციაში, მტრობასა და ერთმანეთის სისხლის დაღვ-

რაში! სიყვარული შეუცვლელი იარაღია ნებისმიერ, თუნდაც გაუგონარ სიპოროტესთან ბრძოლაში! სიყვარული ყველაზე დიდი ჯილდოა, ყველაზე დიდი საჩუქარია ღვთისა, ყველაზე დიდი ნიჭია და ამ ნიჭით უხვად დაგვაჯილდოვა უფალმა! ქართველი ერი სიყვარულის ერია, მაგრამ დავკარგეთ ერთმანეთის სიყვარული — დავშორდით უფალს, გავხდით მოჩვენებითები და დაიწყო ჩვენი გადაგვარებაც! როდესაც შენ დაიბრუნებ შენს თავს, დაკარგულ თავს, ანუ სიყვარულს, მაშინ მოვა ხსნა, მაშინ დადგება ჩვენი ბედნიერების დღეც!



თავი ესახე
**ნიშნეა სიცოდის ნევრი,
 ესპირისა და ზემო სვანეთის
 ეკლესიონის, მეუფე
 ილარიონი (ქიტიანვილი)**

ნერავის იფიქრებს, რომ ქალაქუფლება სულ ეხება... დრო ჩართულია...

არა არას დაფარულო...

— მეუფე ილარიონ, პირველ ყოვლისა, მადლობა მინდა გადაგიხადოთ საუბარზე დათანხმებისთვის. დღეს საზოგადოების ძალიან დიდ ნაწილს სურვილი აქვს, გაიგოს იერარქიის ხმა ეკლესიასა თუ სახელმწიფოში მიმდინარე ძალიან ბევრ მტკიცნეულ საკითხთან დაკავშირებით. ეკლესია სასულიერო იერარქიისა და მრევლის ერთობლიობაა. აქვს თუ არა მრევლს უფლება, ჩაერიოს ეკლესიისთვის საჭირბოროტო საკითხებში?

— დაგლოცოთ ლმერთმა! ეკლესია, რა თქმაუნდა, სასულიერო იერარქიისა და მრევლის ერთობლიობაა. ერიც და ბერიც ერთი ჰაერით სუნთქავს. ეკლესიაში მხოლოდ იერარქია კი არ მყოფობს, არამედ ის მრევლიც, რომლისთვისაცაა ის იქ დადგენილი. ეკლესია ცოცხალი ორგანიზმია, თავი ეკლესიისა მაცხოვარია, ჩვენ ყველანი კი მისი ორგანული ნაწილები ვართ. აქედან გამომდინარე, ერის ადამიანს გარკვეული დად აძვს უფლება, ჩაერიოს ეკლესიის არა პანონიურ საკითხებში, არამედ იმაში, თუ რით ცხოვრობს, რით სუნთქავს ეკლესია, სასულიერო პირი, არ აძვს მნიშვნელობა დიდი იერარქია იგი თუ პატარა!

ვფიქრობ, ჩვენ, სასულიერო პირები, ვალდებული კი ვართ, ჩავაბაროთ ანგარიში ჩვენს სამწყსოს, რათა მან გვიერთგულოს, დაგვიჯეროს, უფლისთვის სათხოდ იცხოვოს. მრევლმა დიახაც უნდა იცოდეს მღვდელმსახურის ცხოვრების წესი, თვითონ რამდენად

ასრულებს იმას, რასაც ამბიონიდან უქადაგებს მრევლს, რადგან, თუ თვითონ არ ხარ ზნეობრივი, თუ თავად არ ასრულებ უფლის სიტყვას, თუ თავად არ ხარ რწმენით, ზნეობით, სიყვარულით აღჭურვილი, პატი-ოსანი, მაშინ უფლება არ გაქვს, მიუთითო მრევლს და ამბიონიდან ჭკუა დაარიგო და ზნეობა უქადაგო. თუ ხარ უზნეო, ღალატობ უფალს, შენ არავინ გამოგყება, არავინ დაგიჯერება! თვითონ უნდა იდგე იმ ზნე-ობრივ სიმაღლეზე, რომ რწმენა, ერთობა და სიყვარუ-ლი უქადაგო მრევლს.

ეკლესია ერთი მისტიური სხეულია ქრისტესი, ჩვენ, ყველანი — ერიც და ბერიც, ამ სხეულის ნაწილი ვართ. როცა რომელიმე ნაწილი სტკივა ამ სხეულს, ეს მთლი-ანად ამ ცოცხალი ორგანიზმის სატკივარია, ამიტომ ვე-რანაირად ვერ გამოვყოფ მრევლს ეკლესიდან. ძალი-ან ფაქიზად უნდა მკურნალობა, რამეთუ ეკლესია წმინ-დადა და იგი წმინდად დარჩება მარად, როგორ ულირსა-დაც არ უნდა მოვიქცეთ თითოეული ჩვენგანი. ჩემი ულირსი საქციელით ეკლესის სიწმინდეს ვერ შევლა-ხავ, ისევ მევე ვიქწები შეურაცხყოფილი, საკუთარ თავს ვავნებ და იმ სამწყსოს, რომელიც მე შემომცექ-რის, ჩემი იმედი აქვს, რომ გავუკვალო გზა უფლისკენ მიმავალი. „**არა არს პაცი, რომელიც სცხონდეს და არა სცოდოს,**“ — ნათქვამია, მაგრამ ცოდვასაც ხომ გააჩნია. და როდესაც ხედავ, რომ ამ ცოდვას შეგნებულად, მიზანითმართულად სჩადიან, მიხვიდე და არ ამხილო, არ გააჩერო, ეს დანა-შაულია!

— მეუფეო, თქვენ, სასულიერო პირები, ცდილობთ, თქვენი ცხოვრებით წმინდანებს მიემსგავსოთ; ჩვენ, უბრალო ადამიანები, მრევლი კი თქვენ შემოგყუ-რებთ, თქვენს ცხოვრებას, რადგან თქვენ ხართ ხიდი ჩვენსა და უფალს შორის. ამიტომაც გვინდა, სასული-ერო პირები იყვნენ ზნეობრივები, სუფთები, რათა ად-

ვილად დაგეყრდნოთ და მივიდეთ უფალთან. ასე მტკიცნეულად ამიტომაც რეაგირებს ხალხი ყველა-ფერზე, რაც ეკლესიისა და სასულიერო პირთა სინ-მინდეს ეხება. თუმცა მუდმივად ის გვესმის, რომ სა-სულიერო პირის განკითხვის უფლება მხოლოდ იერარქიას აქვს და არა მრევლსო. უზნეობაზე ხმის ამოღება მხილება უფრო მგონია, ვიდრე განკითხვა. ვიცი, განკითხვა უდიდესი ცოდვაა, მაგრამ სად გადის ზღვარი განკითხვასა და მხილებას შორის?

— ძალიან საინტერესო კითხვაა და მასზე ცალსახა პა-სუხი მაქვს — უფალი წმინდა წერილში ბრძანებს, თუ ქმაი შენი შესცოდავს, მიდი და ამხილე; თუ ის მოისმენს, კარ-გია და გადარჩება; თუ არ შეისმინა, მიდი და სამ ადამი-ანთან ერთად ამხილე; თუ მაშინაც არ შეისმინა, მაშინ საქ-ვეყნოდ ამხილე კრებულის წინაშე; თუ ამის შემდეგაც არ შეისმინა, იყოს ურჯულო და წარმართი და მოშორებუ-ლი წმინდა ეკლესიიდან, რომელიც არის ჩვენი მაცხონე-ბელი და გადამრჩენელიო. ჩვენ, სასულიერო პირებს, გვერდის ძალიან დიდი პასუხისმგებლობა, რადგან, ვისაც მეტი მიე-რთოვება. ეს დიდი პასუხისმგებლობა ფიცის დადებამდე ყველას უნდა ჰქონდეს გაცნობიერე-ბული. მე, მღვდელმთავარი, ასვერ მეტად ვაგებ პასუხს უფლის ცინაშე, ვიღრე თქვენ, რადგან ას-ვერ მეტი მომავალვება.

რაც შეეხება სარწმუნოებრივ და ზნეობრივ საკითხებს, აქ კომპრომისი ჩემთვის დაუშვებელია! დავით მეფსალ-მუნე ბრძანებს: „კაცი პატივსა შინა იყო, არა გუ-ლისხმა ჰყო, ჰპაპვიდა იგი პირუტყვსა უგუნურ-სა და მიემსგავსა მას“. ადამიანი პირუტყვს რწმე-ნის უქონლობით, უზნეო ცხოვრებით ემსგავსება. ადა-მიანის ღირსება არ განისაზღვრება არც მისი იერარქი-ული და არც მისი თანამდებობრივი მდგომარეობით. ღირსება — ეს არის რწმენა და ზნეობრივი ცხოვრება.

უღმერთობას მიჰყავს ადამიანი გადაგვარებამ-დე, შინაგან ღეგრაძაფიამდე, მას ზეორბა და მორალი ვეღარ აკავებს და აშპარად, დაუფარა-ვად მიეძანება უფსკრულისკენ და ირგვლივ მყოფთაც ღუპავს. არ შეიძლება, მშვიდად უყურო, თავიანთი უზნეო საქციელით როგორ ცდილობენ, და-ღუპვის გზისკენ წაიყვანონ ადამიანი და საზოგადოება. „ემნა მართლისა სიმართლისა ხესა შეიძმს ხმელსა ნედლადო,“ — ნათქვამია.

ჩვენი საქციელით ადამიანის დაბრკოლებას უფალი არ გვაპატიებს. უფალი ბრძანებს: „ვაი იმას, ვინც ერთი მათგანი დამიბრკოლოს, მაშინ ნისპო-ლის ქვა შეიგას, ზღვაში ჩავარდეს და შთან-თქასო“. მართალია, ეს ძალიან ფაქიზი თემაა და ძა-ლიან სათუთად უნდა მივუდგეთ, მაგრამ თევზის მდგო-მარეობაში ყოფნასაც არ გვაპატიებს უფალი — იცო-დე სიმართლე და არ თქვა, დიდი ცოდვაა. ლამაზად დავხატოთ ყველაფერი მაშინ, როცა ეს ასე არაა, არ გვეპატიება. ყველაფერი განკითხვა არაა. ნაკლი უნდა გამოსწორდეს, მაგრამ, თუ არ ამხილე, დადუმდი, თვა-ლი დახუჭე, ის არ გამოსწორდება, პირიქით, უსასრუ-ლოდ გაგრძელდება. მე ვფიქრობ, დღეს სიმართლის დამალვა იუდას ცოდვის ტოლიასია. იუდა ზუს-ტად ამ თამაშით მივიღა იმ ღონევდე, რომ გას-ცა ძრისტე. მხილებასა და განეითხვას შორის ძალიან დიდი ზღვარია. ყველაფერს განეითხ-ვას ნუ დავარემოვთ.

— მეუფეო, იმ ავადსახსენებელი კანონპროექტის მიღების შემდეგ ვნებათაღელვა არ ცხრება და, რო-გორც უნდა აგვიკრძალონ მასზე საუბარი, მისგან გა-მომდინარე, ქვეყნისთვის სავალალო შედეგებს ვერ-სად გავექცევით — ორასამდე მეჩეთია რეგისტრაცი-აში გატარებული, სომხები ექვსასზე მეტ ეკლესიას გვედავებიან. თუკი ადრე თურქები აჭარაში ოთხი მე-

ჩეთის აშენებას ითხოვდნენ და ამის საპირწონედ შეგვეძლო ტაო-კლარჯეთში ჩვენი ტაძრები მოგვეთხოვა, ახლა ეს ბერკეტიც დავკარგეთ — რამდენსაც უნდა, იმდენს ააშენებენ საპატრიარქოსთან შეთანხმების გარეშე. შედეგების მიხედვით ჩანს, რომ საზოგადოების, ერის ვნებათალელვა ამ ანტიეროვნული, ანტისარწმუნოებრივი კანონის ნინააღმდეგ საფუძვლიანი იყო...

— მე ჩემს აზრს მოგახსენებთ ამ კანონთან დაკავშირებით. ჩემთვის ეს კანონი ცალსახად მიუღებელია და ჩემი დამოკიდებულება მკვეთრად უარყოფითია, რამეთუ ამ კანონით, იურიდიულად ერთ სიბრტყეში მოექცა ყველა კონფესია. ეს კანონი ძალიან ბევრი საფრთხის შემცველი იყო და ამიტომაც სინოდზე მოვითხოვეთ, რომ შემდგარიყო ორმხრივი — საპატრიარქოსა და სახელისუფლო კომისია, რათა ამ კანონში ჩვენთვის, მართლმადიდებლებისთვის, ჩვენი ეკლესია-მონასტრებისთვის დამცავი მექანიზმები შემუშავებულიყო, რომ სხვა ეკლესიებს, თუნდაც სომხურს, ჩვენს საკუთრებაზე პრეტენზიის გამოთქმის უფლება არ მისცემოდა.

ჯერ კიდევ ნინა მთავრობის დროს, კათოლიკებს ჰქონდათ ანალოგიური სურვილი და მოთხოვნა, რომ მათი სტატუსი მართლმადიდებლობას გათანაბრებოდა, მაგრამ ეკლესიის ძალიან მკაცრი პოზიციის შემდეგ მაშინდელმა მთავრობამ ამ კანონს ვეტო დაადო და ეს საკითხი ეკლესიის სასარგებლოდ დამთავრდა. დღეს კი რა რეალობის ნინაშე ვართ, ყველა ვხედავთ.

ვიცით, რომ სომხური ეკლესია ექვსასზე მეტ ტაძარს ითხოვს, უკვე ორასზე მეტი მეჩეთია რეგისტრაციაში გათარებული, ეს იმ ფონზე, როცა არაერთგზის თქმულა, იგავე საინგილო-ში ეთნიკურ ქართველებს ქართული სახელების დარქმევის უფლებასაც არ აძლევენ, სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

მე სულ ახლახან მოვილოცე ტაო-კლარჯეთი. რომ ნახოთ, იდ რა მდგომარეობაშია ჩვენი ჭაპ-რები, აგეტირებათ — იავარემნილი და შეუ-რაცხოვილია ჩვენი საუცხე. თურქეთში ყველა უცხო ქვეყნის ძეგლი — სომხური, გერმანული კარგად მოვლილი და ნაკატრონებია, მხოლოდ ჩართული ძეგლებია განაზღურების პირას.

თურქეთს ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით პირობები წაუყენეს, რომ მან სხვისი ტაძრები დააბრუნოს. მათ უკვე დაუბრუნეს იმავე სომხებს, ბერძნებს თავიანთი კულტურული მემკვიდრეობა. მისმა უწმინდესობამ თურქეთის პრემიერ-მინისტრს თხოვნით მიმართა, ჩვენი ტაძრები — ოშკი, ხახული, იშხანი და სხვა საქართველოს დაუბრუნდეს და ყურადღება მიექცეს. იმედი მაქვს, უფლის ნებით, ეს საკითხი ჩვენთვის სასიკეთოდ გადაწყდება.

ქართულ ეკლესიას ტაო-კლარჯეთში ჩვენი ძეგლების საკითხი უყურადღებოდ არასოდეს დაუტოვებია, წლების განმავლობაში აყენებდა თხოვნას თურქეთის ხელი-სუფლებასთან. რამდენად მიიღო და გაითვალისწინა მეორე მხარემ, ეს სხვა საკითხია. აქ სახელმწიფოს ჩარევის გარეშე მხოლოდ ეკლესიას გაუჭირდება შედეგის მიღწევა. სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს თავისი დიპლომატიური ბერკეტები და ეკლესიასთან შეთანხმებით უნდა იმოქმედოს, რომ თურქეთში ანალოგიური სტატუსი მიიღოს ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ და ჩვენც ისევე დაგვიპრუნდეს ჩვენი ტაძრები, როგორც სხვებს დაუბრუნდა. ჩვენ უდაბოგვეცეს საშუალება, მივხედოთ და ვილოცოთ ჩვენს ტაძრები, გადაცურჩინოთ ისინი მომავალ თაობებს. თუ თურქეთის ხელისუფლება ამას არ გაითვალისწინებს, ძალიან ცუდი იქნება ისევ მათთვის, რადგან უფალი თავისი სახლის ასეთ უასაფიცვებულობას არავის აპატიებს!

— მეუფეო, სახელმწიფო რომ ეკლესიის გარეშე არ უნდა წყვეტდეს ეკლესიის საქმეებს, ეს დღესავით ნა-თელია, თუმცა ეს უკვე სახელმწიფო მოხელეებს ჩვე-ვად ექცათ. ცნობილია, რომ სვანეთში დიდი ვნებათა-ლელვაა ატეხილი საგანძურთან დაკავშირებით, რო-მელიც მუზეუმიდან ეკლესიასთან შეუთანხმებლად კონტეინერებში გადაიტანეს. რა მდგომარეობაა ახ-ლა და სად ბრძანდება ის უნიკალური ხატები და სა-ეკლესიო სინმინდები?

— სვანეთში მართლაც მთელი ქართველი ერის უდი-დესი სიმდიდრე, საუნჯე და საეკლესიო სინმინდებია შემონახული; თვითონ ეკლესიებსა და ტაძრებში უნიკა-ლური ფრესკებია შემორჩენილი. ეს მეტყველებს იმაზე, რომ სვანეთში დიდი რწმენა იყო და, როცა მეკითხები-ან, არიან თუ არა სვანები მორწმუნები, ამის პასუხია სწორედ ის ტაძრები, რომლებიც იქ ასე მრავლადაა. ეს სინმინდები — უნიკალური ჭედური თუ ფერწერული ხატები, ჯვრები, სხვა საეკლესიო სინმინდები იმყოფე-ბოდა მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. დაახლოებით 3 თვის წინ გადაწყვიტეს მუზეუმის რეს-ტავრაცია, დაიწყო შენობის დემონტაჟი. ეროვნული მუ-ზეუმის თანამშრომლებმა ადგილობრივ ხელისუფლე-ბასთან ერთად მიიღეს გადაწყვეტილება — საგანძური მუზეუმიდან გამოიტანეს და განათავსეს სპეციალურად მომზადებულ კონტეინერებში. სამწუხაროდ, ეკლესია და პირადად მე, როგორც ადგილობრივი მღვდელმთა-ვარი, არ ჩაგვაყენეს საქმის კურსში, რომ ერთობლივად მიგვეღო გადაწყვეტილება, ამ ხატებისა და სინმინდეე-ბისთვის გარემოს შექმნის შესახებ.

ჩემი აზრით, მიუღებელია, რომ ხატს თავისი დანიშ-ნულება წაართვა. ეს უნდა ესმოდეს ადამიანს, ვინც გინ-და იყოს ის. ხატი მადლით სავსეა, სინმინდეა და იგი კუთ-ვნილებაა მთელი ხალხისა, ერისა. ამ საკითხთან დაკავ-შირებით, უნმინდესთან შედგა შეხვედრა, მოიწვიეს მეც-



„საჭუთარი ხალხის ასე გამოჰება, ასეთი სისასტიკით
ხოცვა-ზღვაშა კაენის ცოდვაზე უფრო მეტია!..
ამხელა პოროტება ღვთისაგან დაუსჯელი არ რჩება“

**„საჭუთარი ხალხის ასე გამოჰება, ასეთი სისასტიკით
ხოცვა-ზღვაშა კაენის ცოდვაზე უფრო მეტია!..
ამხელა პოროტება ღვთისაგან დაუსჯელი არ რჩება“**

ნიერები, ხელოვნებათმცოდნები, კომპეტენტური პი-
რები, რომელნიც გარკვეული არიან ამ საქმეში და გა-
დაწყდა, რომ ამ კომისიამ შეამოწმოს, თუ რა მდგომა-
რეობაშია ახლა ეს სიწმინდეები. ჩვენი მხრიდან იყო
მოთხოვნა, რომ ამ ეტაპზე მაინც მოხდეს მათი გადაბრ-
ძანება მესტიის წმინდა გიორგის სახელობის საკათედ-
რო ტაძარში. **საჭები და სიცმინდეები უნდა იყოს
ეკლესიაში, სადაც მათი ადგილია, იქაც შევძ-
ლებთ მათთვის სათანადო პირობების შექმნას.**
200-ზე მეტ სიცმინდეზეა საუბარი. მე შესაძლებ-
ლად მივიჩნევ, რომ ცმინდა გიორგის საკათედ-
რო ტაძარში მოხდეს მათი გადაბრძანება. ვნა-
ხოთ, კომისია რას გადაწყვეტს.

— ვინ არიან ამ კომისიის წევრები?

— ესაა სამმსრივი კომისია: საპატრიარქოს მხრიდან მიტროპოლიტი დავითი, ამბა ალავერდელია თავმჯდომარე, ასევე ვარ მე; სახელმწიფოს მხრიდან არიან ხელოვნებათმცოდნეები ეროვნული მუზეუმიდან და მესამე მხარე — საზოგადოების წარმომადგენლები — ადგილობრივი სვანები.

— ანუ იმედი გაქვთ, რომ ეს სინმინდეები დაბრუნდება იქ, სადაც მათი ადგილია, ტაძარში?

— ამ ეტაპზე ასე ჩანს, მომავალში რა იქნება, ამაზე ახლა საუბარი ძნელია. მაგრამ მე ყველაფერს გავაკეთებ, ბოლომდე ვიპრძოლებ, რომ ხატები მათ ნამდვილ ადგილსამყოფელს დაუბრუნდეს!

— აქედან გამომდინარე, ერთ კითხვას დავსვამ: უამრავი ხატი, მათ შორის, ჩვენთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, ანჩის ხელთუქმნელი ხატი, რომლის სახელობის ტაძარიც გვაქვს, ჯერ ისევ მუზეუმში ბრძანდება. მრევლის მოთხოვნაზე, რომ ხატი ტაძარში გადააბრძანონ, სახელწიფო პასუხობს, რომ იქ ხატი „გაფუჭდება“ შესაფერისი პირობების უქონლობის გამო. არ დადგა დრო, რომ ეკლესიამ დააყენოს საკითხი და ყველა ეს ხატი თუ საეკლესიო სინმინდე ტაძრებში დაბრუნდეს?

— რა თქმა უნდა, ცალსახად! ყველა ხატის, ჯვრის ადგილსამყოფელი ტაძარია, სადაც დაიბადა და ცოცხლობს. ხატთან მიდის ადამიანი და მადლს იღებს მისგან. ლოცულობს. რატომაა, რომ ხატებს მირონი, ცრემლი და ზოგჯერ სისხლიც სდით? მეცნიერებისთვის ეს მოვლენა დღემდე აუხსნელია. ხატი ცოცხალია და იმიტომ! როცა ეს დატყვევებული ხატები და საეკლესიო სიცმინდეები ეკლესიას გადმოგვეცეა, ჩვენ არავისზე ნაკლებ პირობებს არ შევუძნით მათ. სამების საპატრიარქო ფარარში შესანიშნავი პირობებია ამ სიცმინდეებისთვის

და პატრიარქმა შესანიშნავად, ყველაზე უკეთ იცის ხატების მოვლაც, სიყვარულიც და მათი პატრონობაც.

— მეუფეო, თქვენ ძალიან რთულ რეგიონში ბრძანდებით, მთას თავისი მეცნიერები აქვს. იქ სინმინდე ბევრია, თუმცა მთის ადამიანის ხასიათი ისე-თივე გოროზია, როგორც ის ბუმბერაზი მთები, სადაც ისინი გაიზარდნენ. არ გაგიჭირდათ სვანურ ხასიათან შეგუება?

— რომ მივდიოდი, მერწმუნეთ, წინასწარ არ მიფიქრია, თუ სად და რა სირთულის რეგიონში მივდიოდი. ბოლომდე უფალს მივენდე. სვანები ვაჟკაცი ხალხია, მათ ბევრ საკითხზე განსხვავებული ხედვა აქვთ. ალბათ, წინასწარ რომ მოვმზადებულიყავი, უფრო მეტი პრობლემები შემექმნებოდა. მივედი იმის რწმენით, რომ უნდა გამეკეთებინა ჩემი საქმე. სულ მახსოვდა უნმიდესის სიტყვები — ეპისკოპოსად კურთხევისას სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში რომ მითხრა — შენ მიდიხარ ისეთ მხარეში, სადაც არის დიდი რწმენა, მაგრამ მათ ეკლესიური ცხოვრება უნდა ასწავლოო. უნმინდესის ეს სიტყვები ახლაც მაქვს გონებაში ჩაბეჭდილი.

თავდაპირველად მართლაც დიდი წინააღმდეგობები იყო, მაგრამ არ მიმიკცევია ყურადღება. ადამიანი ხარ და ამ სირთულეებს ასე ადვილად ვერც დაიტევ, ვერც მიიღებ, ვერც შეძლებ, რომ გადალახო, მაგრამ სიყვარულით მივედი და უფლისგან, ღვთისებრობლისგან უდიდეს მფარველობას ვგრძენობაში. სვანეთში დავანებული სიცმინდეების მადლი მეცნიერება და მაძლიერება.

სვანებს ძალიან ბევრი ისეთი ტრადიცია აქვთ, რომელიც არაა ქრისტიანული და უჭირთ ძვალსა და რბილში გამჯდარი მამა-პაპათა ამ ტრადიციების დათმობა. სვა-

ნი კაცის ბუნების ჩამოყალიბებაში მართლაც უდიდესი როლი ითამაშა სვანურმა ბუნებამ, მკაცრმა კლიმატმა, ცაში აზიდულმა მთებმა. მათ ძალიან მტკიცე ხასიათი აქვთ, მეგობრობაც იციან, გატანაც და გვერდით დგომაც. უყვართ თავიანთი კუთხე, სამშობლო. მათგან უდიდეს სითბოს ვგრძნობ. სხვათა შორის, ძალიან დაკვირვებულები არიან, ვერ გამოპაპრებ ვერაფერს. გაკვირდებიან, გსწავლობენ, შენი ცხოვრების წესი თუ ემთხვევა იმას, რასაც ქადაგებ ამბიონიდან. მათ იმხელა სამართლებლივი ინსტიტუტი ჰქონდათ მახვშის სახით. ის კაცი საზოგადოების მიერ იყო არჩეული, მიუკერძოებელი, განსასჯელი თუნდაც თავისი ახლობელი ყოფილიყო. სამართლიანობა იყო მათთვის მთავარი და უპირველესი.

— საზოგადოების ერთგვარი გულდანყვეტა და ტკივილი ეკლესიის მიმართ ძალიან მძაფრად გამოვლინდა 26 მაისის მოვლენების შემდეგ, როცა იერარქიის მხრიდან ხალხი უფრო მკაფიო განცხადებებს ელოდა. მაშინ მეუფე ეფრემმა 26 მაისის ღამეს კაენის ცოდვა უწოდა. ამ კითხვის დასმის გამო მე ღამის შემაჩვენეს, მეუფესაც „ამკობდნენ“ კულუარებში. ხშირად ისმის გულდანყვეტილი ამოძახილები, რომ დაგვავინყდა ეს ბართლომეს ღამე. მე ის საშინელი კადრები — ხელ-ფეხშეკრული, სიკვდილამდე ნაცემი, დასისხლიანებული ჩემი მოძმები არასოდეს დამავიწყდება. **თქვენ რას ფიქრობთ?**

— მე სავსებით ვეთანხმები ამ შეფასებას, ეს გაუმართლებელი იყო! საკუთარი ხალხის ასე გამეტება, ასეთი სისასტიკით ხოცვა-ულეტა კაენის ცოდვაზე უფრო მეტია! ყველაფერი შეიძლებოდა უფრო სხვანაირად მოეგვარებინათ, რომ ადამიანები არ დაეხოცათ. თქვენ და, ალბათ, ის დავალების შემსრულებლები ვერც კი წარმოიდგენენ, რამხელა პასუხისმგებლობა ეკისრებათ! „არა კაც ჰქონა“ — ეს ხომ ათ მცნებაში გვიდევს. **ვაი იმ ადამიანებს, იმ საშინელების ჩამდენებს,**

თუ მათ ქალიან დიდი სინაცული არ ექნებათ! ეს მათთვის საჭვილოვილო, მომაკვლინებელი ცოდვაა, რომელიც, ადამიანის გარშემო რაცაა, ყველაზერს ანადგურებს. ეს ცოდვა ნელ-ნელა ავინორვებს იგ წრეს, რომელიც მას უსდება ცხოვრება და ყოფა და როცა იქნება, მოაშთობს. ამხელა პოროფება ღვთისაგან დაუსჯელი არ ჩერება და მა გულწრფელად მინდა იგ ადა-მიანება!

— დღეს საზოგადოებას უიმედობა სჭირს. უფალიჩვენი სიხარულისთვის მოვიდა ამქვეყნად, ჩვენი სიცოცხლისა და გადარჩენისთვის ევნო, მაგრამ ხანდახან ადამიანებს, ჩვენი სისუსტის გამო, გვიჭირს უფლის წიალში ყოფნა, მასზე სასოება. როგორ უნდა ვიცხოვოთ, რომ ამ უკიდურესად რთულ დროში უფალი, ერთმანეთის სიყვარული და იმედი არ დავკარგოთ, სასოწარკვე-თილებაში არ ჩავვარდეთ?

— პავლე მოციქულის სიტყვებს გავიხსენებ — რწმენა, იმედი და სიყვარული, რაც ყველაზე უპირველესია. ადამიანი სულდგმულობს რწმენით, ცოცხლობს იმედით და სასუფეველში უკვე სიყვარულში შედის და მარადიულობას იმკვიდრებს. რწმენა და იმედი აქ გვჭირდება ჩვენ. ეს ორი რამაა აუცილებელი და იქ უკვე აღარა რწმენა და იმედი საჭირო, რადგან სიყვარულში და მარადიულობაში ხარ. მთელს ჩვენს ერს ვუსურვებ, რომ ღვთის რწმენა განამტკიცონ საკუთარ თავში. ყველაზე მთავარი — სახელმთიფოს მოხელეებსაც ვუსურვებ, უფლისკან მიბრუნდნენ, რადგან უმაღლესი ხელისუფალი თვითონ ღმერთია, ღმერთთან პრძოლას პი ვერავინ მოიგებს, რადგან სამყაროში უფალი მაფობს, მხოლოდ უფლის მაუფებაა მარადიული!

როცა დავით მეფსალმუნე გამარჯვებული შედიოდა იერუსალიმში, ქნარზე უკრავდა. მას დიდი სიხარულით,

პატივისცემით შეეგებნენ, რადგან მან, ღვთისმოყვარე დავითმა, ერი შეკრა, გააერთიანა. განადიდეს დავითი. მან კი ისრაელის მკვიდრთ მიუგო — უფალი განვადი-დოთ და უფალს ვცეთ თაყვანი, რადგან უფალი მეფობსო. ეს ყველა ხელისუფალმა უნდა შეიგნოს და გააც-ნობიეროს — ხარ ჭეშმარიტ ღმერთთან? მაშინ გექნება მშვიდობა! მშვიდობა დაგვიტოვა უფალმა ამ ქვეყა-ნაზე, „მშვიდობა თქვენდაო,“ — ბრძანებს. ჩვენ ადა-მიანურად ვცდილობთ და გვგონია, რომ ჩვენი ძალე-ბით დავამყარებთ მშვიდობას. ადამიანი სულ შფოთშია, დღეს თუ დაწყნარებულია, ხვალ ომს იწყებს. ახლაც რა ხდება ჩვენ გარშემო მსოფლიოში, ხომ ხედავთ? რაშია მთელი სილრმე, აზრის საიდუმლო? მაღლა უნდა აიხე-დო, რომ ღმერთი არსებობს! მარადიულად დაბლა, დე-დამინაზე არ უნდა იხედებოდეს ადამიანი და მხოლოდ მიწიერზე არ უნდა ფიქრობდეს.

ცურავინ იციპრებს, რომ ქალაუფლება სულ ეძ-ნება. ადრე თუ გვიან აა ცხოვრების დაზოვება ყველა ადამიანს მოუხევს. არავინ იცის, ეს რო-დის მოხდება. დღო ჩართულია, წამი, ცუთი, საა-თი, დღე თუ ცელითადი გავა, მაინც ყველა იცით თავა, ან ამ ევეყნიდან ვის რა თაულია, გარდა ორი რამისა — სიკეთისა და ცუდისა? ეს იძნება სა-ზომი და სანონი „იძ“ ღვთის ცინაშე. მაგრამ ყვე-ლაზე დიდი უგედურება ისაა, რომ არ სწავლი იძ-ვეყნიური ცხოვრებისა.

ერთ წმინდა მამას მოჰყავს საოცარი მაგალითი — როდესაც ბავშვი მყოფობს დედის წიაღში, იმ ბავშვს გონება რომ მისცე და ჰკითხო, გინდა სხვაგან წასვლაო, ის აუცილებლად გიპასუხებს, არაო. ის იმ თბილ გარე-მოს, დედის თბილ წიაღსაა შეგუებული და იქიდან წას-ვლა არ უნდა. როცა ბავშვი იბადება, სხვა გარემოში ხვდება და ტირილს იწყებს. ანალოგიურად, ჩვენ ვიძ-ყოფებით დედამინაზე, ამ დედამინის წიაღში და იმ ბავ-

შვივით აღარ გვახსოვს, რომ ოდესლაც მოგვიწევს ამ ნიაღის დატოვება, რომ ის ქვეყანა არსებობს და მოგვიწევს ყველას იქ წასვლა, ვებლაუჭებით ამ ნიაღს, მაგრამ გვინდა თუ არა, გარდავიცვლებით — ამაზე ფიქრი არც ერთ ადამიანს არ უნდა ტოვებდეს! **გახსოვანი დეს სიკვდილი და გადარჩები!**

დღეს ადამიანებმა ერთმანეთის ნდობა და რწმენა დაკარგეს. მიმტევებლობა დავკარგეთ, ერთმანეთს მტრად მოვეკიდეთ! ეს იმიტომ, რომ ამას ნინ უსწრებდა უფლის რწმენის დაკარგვა. გაცივდა სიყვარული. დაპატარავდა ადამიანში სიყვარული და თვითონ ადამიანიც დაპატარავდა! სიყვარულს ისევ უფალი გააცოცხებს, გაზრდის და ადამიანიც გაიზრდება! ღმერთია თვითონ სიყვარული! ადამიანი კი დაიბნა, გზას ასცდა, ღმერთისკენ — სიყვარულისკენ მიმავალი გზაშეეშალა. ჩვენზე, სასულიერო პირებზე, ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული, მაგრამ ადამიანმა თუ თვითონ არ მოინდომა უფალთან ყოფნა, ის ვერ ცხონდება.

არის ორი ნება — ნება ღვთისა და ნება ადამიანისა. ადამიანს აქვს თავისუფალი არჩევანის უფლება. თუ ის უღმერთობას იღრევს, მას ვერავინ უშველის! თუმცა ადამიანი ღმერთმა თავისი ნებით, ადამიანის უკითხავად შეამნა, მაგრამ მისი ნების გარეშე არ აცხოვებს. უფალთან მყოფობა კი, პირველ რიგში, მოყვასის სიყვარულში ვლინდება. უდია ვისწრაფვოდეთ ზევით, ღვთისკენ, ანუ მარადიული სიყვარულისკენ!

უფალმა ორი მთავარი მცნება დაგვიტოვა, რომ გიყვარდეთ ღმერთი მთელი თქვენი არსებით, მთელი გონებით და გიყვარდეთ მოყვასიო. მე მინდა, ქრისტესი ვიყო. უფალი ამბობს, თქვენ იცით, რითი შეიცნობით? ერთმანეთის სიყვარულითო. ჩვენ კი ერთმანეთს რაღაცას ვწინკნით, ვართმევთ, ვმტრობთ, სიტყვით ვკლავთ. ადამიანი მხოლოდ ტყვიით ხომ არ კვდება? ხანდახან

ტყვიას გადარჩენილი ადამიანი სიტყვის მსხვერპლი გამხდარა. ამიტომ, სანამ რამეს ვეტყვით ერთმანეთს, კარგად დავფიქრდეთ.

— მეუფეო, უფლის იერუსალიმში დიდებით შესვლა ამ ბოლო დროს ხშირად მახსენდება, ერთმა მამაომაც გამახსენა ამას წინათ, მას „ოსანაო“ ეძახდნენ და ბზას, ბაიას და საკუთარ ტანსაცმელს უფენდნენ, თუმცა ამას იმავე ხალხისთვის ხელი არ შეუშლია, ერთი კვირის შემდეგ მაცხოვარი ჯვარზე გაეკრა. „ჯვარს აცუ ეგეო,“ — ყვიროდნენ, თუმცა ბევრი ჩუმადაც იყო და ამ სიჩუმით თანხმობა მისცა უფლის ჯვარცმას. ქრისტე დუმილით გაიყიდა! მინდა გკითხოთ — დღეს უსამართლობაზე, უზნეობაზე, ვისი მხრიდანაც უნდა იყოს ეს გამოვლენილი, გაჩუმება ქრისტეს ღალატი, მისი ჯვარცმის ტოლფასი არ არის?

— რა თქმა უნდა, ასეა! დუმილზე მინდა გავიხსენო საიდუმლო სერობის მაგალითი. უფალმა იცოდა, რომ მას იუდა გაყიდდა. 12 მოციქული მყოფობდა უფალთან ერთად საიდუმლო სერობაზე, დამწუხრდა უფალი, როდესაც პირიქით, მოციქულები უნდა გაეძლიერებინა. ის დამწუხრდა იმიტომ, რომ იცოდა, იქ ერთ-ერთი გამცემი იყო. „ერთ-ერთი თქვენთაგანი მე გამცემსო,“

— ბრძანა უფალმა! დუმილით უპასუხა იუდამ! იოანე ღვთისმეტყველი ახლოს იყო და პეტრემ უთხრა — შენ ჰყითხე, ვისზე ამბობსო. იოანემ თავი მიაყრდნო უფალს, ჰყითხა და პასუხიც მიიღო. უფალს იმდენად დიდი სიყვარული ჰქონდა იუდასი, რომ კიდევ მისცა შესაძლებლობა, ეთქვა, უფალო შემინდეო, მაგრამ მან დუმილი ამჯობინა, ეზიარა, მადლობაც არ გადაიხდა, წავიდა, 30 ვერცხლი მიითვალა და გეთსამანის ბალში გასცა ქრისტე. უსამართლობაზე თქალის დახუჭვა და დუმილი არის გამცემობა და ღალატი ქრისტესი!



„ისტორიული ტემათურებისა“ ©

თავი ეაღთხა

**ნეიდა სიცოდის ნევრი,
პრაკტორისა და ჸაკურიანის
მიზროვაობითი
გენუა საჩავიანი (კოკუა)**

უნიდებეს სარვილი, არ გაცვიტოს ის მშირები კავშირი, როგორიც დღეს გვაქვს ჩუსეთის ეკლესიასთან, ნამდვილად სწორი და ბრძნელია

— მეუფე სერაფიმე, როგორ შეაფასებთ რუსეთისა და საქართველოს სულიერი ლიდერების შეხვედრას, რომელსაც საკმაოდ არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა საქართველოში. რა დადებით შედეგებს შეიძლება ველოდიოთ ამ შეხვედრის შემდეგ?

— ჩვენი პატრიარქის ნებისმიერი ნაბიჯი და გადაწყვეტილება ჩემთვის მისაღებია და ჩემში არანაირი ეჭვისა და დაფიქრების საბაბს არ იწვევს. ბავშვობიდან ისე აღმზარდეს, რომ ჩვენი პატრიარქის (და მაშინ ჯერ კიდევ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის) ნებისმიერი ნაბიჯი, სიტყვა თუ ქადაგება ჩემთვის და ჩემი ოჯახის-თვის მისაბაძი და ავტორიტეტული იყო. სამწუხაროდ, დღეს საზოგადოების გარკვეულ, მცირე ნაწილში საპირისპიროს ვხედავ.

პატრიარქის რუსეთში ვიზიტს ეს შევაზა-სებ როგორც აუცილებელს. უნიდებესის სურვილი, არ გაცვიტოს ის მცირები კავშირი, რომელიც დღეს გვაქვს რუსეთის ეკლესიასთან, ნამდვილად სწორი და ბრძნულია. არადა, პატრიარქის ვიზიტთან დაკავშირებით, რაც ამ დღეებში პრესაში ან ინტერნეტში წავიკითხე და მელევით მოვისმინე, აირდა-

პირ შეიძლება ითქვას, ამ გადაცემებში თუ პრესაში, ახალგაზრდები, თავს უფლებას პალევენ განიკითხონ პატრიარქი, ადამიანი, რომელიც, ამზენი ცელიცადია, ერის მამაა, არამარტო თანამდებობიდან, არამაც მისი დიდი ღვაწლიდან გამომდინარეო. ნიჭიერი, მაგრამ მთავრე ენის მარნე თენგიზ გოგონიშვილი კი თავის სიუჟეტში უტიფრად, თითერს „პენდა“ პატრიარქს.

— საქართველოს პრეზიდენტმა რუსეთის საპატრი-არქო კრემლის ფილიალად გამოაცხადა და ლიად და-ადანაშაულა ის საქართველოს წინააღმდეგ ჯვაროს-ნული ომის წარმოებაში. მაშინ, როცა საქართველოს პატრიარქი საკმაოდ დაახლოებულია რუსეთის სა-პატრიარქოსთან, მიხეილ სააკამევილის აღნიშნული განცხადება ნიშნავს თუ არა საპატრიარქოსა და ხე-ლისუფლების დაპირისპირებას?

— დაპირისპირება, ალბათ, უფრო თამამი სიტყვაა, მაგრამ პრეზიდენტის განცხადებაში მე საკუ-თარი აზრის გატანის სურვილს უფრო ვხედავ, ჩანს, რომ იგი არ ეთანხმება პატრიარქის ქმე-დებას. თანაც მე არ მიმართია, რომ პატრიარქი დაახლოებულია რუსეთის სააათრიარქოსთან. პატრიარქი იქცევა ისე, რომორც საჭიროა. არ-სებობს საეკლესიო კანონიკა, რომელიც პი-როვნულ ურთიერთობაზე არაა აგებული. თა-ნამდებობის პირი ზოგჯერ პირადი ემოციით კი არ უნდა მოქმედებდეს, არამაც იმას აკეთებ-დეს, რაც ქვეყანას სფირდება, და მე, რა თქმა უნდა, არ ვეთანხმები ამ საკითხისადმი ხელი-უფლების დამოკიდებულებას.

საქართველოში ზოგიერთებისთვის შეიძლება სერა-ფიმე საროველი და ალექსანდრე ნეველი იგივეა რაც პუტინი და მედვედევი, ჩემთვის კი ისინი უდიდესი წმინ-

დანები არიან, ვისაც მთელი მართლმადიდებელი სამყარო პატივს სცემს.

ქართველები ზოგჯერ უმადურები ვართ, მაგრამ არ უნდა ვიყოთ იმდენად უმადურები, ვერ დავინახოთ და შევაფასოთ, რომ ჩვენი პატრიარქის ავტორიტეტი მსოფლიოში და მართლმადიდებლურ სამყაროში ძალიან დიდია. ამხელა ავტორიტეტი ყველა ქართველ პატრიარქს არ ჰქონია. საკუთარი თვალით ვნახე, როგორ კრძალვით ექცეოდნენ მუსლიმანები ჩვენს პატრიარქს, და ძალიან გულდასაწყვეტია, როდესაც სხვა რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენელი აფასებს საქართველოს პატრიარქს და ჩვენ განვიკითხავთ. მე გავიხსენებ მეუფე ზენონის სიტყვებს, მან თქვა, რომ ჩემი თვალით ვიხილე, როგორ მოდიოდნენ ირანში სასულიერო პირები და ჩვენს პატრიარქს ხელზე ემთხვეოდნენ. ირანელი მაჰმადიანი აღიარებს ჩვენს პატრიარქს, უსმენს მას. ამ დროს კი ზოგიერთი ქართველი ახალგაზრდა განიკითხავს პატრიარქს და ირონიით მოიხსენიებს მის საქმიანობას.

— **მაგრამ ამ ახალგაზრდების გალიზიანება, ალბათ, იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ პატრიარქი მოსკოვში იმყოფებოდა და რუსეთის ლიდერებს შეხვდა.**

— მათი გალიზიანება ამ ფაქტმა კი არა, ურნებულოებამ და ამპარტავნებამ გამოიწვია. როდესაც ადამიანი ამპარტავნია, ის საკუთარ თავს უფლებას აძლევს, სხვა განიკითხოს და გალანძლოს. როცა ადამიანი თავმდაბალია, ის მიხვდება, პატრიარქი რომ რუსეთში წავა, საკუთარ ძალასა და გავლენას ისევ სამშობლოს სამსახურისთვის გამოიყენებს და არა საკუთარი სიამოვნებისთვის. ეს ავიწყდებათ ამ ახალგაზრდებს.

**როდესაც რუსეთის პატრიარქს განიკითხა-
ვინ, ეს ჩვენი პატრიარქის ირიპი განკითხვაა.
ახალგაზრდები, რომლებიც თავს თანამედრო-
ვე თაობას უწოდებენ და პატრიარქს განი-**

„საჭიროული მეტყველებულება“ ©



კითხავენ, ამგვარი ძმედებით ბოლშევიკების საქციოლს იმართებან. ბოლშევიკები კი სხვას არაფერს აკათებდნენ — განიკითხავდნენ ეპლესიას, პატრიარქს და ამპობლენ, რომ ისინი ჩარჩონილები არიან შუა საუკუნეებში და ჩვენ თავისუფლება და რეზორმები გვინდაო.

ყველგან სუკის აგენტები ეჩვენებათ. სამწუხაროდ, ეს პერიოდი უკვე გავიარეთ. არიან წმინდა მამები, რომლებსაც ასევე აბრალებდნენ აგენტობას, მაგრამ ვინ ვინ არის, გამოჩენდება, როცა უფალთან წარვდგებით.

როცა აზრს ეპითხებიან ვალერიანოვორ-სკაიას, კონსტანტინე ბარავოის, უნდა ვიცოდეთ, რომ ესენი არიან რუსი ეპიკარიალები, რომლებსაც საშინელი სიძულვილი აქვთ ეკლესიის მიმართ. როცა ვხედავ, როგორ თამამად განიკითხავენ ზოგიერთები ეპიკარიალის ეკლესიის საჭიროებების, ეს ნიშნავს, რომ მათ მიაჩნიათ, პატრიარქმა არაფერი იცის და თავად პატრიარქზე უფრო დიდი პატრიოტები არიან. ამით

ისინი საკუთარ თავს უფრო მაღლა აყენებენ და მიიჩნევენ, რომ მათ უფრო უყვართ საძაროვალო, ვიდრე პატრიარქს. ეს არა მხოლოდ მათ მცირებამორმავლები იმ ბოლშევიკებისა, რომლებიც 20-იან წლებში ეკლესიებს ანგრევდნენ.

— მეუფე სერაფიმე, თქვენ აფხაზეთში ცხოვრობდით. დედათქვენი, ქალბატონი ანგელინა მარგველაშვილი დღემდე სოხუმში ცხოვრობს და მას ერთი დღეც არ დაუტოვებია აფხაზეთი. კათოლიკოს-პატრიარქის რუსეთში ვიზიტის დროს საუბარი დევნილების დაბრუნებასაც შეეხო. როგორ ფიქრობთ, რამდენად შესაძლებელია უახლოეს მომავალში დევნილების დაბრუნება?

— აუცილებელია, გამუდმებით შევახსენოთ მთელ მსოფლიოს, რომ ქართველი დევნილები აფხაზეთში უნდა დაბრუნდნენ. დედაჩემი ორიოდე დღის წინ გავაცილე სოხუმში, ის ძალიან იშვიათად ახერხებს თბილისში ჩამოსვლას — ოცი წლის მანძილზე სულ სამჯერ თუ მოახერხა ჩამოსვლა და ჩემი მონახულება. ამწლების განმავლობაში აფხაზეთში მე მხოლოდ ერთხელ ჩავედი.

— მეუფე სერაფიმე, როგორ მოახერხეთ აფხაზეთში ჩასვლა?

— პირველად ზურაბ ზვანიას შუაგდგომლობით ვთხოვ ამარიკის ელჩსა და გაეროს ცარმოხადგენლებს, აზხაზეთში ჩასვლისა და მმობელი დედის მონაცემების შესაძლებლობა მოეცათ, მაგრამ ჩემს თხოვნას წლების განმავლობაში არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. მგონი, აშშ-ის საელჩოში დამცირეს კიდევ, — ვინ არის ეს სერაფიმე პოვეუა და რას ითხოვ-

სო. შეიძლება თქვენ არ დამეთანხოთ, მაგრამ მე ღრმად ვარ დარცხული, რომ ეართველების გარდა არავის — არც ერთ სახელმწიფოს, არც ეპროპას და არც ამერიკის შეერთებულ შტატებს არსუნს, რომ ეართველები აუზაზეთში დაბრუნდენ.

როდესაც იმედი გადამეწურა, რუსეთის პატრიარქ კირილს ვთხოვე, მოეცა შესაძლებლობა აფხაზეთში ჩავსულიყავი და დედა მენახა. ანგარიში გამინიეს, რისთვისაც რუსეთის პატრიარქის მადლობელი ვარ. აფხაზეთში სერვეტი შამბა დამსცდა და მიმასპინძლა.

— როგორ შეგვეძნენ აფხაზი სასულიერო პირები?

— ყველა კარგად შემხვდა. სხვათა შორის, ეს ის დღე იყო, როცა ნიკარაგუამ აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა. ერთრამეს მივხვდი, როდესაც აფხაზეთზე ვსაუბრობთ და ისმის მათი მისამართით წყევლა-კრულვა, მე ისე ვარ აღზრდილი პირველ რიგში, ვცდილობ საკუთარ თავში ვეძებო შეცდომები, მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენლებისა და ზოგადად ადამიანთა ჩვევაა, საკუთარი შეცდომების გამართლების მიზეზი სხვაში ეძებონ. ამიტომ უმრავლესობას ისეთი დამოკიდებულება აქვს, რომ აფხაზეთი, რუსები, ჩეჩენები ცუდები არიან და ჩვენ ვართ მხოლოდ კარგები.

— როგორ გადარჩა თქვენი სახლი, როგორ ექცევიან იქ ქალბატონ ანგელინას აფხაზები?

— დედა აფხაზმა ნათესავმა გადაარჩინა და თავისი ლოცვით დაიმსახურა აფხაზებში სიყვარული.

— რა მიგაჩნიათ პრობლემის გადაჭრის გზად როგორც სასულიერო პირს, როგორც ადამიანს, რომელიც თავადაც აფხაზეთიდან არის?

— აუცილებელია აფხაზებისა და ქართველების დაახლოება, რადგან მცდარი აზრია, რომ აი, ჩამოვა ხვალ ვაშინგტონიდან ვიღაც, გავწევრიანდებით ნატოში და შემდეგ საქართველოც გაერთიანდება. ეს იმ სიტყვებს

ჰგავს, რასაც დიდი რეიგანის მეგობარი შევარდნაძე აცხადებდა 1992 წელს, რომ სოხუმში ჩიტიც ვერ შეფრინდება, მთელი მსოფლიო გვერდით დაგვიდგება და უანგიანი რუსეთი დაიშლებათ. ამ სიტყვების მთქმელი დღეს თავის სიპერეს ტყბილად ატარებს კრწანისში და დედაჩემი ჩემგან უკვე შორს, აფხაზეთში ცხოვრობს.

რა თქმა უნდა, ქართველები არ ვეთანხმებით ამ მოსაზრებას, მაგრამ აფხაზებს მიაჩინიათ, რომ ომი საქართველომ დაიწყო და ეს გარკვეულწილად ასეც იყო. ტანკების შეყვანა და ჯაბა იოსელიანისა და კიტოვანის შესვლა აფხაზეთში კრიმინალური ნაბიჯი იყო. მე მაშინ მორჩილი ვიყავი და არ ვეთანხმებოდი ამ ეიფორიას, რომელიც მაშინ საქართველოში იყო გამეფებული, განსხვავებით იმ ადამიანებისგან, რომლებიც აცხადებდნენ, რომ შევალთ და აფხაზებს დავაჩიქებთო. აფხაზი ერი მშიშარა არ არის, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ქართველები მტრები ვართ და, რომ არა რუსეთი, აფხაზებს დავჩაგრავდით. ამიტომ საჭიროა სახალხო დიპლომატია.

ხელისუფლებიდან შემომითვალეს, რატომ დადიხარ აფხაზეთში და რატომ იყავი მოსკოვში ჩასული ნებართვის სათხოვნელადო. როგორც ჩანს, ხელისუფლების წარმომადგენლებს არ მოეწონათ ჩემი საქციელი, ეს იმიტომ, რომ მათი მშობლები მათთან არიან და თავს კარგად გრძნობენ, დედაჩემი კი ჩემგან შორსაა...

სოციალურ ქსელებში როცა ვკითხულობ, ვხვდები, რა საშინელი სიძულვილი აქვთ ქართველი და რუსი ახალგაზრდების ნაწილს ერთმანეთის მიმართ, თუ ეს არ განიკურნა, არაფერი გამოვა. როცა შენ 3-4 მილიონი ხარ და ის 120 მილიონი, ვინ გვიშველის? თუ როგორც 2008 წლის აგვისტოში გარბოდნენ, ასევე მიგვატოვებენ? გაჭირვების უამს ისევ ეკლესიამ იტვირთა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ხალხის სულიერად გაძლიერება, მიცვალებულების გადმოსვენება. ასე

რომ, უნმინდესს აქვს დამსახურება და უფლება, გადადგას ის ნაბიჯი, რასაც საჭიროდ მიიჩნევს და ეს ქართველმა ხალხმა უნდა მიიღოს ყოველგვარი ეჭვისა და ბჭობის გარეშე. ჩვენი პატრიარქი სხვა მოვლენაა, ყოველგვარი გაკერძების გარეშე ვამბობ.

— თქვენ წმინდა სინოდის წევრი ბრძანდებით, ვრცელდება ინფორმაცია, რომ სინოდის წევრებს შორის დაპირისპირებაა და ხმები, ხელისუფლების მიერ რელიგიური გაერთიანებების შესახებ კანონზე მსჯელობისას ორად გაიყო.

— აზრთა სხვადასხვაობა დაპირისპირებას არ ნიშნავს. სინოდი არ არის საერო ინსტიტუტი, რომ ყველას ერთი აზრი ჰქონდეს, თუ არადა, მოღალატედ რომ რაცხავენ. კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რამხელა ძალა აქვს მასმედიას, რადგან ისე არასწორად გაშუქდა საკითხი, რომ ერი ორად გაყო. მე ვიცი შემთხვევები, როდესაც მრევლი, რომელიც ერთგულად ემსახურებოდა ეკლესიას, განკითხვაში ჩავარდა, ზოგიერთ ეპისკოპოსს დაურეკეს კიდეც და გალანძღვეს. ისეთ ადამიანებზე თქვეს, არ მისცა ხმაო, რომლებიც არც კი იყვნენ სინოდის სხდომაზე. მაგალითად, მეუფე ზენონი და მეუფე კალისტრატე არ იმყოფებოდნენ სხდომაზე.

ასევე გავრცელდა მცდარი ინფორმაცია, თითეოს ეკლესიას რაიმეს შეცვლა შეეძლო. არადა, კანონი უკვე დამტკიცებული იყო და ეკლესია ფაქტის მინაშე აღმოჩნდა. ხომ განაცხადეს გიგი უგულავამ და მიხეილ სააკაშვილმა, ეს კანონი აღარ შეიცვლებოდა, ეუჩაში ასი ათასი კაციც რომ გამოსულიყო. ეკლესიას არ აქვს იურიდიული ქალა. კანონი უკვე მიღებული იყო და რა უნდა ეჩნა ეკლესიას — ხალხი გამოეყვანა ქუჩაში, როგორც ზოგიერთივზე სურდათ? შემდეგ სისხლი დაიღვრებოდა და დარწმუნებული ვარ, პატრიარქს დააბრალებდნენ.

— გამოდის, რომ სინოდი ხელისუფლების გადაწყვეტილებას მხოლოდ იმიტომ დაეთანხმა, რომ ვითარების გამნვავებას მოერიდა?

— მე ვერ ვიტყოდი, რომ სინოდი დაეთანხმა ხელისუფლების გადაწყვეტილებას. გავრცელებული მოსაზრება, რომ სინოდში განხეთქილებაა, ჭორია, ხოლო ის, რომ აზრთა სხვადასხვაობა გარკვეულ საკითხებზე ჩვენ შორის არსებობს, ბუნებრივია. მთავარია, ჩვენ ერთმანეთს არ ვლანძლავთ და არ განვიკითხავთ. სინოდში დემოკრატიაა და განსხვავებულ აზრს პატივს სცემენ.

ჩვენი მთავარი მიზანი, ევრაციაში დამოკრატიის აშენება კი არა, ეროვნული ცოდნისას განხტკისა უდია იყოს

— მეუფე სერაფიმე, საქართველოში მეჩეთების მშენებლობის გადაწყვეტილებამ საპატრიარქოსა და საზოგადოების დიდი ნაწილის აღშფოთება გამოიწვია. რატომ აპროტესტებს საპატრიარქო მეჩეთების აშენებას?

— ქართულ აზროვნებასა და ცნობიერებაში მეზობელი ერების მიმართ ყოველთვის იყო და არის ტოლერანტული დამოკიდებულება, რასაც ჩვენი ისტორიაც ამტკიცებს. ვხედავთ, რომ ბოლო წლებში ისტორიულად ჩამოყალიბებულ ყველა კონფესიას აქვს შესაძლებლობა და უფლება, განვითარდეს და დაფუძნდეს ჩვენს ქვეყანაში. ცნობილია ისიც, რომ საქართველოში მცხოვრებ მუსლიმანებს აქვთ შესაძლებლობა, ააშენონ რელიგიური საკულტო ნაგებობები, მაგრამ, რაც შეეხება ბათუმში მეჩეთის მშენებლობას, აღნიშნული საკითხი სწორედ ეროვნული თვალსაზრისით იწვევს გარკვეულ უკმაყოფილებას, რამეთუ ჩვენ ვიცით, რომ ორ ქვეყანას შორის თანაბარი ურთიერთობა არ არის.

მაგალითად, შარშან მოხდა ასეთი ფაქტი: ჩემი ლოცვა-კურთხევით, ბორჯომიდან თურქეთში გავაგზავნეთ მომლოცველთა ჯგუფი და საქართველო-თურქეთის საზღვარზე თურქმა მესაზღვრეებმა კატეგორიულად მოსთხოვეს მოძღვარს, გაეხადა ანაფორა და მათ ქვეყანაში საერო პირის ტანსაცმლით შესულიყო, რაზეც

მღვდელმა უარი განაცხადა. პროტესტის ნიშნად ბორჯომელმა მღვდელმა დატოვა საზღვარი და საქართველოში დაბრუნდა. მსგავსი ფაქტი არაერთხელ მომხდარა. როცა ჰკითხეს მესაზღვრეებს, თუ რატომ არ უშვებდნენ ქართველ სასულიერო პირს, ასე უპასუხეს, ჩვენ მაპმადიანი ქვეყანა ვართ და არ გვინდა ქრისტიანმა სასულიერო პირებმა საკუთარ სამოსელში იარონ ჩვენს ქვეყანაშიო.

თუ თურქული მხარე იცავს საკუთარ ეროვნულ ინტერესებს და არ უშვებს ჩვენს სასულიერო პირებს თავის სახელმწიფოში, არათუ ეკლესიების ასაშენებლად, არამედ, უბრალოდ, ქართული ეკლესია-მონასტრების მოსალოცად, რომლებიც უძველეს ქართულ მიწა-ნყალზე მდებარეობს, ჩვენ რატომ ვაძლევთ თურქეთს უფლებას, ააშენოს თავისი საკულტო ნაგებობა იქ, სადაც მას სურს, და არა იქ, სადაც ამას თუნდაც ქართველი მაპმადიანი გადაწყვეტს? შევხვდი აჭარლებს და ვიცი, რომ ამ გადაწყვეტილებას არც ქართველი მაპმადიანები ეთანხმებიან.

მე პირადად, როგორც რიგით ქართველს, სასულიერო პირს, მიმაჩნია, რომ ამ მეჩეთის მშენებლობა შეუძლებელია და მითუმეტეს იუნკრების დალუპვის ადგილას მეჩეთის მშენებლობა იმ გმირი ქართველების ხსოვნის უპატივცემულობად მიმაჩნია.

საქართველოში ხშირად გაისმის სიტყვა ოკუპანტი, მაგრამ ჩვენ რატომღაც ვერიდებით გახსენებას, თუ რას ნიშნავს ჩვენთვის ტაო-კლარჯეთი. ხომ არ ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ ის არ არის საქართველოს ნაწილი? მე, როგორც რიგითი ქართველი, ხმამაღლავაცხადებ: ტაო-კლარჯეთი უძველესი ქართული მიწა-ნყალია და ისეთივე კუთხე და სინმინდეა, როგორც სხვა დანარჩენი კუთხეები, რომლებზეც დღეს ვნერვიულობთ და ვლოცულობთ, ამ შემთხვევაში კი, გაჩუმებულები ვართ.

ყველა ქვეყანა, ყველაზე დემოკრატიულიც კი, იცავს ეროვნულ ინტერესებს და ფასეულობებს. ჩვენთან რატომძაც ჰქონიათ, რომ ყველაზე დემოკრატიულ ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი, სტუმარი თავისი სურვილისამებრ, როგორც უნდა, ისე იქცევა. ამ ცოტა ხნის წინათ, ლოს-ანჯელესის აეროპორტში ორი ბრიტანელი ახალგაზრდა ცოლ-ქმარი დააპატიმრეს, რომლებმაც სოციალურ ქსელებში ხუმრობით დაწერეს, რომ ჩავლენ აშშ-ში და დაშლიან ამერიკას, მერლინ მონროს კი საფლავიდან ამოთხრიან. ისინი აეროპორტშიც და დააპატიმრეს და გაჩხრიკეს.

ეძებდნენ ნიჩაბს, რომლითაც მათ მსახიობი თითქოს-და საფლავიდან უნდა ამოეთხარათ. ჩვენ რომ გვეუბნებიან, თითქოს ამერიკა ყველაფერზე თანახმაა და იქ, როგორც გინდა, ისე მოიქცევი, თურმე ასე არ ყოფილა. ჩვენ კი, მიამიტი ქართველები, ვაძლევთ უფლებას ისეთ ახალგაზრდებს, როგორებიც არიან თეა თუთბერიძე და ერეკლე დეისაძე, გალანძღონ და ბილწსიტყვაობით მოიხსენიონ ჩვენი ეკლესია, პატრიარქი, გაჩუმებულები ვსხედვართ და ვამბობთ, რომ უნდა მოვითმინოთ, რადგან ეს თურმე ამერიკული დემოკრატიაა. მაშინ რატომ არ მოითმინეს ამერიკელებმა და ორი ახალგაზრდა ხუმრობის გამო რატომ დააპატიმრეს?

— თქვენ ამბობთ, რომ საქართველო არათანაბარპირობებში იმყოფება, ავუსსნათ საზოგადოებას, კონკრეტულად რა საფრთხეს ხედავს ეკლესია მეჩეთების მშენებლობაში?

— როდესაც უცხო ქვეყნიდან მომდინარეობს გარკვეული რელიგიური აქტიურობა, ეს ქართველ ხალხში უკვე შეშფოთებას იწვევს. ეს ჩვენ სისხლში გვაქვს და ამას აქვს გარკვეული საფუძველი. ამას გარდა, სულთანი აზიზიე, რომელიც 1861-1871 წლებში მოღვაწეობდა, ქართველ ერში, ქართულ აზროვნებაში არ არის დაკავშირებული რაღაც სიკეთესთან, პირიქით. ქართველებს

გვყავდა კეთილი სტუმრები, ვინც ააღორძინა ქართული ხელოვნება, ქვეყანა, მაგალითად მიხაი ზიჩი, რომელიც მოიხიბლა ჩვენი ქვეყნით და რუსთაველის სახელი განადიდა თავის სამშობლოში. მაპატიეთ, მაგრამ აბდულ აზიზის არც შოთა რუსთაველი განუდიდებია და არც დავით აღმაშენებელი. პირიქით, მან უფრო მეტად განამტკიცა სურვილი, აჭარა და ტაო-კლარჯეთი მუდამ მისი ქვეყნის სამფლობელოში ყოფილიყო. ამიტომაც აქვს ქართველ ხალხს ასეთი რეაქცია.

— ხელისუფლება მეჩეთების მშენებლობას ოშკისა და იშხნის აღდგენის მიზნით ხსნის. როგორ უნდა მოვიქცეთ ამ შემთხვევაში, მაინც არ უნდა დავუშვათ მეჩეთების მშენებლობა?

— თურქეთის მთავრობას ქართული ტაძრების აღდგენა ისედაც ევალება და ჩემთვის განსაკუთრებით საწყენი აღმოჩნდა, როცა შევიტყვე, რომ ჩვენმა ასეთმა მეგობარმა, როგორიც თურქეთის მთავრობაა, დაუშვა და აღუდგინა უფლებები ბერძნულ და სომხურ ეკლესიებს და ერთი სიტყვაც არ თქმულა ქართული ტაძრების შესახებ. არადა, ხომ ითვლება, რომ რუსეთი მტერია, თურქეთი კი მეგობარი და არა ოკუპანტი? როგორ შეიძლება მან არ დაგვიბრუნოს უფლებები ჩვენს ეკლესიებზე? ზოგიერთ ეკლესია-მონასტერში მეჩეთია განთავსებული, ზოგიერთი კი ცხოველთა სადგომადაა ქცეული. ეს იწვევს ჩემში შეშფოთებას და თუნდაც ის ფაქტი, რომ ამ მოლაპარაკებაში სასულიერო პირები და საპატრიარქო არ მონაწილეობდნენ, იყო, ასე ვთქვათ, გარკვეული ურჩობა.

— როგორც საპატრიარქო აცხადებს, საქართველოს ხელისუფლებამ თურქეთის მთავრობასთან ხელშეკრულება კანონდარღვევით და მასთან შეუთანხმებლად გააფორმა. ამ ფაქტმა, ბუნებრივია, საპატრიარქოს გულისნყრომა გამოიწვია. როგორ ფიქრობთ, რატომ მოიქცა ასე ხელისუფლება და რატომ დაუპირისპირდა ეკლესიას?

— ეს იმას ნიშნავს, რომ იმ ახალგაზრდა თანამდებობის პირებს, რომლებმაც ეს გადაწყვეტილება მიიღეს, სარწმუნოებრივი თვალსაზრისით, გარკვეული ხარვეზი აქვთ. ამგვარი გადაწყვეტილება მეტყველებს, რომ სიღრმისეული პატივისცემა ეკლესისადა საპატრიარქოს მიმართ ამ ადამიანებს არ გააჩნიათ და ეს ყველაფერი მხოლოდ გარეგნულია და რწმენას განსაკუთრებით არჩევნების წინ ამჟღავნებენ ხოლმე, მაგრამ მათი რწმენა სიღრმისეული არ არის. ამის დამადასტურებელია თუნდაც ერთი ფაქტი, შარშან, ასი ათასი მოწამის ხსენების დღეს მრავალათასიანი მრევლის თვალწინ პატრიარქმა მოუწოდა მოსახლეობას, ხელისუფლებას, რომ ბუდა-ბარი არ შეიძლება აშენდეს რიყეზე, იქ, სადაც ასი ათასი ქართველი მოწამე ენამაო, მაგრამ მისი სიტყვები არავინ გაითვალისწინა და, როგორც შევიტყვეთ, ბუდა-ბარი მაინც შენდება...

— საპატრიარქოს წინაც შენდება კაზინო, რა პოზიცია აქვს ამასთან დაკავშირებით საპატრიარქოს?

— საპატრიარქოს ოფიციალური პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჯერჯერობით არ დაუფიქ-სირებია, მაგრამ მე პირადად, როცა ჩამოვედი თბილის-ში და ვნახე ეს კაზინო, პირად შეურაცხყოფად მივიღე. პროფესიით არქიტექტორი ვარ და კარგად ვიცი, მსოფლიოში არსად, ევროპის არც ერთ ქვეყანაში რელიგიური-საკულტო ნაგებობის წინ კაზინო არ აუშენებიათ, ეს არის წარმოუდგენელი ფაქტი. არც ერთი მთავრობა, ქალაქის მერი ამას არ დაუშვებს, გამორიცხულია. ასეთი რაღაცები მხოლოდ ლათინური ამერიკისთვისაა დამახასიათებელი.

— მეუფე სერაფიმე, 6 სომხური ეკლესიის გადაცემას ითხოვს სომხური მხარე. როგორ უნდა მოიქცეს საქართველო?

— აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საპატრიარქო საკუთარ პოზიციას, აღბათ, დააფიქსირებს, მაგრამ

ჩემი, როგორც სასულიერო პირის პოზიციაა, რომ ამ საკითხს სჭირდება მუშაობა ემოციებისა და ყოველგვარი ულტიმატუმების გარეშე. მე წიგნი წავიკითხე, რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველოში 300-დან 600-მდე სომხური ტაძარია თურმე და მათ დაბრუნებას ითხოვენ სომეხი მეცნიერები. ამ ციფრებზე მე მეღიმება. ჩვენ მეზობლები ვართ და კეთილგონივრული ურთიერთობა უნდა შევინარჩუნოთ და ვიფიქროთ იმაზე, რომ ჩვენმა სიტყვამ ან მოქმედებამ მეზობელ ერს არ ავნოს. საქართველოში რამდენიმე სომხური ეკლესია, მაგრამ არის ბევრი ქართული ეკლესია, რომლებიც ძნელბედობის უამს სხვა კონფესიის საკუთრებაში გადავიდა.

— ცოტა ხნის წინ წმინდა სინოდმა უზნეობის აღკვეთა მოითხოვა. პატრიარქმაც ისაუბრა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან მომდინარე უარყოფით ენერგიაზე, რა საფრთხეს ხედავს და როგორ აპირებს, წინ აღუდგეს ამ ყველაფერს ეკლესია?

— ეს პრობლემა ყველა ქვეყანაშია, განსაკუთრებით ევროპაში. ასეა, მაგალითად, ვატიკანში, ბულგართსა თუ საბერძნეთში, სადაც სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიის წარმომადგენლები ხმამაღლა ამხელენ ხოლმე თავიანთ საზოგადოებასა თუ მთავრობას. უზნეობის პროპაგანდა გამეფეხულია, ძირითადად, არამუსლიმანურ ქვეყნებში და სასულიერო პირი, რომელმაც იცის, რა არის ეკლესიური კანონები, რას ითხოვს უფალი, ბუნებრივია, ვერ დაეთანხმება სრულ თავისუფლებას, რაც დღეს სოციალურ ქსელებსა თუ მედიაში სუფევს.

საზოგადოება გაყოფილია, ნაწილი გვსაყვედურობს, რატომ უფრო აქტიურად არ მოუწოდებს ეკლესია ხალხს და რატომ უფრო აქტიურად არ გამოდის პოლიტიკურ ბრძოლაში ხელისუფლების წინააღმდეგ; მეორე ნაწილი პირიქით ამბობს: ნუ ჩაერევა ეკლესია ჩვენს

საქმეში, ის ცალკე სახელმწიფოა და არ აქვს უფლება, შენიშვნა მისცეს სახელმწიფოსა და საზოგადოებას აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებითო. თუ ეკლესია ჩაერევა, გამოდის, შუა საუკუნეების ევროპაში მოქმედი სავონაროლას გზა, რომელიც მყაცრად კრძალავდა ყველაფერს, როგორც ეს ხდება მუსლიმანურ ქვეყნებში, და არის მეორე გზა, როცა სასულიერო პირს არ აინტერესებს რა ხდება.

— რა გზას ირჩევს საქართველოს ეკლესია?

— საქართველოს ეკლესია ყველაზე ბრძნულ და სწორ გზას ირჩევს. არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოუწოდოს ეკლესიამ ხალხს ქუჩაში გამოსვლისკენ და მიტინგებისკენ. ეკლესიას თავისი პრეროგატივა აქვს. იმ ადამიანებს, რომლებიც ეკლესიისგან ითხოვენ, მოუწოდოს ხალხს ქუჩაში გამოსვლა და პოლიტიკურ პროცესებში აქტიური მონაწილეობა, ავინყდებათ, რომ, როგორც კი ეკლესია მოუწოდებს ხალხს ქუჩაში გამოსვლისკენ, მაშინვე გადაიქცევა გაპონად, რომელმაც 1905 წლის 9 იანვარს ხალხი გამოიყვანა ქუჩაში და შემდეგ ეს ხალხი უმოწყალოდ დახვრიტეს. ზოგიერთი საერო პირი ცდილობს, საკუთარი პასუხისმგებლობა ეკლესიას დააკისროს. ეკლესია ეროვნული ცნობიერების მატარებელია და ასწავლის თანამდებობის პირებსაც და საზოგადოებასაც, როგორ უნდა მოიქცეს, მაგრამ მან რომ ხელში იარაღი აიღოს, წარმოუდგენელია.

ქართველებთან ურთიერთობაში სიფრთხილეა საჭირო. სამოქალაქო ომის დროს იყვნენ პირები, რომლებსაც მტკიცედ სჯეროდათ, რომ ქაშუეთის ეკლესიიდან სამღვდელოება ისროდა. ასეთი შემთხვევაც მოხდა: ზუგდიდში, მხედრიონელებმა მღვდელი რომანოზი აწამეს და მოითხოვდნენ, ეთქვა მათთვის, სად მალავდა და იარაღს ეკლესიაში. მამა ზაქარია პირველი პრეზიდენტის მომხრეებმა აწამეს და აბრალებდნენ, რომ ეკლესიაში ისიც იარაღს მალავდა. სჯეროდათ ზოგიერ-

თებს, რომ მოძღვარს მართლაც შეიძლებოდა ეკლესიაში იარაღი პქონოდა. ასე რომ, საერო-პოლიტიკურ ბრძოლაში ეკლესიის ჩარევა ყოვლად დაუშვებელია. ეკლესია მოვალეა, ერი ზნეობრივად აღზარდოს და არა ქართველს ქართველის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდოს.

საჭიროა ეროვნული კანონების ამოქმედება, რომლებითაც ეს ყველაფერი შეზღუდული იქნება. მაგალითად, შარშან ერთი ახალგაზრდა ამერიკელი ტაილანდში უკრძალველად მოექცა ტაილანდელ მომსახურე ქალბატონს, რის გამოც ის 2 წლით დააპატიმრეს. ის კი არ უთხრეს, რადგან ამერიკელი ხარ, როგორც გინდა, ისე მოიქეციო. ჩვენი მთავარი მიზანი, ქვეყანაში დემოკრატიის აშენება კი არა, ეროვნული ცნობიერების განმტკიცება უნდა იყოს. იმ დროს, როცა ევროპაში ხალხს კოცონზე წვავდნენ, ქართული, ეროვნული სახელმწიფო, ქართული ეკლესია იცავდა ქვეყანას და თავს სამშობლოს სწირავდა.

— სოციალურ ქსელებში გავრცელდა არქიმანდრიტ შიოს ქადაგება, რომელშიც ის ამბობს, რომ ყველა, ვისაც მიხეილ სააკაშვილი არ უყვარს, ეშმაკია და ეკლესიაში არ დაგინახოთ შემოსულიო. რამდენად აქვს სასულიერო პირს უფლება, აუკრძალოს მრევლს მისი პოლიტიკური შეხედულებების გამო ეკლესიაში შესვლა და საპატრიარქოში არსებულმა ეთიკის კომისიამ თუ დასაჯვა ეს მამაო?

— არ ვიცი, საპატრიარქოში დაიბარეს თუ არა, მაგრამ აქ საქმე გვაქვს სუბიექტურ მოსაზრებასთან. ზოგ სასულიერო პირს ხელისუფალი მოსწონს და მას აღმაშენებელსაც ადარებს, ზოგს კი — ოპოზიციონერი და სწორედ ამაშია ჩვენი ეკლესიის სიდიადე, რომ ჩვენი პატრიარქი ყველას თანაბრად ლოცავს და სულიერად ზრდის. ეკლესია ყველას აერთიანებს. მოძღვარი, რა თქმა უნდა, მოზომილი უნდა იყოს თავის ქადაგებაში.

ვფიქრობ, მისი მხრიდან ეს უფრო ემოციური და გაუაზრებელი სიტყვა იყო — წამოსცდა ქადაგებისას. მე ვიცნობ მამა შიოს და ის ძალიან მოსიყვარულე, თბილი ადამიანია. თუმცა, რა თქმა უნდა, მისი მხრიდან ეს შეცდომა იყო. მე დადებითად ვაფასებ მის პიროვნებას, სწორედ მამა შიო ხელმძღვანელობდა დარიალის ხეობის ეკლესიის მშენებლობას, რომელიც ბატონმა ლევან ვასაძემ ააშენა.

ყველა სასულიერო პირს ევალება, იყოს ერთგული სამეფო დინასტიის, სამშობლოსი და მრევლი ამ სიყვარულით აღზარდოს.

— მეუფე სერაფიმე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ 9 მაისს ქერჩში მიემგზავრებით, რა არის თქვენი ვიზიტის მიზანი?

— იგეგმება ჩვენი გამგზავრება ქერჩი. ყველაფერი ფინანსებზეა დამოკიდებული. მსურველი ბევრია და ყველას მოვუწოდებთ, ხელისუფლების წარმომადგენლებსა თუ ნებისმიერი პოლიტიკური მრწამსის ადამიანს, ერთად გავემგზავროთ. გამარჯვების დღის აღსანიშნავად მივემგზავრებით და, ამას გარდა, იხსნება ქართული, წმიდა ნინოს სახელობის ეკლესია, რომელიც უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღში აშენდა. ეკლესია უკრაინის მიტროპოლიტ ვლადიმირს დაემორჩილება და იქ მცხოვრები ქართველების თხოვნაა, აქედან გაიგზავნოს ქართველი მოძღვარი. ქერჩი ისეთივე წმინდა ადგილია ჩვენთვის, როგორც რიყე, იქაც დაახლოებით 120-150 ათასი ქართველი დაიღუპა. მათი სულები ღამის და სწყინთ, რომ ქართველებმა ქერჩი დაივიწყეს.

— ახლა დიდი მარხვაა, როგორ უნდა მოიქცეს მორწმუნე, ჭეშმარიტი ქრისტიანი?

— ეკლესია მოუწოდებს, რომ, პირველ რიგში, მორწმუნე ადამიანმა და ქართველმა საზოგადოებამ ეკლესიური ცხოვრება აღასრულოს. ბევრია ისეთი, ვინც

მცირედსაც არ ასრულებს. რაც უფრო ხშირად ივლის ადამიანი ეკლესიაში, მით უფრო მეტად შეუსრულებს უფალი თხოვნას. ეკლესის წიაღში უნდა შევიდეს ადამიანი და ეკლესიური ცხოვრება გაიცნოს.

ვფიქრობ, ეს წელიწადი ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. ვხედავთ, რომ გარკვეული დაძაბულობა იგრძნობა საზოგადოებაში და, როგორც საუკუნეების მანძილზე, დღესაც ერთადერთი გადამრჩენი, გამაერთიანებელი და ჩვენი ერის მანუგეშებელი ჩვენი ეკლესიაა, ამიტომ ყველას მოვალეობაა, მოუსმინოს და დაუჯეროს ჩვენს ეკლესიასა და მის საჭეომპყრობელს, ჩვენს პატრიარქს.

სად გაგონილა, ჟარიული ტაქარი – გუგის კადლებითა და სახავით?

პატრიარქმა ბაგრატის ტაძრის რესტავრაციის და-
უყოვნებლივ შეჩერება მოითხოვა და საგანგებო ბრძა-
ნებაც გასცა. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება
ირწმუნება, თითქოს ტაძრის რესტავრაციის პროცე-
სი საპატრიარქოსა და იუნესკოსთან შეთანხმებული,
მოწონებული პროექტის მიხედვითა და ყველა წესის
დაცვით მიმდინარეობს, აღმოჩნდა, რომ შეშფოთების
საფუძველი ნამდვილად არსებობს. ვინაიდან, სწორედ
არასწორი რესტავრაციის შედეგების გამო, იუნესკო
მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა
ნუსხიდან ბაგრატის ტაძრის ამოღებას აპირებს.

მართალია, ხელისუფლებამ ბაგრატის ტაძრის რეს-
ტავრაციის პროცესი დროებით შეაჩერა, კულტურული
მემკვდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღ-
ვანელი ნიკა ვაჩეიძევილი ამტკიცებს, რომ არსებული,
არქიტექტორ ივანე გრემელაშვილის მიერ მომზადებუ-
ლი, პროექტი, საპატრიარქოსთან შეთანხმებული იყო და
იუნესკოს წინასწარი შეფასებები სიმართლეს არ შეესა-
ბამება, ხოლო ცალკეული ცვლილებები თავად იუნეს-
კოს მოთხოვნით განხორციელდა. თუმცა იუნესკოს
მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის წინასწარ დასკ-
ვნაში მკაფიოდ არის მითითებული, რომ ბაგრატის ტა-
ძარი იმდენად შეიცვალა, „ის ვეღარ აკმაყოფილებს იმ
კრიტერიუმებს, რომელთა გამოც შეტანილი იქნა დაცუ-
ლი ძეგლების ნუსხაში“.

ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებებს
თუ დავუჯერებთ, გამოდის, რომ საპატრიარქო და

იუნესკო სრულიად უმიზებოდ გამწყრალან, ხოლო პატრიარქი ცრუობს, როდესაც ბრძანებს, რომ „მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული და ისტორიული ძეგლის — ბაგრატის ტაძრის რესტავრაცია მიმდინარეობს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებული პროექტის უხეში დარღვევით“.

ერთი შეხედვით, ხელისუფლებასა და საპატრიარქოს შორის იდეალური ურთიერთობაა, თუმცა მთელ რიგ საკითხებში არსებული უთანხმოება უკვე აშკარა ხდება. ფაქტია, რომ ბოლო დროს ხელისუფლება საპატრიარქოს აზრს არც ერთ რელიგიურ საკითხთან დაკავშირებით არ ითვალისწინებს. ამის დასადასტურებლად ახლო წარსულში ქვეყანაში რელიგიური კონფესიების-თვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭება, ბუდა ბარისა და კაზინოს მშენებლობა, დავით გარეჯის ირგვლივ მიმდინარე მოვლენები თუ მეჩეთების აშენების გადაწყვეტილება გამოდგება...

პატრიარქის ბრძანებაში კიდევ ერთი საყურადღებო დეტალია გაცხადებული: ილია მეორე ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტს ავალებს, დაუყოვნებლივ აცნობოს სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ, ხოლო ბრძანების შესრულებაზე ზოგადი კონტროლის განხორციელებას კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსს, გარდაპნისა და მარტყოფის ეპისკოპოს იაკობს ავალებს (და არა მეუფე კალისტრატეს), თუმცა რატომ გახდა პრეზიდენტის მოტრფიალე მეუფისთვის იმის შესენება საჭირო, რომ პატრიარქი ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოების საქმის კურსში უნდა ყოფილიყო, უცნობია.

„ეს უნდა იცოდეს ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა კალისტრატემაც და ბაგრატის ტაძარში უნდა შენყდეს სარესტავრაციო სამუშაოები, ვიდრე არ იქ-

ნება გარკვეული ყოველი დეტალი. არ უნდა მოხდეს ისე, რომ ბაგრატის ტაძარი იუნესკოს უმრავლებიდან იქნას ამოღებული. იმედია, ყველაფერი კარგად დამ-თავრდება და ჩვენ მივიღებთ ისეთ ტაძარს, როგორიც ჩვენთვისაა საჭირო. „ბოროტსა სძლია კეთილმან, არ-სება მისი გრძელია“, სიკეთე ყოველთვის იმარჯვებს ბოროტებაზე და მადლობა უფალს ამ დიდი წყალობის-თვის“, — ბრძანებს უწმინდესი.

ექსპერტების განცხადებით, სრულიად განსხვავებუ-ლია და ივანე გრემელაშვილის პროექტს არ ემთხვევა ტაძრის დასავლეთი ნაწილი, რომელშიც რკინის დიდი კოლონები განთავსდება და მინით შეიმოსება. ორ სარ-თულს კი ერთმანეთთან კიბე და ლიფტი დააკავშირებს.

საპატრიარქოს წარმომადგენლები პრობლემის მთა-ვარ მიზეზად რესტავრაციის პროცესში მოულოდნელად განხორციელებულ ცვლილებებსა და ტაძრის რეაბილი-ტაციის დაჩქარებულ ტემპსაც ასახელებენ. ხელისუფ-ლების სულსწრაფობა «გეგმის გადაჭარბებით შესრუ-ლების» საკითხი საიდუმლო აღარავისთვისაა, ბაგრა-ტის ტაძრის რესტავრაცია 2009 წელს დაიწყო და მისი საზეიმო გახსნა 2012 წლის შემოდგომაზე, არჩევნებამ-დე, იყო დაგეგმილი. თუმცა, საინტერესოა, ვინ და რა-ტომ შეცვალა უკვე გამზადებული და საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებული პრო-ექტი, რატომ ჩაერთნენ მოულოდნელად მუშაობის პრო-ცესში უცხოელი სპეციალისტები, მათ შორის იტალიე-ლი არქიტექტორი ანდრია ბრუნო, რომელსაც საპატრი-არქოსთან აღარ შეუთანხმებია რესტავრაციის პროცეს-ში განხორციელებული ცვლილებები, და რაში დასჭირ-და ხელისუფლებას თანამედროვე ელემენტებით გაწყო-ბილი ბაგრატის ტაძარი, რაც ძეგლს მხატვრულ-ისტო-რიულ ღირებულებას უკარგავს? საქმე გვაქვს გულგრი-ლობასთან თუ დანაშაულთან? ბაგრატის ტაძრის ირგ-

ვლივ მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით სასულიერო პირების მოსაზრება პატრიარქის განცხადების იდენტურია.

წმინდა სინოდის წევრი, ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტი მეუზე სერაფიმე ამბობს, რომ ბაგრატის ტაძრის აღდგენა აუცილებელია, მაგრამ მისი რესტავრაცია ტრადიციული სახითა და ყველა წესის დაცვით უნდა განხორციელდეს:

„ამ დღეებში ასეთი აზრიც მოვისმინე, თითქოს ბაგრატის ტაძრის რესტავრაცია საჭირო არ არის და ჯობდა, მისი კონსერვაცია მომხდარიყო, რაც არასწორია. ამ უნიკალურ ტაძარს ნანგრევებად ვერ ვაქცევთ, ჩვენი წინაპრები ამას არ გვასწავლიდნენ.

თუმცა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, როგორ ჩაუტარდება ტაძარს რესტავრაცია. არსებობდა სპეციალური პროექტი, რომელიც უნმინდესის კურთხევით უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, რესტავრაციის მიმდინარეობის პროცესში რაღაცები შეიცვალა. რა თქმა უნდა, არც ერთი სასულიერო პირი არ დათანხმდება, რომ ბაგრატის ტაძარზე ლიფტი და-ამონტაჟონ და თანამედროვე შუშის ელემენტებით გააწყონ. ეს მიუღებელია და ამას უნმინდესი არასდროს დათანხმდება. სად გაგონილა ქართული ტაძარი შუშის კედლებითა და სახურავით? როგორ უნდა ვილოცოთ ასეთ განათებულ, ლიფტებიან ტაძარში? ეს არამართლმადიდებლური და არაეკლესიურია. ლიფტები, შუშები, ორლანი ამერიკის ეკლესიებისთვისაა დამახასიათებელი, სადაც გიტარა შეაქვთ და ცეკვავენ და მღერიან ეკლესიებში. მართლმადიდებლობისთვის ამგვარი რამ მიუღებელია და, ვისაც ამის სურვილი აქვს, ამერიკაში გაემგზავროს და იქაურ ეკლესიაში ჩართოს გიტარა და ლიფტებიც და ესკალატორებიც დაამონტაჟოს. ჩვენ კი ისეთ ტაძარში უნდა ვილოცოთ, როგორიც ქართულ გულს უხარია. ამის უფლება ნამდვილად გვაქვს.

მოვისმინე უწმინდესის განცხადება, რომელსაც ხალ-
ხი ელოდა, რადგან ბევრი იყო უკმაყოფილო საპატი-
არქოს ვითომდა რბილი პოზიციით, ზოგიერთები მას-
მედიის სხვადასხვა საშუალებაში რეკავდნენ და უკმა-
ყოფილებას გამოთქვამდნენ. მინდა აღვნიშნო, რომ ზო-
გიერთ ცოდვილი ქართველი, რომელმაც გუშინ ისწავ-
ლა პირჯვრის გადაწერა და დღეს ასე თამამად და კად-
ნიერად გამოთქვამს აზრს ჩვენს უწმინდესზე, გამოდის,
უფრო მეტად ზრუნავს ბაგრატის ტაძარზე, ვიდრე
უდიდესი პიროვნება, დიდი ქართველი, ჩვენი კათოლი-
კოს-პატრიარქი? მინდა, ვკითხო ამ ცოდვილ ქართვე-
ლებს: როდესაც უწმინდესმა თავისი მამობრივი ზრუნ-
ვითა და სიყვარულით მიმართა ასი ათასი მოწამის ხსე-
ნების დღეს ერს და საზოგადოებას სთხოვა, იქნებ კა-
ზინო და ბუდა ბარი არ აშენდეს რიყეზე, რატომ არ
შეასრულეს პატრიარქის თხოვნა, დღეს რომ ასე კად-
ნიერად იცავენ ბაგრატის ტაძარს? ეს ჩემთვის ძალიან
საწყენია. რადგან თურმე არიან ისეთი ქართველები,
რომლებსაც შეუძლიათ გაბედონ და ძალიან კადნიე-
რად განიკითხონ ეკლესია და მით უმეტეს ერის მამა,
რომელიც უკვე შესულია საქართველოს ისტორიაში,
როგორც ერის აღმშენებელი.

ერთი რამ ცხადია, ბაგრატის ტაძრის თანამედროვე
ელემენტებით რესტავრაცია ღვთისა და ისტორიის წი-
ნაშე არასწორია. მე პატივს ვცემ ნიკა ვაჩეიშვილს,
ჩვენ ერთად ვსწავლობდით არქიტექტურულ ფაკულ-
ტეტზე და დარწმუნებული ვარ, მას მართლა გული
შესტკივა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებზე
და აუჩქარებლად და სრული კანონიკის დაცვით აღდ-
გება ბაგრატის ტაძარი, რადგან, როცა საქმე ტაძარს
ეხება, სიჩქარე არ შეიძლება. სჯობს, ათი წელიწადი
დასჭირდეს ტაძრის რესტავრაციას, ვიდრე ასეთი სა-
ხით აღვადგინოთ.“

ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამ-

ძღვარ მამა გიორგის (რაზმაძე) აზრით, ლიფტების მიშენება და თანამედროვე ელემენტების ჩართვა მართლმადიდებლურ ტაძარში მიუღებელია:

„რადგან პატრიარქს ასეთი რეაქცია ჰქონდა, როგორც ჩანს, რესტავრაციის პროცესში სერიოზული დარღვევები იყო, ვინაიდან აქამდე მსგავსი ბრძანება პატრიარქს არ გაუცია და ხელისუფლებისადმი მის მიმართვებს ყოველთვის თხოვნის ფორმა ჰქონდა.

ლიფტების მიშენებითა და თანამედროვე ელემენტების ჩართვით, როგორც ჩანს, სურდათ, ბაგრატის ტაძარი ვატიკანში არსებული პეტრეს ტაძრისთვის მიემსგავსებიათ, სადაც ლიფტები, ხოლო გუმბათში ტუალეტებია მოწყობილი. რათა შემდეგ მოეყვანათ ტურისტები, ლიფტში ჩაესვათ და ასე დაეთვალიერებინებიათ ქუთაისი, ალბათ, ამისთვის სურდათ ამ ყველაფრის გაკეთება, თორემ სხვა მიზეზს ვერ ვხედავ. ეს ყველაფრი ტურისტებზე იყო გათვლილი და არა სულიერი მიზნებისთვის, რაც, რა თქმა უნდა, მიუღებელია ეკლესიისთვის.

ვისაც ასეთი დამოკიდებულება აქვს ეკლესიის მიმართ, ის საღ აზრს არის მოკლებული.“

წმინდა მარინეს ეკლესიის წინამძღვრის, დეკანზ მამა დავითის (ისაკაძე) განცხადებით, ეკლესიისთვის ასეთი დამოკიდებულება შეურაცხმყოფელია:

„პატრიარქმა გააკეთა განცხადება, რომელიც მთელმა საქართველომ მოისმინა. ეს არის ეკლესიის ძალიან დიდი შეურაცხყოფა და ასევე კანონის დარღვევა. რადგან, მოგეხსენებათ, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გაფორმებული კონკორდატის თანახმად, არსებობს კონსტიტუციური პროცედურები, რომლის საფუძველზეც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, საპატრიარქოსთან შეუთანხმებლად ხელისუფლება ეკლესიის საკითხებში ჩაერიოს. ეს რაც შეეხება კანონმდებლობას, მაგრამ ამას გარდა, სულიერ სფეროსაც შე-

ეხნენ უკვე და სურთ, ტაძარი გასართობ დაწესებულებად აქციონ, რაც მთლიანად ჩვენი ისტორიისა და ერის შეურაცხყოფაა.

დღესდღეობით, პატრიარქის ბრძანების შემდეგ, სამუშაოები შეჩერებულია და, რამდენადაც ვიცი, საპატრიარქოს სამეცნიერო ცენტრსა და ნიკა ვაჩეიშვილს შორის მიმღინარეობს აზრთა გაცვლა-გამოცვლა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საპატრიარქოს ძალიან მკაცრი პოზიცია აქვს“.

რაზე შეთანხმდებიან ხელისუფლება და საპატრიარქო და დარჩება თუ არა იუნესკოს მსოფლიო კულტურის საგანძურთა სიაში ბაგრატის ტაძარი, საზოგადოება, სავარაუდოდ, იუნესკოს კომიტეტის სხდომის შემდეგ შეიტყობს, რომელიც 24 ივნისს პეტერბურგში გაიმართება და მასში ქართული დელეგაციაც მიიღებს მონაწილეობას.



„ისტორიული ტექსტებისადმისა“ ©

თავი ეხუთა

**საქართველოს საკათოისტიკოსის
ხეროთმოძღვრების,
ხელმისაწვდომობრივისა
და რესტავრაციის
ცენტრის სამაცნიერო საბჭოს
ხელგაზრდასაცემი,
ნოინე სიცოდის ცენტრი, აგენტურა
აღმართისა და მთავრობის
დავითი (მასარაძე)**

გეთაცემასა დასავლეთის გვლავის ახალი პროექტის თაობაზე საკატრისარქოსა და კულტურის სამინისტროს მოწინააღმდეგობის პროცესში

გავრცელებულმა ინფორმაციამ ბაგრატის ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოების არასწორი მიმდინარების შესახებ საზოგადოებისა და საპატრიიარქოს აღშეფოთება გამოიწვია. რატომ არ იყო საქართველოს საპატრიიარქო საქმის კურსში ბაგრატის ტაძრის დასავლეთი ნაწილში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების თაობაზე და რაზე შეთანხმდნენ ხელისუფლებისა და საპატრიიარქოს წარმომადგენლები, „საქართველო და მსოფლიოს“ საქართველოს საპატრიიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელი, წმინდა სინოდის წევრი, აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე) ესაუბრება.

— მეუფე დავით, მას შემდეგ, რაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ, შესაძლოა, ბაგრატის ტაძარი მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხიდან ამოიღონ და რაც პატრიიარქმა სარეაბილიტაციო სამუშაოების შეჩერების შესახებ შესაბამისი ბრძანება გასცა, თქვენ შეხვდით კულტურის მინისტრ ნიკა რურუასა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელ ნიკა ვაჩეიშვილს. თუ მიაღწიეთ გარკვეულ შეთანხმებას?

— მოგეხსენებათ, პატრიარქმა ბრძანება გასცა, ბაგრატის ტაძრის დასავლეთის მელავის სარეაბილიტაციო სამუშაოების დროებით შეჩერების შესახებ, ვიდრე საბოლოოდ არ მოხდება კულტურის სამინისტროსა და საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების ცენტრის საბჭოს წევრების ორმხრივი შეთანხმება კონკრეტულ ვერსიაზე, თუ როგორ უნდა გაგრძელდეს ტაძრის დასავლეთი მელავის რესტავრაცია.

ამის შემდეგ დაიწყო ორმხრივი მოლაპარაკებები საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის სამეცნიერო საბჭოსა და საქართველოს კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებს შორის. კულტურის მინისტრი პირადად მოვიდა საპატრიარქოში პატრიარქთან. შეხვედრაზე ჩვენმოსაზრება გამოვთქვით ტაძრის დასავლეთ მელავში მიმდინარე სამუშაოების არამართებულობაზე და განვიხილეთ ახალი წინადადება. მათი მხრიდან პროექტის გასამართლებლად ითქვა, რომ თავად იუნესკოს შემოთავაზების შემდეგ მოხდა უცხოელი სპეციალისტის ჩართვა პროექტის დამუშავების პროცესში, რაც ბაგრატის ტაძრის მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხიდან ამოღების საშიშროებას შეამცირებდა.

მუშა ჯაფუფი გააგრძელებს მსჯელობას და გარკვეული პერიოდის განმავლობაში შემუშავდება ახალი ვერსია, თუ როგორ უნდა გაგრძელდეს ბაგრატის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასავლეთ მელავში.

— იყო თუ არა იტალიელი არქიტექტორის, ანდრეა ბრუნოს, პროექტი საპატრიარქოსთან შეთანხმებული?

— ჩვენ ვიცოდით, რომ პროექტში ჩაერთო იტალიელი არქიტექტორი, მაგრამ დასავლეთის მელავის ნაწილის ახალი ვერსიის არსებობის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ შევიტყვეთ, რაც, ამ პროექტის მიხედვით, სა-

რეაბილიტაციონ სამუშაოები დაიწყო. ასე რომ, აღნიშნული პროექტი ჩვენთან შეთანხმებული არ ყოფილა.

ჩვენ შეთანხმებული ვიყავით ან განსვენებული ივანე გრემელაშვილის მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც, როგორც საპატრიარქოს, ისე კულტურის სამინისტროს კომისიის წევრებმა მოიწონეს და დაამტკიცეს. ამ პროექტის მიხედვით დაიწყო კიდევ სარეაბილიტაციო სამუშაოები, მაგრამ შემდეგ ნაწილი ამ პროექტისა შეიცვალა.

— რა მოხდა, რატომ შეიცვალა უკვე გამზადებული პროექტი, გაირკვა თუ არა, ვის ინტერესებში შედიოდა აღნიშნული ცვლილებები?

— ფაქტი ერთია: თუ ორ მხარეს უნდა შეეთანხმებია პროექტი და ერთი მხარე აღმოჩნდა მოლაპარაკების გარეთ, გამოდის, რომ ეს შეთანხმებული ვერსია მეორე მხარემ დაარღვია. თვითნებობად ჩავუთვლით ამას, გულმავინყობად თუ გულგრილობად, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ფაქტია, რომ შეთანხმება დასავლეთის მკლავის ახალი პროექტის თაობაზე ორ მხარეს (საპატრიარქოსა და სამინისტროს) შორის არ მომხდარა. საპატრიარქო საქმის კურსში არ იყო.

როდესაც დაიწყო ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ორგანიზაცია «იკომოსის» ადგილობრივმა წარმომადგენლებმა პრეტენზია გამოთქვეს ტაძრის მშენებლობის მიმდინარეობის თაობაზე და განაცხადეს, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოებში უხეში ჩარევა მოხდა და არსებული ნანგრევი კედლების გამაგრება რკინა-ბეტონის გამოყენებით მიმდინარეობს, რაც ყოვლად მიუღებელია.

მართალია, საყვედურობდნენ საპატრიარქოს, თუ რატომ არ მოხდა თანაფარდი მასალით ტაძრის აღდგენა, მაგრამ ამ საკითხზე კონსტრუქტორების დასკვნა იყო, რომ მხოლოდ კირ-დუღაბით, წლების განმავლობაში შესუსტებულ ტაძრის ძველ საძირკველზე შეუძ-

ლებელი იქნებოდა ბაგრატის ტაძრის სრული აღდგენა. მიმდინარეობდა მსჯელობა, თუ როგორ უნდა გაგრძელებულიყო მშენებლობა, რათა არქეოლოგიური ფენების გადარჩენა მოგვეხერხებია. ლენტური საძირკვლების შემთხვევაში არქეოლოგია დაზიანდებოდა. სწორედ ამიტომ გადაწყდა ტაძრის წერტილოვანი გამაგრებები, რაზეც მოხდებოდა ტაძრის სიმძიმისა და კონსტრუქციული მდგრადობის დაბჯენა. იმიტომ ითქვა უარი ლენტურ საძირკველზე, რომ ტაძრის არქეოლოგია შენარჩუნებულიყო. ამან გამოიწვია უზარმაზარი კოლონების ჯერ დემონტაჟი, შემდეგ საინჟინრო სამუშაოების ჩატარება. ეს ყველაფერი აუცილებელი იყო მომავალში ტაძრის კონსტრუქციული სიმყარის შესანარჩუნებლად.

„იკომისის“ წარმომადგენლებმა თავად გაუგზავნეს საპროტესტო წერილი იუნესკოს და შეატყობინეს, რომ ბაგრატის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოები ვერ აკმაყოფილებს იუნესკოს მოთხოვნებს. იუნესკოდან ჩამოვიდნენ ექსპერტები და, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მათ ივანე გრემელაშვილის პროექტი მოინონეს, რადგან აღნიშნული პროექტი მართლაც ათწლეულების მუხლჩაუხრელი შრომის შედეგი იყო და ტაძრის მთელ ტერიტორიაზე გაფანტული ბაგრატის ტაძრის კუთვნილი ძველი ქვების მოძიებას და თავის ადგილზე მეტ-ნაკლები სიზუსტით დაბრუნებას ისახავდა მიზნად. ასე რომ, ის აზრი, თითქოს ტაძრის სრული აღდგენა ანადგურებს წარსულს, გულუბრყვილობა და სიცრუეა.

— შეიძლება თუ არა, ითქვას, რომ ამ დროისთვის მიღწეულია საბოლოო შეთანხმება საპატრიარქოსა და კულტურის სამინისტროს შორის და როგორ გაგრძელდება სარეაბილიტაციო სამუშაოები?

— დასავლეთის მკლავის რეაბილიტაციის პროექტზე საბოლოო შეთანხმება ჯერ არ არის მიღწეული. რაც

შეეხება ლიფტის საკითხს, რამაც გამოიწვია აუიოტა-
ჟი, ეს მხოლოდ ერთი უზუსტობაა. პრობლემა ლიფტი
არ ყოფილა. საუბარი იყო ტაძრის კედლების შუშით მო-
პირკეთებაზე, რაც მთავარ პრობლემას ქმნიდა, რად-
გან დარღვეული იყო თავად ტაძრის ინტერიერის
მოწყობის ფორმა. ჩვენ ასეთი წინადაღება შევთავაზეთ
კულტურის სამინისტროს — რადგან იუნესკოს მო-
თხოვნა იყო ახალი მასალის გამოყენება (წინააღმდეგ
შემთხვევაში ძეგლი გაირიცხებოდა სიიდან), ჩვენ
ვთანხმდებით ამ ახალი მასალის გამოყენებაზე, თუ ამ
მასალით აღდგება ტაძრის დასავლეთ მკლავში ძველი
მხატვრული სახე, რომელიც ორმხრივად მოწონებულ
სარესტავრაციო პროექტში იგულისხმებოდა. თუმცა
უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ
ტრადიციულ, ქვით აღდგენის ვერსიას.

კულტურის სამინისტროში იტალიელმა არქიტექ-
ტორმა წარმოადგინა საკუთარი პროექტის ახალი ვერ-
სია და შევთანხმდით, რომ ლიფტი აღარ დამონტაჟდე-
ბა და მეორე სართულზე შუშის იატაკი აღარ იქნებო-
და. ტაძრის დასავლეთ მკლავის არქიტექტორი ანდრეა
ბრუნო გაგებით შეხვდა ეკლესიის მოთხოვნას და მხა-
რი დაუჭირა ტაძრის დასავლეთ მკლავში შუშის ნაცვ-
ლად ისეთი მასალის გამოყენებას, რომელიც არ დაარ-
ღვევს ეკლესიის ინტერიერს, მაქსიმალურად მიმსგავ-
სებული იქნება ქვის ფაქტურასთან და შეძლებისდაგ-
ვარად აღადგენს ტაძრის შიდა სივრცეს. აღნიშნულის
გათვალისწინებით, მან რამდენიმე დღეში უნდა წარ-
მოადგინოს პროექტის ახალი ვარიანტი.

— კულტურის მინისტრ ნიკა რურუას განცხადებით,
აუიოტაჟი იუნესკოდან გამოგზავნილი საშუალო დო-
ნის სპეციალისტის დასკვნამ გამოიწვია. მაგრამ
თქვენმა საბჭომ ხომ პირადად წახა, რაც ხდებოდა
ბაგრატის ტაძრის ირგვლივ?

— კულტურის მინისტრი ვის გულისხმობს საშუალო

დონის სპეციალისტში, მე მიჭირს თქმა, მაგრამ იუნესკოს მხარეს გამოვზავნილი ჰყავდა ბერძენი წარმოშობის წარმომადგენელი, რომელიც ერთ-ერთ კვალიფიციურ სპეციალისტად ითვლება. რა კრიტერიუმებით შეაფასა კულტურის სამინისტრომ მავანი სპეციალისტის დონე, ჩვენ არ ვიცით.

— **რატომ დაავალა ბრძანების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსს — მეუფე იაკობს და არა ქუთათელ-გაენათელ ეპისკოპოსს — მეუფე კალისტრატეს?**

— ქუთათელ-გაენათელ ეპისკოპოს კალისტრატეს უნდა წარედგინა მიმდინარე სამუშაოების შესახებ პატრიარქისთვის მოკლე ანგარიში, მაგრამ მას თავად კი არ უნდა მოემზადებია იგი, არამედ ვალდებული იყო, მოეძებნა პირი — არქიტექტორი ან მშენებელი, რომელიც ამ ანგარიშებს წარადგენდა. სანამ ივანე გრემელაშვილი ცოცხალი იყო, ის პერიოდულად მოგვახსენებდა ხოლმე მიმდინარე სამუშაოების შესახებ.

კათოლიკოს-პატრიარქის ბრძანებაში წერია, რომ მეუფე კალისტრატეს დაევალოს პერიოდული ანგარიშის წარდგენა სამეცნიერო საბჭოს, ანუ ჩვენ წინაშე, ხოლო ზედამხედველობა ამ ანგარიშების მიტანაზე და არა მშენებლობაზე დაევალოს მეუფე იაკობს. ვინაიდან მეუფე იაკობი არის პატრიარქის ქორეპისკოპოსი, მას დაეკისრა ზოგადი პასუხისმგებლობა.

— **გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტაძრის პირვანდელი სახით რეაბილიტაციას სამუშაოების დაჩქარებულმა ტემპმაც ხელი შეუშალა.**

— საქმეს აჩქარება არ უყვარს. ისე რომ არ დაგვემართოს, „მოჩქარეს მოუგვიანდესო“, სჯობს, აჩქარების გარეშე შეჯერდეს პროექტი. ეს არის პატრიარქის მოთხოვნაც. დაიდოს მეტ-ნაკლებად სრული გეგმა და

ამის შემდეგ გაგრძელდეს სამუშაო ტაძრის დასავლეთის მკლავზე.

— მეუფე დავით, ამ დროისთვის გრძელდება თუ არა სამუშაოები ბაგრატის ტაძრის დანარჩენ ნაწილში? გავრცელდა ინფორმაცია, რომ სამუშაოები შეჩერდა მთელ ტაძარზე...

— ეს იყო მასმედიის მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია. პატრიარქის ბრძანებაში პირდაპირ წერია, რომ დასავლეთის მკლავის მშენებლობა შეჩერდეს დროებით, რადგან პროექტი არ არის შეთანხმებული. ეს გულისხმობს, რომ პატრიარქის ბრძანება არ ეხება ტაძრის აღმოსავლეთ, ჩრდილოეთ, სამხრეთ ნაწილს და გუმბათის მშენებლობას. საუბარია დასავლეთ ნაწილის სადაც საკითხზე, სადაც საბოლოო შეთანხმების მიღწევამდე, მშენებლობა არ გაგრძელდება.

„საქონლიული ტერიტორიული“ ©



თავი მემკვეთი

**ზუგდიდისა და საიმის
მიტროპოლიტი,
საკათარისარქოს საგარეო
საქათა გაცემის მიღების
თავმჯდომარე,
ნონი სიმონის წევრი,
ეკუთხა გარასიერი (ეკარაშენიძე)**

სელისუფლება რესეტში პატჩიაჩელ ვიზიტის თაობაზე იცვლიმიარებული იყო

არა არას დაფარულო...
არა

— მეუფე გერასიმე, თქვენ რუსეთში ვიზიტის დროს თან ახლდით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს. როგორ შეაფასებთ აღნიშნული ვიზიტის მნიშვნელობას, რამდენად აუცილებელი იყო ჩვენი ქვეყნისთვის პატრიარქის შეხვედრები რუსეთის უმაღლეს სასულიერო თუ საერო თანამდებობის პირებთან?

— მოგეხსენებათ, უწმინდესი მოსკოვში ბრძანდებოდა სრულიად რუსეთის პატრიარქის, კირილის მიწვევით, სადაც მან მიიღო მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებაში, რომელსაც ესწრებოდნენ სხვა ქვეყნების მღვდელმთავრებიდა დელეგაციების ხელმძღვანელები. წმინდა გიორგის სახელობის ქართულ ტაძარში საქართველოს პატრიარქმა პირველად აღავლინა წირვა-ლოცვა. ამას გარდა, ის შეხვდა რუსეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლებს, ქართველ დევნილებს. აღბათ, ვიზიტის მნიშვნელობა საზოგადოებამ უნდა შეაფასოს, მაგრამ, რადგან პატრიარქმა მიიღო ასეთი გადაწყვეტილება და მას ეკლესიამაც მხარი დაუჭირა, ვფიქრობ, ეს უკვე ნიშნავს, რომ აღნიშნული ვიზიტი აუცილებელი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ, მოგეხსენებათ, დღეს რუსეთთან არანაირი კავშირი არ არსებობს — არც პოლიტიკური, არც ეკონომიკური, არც კულტურული. შესაბამისად, პატრიარქს ჰქონდა საშუალება, გამოეხატა ჩვენი ქვეყნის პოზიცია. მან

შეახსენა რუსეთის პრეზიდენტს დევნილების დაბრუნების საკითხი და მედვედევმა განაცხადა, რომ დევნილები უნდა დაბრუნდნენ.

— **თქვენ როგორ გესახებათ აფხაზეთთან კავშირის აღდგენა და დევნილების დაბრუნების საკითხის მოგვარება?**

— ჩვენ ვცდილობთ, ეს კავშირი არ გაწყდეს, ვინაიდან აფხაზები ჩვენი სისხლი და ხორცი არიან, აფხაზეთი და სამაჩაბლო ჩვენი განუყოფელი ნაწილია. საქართველო არასდროს შეეგუება, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო მისი ნაწილი არ იყოს და საქართველოს ეკლესია, რუსეთში იქნება ეს, საბერძნეთში თუ სხვა ქვეყნებში, ყველგან ეცდება, დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია.

მართალია, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიას დროებით ვერ აკონტროლებს საქართველო, მაგრამ მსოფლიოს ყველა მართლმადიდებლური ეკლესია აფხაზეთსა და სამაჩაბლოს საქართველოს ეპარქიის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს და ვფიქრობ, აღნიშნული ტერიტორიების საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებაც მოხდება. ვინაიდან კარგად ვხედავთ, რომ მსოფლიოს არც ერთი წამყვანი ქვეყანა არ სცნობს მათ დამოუკიდებლობას.

— **უნმინდესი რუსეთში ამჯერად ახალი ტიტულატურით — ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის რანგში იმყოფებოდა. რუსი მღვდელმთავრები, რომლებიც აქამდე არ აღიარებდნენ მის ახალ ტიტულატურას, როგორ შეხვდნენ პატრიარქს?**

— ასე არ ყოფილა. როდესაც ღვთისმშობლის ტაძრის საძირკვლის კურთხევა მიმდინარეობდა, საქართველოში იმყოფებოდა მთავარეპისკოპოსი თეოგნოსტი, რომელმაც უნმინდესი სრული ტიტულით მოიხსენია.

— **პატრიარქის რუსეთში ვიზიტს საქართველოში საზოგადოების გარკვეული ნაწილის მხრიდან საკმაოდ უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა. ზოგიერთები საპ-**

როტესტო აქციის გამართვასაც აპირებდნენ, ასევე ოზურგეთში ტაძრის ეზოში პატრიარქის საწინააღმდეგო პლაკატები გაჩნდა. რას უნდა მივაწეროთ ეს ფაქტები, იქნებ საზოგადოებას არ ჰქონდა შესაბამისი ინფორმაცია ვიზიტის მნიშვნელობის შესახებ?

— არ ვიცი, ვერ გეტყვით, პატრიარქის ვიზიტის შესახებ, როგორც ხელისუფლებისთვის, ისე საზოგადოებისთვის წინასწარ ცნობილი იყო. როდესაც პატრიარქი ქვეყნის გარეთ ასეთ მნიშვნელოვან ღონისძიებებზე დასასწრებად მიემგზავრება, როგორც საპატრიიარქოს, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლებსაც ის ყოველთვის საქმის კურსში აყენებს. უნდა წასულიყო თუ არა პატრიარქი, ეს არ იყო მხოლოდ ერთი ადამიანის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პატრიარქი პასუხისმგებლობას მხოლოდ საკუთარ თავზე ვერ აიღებს.

— ანუ ეს ვიზიტი ხელისუფლებასთან შეთანხმებული იყო?

— შეთანხმებული არა, უფრო სწორი ფორმულირება იქნება თუ ვიტყვით, რომ ხელისუფლება რუსეთში პატრიარქის ვიზიტის თაობაზე ინფორმირებული იყო. ქვეყნის პატრიარქს არ სჭირდება შეთანხმება, სად წავიდეს. ხელისუფლებამ ამ ვიზიტის შესახებ იცოდა და, თუ ხედავდა, რომ არ იყო მიზანშეწონილი პატრიარქის გამგზავრება, მაშინ, რა თქმა უნდა, ეს უნდა ეთქვა.

— რატომ გააკეთა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განცხადება, რომ უჭირთ პატრიარქის ვიზიტის შეფასება, თუკი ხელისუფლება თანახმა იყო, პატრიარქი რუსეთში გამგზავრებულიყო?

— ნამდვილად არ ვიცი, ეს, ალბათ, მათ უნდა ჰქითხოთ, რატომ მოხდა ასე. როდესაც მიბრძანდება პატრიარქი, არ არის ვალდებული, სახელმწიფოსგან გამოითხოვოს ნებართვა. რაც მთავარია, ხელისუფლებას

ინფორმაცია ყოველთვის აქვს, თუ სად მიემგზავრება პატრიარქი. ეს არ ეხება მხოლოდ რუსეთში ვიზიტს, ნებისმიერ ქვეყანაში გამგზავრებისას ასეა.

— მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, რუსეთის ეკლესია ჯვაროსნულ ომს აწარმოებს საქართველოს წინააღმდეგ. როგორ შეხვდნენ რუსი მღვდელმთავრები ქართველ სასულიერო პირებს?

— საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი არა მხოლოდ რუსეთში, არამედ მთელ მსოფლიოში გამორჩეული ავტორიტეტით სარგებლობს. როდესაც მართლმადიდებლურ ეკლესიაში მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა მიმდინარეობს, პატრიარქის აზრს ყოველთვის დიდ პატივს სცემენ და ითვალისწინებენ. ასევე მოხდა, მაგალითად, როდესაც საკითხი შეეხო მსოფლიოში დიდი კრების მოწვევას. როცა საქართველოს პატრიარქის შეხედულებებით დაინტერესდნენ, მან ბრძანა, რომ, სანამ ყველა საკითხი შესწავლილი არ იქნება, ამ კრების მოწვევა არ შეიძლებაო და სხვა ქვეყნის პატრიარქებიც დაეთანხმნენ, ვინაიდან აღნიშნული კრება მართლმადიდებლური ეკლესიის ავტორიტეტის ასამაღლებლად უნდა მოვიწყიოთ და არა პირიქით... ჩვენს პატრიარქს ყველგან გამორჩეული პატივისცემით ხვდებიან.

— მეუფე გერასიმე, თქვენ მსოფლიო საეკლესიო კრება ასხენეთ. ზოგიერთი სასულიერო პირი საქართველოში ახალი საეკლესიო კრების მოწვევის საჭიროების შესახებაც საუბრობს, რომელიც ახალ რუსურბნისის კრებად უნდა იქცეს. თუ განიხილება ეს საკითხი საპატრიარქოში?

— ამგვარი კრებები გარკვეული დროის განმავლობაში მზადდებოდა. ჯერ უნდა დამუშავდეს განსახილველი საკითხები. რუის-ურბნისის კრების შემდეგ რამდენიმე საუკუნე გავიდა და ათეულობით წლები შეიძლება დასჭირდეს განსახილველი საკითხების მომზა-

დებას. მაგალითად, მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, 1968 წლიდან მზადდება. ის საკითხები, რომელებიც წლების წინ აქტუალური იყო, დღეს აღარ არის მნიშვნელოვანი, ახლა წინა პლანზე, ბუნებრივია, სხვა საკითხები წამოიწია. ამიტომ განსახილველი თემები აქტუალური უნდა იყოს იმ დროისთვის, როცა კრება ჩატარდება.

საქართველოში ჯერჯერობით ამგვარი კრების მზადების პროცესი არ მიმდინარეობს, თუმცა გარკვეულ საკითხებს, რომელიც ქვეყანაში მოსახლეობისთვის აქტუალურია, საქართველოს ეკლესია განიხილავს. მაგალითად, ახლახან წმინდა სინოდის სხდომაზე, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, სინოდმა ახალი, ე. წ. ჩიპიანი პასპორტების (ID ბარათების) შესახებაც იმსჯელა, ვინაიდან ეს საკითხი მოსახლეობას აწუხებს, და გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ კიდევ ერთხელ შეისწავლის ამ საკითხს და საბოლოოდ მიღებულ გადაწყვეტილებას საზოგადოებას გააცნობს.

აქ ორი საკითხი უნდა იყოს მნიშვნელოვანი. პირველი — რამდენად ემუქრება საშიშროება ჩვენს სარწმუნოებას, ვინაიდან, ზოგიერთები ბრძანებენ, რომ ეს არის ანტიქრისტეს ნიშანი და მეორე — საკითხი უნდა განვიხილოთ ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით: შეიძლება ვიღაცებს არ სურდეთ ამ პასპორტის აღება და ამგვარ შემთხვევაში, აღბათ, სახელმწიფომ მათ რაიმე ალტერნატივა უნდა შესთავაზოს.

— მეუფე გერასიმე, როგორია პირადად თქვენი მოსაზრება ახალ პასპორტებთან დაკავშირებით?

— ბოდიშს მოგიხდით, მაგრამ, სანამ წმინდა სინოდი გადაწყვეტილებას არ გამოიტანს, ჩემი მოსაზრების გამოთქმისგან ჯერჯერობით თავს შევიკავებ, თუმცა ერთს ვიტყვი: ვფიქრობ, საშიშროება გაზვიადებულია.

— წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით ამოქმედდა

სასულიერო პირთა ზნეობრივი ნორმების დარღვევა-
თა შემსწავლელი კომისია. თუ განიხილა უკვე კომი-
სიამ რომელიმე სასულიერო პირის საქმე და რამ გა-
მოიწვია ასეთი კომისიის შექმნის აუცილებლობა, ეს
ნიშნავს თუ არა გარკვეულწილად იმის აღიარებას,
რომ ულირსი სასულიერო პირები ეკლესიის წიაღშიც
არიან?

— აღნიშნული კომისია განიხილავს სასულიერო პირ-
თა მოქმედებას. კომისია უკვე მუშაობს და რამდენიმე
საკითხიც განიხილა, მიიღეს გადაწყვეტილება სასუ-
ლიერო პირთა ქმედებასთან და კავშირებით, მაგრამ ეს
საჯარო არ არის.

— **საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა არსე-
ბობს:** უნდა გამოცხადდეს თუ არა მართლმადიდებ-
ლობა სახელმწიფო რელიგიად. თქვენ რას ფიქრობთ
ამის თაობაზე?

— მე ასე გავცემდი პასუხს ამ კითხვას: მას შემდეგ,
რაც მეცე მირიანის დროს მართლმადიდებლობა საქარ-
თველოს სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, ეს არა-
ვის არ შეუცვლია და სანინააღმდეგო აქტი არ მიუღია,
რომ მართლმადიდებლობა აღარ ყოფილყო სახელმწი-
ფო რელიგია. რამდენად არის დღეს ამის აუცილებლო-
ბა, რომ მართლმადიდებლობა ოფიციალურად სახელმ-
წიფო რელიგიად გამოცხადდეს, სხვა საკითხია. ჩვენ
ვფიქრობთ, რომ ამის აუცილებლობა არ არის, ვინაიდან
ის ურთიერთობა, რომელიც დღეს სახელმწიფოსა და ეკ-
ლესიას შორის არსებობს, ორივე მხრიდან ურთიერთბა-
ტივისცემაზეა დამყარებული და არც ერთი არ ერევა მე-
ორის საქმიანობაში. ეს არის, აღბათ, ურთიერთობის
იდეალური ფორმა. მოგეხსენებათ, კომუნისტების
დროს არსებობდა ე. წ. რელიგიის საბჭოს მსგავსი ორ-
განიზაცია, რომელიც განიხილავდა სასულიერო პირე-
ბის დანიშვნის საკითხებს, მიმდინარეობდა მათი ზნეობ-
რივი საქციელის განხილვა და ის აქტიურად ერეოდა

ეკლესიის საქმიანობაში. დღეს ასე აღარ არის, ეკლესია თავად იღებს გადაწყვეტილებებს და სახელმწიფო და ეკლესია არ ერვენიან ერთმანეთის საქმიანობაში. რა თქმა უნდა, იმ პროცესებზე, რაც ქვეყანაში მიმდინარეობს, ეკლესიაც ზრუნავს და ფიქრობს, ისევე, როგორც სახელმწიფო.

— გავრცელებული ინფორმაციით, თქვენ მხარი დაუჭირეთ რელიგიური გაერთიანებებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების შესახებ პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს, რასაც საკმაოდ დიდი ვნებათალელვა მოჰყვა ქვეყანაში. თავიდან საპატრიარქო ამ კანონის წინააღმდეგი იყო, რა მოხდა შემდეგ, რატომ შეიცვალა თქვენი გადაწყვეტილება და იყო თუ არა აზრთა სხვადასხვაობა თავად სინოდის წევრებს შორის?

— არც ერთმა ადამიანმა არ იცის, ვინ მისცა ამ კანონს წმინდა სინოდის წევრებიდან ხმა. აზრთა სხვადასხვაობა შეიძლება ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით იყოს, მაგრამ საკითხის გადაწყვეტა ხდება კენჭისყრით და სინოდმა გამოხატა თავისი დამოკიდებულება და ერთიანი პოზიცია ამ კანონპროექტთან დაკავშირებით. სინოდის პოზიცია იყო ერთსულოვანი, მაგრამ, სამწუხაროდ, წარმოჩინდა ისე, თითქოს ზოგიერთი მომხრე, ზოგიერთი კი წინააღმდეგი იყო, რაც, სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ასე არ ყოფილა. არ მინდა ვინმეს დავაბრალო, მაგრამ ეს იყო უურნალისტების მიერ გაზვიადებული თემა. ფაქტი იყო, რომ ეკლესიას არაფრის შეცვლა აღარ შეეძლო, რამეთუ კანონპროექტი პარლამენტის მიერ უკვე მიღებული და პრეზიდენტის მიერ მოწოდებული იყო. საპატრიარქო ვერაფერს შეცვლიდა. მოწვეული გვყავდა იურისტები, ვიმსჯელეთ და სინოდმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

— საპატრიარქო თავიდან წინააღმდეგი გახლდათ.

ხომ არ იყო მისი აზრის შეცვლის მიზეზი ის ფაქტიც, რომ სინოდის სხდომაზე ხელისუფლების მაღალწინოსნებიც მივიღნენ?

— სინოდის სხდომა დახურულია და გამორიცხულია, მას, სინოდის წევრის გარდა, გარეშე პირი დაესწროს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოწვეული შეიძლება იყოს პირი გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით.

— თქვენ ჯვარი დასწერეთ ანა და დავით ბაგრატიონებს. საქართველოს ეკლესია მონარქიული წყობილების აღდგენის მომხრეა, თუმცა მონარქიას ჰყავს მოწინააღმდეგები სერიოზული არგუმენტებით. გაამართლებს ჩვენს ქვეყანაში მონარქია, რის შეცვლას შეძლებს მეფე?

— როდესაც პატრიარქმა ამის შესახებ ბრძანა, მას არ უთქვამს, რომ ქვეყანაში ხვალვე უნდა აღდგეს მონარქიაო. ჯერ საზოგადოება უნდა მომზადდეს ამისთვის, მოინახოს პიროვნება, ვინც შეძლებს მეფობას. პატრიარქს არ უთქვამს, რომ მაინც და მაინც ეს ადამიანები იქნებოდნენ მეფე და დედოფალი. უბრალოდ, ეს იყო იდეალური ვარიანტი, გამომდინარე ევროპული ქვეყნების გამოცდილებიდან, თუ როგორ აბალანსებს სამეფო დინასტია ქვეყანაში ფორმირებულ ურთიერთობებს ეკლესიას, სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის.

რა თქმა უნდა, ამის განხორციელებას გარკვეული დრო დასჭირდება, რათა საზოგადოება ამისთვის მოემზადოს. ასევე, მოგეხსენებათ, თავად ბაგრატიონებს შორისაც აზრთა სხვადასხვაობაა, თუ რომელი შტო წარმოადგენს პირდაპირ მონარქიულ დინასტიას, ვინ არის ტახტის მემკვიდრე. ასე რომ, პატრიარქმა მხოლოდ გაახმოვანა ეს იდეა.

— თქვენ წლების წინ ხელმძღვანელობდით საპატ-რიარქოს საფინანსო-ეკონომიკურ საბჭოს. დღეს

ბევრს საუბრობენ სასულიერო პირთა ძვირფასეულობის შესახებ და ზოგიერთები ამის გამო სასულიერო პირებს მწვავედ აკრიტიკებენ. თქვენ, როგორც კომპეტენტური პირი, რას ფიქრობთ ყოველივე ამის შესახებ? რამდენად მართებულია, სასულიერო პირს ჰქონდეს ძვირფასეულობა?

— ძალიან დიდი ხნის წინ ვებლმძღვანელობდი მე ამ საბჭოს. ეკლესიას არაფერი აქვს დასამალი, ჩვენი საქმიანობა გამჭვირვალეა. ის ფაქტი, რომ რომელიღაც სასულიერო პირს მანქანა ჰყავს, ბუნებრივია, რადგან მანქანა გადაადგილების ჩვეულებრივი საშუალებაა. თუმცა, რა თქმა უნდა, სასულიერო პირმა ძვირადლირებული ავტომობილით არ უნდა იაროს, ვინაიდან ეს უკვე ფუფუნების საგანია და სასულიერო პირს, მისი შემოსავლიდან გამომდინარე, რეალურად მისი შეძენის საშუალება არ აქვს. მაგრამ, თუ მას ჩუქნიან ძვირფას საჩქარს, უკვე კონკრეტულ სასულიერო პირზეა დამოკიდებული: მიიღებს თუ არა შესანირავს და ივლის თუ არა ძვირფასი მანქანით.

გავრცელებული თემაა და ბევრს საუბრობენ, მაგალითად, იმაზე, რომ ხელისუფლებამ საპატრიარქოს აჩუქა მანქანები, მაგრამ ეს იყო სახელმწიფოს მიერ გამოჩენილი კეთილი ნება. ამ საკითხზე პატრიარქთან ერთად იმსჯელეს სასულიერო პირებმა და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება — მიეღოთ ხელისუფლების საჩქარი, ოღონდ ან ყველა სასულიერო პირი მიიღებდა მას, ან არც ერთი.

— **და ბოლოს, 2011 წელი იწურება. რას ეტყვით ჩვენი გაზეთის მკითხველებს, რით იყო ეს წელი სულიერი თვალსაზრისით გამორჩეული?**

— სულიერი თვალსაზრისით ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა ხდება ჩვენ ირგვლივ. მაგალითად, წლის მიწურულს, 25 დეკემბერს, მოხდა ახალი ღვთისმშობლის ხატის — “საქართველოს იმედის” კურთხევა. ხატი ქართ-

ველი ხალხის მიერ შემონირული თანხებით დაიწერა და ჩვენი დიდი მაღლიერების გამომხატველია ღვთისმშობლის მიმართ.

მინდა, ყველას მივულოცო შობა-ახალი წელი და ბედნიერება, ჯანმრთელობა ვუსურვო საქართველოს. დედა ღვთისმშობელი იყოს ჩვენი ქვეყნის მფარველი. დაე, ღმერთმა გაამთლიანოს საქართველო.



„საჭიროებული მუშავდებულება“ ©

თავი გეზვიძე

**ნინო სახელი საკათედრო
ტაძრის გლოვალესახერი,
დაქანოზი გამა პეტრე
(კვარაცხელი)**

საკლასო კრება აუზილებლად უდეა მოვინვირთ და «ქვაბავაზაქი» დედაეკლასიდან განვდევოთ!

— მამა პეტრე, თქვენ თქვენი ცხოვრების ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი გაატარეთ ბოლნისის ეპარქიაში, სადაც ქართული მოსახლეობის სიმცირის გამო ქართულ სულს, ქართულ სიტყვას უჭირს და ტკივილი, რომელიც ახლა გალაპარაკებთ, თქვენთვის ახლობელია, ორგანულია. ჩვენი წინაპრების დაშვებულ შეცდომებს ახლა ვიმკით ბოლნისში და არა მხოლოდ იქ. თქვენ პროფესიით ისტორიკოსი ხართ და უპრიანიც არის დღევანდელი რეალობის არა მხოლოდ სულიერ, არამედ ისტორიულ ჭრილში განხილვაც. თქვენ წელან აღნიშნეთ, ერმა თავისი ნამდვილი, და არა დამახინჯებული, ისტორია უნდა იცოდეს, სავალალო შედეგამდე რომ არ მივიდეს (ალბათ, ამიტომაც ცდილობენ ისტორიის შელამაზება-გადაკეთებას!).

— წმინდა ილია მართალი ბრძანებს: „ყოველი ერის გათახსირება მაშინ იცყება, როდესაც იგი თავის ისტორიას ივიცყებს“. თუმცა შეიძლება ჩვენი ერის ისტორია არ დავივიწყოთ, მაგრამ დამახინჯებულად გვახსოვდეს ან სულაც, გარკვეული მიზნით, არასწორად გვასწავლიდნენ. ეს კიდევ მეორე უკიდურესობაა, რამაც ძალიან სავალალო შედეგებამდე შეიძლება მიიყვანოს ერი. ჩვენ შეულამაზებელი, ნამდვილი ისტო-

რია უნდა ვიცოდეთ, იმის მიუხედავად, როგორი მტკიცნეულიც უნდა იყოს იგი. მე დღეს სიმართლე პოლომდე მინდა ვთქვა, რაც არა მხოლოდ მე, არამედ თითქმის მთელს ერს ანუხებს და სტკივა... დღეს უმძიმესი ჟამი დგას ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ის, რაც დღეს ხდება, ნამდვილად არ დაწყებულა რამდენიმე წლის წინ, გუშინ თუ გუშინნინ. ამას საფუძველი ჩაეყარა მას შემდეგ, რაც (ეს არის ჩემი სუბიექტური აზრი) ქართველი ერი გამოცხადდა საზეპურო ერად, რაც დედა ღვთისმშობელმა მიირქვა იგი, ისევე, როგორც ჩვილი მაცხოვარი და დედა ღვთისმშობლის მადლითა და უშრეტი უკვდავებით იკვებებოდა ჟამითი ჟამად და ასე იქნება ყოველთვის, განა იმიტომ, რომ ეს ჩვენ გვინდა, არამედ იმიტომ, რომ ეს არის ღვთის ნება და ჩვენ ამ ნებას ვერასოდეს შევენინალმდეგებით. გაჩნდა შური, გაჩნდა ბოლმა ჩვენი ერის მიმართ და ეს შური იქიდან წამოვიდა, საიდანაც ყველაზე მეტად ადვილი შესაძლებელი იყო, რომ წამოსულიყო. ძალიან ბევრია სათქმელი და ძალიან ძნელია ამ ყველაფრის ერთად თავმოყრა, მაგრამ მაინც უნდა ვთქვათ ან, ყოველ შემთხვევაში, შევეცადოთ მაინც, რისი თქმაც აუცილებელია. ის, რომ სომები გუნებით მოღალა-თე და მზაკვარია, ამის შესახებ ჩემი სიჭყვებით არ მინდა ვთქვა — მა მინდა მოვიზვებიო ცხინ-და გრიგოლი ღვთისმეული: „და მერე იქმნა ესევითარცა, რამეთუ ვითარც არს ნათესა-ვი იგი სომეთა, არა ნოველი, არამედ მზაკვა-რი და გულარძილი და ბოროტი, მიმსგავსებუ-ლი კლდეთა მათ, რომელი დაფარულ არიან ზღვასა შინა და ვერ იხილავთ მათ მენავენი, ვიდრე არა სცენ ნავი და განთეხონ, ესრეთ სხვა-ზე იმტყვიან იგინი და სხვაც უდს გულისა და სიც-რიცობები მათ თანა არა არს. და რაი საკვირველ არს, უცემუ კაცსა იცრუენით, ვინაითგან თავა-დისა ღვთისა მიმართ სრულ არიან და მზაკვარ

და პოროფად აღმსაარებელი”, ანუ პოროფი აღმ-სარებლებით. ეს ძალიან გულსატკენია, როდესაც ჩვენ ასე ერზე ვსაუბრობთ, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას. სიმართლეს შელამაზება არ სჭირდება, იმიტომ, რომ უფრო მეტად დამახინჯდება და უფრო მეტად დავზა-რალდებით და უფრო მეტად დავასხამთ მათ წისქვილ-ზე წყალს. **აძამდე ვცდილობდით, რომ ამაზე ასე-თი ყურადღება არ გაგვეგასვილებინა, მაგრამ სომხეთის ცინააღმდეგ „ომი“ — ეს ეპოთველი ერის სურვილის საცინააღმდეგოდ გახდა მისი როგანული ნაცილი, რაც, აღგათ, არასოდეს დას-რულდება, ვიდრე მეორედ მოსვლამდე.** მაგრამ მთავარი ის კი არ არის, რომ ჩვენ სომხეთთან „ომს“ ვა-ნარმოებთ არა ჩვენი ნებით, არამედ მათი ნებით, მთა-ვარი ის არის, რომ ამ „ომში“ **ჩვენ არ უნდა დავმარ-ცხდეთ არა როგორც ერი, არამედ როგორც მარ-თლმადიდებლობის დამცველი ერი, იმიტომ,** რომ ჩვენ უფალი ამაზე პასუხს მოგვთხოვს, მით უფრო, რომ მონოფიზიტობა, რომლის მიმ-დევრებიც სომხები არიან — ეს არის დამახინ-ჯერულად მოწოდებული ცლუ სარცხუნოება, ანუ ფსევდო-სარცხუნოება და სომხებია ძალი-ან კარგად იციან, რომ ცდებიან, მაგრამ მაინც აღიარებენ, რადგან ასე სჭირდება მსოფლიო პოლიტიკას, რაც მიზნად ისახავს გლობალიზა-ციასა და ინტეგრაციას.

ეს ყველაფერი წამოიწყო სასანიდურმა ირანმა ჯერ კი-დევ მეხუთე საუკუნეში, მაშინ, როდესაც მან გადაწყვი-ტა ამიერკავკასიის სამი ძირითადი სახელმწიფოს დაპყ-რობა, დამონება და დამორჩილება, მაგრამ იგი ვერა-ფერს გახდა, რამეთუ ამიერკავკასიის წამყვანი სახელ-მწიფო იყო ქართლი, რომელსაც წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალმა ანდერძად დაუტოვა: „ეძიებდეთ ქრისტეს-თვის სიკვდილსა!“. აქედან გამომდინარე, იგი კარგად

მიხვდა, რომ ქართლთან ვერც ხმლით და ვერც მუქარით ვერაფერს გახდებოდა, ამიტომ შორსგამიზნულად გადაწყვიტა, ქართველების წინააღმდეგ იდეოლოგიური ომი ენარმოებინა. ამისათვის, როგორც უდიდესი წმინდანი, გრიგოლ დვითისმეტყველი აღნიშნავს, „მზაკვარი“ სომხები გამოიყენა. მართლაც დაიწყო ბრძოლა ქართლისთვის, ქართლმა კი — ბრძოლა სარწმუნოებისთვის! სომხეთი ამ დროს „დამოუკიდებლობას“ ინარჩუნებდა. **როგორ შეიძლება ერთა დამოუკიდებლობა შეინარჩუნო, როცა თვითმყოფადობას კარგავ, როცა საკუთარ თავზე აგბობ უარს, როცა სარწმუნოებას ღალატობ. იმის გამო, რომ ირანთან ფეხმორთხეული მჯდარიყო, ძართლს დაუკიდის-აირდა, სომხეთის ერთსთვის მხეოლოდ ერთგუნებრიობა აღიარა და ამისკენ მოუწოდა აღმოსავლეთ საქართველოს და შემდეგ უკვე მთელს ამი-ერკავკასიას.** მოხდა რა? მოხდა ის, რომ დაიწყო ძალიან დიდი, ძლიერი რელიგიური შუღლი, თუმცა იმაზეც უნდა ვისაუბროთ, რომ ქართველებსა და სომხებს შორის დაპირისპირება არ ყოფილა ამ ორი თანამოძმეერის ინტერესი, ამაში ყოველთვის იღებდა მონაწილეობას მესამე მხარე და ეს მესამე მხარე ამ შემთხვევაში ირანი გახლდათ. ბუნებრივია, მას ჰქონდა საყრდენი ქართლშიც გამყიდველების სახით, მაგრამ ეს საყრდენი შეიძლებოდა მას გამოცლოდა, თუმცა მან ერისა და ქვეყნის გამყიდველები კარგად გამოიყენა ქართლის წინააღმდეგ და ისევ სომხების წინააღმდეგაც, მაგრამ ამას, სამწუხაროდ, სომხები ვერ ხვდებოდნენ. **მოხდა ისე, რომ მოსე, სომხეთა ეპისკოპოსი, რომელსაც საეპისკოპოსო კათედრა ცურთავში ჰქონდა, დაუკიდისაირდა ძართლის კათალიკოს კირიონს.** ჩვენ ვიცით მათი მიმოწერის შესახებ მეშვიდე საუკუნეში, რასაც ეპისტოლარული ნაშრომები ევია.

ცურტავის საეპისკოპოსო, რომელიც, თავის მხრივ, იტევდა ორ დიდ სამწყსოს — ქართულსაც და სომხურ-საც, ყოველთვის იდგა მოწოდების სიმაღლეზე (მაშინ სომხები მართლმადიდებლები იყვნენ) და ერთ-ერთი ძლიერი იყო, რამეთუ სწორედ ის იყო ჩვენთვის სამხრეთის კარიბჭე, საიდანაც მტერი საქართველოში და მის გულში ადვილად ვერ შემოაღწევდა და სწორედ ეს სამხრეთის კარიბჭე ჩამოგვიხსნა ირანმა სომხების მეშვეობით და ამით ადვილად დაეპატრონა არა მხოლოდ ჩვენს ტერიტორიას, არამედ პირველ რიგში — ჩვენს იდეოლოგიას და ეს იდეოლოგია ჩვენთვის იყო ქართველობა, როგორც წმინდა ილია მართალი აღნიშნავს, რელიგიაში გადაზრდილი. **ჩვენ არ ვიცით, სად მთავრდება მართლებიდებლობა და სად იცყება ჩართველობა — ეს არის ჩვენთვის ერთი განუყოფელი მთლიანობა.**

დაინწყო ბრძოლა სარწმუნოებისათვის, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ქართულ-სომხური ურთიერთობა მაშინ მოწოდების სიმაღლეზე იყო და ამ ყველაფრის თავი და თავი წარმოშობით სომხეთი წმინდა შუშანიკი ბრძანდებოდა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ცურტავის ეპარქიაში სწორედ მან შემოიღო ორენოვანი მსახურება, მაგრამ აქ კიდევ ერთხელ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ სომხები მაშინ მართლმადიდებლები იყვნენ. ამ ორენოვანი მსახურებით ორივე (ქართველი და სომხეთი) ერთობლივი ლოცვით ადიდებდა უფალს. **ამაზე ლამაზის სანახაობა, ალბათ, არა-ფერი იძნებოდა!** ეს იყო ჩართველი და სომხეთი მოქაე ერების ერთიანობის სიმარტოც, თუმცა VI-VII საუკუნეების მიჯნა ალტერნატივის წინაშე აყენებს ერისთიანული აღმოსავლეთის ქვეყნებს, ძალაკედონიერობის აღიარება პიზარობის იმპერიაზე კურსის აღებას ნიშნავს, მონოფიზიტობა — საარსეთის ქვეშევრდომო-

ბის აღიარებას. მალე მესამე ძალაც — ისლამი ჩაერევა საქმეში, ასეთ ვითარებში სწორი საგარეო და საშინაო პოლიტიკა დიდ როლს ითამაშებს ქვეყნის შემდგომ ბედზე — აღმოსავლეთის ქრისტიან ქვეყნებს შორის ერთადერთია ქართლი, რომელიც ბიზანტიის მხარეზე გადაჭრით დგას, სწორედ მაშინ, როცა სპარსების უპირატესობა სავსებით ამკარაა. VII საუკუნის დამდეგს აღებული კურსი — ქალკედონური მრწამისის ქვეყნის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადება და ამ გეზის განუხრელი გატარება საშუალებას აძლევს ქართლს, ძლიერების ზენიტში თავი ბიზანტიის პოლიტიკურ-იდეოლოგიურ მემკვიდრედ გამოაცხადოს. V საუკუნის მეორე ნახევარში დაწყებული ბრძოლა დიონიზიტობასა და მონოფიზიტობას მორის 608 წელს (ქალკედონის კრეპაზე) ამიერკავკასიაში დიდი საეკლესიო განხეთებილებით დამთავრდა, რაც ყველაზე მეტად შეეხო ქვემო ეპისტოლას, სადაც სომხებიც სახლობდნენ. უკვე მონოფიზიტ სომხებს იძიდა უნდა ეპრძოლათ დანარჩენი საქართველოსათვის, რათა თავიანთი ცრუ რელიგია — მონოფიზიტობა მათთვისაც მოეხვიათ. მოხდა ქალიან დიდი დაპირისპირება — სომხეთის პატრიარქი აპრაამი სომხედ მოსას, სომხები ურთაველი ეპისკოპისის, მევეობით ცდილობდა ქართლისა და ქართლის მაჟინდელი კათალიკოსის, კირიონის წინააღმდეგ ბრძოლას და იქ მონოფიზიტობის დამკავიდრებას. ამისთვის იყო შემოგზავნილი მოსე ეპისკოპოსი, რომელიც უკვე ამკარად გადადიოდა შეტევაზე, ცდილობდა, რომ მონოფიზიტურ სარმაზულოებაზე მოეცდია არა მხოლოდ სომხები (მაშინ, როცა ის სომხებიც მართლებადიდებლები იყვნენ), არამედ ეპისტოლებიც კი. მაგრამ სომხეთის ეს მზაკვრული პოლიტიკა

**მაშინ კრახით დამთავრდა, რაღაც იმ დროს
ჩვენი ეპლესია მოცოდების სიმაღლეზე დადგა.**

როცა თანამედროვეობაზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია ვიყოთ გულწრფელნი, თუ პარალელს წარსულთან არ გავავლებთ და ისეთ დიად წარსულთან, როგორიც არის VII-VIII-IX საუკუნეების საქართველოს ისტორია, რამეთუ სწორედ იქიდან იწყება აშკარა დაპირისპირება სომხეთსა და საქართველოს შორის.

— მამა პეტრე, მოდი დავაკონკრეტოთ — სომხებსა და ქართველებს შორის დაპირისპირება, გნებავთ მტრობა, სომხების მიერ მონოფიზიტობის აღიარებით, ანუ მათ მიერ მართლმადიდებლობის უარყოფით დაინტერესონ? მერე როგორ განვითარდა მოვლენები?

— დიახ, როგორც კი დამორდა სომხეთი მართლებიდიდებების, იგი დაუაირისპირდა საქართველოს; მალე ეს რელიგიური უთანხმოება აშკარა პოლიტიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

დღეს, როცა ჩავანდი ფიქრობენ, როგორ შეიძლება სასულიერო პირი იყოს პოლიტიზებული, მე მხოლოდ იმას ვეთყვი — ხომ ხედავთ, რომ რელიგია ცალკე რჩგანიზმი არ არის, რელიგია არის სახელმწიფოში და, თუ ჩვენ რელიგია, როგორც იდეოლოგია, სახელმწიფოსთვის, სახელმწიფოსთვის მოცყობისთვის, მისი ფეხი დაყენებისთვის არ გამოვიყენოთ, მაშინ თარგმატებას ვერასოდეს მივაღწევთ. სარჩევნოება მხოლოდ ის კი არაა, დავდგეთ ეს ცირკა-ლოცვა ჩავატაროთ ან მოვისმინოთ! მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანას უჭირდა, ათონის ივერთა მონასტერი მიატოვა ბერად შემდგარმა თორნიერე ერისთავება, ისევ აპჯარი აისხა და საბრძოლველად გაემართა. ქვეყანას უჭირდა მაშინაც, როდესაც კირიონ ეპართლის კათალი-

კოსმა იდეოლოგიური, რელიგიური პრძოლა დაუცემო სოხებთა კათალიკოსს — აპრაამს. აპრაამის ნინააღმდეგ ეს პრძოლა კირიონს არ გაუართავს სომხების მიმართ შურის, ანგარების ან სიძულვილის გამო. იგი ჰევარიტ რცხვენას, ანუ ქვეყანას მტკიცებ იცავდა. არა მეონია, ეს რომელიმე სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში სომხეთის, მიმართ წარმოებული მტრობის პოლიტიკა იყოს! როცა თავს გესხმიან და სარწმუნოების წართმევას გიპირებენ, თავი უნდა დაიცვა ერმა! კირიონ კათალიკოსმა გააკეთა ის, რისთვისაც იგი ქრისტესგან იყო მოწოდებული, რასაც ნებისმიერი კათალიკოს-პატრიარქი გააკეთებდა ასეთ დროს. ამითომ მე ღრმად მნამს და მჯერა, რომ დღეს გულანთებული ეართველი, რომელიც მხოლოდ კათოლიკების იმედად არის, დედამიწაზე პატრიარქის აჩრდილს აღევნებული, ელოდება მის გონიერ გადაცევატილებას. მე ღრმად მნამს, ჩვენი პატრიარქი სწორებ ასე მოიცევა, რამეთუ იგი კირიონის შთამომავალია და იმას, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ხდება, ბოლო მოეღება.

ის კანონი რელიგიური კონცესიების შესახებ, რომელიც საქართველოს პარლამენტმა ეკლესიასთან შეთანხმების გარეშე ასე დაჩინარებული ცასით მიიღო, საუკუნის შეცდომაა, დანაშაულია, ღალატია და ამისთვის მომავალი თაობა პასუხს აუცილებლად მოგვთხვის (თუ კიდევ დარჩა ეართველი). ეს არ არის მხოლოდ აფხაზებთის, სამაჩაბლოს, ტაო-კლარჯეთის, ჰერეთის ტრაგედია, ეს უფრო მეტია, ხალხი! დღეს ჩვენ უნდა ვაღიაროთ და გულწრფელად ვთქვათ, რომ დღეს, ფაქტობრივად, არა ტერორისტისას, არამედ სარცხულოებას გვართმევან და გვართმევან თბილისში, იქ, საღაც ამდენი

სასულიერო პირი ვდგავართ. რისთვის ვდგავართ? სადარიან მესაზღვრებერები? სადარიან დიდი თუ პატარა იერარქები?

როდესაც XIV საუკუნეში თემურ-ლენგმა საქართველოში რვაგზის ილაშქრა, მას ჰქონდა მხოლოდ ერთადერთი მიზანი — დაემარცხებინა და პირისაგან მიწისა აღეგავა მართლმადიდებლობა. იმ დროს ჩვენ ძალიან ბევრი წმინდანი გვყავს — გავიხსენოთ ქვათახევის ისტორია, ბირთვისის ციხე, ხუთასი ბოლნელის ისტორია. მაგრამ ზოგიერთმა ვაიპილიტიკოსმა გიორგი VII-ს პოლიტიკა უარყოფითად შეაფასა, რამეთუ მის დროს ქვეყანამ ძალიან დიდი ზარალი განიცადა. შეიძლება ქვეყანამ ტერიტორიულად მართლაც ძალიან დიდი ზარალი განიცადა, ამას მოჰყენა ისეთი ტერმინები, როგორიცაა „ნასახლარი, ნასოფლარი“, „ნაქალაქარი“, მაგრამ რომ არა გიორგი VII, ქართველი ერი მართლმადიდებლობას ვერ შეინარჩუნებდა. **როდესაც 1403 წელს უკანასკნელი ხელშეპრულება გაფორმდა საქართველოსა და თემურ-ლევანს შორის, თემურ-ლევანმა ეართველი ერი მართლმადიდებლად აღიარა!** ეს იყო ამ პრემოლაში ეართველებისა და მისი მეცნიერების უდიდესი გამარჯვება. თვით პირსისხლიანობა თემურ-ლევანმაც კი, რომელიც ეართველი ერის ცინააღმდეგ არა მხოლოდ ტერიტორიის მისი დაყორცილებისთვის, მისი დაყორცილებისთვის, დამონებისა და დამორჩილებისთვის, არამედ იდეოლოგიურად იპრემოდა, საქართველოს სახელმწიფო რელიგიად მართლმადიდებლობა აღიარა!..

— მამაო, აგვიხსენით, სინამდვილეში რას წარმოადგენს პარლამენტის მიერ მიღებული ეს კანონი და გულწრფელად გვითხარით, ამ კანონის მიღებით, სომხებმა თექვსმეტსაუკუნოვანი იდეოლოგიური ბრძოლა „მოგვიგეს“?

— ამ ეტაპზე სომხებმა მოგვიგას. ფაქტია, რომ ხელისუფლებამ ეს კანონი სომხების საბ-მეგლად მიიღო! ჩვენ ამის აღიარება გვიშირს, არ გვიძეა. იცით, რა არის? მოდი ხმამაღლა ვთქვათ — ეს კანონი ისევ ჩვენს ქვეყანაში მი-იღეს, მაგრამ მიიღეს სომხური ლოგის ზეცო-ლით და მიიღეს ისევ ნახვრად თუ მთლიანად სომხებმა! ეს თაობა წავა, ეს ხელისუფლება გა-დაეგობა, მაგრამ ეს კანონი არ უნდა დარჩეს ქა-ლაში. და თუ ჩვენ ხმას კიდევ არ ამოვიღებთ, თუ ამასაც ისევ მვევგუებით, როგორც აუზაზე-თის, სამართლოს, ტაო-კლარჯეთის, პერეთის ტრაგედიას, მაშინ არ გაგვიცვირდეს, თუ ერთ დღეს სომხეთი მოგვადგა „პავლაპარაში“, სამეცნი-ე ეზოში და გვითხრა — ეს ჩიმი წინაპრების მი-ნაა, ძვალთშესანახია (ისედაც ამას ამპოვან სულ და სამეცნი ტაქარი გულზე ლოდად აცვე-ბათ) და თქვენს გვერდით ჩვენც ტაქარი უნდა ავაშეოთ, სამეცნი ეზოში ერთი სომხური ტა-ქარი აუცილებლად უნდა არსებობდეს! ეს აუცილებლად მოხდება! აგაში ეჭვი არ შეგვა-როთ და უფრო მეტიც — ის, რაც სააკაპვილება გააკეთა, მასზე მზაკვრული რა შეიძლება მოხდეს? მან გააკეთა არა იმიტომ, რომ გული ძალიან შესტკიო-და სომხებზე, არამედ იმიტომ, რომ ქართველ ერს დაა-ნახოს, რომ ეკლესიის მესვეურები არიან ლაჩრები! რომ ეკლესიის მესვეურები სააკაპვილისა და მისი მთავრო-ბის წინააღმდეგ ხმას ვერ ამოიღებენ. და ამის დემონს-ტრიორება დღეს უკვე მოხდა! რასთან გვაქვს საქმე? სა-აკაპვილება ძალთულ სამოციეულო ეკლესიას ავტორიტეტი ვერ აპატია და უნდა, ეს ავტორი-ტეტი ეპართველი ერის თვალში შეუგლალოს და მინასთან გაასწოროს! ის თავის თავს, მის თა-ნამედროვეებსა და ძველევრლომებს არასოდეს

კაპატივებს, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მასზე უფრო დიდი ავტორიტეტია! ეს ადამიანი აპსოლუტურად არაფრით განსხვავდება ტირანისაგან! ამ კანონთან შეგუება უკვე ძალიან დიდი შეცდომა, ძალიან დიდი დანაშაული იქნება! ამას, რა თქმა უნდა, მოჟყვება მასობრივი გამოსვლები, რაც სცორება იქიმთვენ არის მიმართული, რომ ეკლესიაში განხეთქილება მოხდეს — ერთი მხარე გავიდეს ქუჩაში და აქციები მოაწყოს, მეორე მხარე დაუცადოს კატრიარქს, როდის მიიღებს ლოცვა-კურთხევას, რომ მარე გავიდეს! ეს ყველაფერი შორს გამიზნული გოროფებაა! ის, რაც ვერ განახორციელა მოსა სომხეთა ეპისკოპოსება VII საუკუნეში, გავაკათათ ჩვენ XXI საუკუნის გარიზონზე, მაშინ, როდესაც დედამიწა, ყოველ შემთხვევაში ასე გმონია, რომ ჩაჭით არ არის დაფრული! ეს არის შორს გამიზნული პოლიტიკა! არ არის კათეტიკების დრო, ჩვენ სიმართლე უნდა ვიღებარაკაკოთ და არ უნდა შეგვევინდეს იმის, რა შეიძლება აგას მოჟყვეს!

სომხების კატრიარქი გარეგნი იყო ჩამოსული და თითქმის „დამარცხებული“ გაბრუნდა სომხეთში, მაგრამ მან თავისი „იუდას კუდი“ საქართველოში მაიცც მოიქნია და მისი ეს მოძიებული კუდი ასცლებულებს გადასცვდება! თუ ჩვენ დღეს მოწოდების სიმაღლეზე არ დავდებით, აღვიგვებით პირისაგან მიწისა და დაიცევება მართლაც განუკითხაობა, ანარქია და მოორეად მოსვლა იმაზე აღრე დადგება, ვიდრე ჩვენ გვგონია! მართალია, ეკლესიაში ძალიან ბევრი პრობლემა გვაქვს, ძალიან ბევრი ნაკლი აქვთ სასულიერო პირებს, მაგრამ საქართველო მაინც არის მართლმადიდებლობის კუნძული, საქართველოში მაინც ვი-

ნახავთ ქრისტეს სახელს, მაინც გვწამს, მაინც გვჯერა და მაინც გვქვია მორწმუნებები. **მე არა ერთხელ ვყოფილობარ ცხინძა მინაზე, მაცხოვრის აღდგომის ტაძარში შევსულობარ და გული მფარისა — ის-თორიულად იერუსალიმის ჯვრის მონასტრისა და მაცხოვრის აღდგომის ტაძრის გასაღები მემკვიდრეობით ერთველს ეკუთვნიდა! დღეს იქ ერთი ტაძარიც კი აღარ გვაქვს! ყველა დავკარგი! ცხინძა იაკოპის ტაძარი კი XVII საუკუნეში სომხეთში წაგვართვეს!**

კიდევ ერთხელ ვამპობ, თუ ჩვენ დღეს მიღებულ ამ კანონს შევეგუეთ, მაშინ უარესის ლირსი ვიქნებით, თუმცა ვფიქრობ — უარესი რა შეიძლება მოხდეს? ამაზე უარესი, უბრალოდ, ალარ არსებობს! ამაზე გაჩუმება არაფრით შეიძლება! წმინდა ილია მართალი ჯერ კიდევ XIX საუკუნის 90-იან წლებში წერდა „ქვათა ღალადში“, — **ყოველთვის ცდილობს, სომები ერი, რომ ეართველები დააკნინოს და ეართველების ჩაგვითით მან საკუთარი უკირატესობა დაამტკიცოს. უფრო მეტიც — ვინც კი ჩვენ ცხინძანი გვყავს, ვინც კი გამორჩეული მამულიგვილი გვყავს, მათი აზრით, ნარმობობით ყველა სომებია! მეტი რაღა უნდა მოხდეს! საერთაშორისო კონფერენციებზე სომხები დაბაჯითებით აცხადებან, რომ სვეტიცხოველი და ჯვარი სომხური წარმოშობისაა! მეტი რაღა შეიძლება წაგვართვან! მაგრამ აქ მხოლოდ სომხეთზე არ არის აქცენტი, მოძიე ესეც ვთქვათ და პოლოდე გულწრფელი ვიყოთ! მართალია, ასეთია მათი ჟუნება, მაგრამ ჩვენ ჩვენ რას ვაკეთებთ ამ დროს? თუ ის მე მიაყრობს, თუ ის ჩემ ცინააღმდეგ გამოდის, მჩაგრავს, გასდის და იმიტომ. ამ შემთხვევაში მე — ეკლესია, ანუ ოფიციალური მხარე, რას ვაკეთებ?** ურთიერთსაპირისპირო

აზრზე ვართ ქართველი ერი, თითქოს იმედიც დავკარგეთ და ერთმანეთთან გამუდმებით ვსვამთ კითხვას: „რა გავაკეთოთ? ვის მივყვეთ? რა გზას დავადგეთ, ვის მივენდოთ?“ „არსაიდან ხმა, არსით ძახილი!“, მაგრამ სალათას ძილს მიცემული ქართველი ერი, ასე თუ ისე, ილიას მკვლელობის დღეს გამოფხიზლდა! დღეს ილიას სიკვდილზე უფრო მეტი გვჭირს ქართველებს! მაშინ ილია მოკლეს, მაგრამ იდეა — ვერა; **კირიონ II** მოკლეს, მაგრამ მამულიშვილის გვირგვინი სამშობლოს სამსევერალოზე კიდიაო, დაგვიპარა მან. დღეს კი იმას გვართმევენ, რისთვისაც ილია და კირიონი მოკლეს! ესაა უგედურება! ამას ჩვენ არასოდეს არ უნდა შევეგუროთ. ილია მიმდევია, კირიონი მიმდევია, ამბროსი ხელაია მიმდევია, რომელმაც განუის კონფერენციას მიმართა — გული ჩემი ეკუთვნის სამშობლოს, სული — ღვერთს, მძორს კი, რაც გინდათ, ის უენით, ჯალათებო! და სწორედ რომ გული სამშობლოს ეკუთვნის და სული ლმერთს, იმ მიზანს გვართმევენ, რისთვისაც ჩვენ გავჩნდით დედამიწაზე!

...სულს გვართმევენ, რომ გვაქციონ უსიცოცხლო, „N“ და „X“ ადამიანებად.

ჩვენ დღეს პრძოლისთვის უნდა მოვემზადოთ — ეს არის იდეოლოგიური პრძოლა, ეს არის რელიგიური ომი! ამ კანონით მხოლოდ სომხეთის ეკლესია კი არა, ისლამიც მართლმადიდებლობას გაუთანაშრდა! პოლიციი, აზარა მეჩეთებით „დამვენდება“. ახალქალაძი და კუმურდოს ეპარქია სომხეთით გაივსება და თბილიშიც ისინი მოგვაძგებიან და რა დარჩება დასაცავი? აღარაფერი! ჩვენ დღეს თუ მშვიდად შევეგუროთ იმას, რასაც გვართმევენ, მაშინ ხვალ და ზეგ

უნდა შევეგუოთ იმას, რომ ჩვენს საკუთარ ქვეყანაში ვიქენებით უცხოობელები! და ამის პრეტენზია აქვთ სომხები! სომხები უკვე ხეა-მაღლა აცხადებენ, რომ ჩვენ ჩასეაბის შთამო-მავლები ვართ და ესპანეთში უნდა დავპრუნ-დეთ — ამას „მეცნიერულად“ ამტკიცებენ. და საქართველო არის მათი კუთვნილი ფერიტო-რია! ქალიან მაინტერესებს, ამ სახის ხელშეკ-რულებას ან სომხეთი, ან აზერბაიჯანი თუ მო-აწერდა ხელს?! პასუხი ერთია — არა!

მაშინ, როდესაც მე ბოლნისშიც კი თავისუფლად არ მაქვს იმის უფლება, რომ ელიას მთასთან ახლოს აღვ-მართო ჯვარი იმიტომ, რომ აზერბაიჯანელების რისხ-ვა არ დავიმსახურო, მაშინ, როცა სომხეთში ერთი ქარ-თული ტაძრის გახსნის უფლებასაც არ გვაძლევენ, რაც ჩვენია, იმასაც გვეცილებიან, როგორ შეიძლება, ჩემს ქვეყანაში ისლამის მიმდევრები, სომხეთის ეკლესია აქ-ციო საჯარო სამართლის იურიდიულ პირად? ამაზე მე-ტი უბედურება რაღა უნდა მოხდეს?!

— **აგვისენით, რა განსხვავებაა დიოფიზიტობასა და მონოფიზიტობას შორის, ანუ ჩვენსა და სომხების რწმენას შორის?**

— მონოფიზიტობა აღიარებს მხოლოდ ღვთაებრივ ბუნებას ქრისტესას, დიოფიზიტობა კი — ღვთაებრივ-საც და ადამიანურსაც, ანუ სინამდვილეში იმას, რითაც ბრძანდებოდა ჩვენთან მინაზე უფალი ჩვენი იესო ქრისტე. ქრისტე რომ მხოლოდ ღვთაებრივი ბუნებისა ყოფილიყო, დედამინაზე ადამიანთა შორის ვერ იქნებოდა, ადამიანურად ვერ გაიგებდა ადამიანის ტკივილ-სა და სიხარულს, და თუ ადამიანურად ადამიანის ტკი-ვილი ვერ გაიგე და თუ ადამიანის დაცემის ფასი არ იცი, მისი წამოდგომის ფასი ვერასოდეს გეცოდინება, ანუ, სომხების აზრით, გამოვდივართ ფარისევლები, რომ-ლებიც სარწმუნოებას ბრმად მივუყვებით.

...როდესაც ყოველწლიურად ძალიან ბევრი მომ-ლოცველი ჩადის მაცხოვრის ტაძარში, იქ მხოლოდ მართლმადიდებელ პატრიარქს აქვს უფლება, შევიდეს კუვუკლიაში და გამოაბრძანოს ღვთაებრივი ცეცხლი. სომხებს ყოველთვის ჰქონდათ იმის ამბიცია, რომ თვითონ შესულიყვნენ და გამოებრძანებინათ ღვთაებრივი ცეცხლი — შევიდნენ კუვუკლიაში და რა? ცეცხლმა გახეთქა და გადმოვიდა იმ სვეტიდან, რომელთანაც მართლმადიდებლები იდგნენ — ამის კლასიკური მა-გალიათია ის გახლეჩილი ლოდი! ამის მერე, ფაქტობ-რივად, სომხებს სათქმელი აღარაფერი აქვთ! მაგრამ ისინი მაინც ლაპარაკობენ და ლაპარაკობენ, იმიტომ, რომ გასდით! აღარ უნდა გაუვიდეთ ის, რასაც ამბობენ! ესე იგი ჩვენ არ ვართ მოწოდების სიმაღლეზე. ჩვენ სიმართლეს ვერ ვიცავთ და ისინი ტყუილს იცავენ, წარმოიდგინეთ, ისინი ტყუილებით გამოდიან მართალი და ჩვენ სიმართლით ვცდებით და იცით, რატომ? იმიტომ, რომ ამ სიმართლეს ვერ ვიცავთ და კარგი აპოლოგეტები და სარწმუნოების დამცველები არ ვართ. ქრისტეს დაცვა არ სჭირდება, ქრისტე მა-რადიულად მეფობს, უფალი მეფობს! მაგრამ ქრისტეს დაცვა ისევ ჩვენ გვჭირდება იმ დამოკიდებულებისათვის, რა დამოკიდებულებაც უნდა გვქონდეს ჭეშმარიტ უფალთან. უფალთან მისასვლელი გზა ზოგისთვის ფართოა, ზოგისთვის — ვიწრო ლაბირინთია, მაგრამ ის გზა ჩვენ უნდა აღმოვაჩინოთ. ქართველმა ერმა უფალთან თავისი მისასვლელი გზა აღმოაჩინა, ამ გზას გვედავებიან სომხები და ამაზეც ამბობენ — ჩვენი არისო, მაგრამ ეს ქართველებისაა, სულ რომ წაგვართვან ის გზა, ის მაინც ჩვენია, იმიტომ, რომ იმ გზაზე მხოლოდ ქართველი ერი გაივლის, სომები ვერასოდეს გაივლის და ეს გზა არის საქართველო! ეს გზა არის ქართველობა და სომებმა რაც გინდა იძახონ ქარ-თულ მიწაზე, რომ ეს ტერიტორია სომხური წარმო-

შობისააო, რაც თავისი თავად მცდარია და ამის ხმამაღლა გამეორებაც კი დიდი დანაშაულია, ქართველი ერი მაინც იარსებებს, როგორც საზეპურო ერი. და ეს არც სომხეთის გადასაწყვეტია და არც აზერბაიჯანის და არც გლობალიზაციის. ეს უფალთან წყდება. ამიტომ ის გზა, რომელიც ჩვენ ვიპოვეთ უფალთან მისასვლელი — ვრცელია თუ ფართოა, ვიწროა, მოკლეა თუ გრძელია, ეს ჩვენ მიერ არჩეული გზაა და ამ გზაზე ძალიან ბევრი მონამის სისხლი დაღვრილა, ამ მონამეთა სისხლით მივდივართ უფლამდე.

— მამაო, შოვინიზმში, ანტისომხურ პროპაგანდაში დაგვდებენ ბრალს. გარკვევით მინდა აგვიხსნათ — ჩვენ ახლა მონოფიზიტი სომხეთი გვებრძვის და არა ის სომხები, რომლებიც უფალს ქართველების მხარდამხარ ადიდებენ ერთადერთი ჭეშმარიტებით?

— არავის ეგონოს, რომ ეროვნულ სიძულვილზე ვსაუბრობდეთ. ჩვენ სომხებთან ტკივილი გვაერთიანებს. მე ის სომხეთი მტკივა, რომელიც სასანიდურმა ირანმა წამართვა, მე ის სომხეთი მტკივა, რომელიც ქართული ცის ქვეშ შუშანიკთან ერთად ლოცულობდა და ჭეშმარიტი რწმენით ადიდებდა უფალს. მე ის სომხეთი მტკივა, რომელიც ცურტავის საეპისკოპოსოში არსებობდა. ამაზე ამბობს სწორედ წმინდა ილია მართალი: „განა ჩვენთვის კი სანატრელია ასეთი დაქსაქსულობა სომხებისა? ღმერთმა მისცეთ ღონე და უნარი, ერთად მოიყარონ თავი იქ, საიდანაც აყრილან და აქა-იქ გაფანტულან. ხოლო ჩვენ ჩვენსას ნუ გვეცილებიან. ჩვენი სახელის გატეხვით ნუ ცდილობენ, თავიანთი სახელის კეთებას და შემკობას. ჩვენ ბევრი გვქონდა თუ ცოტა, შეგივრდომეთ, შემოგიხიზნეთ, გიძმეთ და შინ მტრად ნუ გვეკიდებით. მტერისა შინა ყოლასა, ლომისა ზედა წოლა სჯობიაო. ასე იტყოდნენ ძველნი ქართველნი, ასე ვამბობთ ჩვენც, ასევე იტყვის ყოველი გონიერი სომენი!... თუკი გონიერია სომენი!

ჩვენ ვცდილობთ, ყველასთან გვქონდეს მეგობრული დამოკიდებულება, მაგრამ როცა ეკლესიას ეხებიან, ამას ვერ მოვითმენთ, რადგან ეკლესია შეუვალია! პი-როვნული ჰუმანურობა და კაცთმოყვარეობა ეკლესიის დაცვაში არ გამოგვადგება იმიტომ, რომ ეკლესია სახელმწიფოზე მეტია! ნუ ვიქწებით დაბრმავებულები და ისიც ვთქვათ — მართლმადიდებლობას ნუ მივიჩნევთ მხოლოდ ქართველებისთვის მემკვიდრეობით გა-დაცემულ რელიგიად. მართლმადიდებლობა ისეთივეა სომებისთვის, არაბისთვის, როგორც ჩემთვის, მაგრამ თუ იმის პრეტრენზია და ამბიცია მაქვს, რომ ჩემი უფროა, მაშინ მე უფრო მეტად უნდა დავიცვა!

— მამაო, აუცილებლად მინდა გკითხოთ და ეს მხო-ლოდ ჩემი შეკითხვა არ არის: ის სამოცდაათი კაცი, პარლამენტარი, რომელთაც ერთხმად დაუჭირეს მხა-რი ამ კანონპროექტს, არიან თუ არა მოღალატეები?

— მე პირდაპირ და დაუზარავად გეტყვით: ეს სამოცდაათი ადამიანი, რომელებმაც ამ კანონს მოაწერას ხელი, იმ ფარისევლებისა და მნიშ-ნობრების შთამომავლები არიან, ვინც მაცხო-ვარი გააკრეს ჯვარზე! და მინდა მჯეროდეს, რომ ზოგიერთი მათგანი მაინც შეინახობს!

ჩინური შეგონება გვეუბნება — ეცადე, შენში შენზე ადრე სული არ მოკვდესო!. საუკუნეების განმავლობა-ში ქართული სული იყო დაჭრილი, მაგრამ ის არ მომკვდარა, ის ვერასოდეს წაგვართვეს, რადგან მყარად და მტკიცედ ვიცავდით, ვიცავდით, ვინ იცის, რის ფასად, მაგრამ დღეს ამას გვართმევენ და, როდესაც ამას წაგ-ვართმევენ, მერე ადვილად წაგვართმევენ ეროვნულო-ბას და სახელმწიფოებრიობას!

— მამა პეტრე, თქვენ თქვით, რომ ამ კანონით საა-კაშვილს ქართული ეკლესიის მასხრად აგდება და მი-სი „რეალური, ლაჩირული“ სახის ჩვენება უნდოდა ხალხისთვისო... მაგრამ სინოდის ასეთი პასიურობა

რას ნიშნავს? რატომ ჰქონდა სააკაშვილს იმედი, რომ სინოდი ხმას ვერ ამოიღებდა? რატომ მიიჩნევს, რომ სინოდის ზოგიერთი მღვდელმთავარი „ხელში ჰყავს“? ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ მათი წარმომავლობის იმედი აქვს, რომ ალარაფერი ვთქვათ ზოგიერთი მათგანის ცხოვრების წესზე, რასაც ადვილად წამოსძახებენ?

— ქვათა ღალადი რუსთაველის სიტყვებით იწყება: „ეგრე მტრისა არ მეშინის, რადგან ცხადად მაწყინარობს, მოყვარესა-მტრისა ვუფრთხი, მემოყვრება, მოცინარობს...“, **ანუ სომხებმა ციხე შიგნიდან გათეხეს!** ჩვენს ეკლესიაში და ეკლესიის მესვეურთა შორის ღმერთის არ ძნას (ყოველ შემთხვევაში, აქამდე მჯეროდა გულწრფელად და მინდა კვლავაც მჯეროდას, მაგრამ არ მინდა, ვიყო მიამიტი), გვეგულებოდეს მოსე, სომხები ეკისკომოსი. ეკლესია საქართველოში დღიდან დაარსებისა ერთიანია, განუყოფელია ისევე, როგორც მაცხოვის ხელთუძმნელი კვართი! ის არასოდეს დაიშლება! „ვა, რომელიც მშენებლებმა დაიცუნის, ქვაპუთხედად იქცა, ვინც ამ ძვაზე დაეცემა, დაიმსვრევა, ხოლო ვისაც ეს ევა დაეცემა — გასრესს!“.

ქრისტიანობა რწმენაა და არა რიტუალი. არ შეიძლება ერთი ხელით პირჯვარს იწერდე და მეორე ხელი მოყვასის ჯიბეში გქონდეს ჩაცურებული. არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს ქრისტიანიც იყო და კერძაყვანისმცემლობასაც ქადაგებდე. ვიდრე გულში სიძულვილი გვიდგას, მანამ ქრისტიანები ვერ ვიქნებით. არ შეიძლება ეკლესია გწამდეს, ღმერთი კი — არა! მე პირად საუბრებშიც მითქვამს თქვენთვის და არა მარტო თქვენთვის და ხმამაღლაც ვიტყვი — ამ ადამიანთა კატეგორიას ქრისტე გამოქვაბულში დაწერილი მითიური ზღაპრის გმირი, ლეგენდა ჰგონია და არ უნ-

და, ეს „ლეგენდა“ რეალობად იქცეს, იმიტომ, რომ, როდესაც ქრისტე რეალობად იქცევა, იქ აღმოჩნდებიან, ჯოჯოხეთის გეენაში, სადაც არის „ტირილი და კბილთა ღრმენა“.

— ანუ იქ, სადაც ეპისკოპოსების მხრებზე დგანან უბრალო ადამიანები, მათზე უფრო ნაკლებ ცოდვილნი?

— დიახ. და ამა ქვეყნის დიდებულნი ამას ვერ ეგუებიან, მაგრამ მე მინდა ვთქვა, რომ მოძღვრობა, ეპისკოპოსობა და სასულიერო პირობა არ არის პატივი და დიდება. უფალი გვეუბნება — იმისთვის მოვედი, რომ გემსახუროთ და არა მემსახუროთო! ჩვენ რას ვაკეთებთ? ვის ვემსახურებით? ჩვენ სასულიერო პირობა კარგი თანამდებობა გვვონია, მემკვიდრეობით მიღებული. იცით, რა? ხმას ის ვერ ამოიღებს, ვისაც არაფერი ეთქმის, ვისაც ეშინია ზურგს უკან მის მიერ ჩადენილი საქმეებისა, რომელთაც წინ დაულაგებენ ერთ მშვენიერ დღეს!..

— მთავრობა დაულაგებს ამ „მაკომპრომეტირებელ მასალებს“, მამაო? პიროვნულ ცოდვებში ამხელს სასულიერო პირებს?

— რა თქმა უნდა! ჩვენი ეკლესიის მესვეურებმა რაც გინდა ილაპარეონ ან თუნდაც ხმა საერთოდ არ ამოიღონ და დაღუმდენენ, ერთ ეპვენიერ დღეს ეს ხელისუფლება ყველას ნამოქმედარს მაინც სააგვარაოზე გამოიტანს, რათა საზოგადოებას დაანახოს, „ვინ ვინ არის!“ ამიტომ ჯობია, სიგართლე მაინც ითქვას! ჩვენ ისედაც ვიცით, ვინ ვინ არის, მაგრამ თვალს ვხუჭათ არა იმიტომ, რომ გვეპრალებიან, არამედ იმიტომ, რომ გამოსხირების შანსი მივცემ და ვიციქოროთ იმაზე, რომ ისინიც ადამიანები არიან და ადამიანურად შესცოდეს, მაგრამ ადამიანურად შეინახებენ! თუკი მათ ეს შეცდო-



„საჭიროული ტემაზე დღიურისა“ ©

მეუზე ეცრები და გამა პეტრი

მები დააკანონეს, ეს იქნება არა მარტო საკუთარი თავის, არამედ ქვეყნის, ერის ღალატი! ჩვენი უწმინდესის ღალატი! ადამიანის, რომელიც არის ჩვენს ქვეყანას შენირული ტარიგი! ადამიანი, რომელსაც არა ერთი ქვა და ტალახი ესროლეს, და არა მარტო ერმა, ბერმა უფრო მეტად! შეიძლება ვიღაც სასულიერო პირი არ დგას და უწმინდესს ქვებს არ ესვრის, მაგრამ მისი ცხოვრების წესი შეიძლება ქვის სროლაზე უარესი იყოს პატ-რიარქისთვის!

— რადგან თითოეული უღირსი სასულიერო პირის გამო ყოველთვის მას განიკითხავენ — რატომ არ განკვეთაო...

— დიახ, ასეა. რაც ჩვენ დღეს გვჭირს, მაპატიეთ, მაგრამ ეს არც სომხეთის და არც აზერბაიჯანის და არც სხვა ერის ბრალია! ეს, პირველ რიგში, ჩვენი ცოდვების ბრალია და ამ ყველაფერს ქრისტიანული თვალით უნდა შევხედოთ და თეოლოგიურად უნდა ავსესნათ, მით უფრო მოვლენა, რასაც სომხეთი ჰქვია! **იცით, ჩვენ**

რა გვჭირს? სომხეთი გვჭირს! ეს სომხეთი შეიჭრა ქრისტიანიზმის წიაღშიც და ეს კიდევ უფრო დიდი უგედურებაა! მაგრამ მინდა ისევ გავიხსენო შეუარვარი კირიონი, ქართლის კათალიკოსი, რომელიც VII საუკუნეში მიღებრად დახვდა სომხე მოსე ეპისკოპოსს და გააძევა საქართველოდან! ამით ქართველობა და მართლმადიდებლობა შევინარჩუნეთ! ეკლესია ქრისტეს სხეულია და მისი დაჯიჯვნის უფლებას არავის მისცემს ქართველი! დღეს მე იმედი მაქვს, რომ ჩვენ ერთიანად მოვიკრებთ ძალებს, ერთად დავდგებით იქ, სადაც ქარიშხალია, იქ, სადაც ასი ათასი მოწამის სისხლი დაღვრილა! იქ, სადაც ჩვენ სიონს გვედავებიან, იქ, სადაც სვეტიცხოველს გვედავებიან! რა გვინდა ხელისუფლებასთან? ხელისუფლება და სახელმწიფო პიროვნებები წარმოსდგებიან ერიდან, წარმოსდგებიან ჩვენი სულიერი-იდეოლოგიური მდგომარეობიდან! ჩვენ თუ სულიერად არ ვდავავართ მოწოდების სიმაღლეზე, ჩვენ თუ ეს გაგვიძედეს, იმიტომ, რომ ამის ღირსები ვართ! იმიტომ, რომ ჩვენ ვერ ვამხელთ, სწორად არ ვცხოვრობთ!

— მამაო, თქვენ ალნიშნეთ, რომ ეკლესია ყოველთვის ერთიანი იყო და ეს ყველაფერი მზაკვრულად განახორციელა სომხურმა მთავრობამ ეკლესიის გასახლეჩადო. ამას სხვა კუთხით შევხედოთ — როდემდე უნდა ვიყოთ სირაქლემის მდგომარეობაში? იცით, მე, როგორც ერთ რიგით ქართველს, ნაკლებად წარმომიდგენია, რომ 1103 წელს, როცა დავით აღმაშენებელმა რუსი-ურბნისის საეკლესიო კრება მოიწვია, ეკლესიაში ამაზე უარესი მდგომარეობა იყო! მაშინ შეიძლება სასულიერო პირთა უზნეობამ მწვერვალს მიაღწია, მძლავრობდა ზნედაცემულობა, ვერცხლის-მოყვარეობა, მაგრამ მაშინ ასეთი კანონი, მგონი, არავის შემოუღია. არის თუ არა დღეს დრო, რომ კიდევ ერთი რუსი-ურბნისის დონის საეკლესიო კრება ჩა-

ტარდეს? ანუ უნდა გაინმინდოს თუ არა ეკლესია და ყველას დაერქვას თავისი სახელი — ვინ არის „მოსე სომები“ და ვინ არის კირიონი? თუ მეტყვით, რომ არა, კითხვას ისევ შეგიძრუნებთ — მაშ, რაღა უნდა მოხდეს?

— ამის დრო აქამდეც იყო! და თუ ვინმე დღეს იმაზე ფიქრობს, ამის დრო არის თუ არა, ის უკვე დამნაშავეა! ამაზე საუბარიც კი არ შეიძლება, უნდა ვიმოქმედოთ და ეს ცალსახად და დაბეჯითებით უნდა გავაკეთოთ. საეკლესიო პრეპარაციულებლად უნდა მოვიწვიოთ, მაგრამ საეკლესიო პრეპის მოწვევისთვის მხოლოდ სურვილი კი არა, პირველ რიგში, იმ ადამიანთა ერთობლიობაა საჭირო და აუცილებელი, რომელთა აზრიც, შეხედულებაც და მიზნებიც განხორციელდება, ანუ — ერისთავეს მხედრების! დღეს ყველაზე ნაკლებად არის ეკლესია ერთსულოვანი! ერთი მოძღვარი ერთს ეძაგებას, მეორე მეორეს და ყველაზე დიდი უგედურება კი ისაა, რომ გარდა პიროვნული შეხედულებებისა, ხანდახან საეკლესიო დოგმებსაც კი ცვლიან, ანუ ეკლესიის კანონების მოგვებაც კი პიროვნულ თვისებებზე უნდათ. ქრისტიანობა ის კი არაა, რომ ის შენზე მოირგო. ქრისტიანობა ისაა, შენ მოერგო მას. აბა, რა არის ვნებებთან ბრძოლა? შეიძლება ვიღაცას ქალის მიმართ ჰქონდეს ვნება, ვიღაცას — კაცის, ეს არ არის ტრაგედია! ჩვენ ამ ვნებასთან ბრძოლაში უნდა გამოვიდეთ გამარჯვებულნი! ჩვენ ამას არ უნდა გადავაყოლოთ ეკლესიის ავტორიტეტი! არ უნდა შევბლალოთ ეკლესიის სახე და ღირსება. იმან, რომ მე შეიძლება ლექსი დავწერო და ამის გამო გიჟი, სულელი, შეურაცხადი და ეკლესიისთვის შეუფერებელი მიწოდონ, არა მგონია, ვიღაცის ცოდვები დაჩრდილოს! მაგრამ მე საკუთარ თავს არასოდეს იმის უფლებას არ მივცემ, რომ

თითო ვიღაცისეან გავიშვირო, თუმცა ადამიანურად გული მტკიბა. დაუსჯელობის სინდრომია. ეს მათი პრალი არაა, სათავიღან მოძის! თევზი თავიღან ყარს! ამიტომ, თუ სათავეში არ იქნება იმის სურვული, რომ საეკლესიო პრეჩა მოვინვიოთ და „ქვაბ-ავაზაპი“ ეკლესიოდან განვიღევთ, მანამდე მა რაც არ უნდა ვიზუალობო, ჩამს აზრს შედეგი არ ექნება! ვერანაირ მიზნამდე ვერ მივალთ. მაგრამ დღეს ჩვენს სინოდში არიან მართლმკვეთელი და სუფთა მღდელმთავრები, ვისიც მწამს და მჯერა, სწორედ მათ ეძახიან ფანატიკოსებს, გიუებს, სულელებსა და ეკლესიისა და სინოდის მტრებს! მწიგნობრებმა და ფარისევლებმა მტრად ქრისტე გამოაცხადეს — მე ეს არ მიკვირს, მაგრამ მე მათ ვთხოვ პირველ რიგში პასუხს, ვისიც მწამს და ვისიც მჯერა და ვინც მიყვარს, ვისაც ვენდობი და ვის გამოც მე ამ გზას დავადექი. ჩვენ, ყველა სულიერი ცხოვრების დასაწყისში ვიღაცის ხიბლში ვართ, ვიღაცის და რაღაცის გამო მივდივართ ტაძარში! **პირველი თავისთავად უცმინდესი იყო, მარე მეუფე იორი — ჩამი ხელდამსხმელი, მარე კი ჩამი მოყდვარი, მეუფე ეფრემი. სწორედ მათი იმადი მარვს, იმ ადამიანების, ვინც მე ერისთე დამანახა, ვისთვისაც ლოცვა დღესასწაულია, ვინც მართლებრივი გასით ჩვილი გავშვივით უმანეოა. დღეს ეს ადამიანები მაინტერესებს. მე ვიცი, ისინი რას ფირობენ, მაგრამ მე მაინტერესებს, ისინი რას გააკეთებენ! მე მათ ველოდები. მე სამშობლოსა და ეკლესიის სამსხვერპლოზე ჩემი წილი სისხლი უნდა გავიღო, მე ჩემი წილი თევდორე მღვდელი უნდა ვიყო, მაგრამ მე რომ თევდორე მღვდელი ვიყო, ამის საფუძველი შენ უნდა მომცე! ის, რომ ვიღაცას ქვეყანა და ქრისტე ტკივილამდე უყვარს და ამბობს სიმართ-**

ლეს, შეიძლება უფრო დასაჯონ, ვიდრე ის გაუკულმარ-თებული სასულიერო პირები, ვინც თავიანთი საქციე-ლით ყოველდღიურად ქრისტეს ათასგზის აკრავენ ჯვარზე! სად არის სამართალი?

— **ანუ უნდა გადაირჩეს „მწყემსი კეთილი“ და „სას-ყიდლით დადგინებული“?** ...

— მათ ყველას ისტორია თავის სახელს დაარქმევს. და დღეს ყველაზე დიდი ასპარეზია, თუ ვინმეს უნდა, გამოავლინოს თავისი ქართველობა, ღვთისა და ერის სიყვარული. ქართველობა ურაპატრიოტიზმი და გულ-ზე ხელების ბრაგუნი არ არის! ჩვენ ჩვენი მანკიერი მხა-რეები უნდა დავინახოთ, სწორად შევაფასოთ და მერე გამოსავალს უფრო ადვილად ვიპოვით!

ჩვენს სამღვდელოებას დღევანდელ დღეს არა-ზერი უგველის, გარდა მონამეობრივი სისხლი-სა. ჩვენ იმდენად შევთოვათ ცოდვაში და უფრო მატიც — ამ ცოდვით ტკპობაში ვართ, იძიდან გამოსვლა აღარ გვინდა. უფალეა კი სწორედ ამიტომ, როგორც გამოსაფხიზებული მათრა-სი, ხან სომხეთი მოგვიძნია, ხან თათრები, ხან უზეო ხელისუფალი. ჩვენი ყველაზე დიდი ტკივილი არის ის, რომ ჩვენ, სასულიერო პირები, არ ვცხოვრობთ სუფთა ცხოვრების წესით. ჩვენ ჩვენს მიზანს, ღმერთს ავცდით, ღმერთსაცდენილი ადამიანი კი ძალიან საში-შია, ვიდრე ულმერთო, რაც უნდა განათლებული იყოს იგი; მეტიც, ღმერთს აცდენილი განათლებული ადამია-ნი კიდევ უფრო მეტად საშიშია. ამიტომ დავუბრუნდეთ უფალს! ჩვენ უკვე უძლები შვილის პოზიციაშიც კი არ ვართ. უძლები შვილი მამის წიაღში დაბრუნდა იმიტომ, რომ მას სინანული ქონდა. ჩვენ სინანულიც კი არ გაგ-ვაჩნია. ჩვენ დღეს იმის სინანული გვაქვს, რომ ცოდვა, რომელიც ტკბილი გახდა ჩვენთვის, არ კანონდება. ეს არის უბედურება. კიდევ უფრო დიდი უბედურებაა, რომ ვცდილობთ სარწმუნოების შეცვლას, „გადაკეთებას“ და

რაღაც „მოდერნიზებული“ სარწმუნოების დამკვიდრებას. ამას, გინდათ, ეკუმენიზმი დაარქვით ან, რაც გნებავთ, მაგრამ ჩვენ დღეს ჩვენი ცხოვრების წესით არ ვართ მართლმადიდებლები. ჭეშმარიტი ღმერთის წვდომა პიროვნების თავისუფლებაში ვლინდება, რადგან პიროვნების თავისუფლება არის ის სხივი, რომლითაც ადამიანი ღმერთს შეიცნობს (ჯემალ ქარჩხაძე ამბობს, ჩემი უსაყარლესი მწერალი), იცით, რა არის? თუ ჩვენ პიროვნულად არ ვართ თავისუფალნი და ვართ შეზღუდულები და დაკომპლექსებულები და რაღაცას ვემონებით, ბუნებრივია, ღმერთთან ვერასოდეს მივალთ. გაუაზრებელი კოპლექსები ადამიანს ყოველთვის განაშორებს სწორ გზას. კომპლექსი არ უნდა გვქონდეს იმისა, რომ ვიღაც რაღაცით მეტია ჩვენზე, გვჯონის! ერთმანეთს ღვთის სიყვარულში, მართლმადიდებლობაში შევეჯიბროთ! და კიდევ ერთხელ ვამბობ, თუ ქრისტიანობა და ღმერთი მათ მითის დალეგენდის გმირი ჰგონიათ და იქიდან ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულან, თუ სასულიერო პირები მონოდების სიმაღლეზე არ დავდექით, ბუნებრივია, ამ მდგომარეობიდან ვერასოდეს გამოვალთ. **და თუ ჩვენ ჩვენს მიზანს — უფალს და უპრუცილით, ერთი კი არა, ათი სააკაშვილი ვერაცერს დაგვაკლებს.** მაგრამ, თუ იმ ერთ სააკაშვილთან ათი თუ ოცი სასულიერო პირი, ათი თუ ოცი დიდი იერარქია გარიგებული და ძველანას მზაკვრულად ეპრძვიან, ღალატობენ, ეს კიდევ არაა დასასრული. ტრაგედია ისაა, რომ ამ მოღალატეთა გამოვლენა და მხილება არ გვინდა! მაგრამ ჩვენ რაც უნდა ვაფაროთ ხელი, ჭირი თავს ვერ დამალავს — სიმართლე აუცილებლად გამოაპარავდება: „არა არს დაფარულ, რომელი არა გაცხადდეს!“ ცოდვის აღიარების გვეშინია, ამ დროს კი იმის უნდა გვეშინოდეს, რომ ჩვენ ამ ცოდვებით ღვთის წინაშე წარვსდგებით და ჩვენს პიროვნულ ცოდ-

ვებს ერის, უფლის ღალატს ნუღარ დავამატებთ. ერს ადამიანთა ერთობლიობა ქმნის! სახელმწიფო ზუსტად ისეთი პროგრესული და წარმატებული იქნება, ადამიანები როგორებიც არიან! და თუ ის ადამიანები არიან მგლების ხროვის მიერ მოწყობილი საზოგადოება, ბუნებრივია, იქ არც ქრისტეს სიყვარული იქნება, ღვთის მცნებებსაც არავინ დაიცავს!

თუ ჩვენ, სასულიერო პირები არ გამოვსწორდით, თუ უფალს არ დავუბრუნდით და თუ ისევ სირაქლემას მდგომარეობაში ვიქწებით, მრევლი ჩვენი და ეკლესიის ნდობასაც დაკარგავს და სულ მალე ტაძრები დაცარიელდება! დღეს ვინც ბრმა არ არის ან ძალით არ იპრმავებს თვალს, შეუძლებელია, ვერ ხედავდეს, რომ ქვეყნის მაგივრად ხელთ ავგიას თავლა შეგვრჩა.

... ხმამაღლა გეტყვით, რომ 26 მაისის დამაზე ეკლესიის დუმილის პასუხია დღევანდელი დღე! 26 მაისის დანაშაულზე, ცოდვაზე, პორო-ტებაზე მხოლოდ ორს — მეუფე იორბს და მეუფე ეცრებს კი არა, სინოდის ყველა გლობულისა-ვარს რომ ხმა ამოებო და ამ საზარელი დანაშაულისთვის, გართლაც კაენის ცოდვისთვის, თავისი სახელი ეცოდებინა, დღევანდელ დღეს არ მივიღებდით! ესაა სიმართლე!

— მაშინ სინოდის დუმილი მეუფე იობმა დაარღვია, მას მეუფე ეფრემი მოჰყვა და თან უფრო ხმამაღლა, ახლა კი თქვენ — დაუჯერებელი გულწრფელობით! ჩვენ ის ერი ვართ, ძალიან ბევრი რომ დაგვაკარგვინა ამ ხელისუფლებამ, მაგრამ ახლა ყველაზე საკრალურს შეეხო. როგორ ფიქრობთ, ბევრი სასულიერო პირი აგყვებათ? ახლა მაინც თუ ჩამოკრავს მრისხანების ზარებს ეკლესია?

— როცა ჩვენმა პარლამენტარებმა ამ კანონის მიღების შესახებ განაცხადეს, თანაც ძალიან მზაკვრულად და, შეიძლება ითქვას, ძალიან სომხურადაც, მე სახლში

შესვლა არ მინდოდა! არ მინდოდა, მენახა ჩემი ცოლ-შვილი — რა პასუხი უნდა გამეცა მათვების? შინაგანად ვგრძნობ, რომ რაღაცას მართმევენ, მე მართმევენ ყველაზე მთავარს, ყველაზე სუფთას, ყველაზე წმინდას, რითაც ქართველი ერი, აგერ უკვე ოცი საუკუნეა, ამაყობს. დღეს კი ჩვენ საამაყოდ ნამდვილად არ გვაქვს საქმე. ქართველს, თუნდაც მიძინებულს, შეიძლება ნაართვა სახლი, კარი, ქონება, თუნდაც სიცოცხლე, და ის ამას შეეგულს, მაგრამ თუ მის სულს — ქრისტეს შეეხები, ყველა ქართველში ის გენეტიკური კოდი გაიღვიძებს, რომელმაც ჩვენ აქამდე მოგვიყვანა! მე მჯერა, დღესაც ასე მოხდება! ჩვენ დღეს ვდგავართ გზაჯვარედინთან და ამ გზაჯვარედინს ძალიან დიდი ასოებით აწერია „ყოფნა-არყოფნა“ და ამ ყოფნა-არყოფნისთვის უნდა ვიპრძოლოთ! არ აქვს მნიშვნელობა, ჩვენ მრავალრიცხოვანი არმია ვიქენებით თუ მხოლოდ ერთი თევდორე მღვდელი. იმ ერთმა თევდორე მღვდელმა ქვეყნის ბედი ჩვენს სასიკეთოდ გადაწყვიტა, მაგრამ ძალიან ბევრ მოღალატე ქართველს შეიძლება ერთმა თევდორე მღვდელმა აჯობოს, თუკი ის ერთი თევდორე მღვდელი გამოგვერია!.. მე ჩემშიც და სხვაშიც თევდორე მღვდელს ვე-ძებ და ღვერთმა ენას, ეს თევდორე მღვდლები გაპევდლდნენ და ღვერთმა ენას, რომ ჩვენ და-ვირაზმოთ და მადლითა და ცყალობით. მარ-ნი, დღეს იგდენი ერისკაცი არ არის საქართვე-ლობი, რამდენი სასულიერო პირიცაა, ჩვენ რომ და ვირაზმოთ, ჩვენ რომ ჩვენი სათქმელი ვთქვათ და ერს წარუძღვეთ ნინ, და გვერდუ-ხეთ, გვერდუ-ხეთ უფრო მატნი იქნებიან, ვიდ-რე ერის ადამიანები. ეს სანახაობრივადაც უფ-რო ლამაზი, შთამგებდავი იქნება — ხმაც რომ არ ამოვიღოთ და რუსთაველზე ჩავიაროთ, ამით ბოროტება და ითრგუნება. თუნდაც ყველამ, ერ-თდროულად გულწრფელად ერთხელ მაინც წარ-

მოვთქვათ: „უფალო, შემიტყალენ!“ უფალი აუცილებლად შეგვიტყალებას!

... წუხელ, ღამის თორმეტ საათზე განათებულ სამების ტაძარს შევყურებდი და ჩემ თვალწინ ერთი კადრივით გაირჩინა ჩვენი ქვეყნის ისტორიამ და ვიფიქრე — რა შეიძლებოდა მოემოქმედებინა ვახტანგ გორგასალს, რას გააკეთებდა გრიგოლ ხანძთელი, როგორ დააჩოქა მან მის წინაშე აშოტ კურაპალატი — მაშინ ეკლესიას ეთქმოდა, ახლა კი სათქმელს გვედავებიან, სათქმელს გვართმევენ. და სწორედ გუშინ, სამების საკათედრო ტაძართან მდგომს ყველა მიყვარდა, ყველა სასულიერო პირი, თავისი საქციელით ჩემთვის ყველაზე მიუღებელიც კი, და მის გვერდითაც კი დავდგებოდი, მათთანაც გავერთიანდებოდი ჩვენი ქვეყნის, ეკლესიის მტრების წინააღმდეგ! ჩვენ ტკივილი გვაერთიანებს, ჩვენ ტკივილი გვზრდის, ჩვენ ტკივილი გვწრინთის. **ადამიანს შეიძლება რაღაცას ართმევდე, მაგრამ, თუკი ეს მისთვის უმნიშვნელოა, აასუს არ მოგთხოვს, შეიძლება წაიცუნოს, მაგრამ თუ ყველაზე მთავარს წაართმევ, ამას ძალიან დიდი ტკივილი მოჰყვება და ეს დიდი ტკივილი გუგდება ადამიანის შიგნით და, თუ ხმასაც ვერ იღებ, ეს ტკივილი აუცილებლად კალაპოტს გაარღვევს და ქვეყნის რეპარატას წალეპავს! და ამ ხელისუფლებას და არა მარტო ხელისუფლებას, იმ ადამიანებს, რომლებიც პრავის ფორმით არის შემოპარული ეკლესიაში, ისტორია თავის სახელს დაარემავს!**

— მამაო, თქვენ აღნიშნეთ, რომ, თუ მაღალმა იერარქებმა ხმა არ ამოიღეს, მე, უბრალო მღვდელმა, რაც უნდა ვთქვა, ამას მნიშვნელობა არ აქვსო! მე კი პირიქით მგონია — ხალხს ახლა უბრალო მღვდლის იმედი შეიძლება უფრო ჰქონდეს, იმ მღვდლისა თუ ბერისა, რომელიც ზოგჯერ გახუნებული კაბით ლოცვად დგას და

ღმერთსა და ერს ემსახურება, ცდილობს, უფალი არც თავად დაკარგოს და არც ჩვენ დაგვაკარგვინოს. თქვით, რუსთაველის გამზირზე (სადაც 26 მაისს დაღვრილი სისხლი ჯერაც არ გამშრალა) სასულიერო პირებმა რომ ერთად გავიაროთ, ერისკაცებზე მეტნი ვიქნებითო. ერისა და ბერის ერთად ლოცვას უფრო მეტი ძალა მიეცემა. მე კი მინდა, თუნდაც სინოდის რამდენიმე წევრთან ერთად, ნინ მხცოვანი, დაღლილი პატრიარქი მივვიძლოდეს და ლოცავდეს ერს, სრულიად საქართველოს... მის გვერდით მინდა ვიყოთ — ერიც და ბერიც.

— მე მჯერა ჩემი პატრიარქის! ერთ დღეს, თუ ეს საჭირო იქნა, ის, ალბათ, ყველას მოგვიწოდებს და ყველა დავირაზმებით და საკუთარი სისხლით დავიცავთ ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ეკლესიას, ჩვენს მამულს, ენას, სარწმუნოებას. ის, რაც XIX საუკუნეში რუსეთმა ავტოკეფალის გაუქმებით ვერ განახორციელა, ჩვენ არ უნდა შევუწყოთ ხელი ამის გაკეთებაში. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გაგრძელებაა ის, რაც დღეს ხდება. XIX საუკუნის პირველ მეოთხედში ახალქალაქში, ახალციხესა და ისტორიულ სამცხე-საათაბაგოში სომხების ჩასახლება ეს იყო შორს გამიზნული პოლიტიკა, რომლის შედეგსაც ჩვენ დღეს ვიმკით, ამიტომ დღეს მიღებული კანონით შეიძლება ჩვენი თაობა უფრო არ დაზარალდეს, ვიდრე ჩვენი მომდევნო თაობა, როგორც ახლა ჩვენ ვიმკით საუკუნისწინანდელი ცარიზმის პოლიტიკის შედეგებს, ისე იმათ გადასწვდება ჩვენი დღევანდელი დანაშაული! ამიტომ, თუ საჭირო გახდა, მე ჩემს ოჯახთან ერთად შევენირები ჩემი ქვეყნისა და ეკლესის დაცვას და ამის მაგალითი მინდა ჩვენმა იერარქებმა მომცენ, განა იმიტომ, რომ მე ვინმეს მაგალითი მჭირდება, არამედ იმიტომ, რომ მე ამით კურთხევა ავიღო მათგან, მდუმარე კურთხევა და მდუმარედ გავაკეთო, რასაც ისინი გააკეთებენ!

«ეს კანონიროვაზი და ის, ჩამ დღეს ხდება, ნინაპირობას სართვეოების, ქართველობის ნინაღვაზ ბრძოლის»

— მამაო პეტრე, ჩვენს მკითხველს ახსოვს თქვენი ძალიან გულწრფელი და გაბედული ინტერვიუ, რომელშიც ხმამაღალი განცხადებები გააკეთეთ ეკლესიაში არსებულ პრობლემებზე, სასულიერო პირების მდგომარეობაზე, სომხეთის პატრიარქის ვიზიტსა და სახელმწიფოსა და ეკლესის ურთიერთობაზე. ეს ის სიმართლე იყო, რომელსაც საზოგადოება გულით ატარებდა, მაგრამ ვერ ან არ თქვა. თქვენ დასაკარგი ბევრი გქონდათ... იცოდით, სასწორზე რასაც დებდით. რა შეიცვალა თქვენი, როგორც მღვდლის, უბრალოდ, ადამიანის ცხოვრებაში იმ ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ?

— იმ ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ რეალურად ბევრი რამ შეიცვალა. შეიცვალა შეხედულებაც, შეიცვალა ფიქრიც, დაკარგე მოსვენებაც, ყოველდღიურად უფრო დაძაბული ვხდები და უფრო მეტად მტკიცა, მაგრამ სამსჯავრო სკამზე დღესაც რომ დამსვან და ამ ინტერვიუს გამო პასუხი მომთხოვონ, ისევ იმავეს გავიმეორებდი. სწორედ ამით ვარ ბედნიერი. ვთქვი ის, რაც მტკიოდა და ვთქვი ყველას — ერისა და ბერის გასაგონად. იმ დროს მე მეტის გაკეთება არ შემეძლო. ეს იყო მაშინ ჩემი დიდგორი, ბრძოლა პირველ რიგში საკუთარ თავთან, გამოფხიზლებისთვის, მანვიერი მხარეების წინააღმდეგ. საბრძოლო იარაღი ამ შემთხვევაში იყო ცხოველი, ჭეშმარიტი სიტყვა, რომელიც გასროლილი

ისარია და ვერ დაიჭერ... ჩემი სიტყვა თავისუფალი იყო და სწორედ ამ სიტყვის თავისუფლებიდან გამომდინარე, იმ დღესაც, ახლაც და, ალბათ, მთელი ცხოვრება უკან არასოდეს დავიხევ და ჩემს თითოეულ სიტყვაზე პასუხს ვაგებ...

მე ერთადერთი დასაკარგი მაქვს — ეს ჩემი სულია!.. სულის გამო ყველაფერს დავთმობ. ოჯახსაც სასწორზე ვდებდი, მაგრამ ოჯახსაც დავთმობ უფლისთვის, უფლის სიყვარულისთვის. ვერ დავთმე და ვერ დავკარგე ის, რაც ჩემთვის ყველაზე მთავარია, ხელი-ხელ საგოგმანებია და რის გამოც ადამიანი მთელი ცხოვრება იბრძვის — სულის მოპოვებისთვის, სულის შენარჩუნებისთვის და უფალთან მყოფობისთვის... მორწმუნე ადამიანის ცხოვრებაში ყოველთვის დგება ჟამი, როცა ის საკუთარ თავში უნდა დარწმუნდეს, თუ უფლისთვის, ეკლესიისთვის რეალურად რისი გაკეთება შეუძლია. მე არ ვიცი, რას შევძლებ მომავალში, მაგრამ ერთი რამის თქმას კი გავტედავ — თუკი ქრისტეს ეკლესიას ისევ საფრთხე და-ემუქრება, უკან არასოდეს დავიხევ, რა განსაცდელიც უნდა მელოდებოდეს, იმიტომ, რომ მინდა, ჩემი სიტყვით და საქმით ვემსახურო უფალს, იქნებ ამით შემინდოს ჩემი აურაცხელი ცოდვები ღმერთმა... და სჯობს, აქ დამსაჯონ სიმართლისთვის, ვიდრე იქ, უფალთან მომეკითხოს. მე მთელი ჩემი ცხოვრება უფლისთვის მინდა, ჩემი სულის ცხონებისთვის მინდა და, როცა ვიღაც ამას თავისი ბინძური ხელებით წაეპოტინა, ამიტომ ავიმალლე ხმა და უკან არ მომიხედავს, არ მიფიქრია, ამის გამო აქ როგორ „გამასამართლებდნენ“.

— დიდი იერარქები დღესაც ამტკიცებენ, რომ არა-ფერი საგანგაშო და ტრაგიკული არ მომხდარა. მამაო, დღესაც მიიჩნევთ, რომ ვიღაც ბინძური ხელით ეპოტინებოდა იმას, რაც თქვენთვისაც და ჩვენთვისაც ასე ძვირფასია? რომ ეკლესია არც ისე ერთიანია, როგორც ამას გვაჩვენებენ? გულწრფელად მითხარით.

— მე ასე ვფიქრობ. ეს შეიძლება ვიღაცისთვის მცდარი აზრი იყოს, მაგრამ მე შინაგანად ეს განცდა მაქვს. ძალიან განვიცდიდა ძალიან მტკივა. მტკივა იმიტომ, რომ დღეს ყველაზე მეტად ჩამოწვა უსიყვარულობის ბურუსი, მტკივა იმიტომ, რომ თითქოს ქართველობა აღარ ქართველობს, თითქოს ვერ ვიდავითეთ, თითქოს ჩვენი არ ყოფილა დიდორის ბრძოლა, შამქორი და ბასიანი...

როდესაც ქართველს ქართველობას და სარწმუნოებას ართმევენ, ის საკუთარ თავზე უარს აცხადებს და იწყებს შეუპოვარ ბრძოლას სულის შენარჩუნებისთვის. ასე იყო ოდითგან, ...ასე მინდა იყოს ახლაც.

მავანი იტყვის — სარწმუნოებას არავინ გვართმევს, არავინ გვედავებაო, მაგრამ ეს კანონპროექტი და ის, რაც დღეს ხდება, წინაპირობაა სარწმუნოების, ქართველობის წინააღმდეგ ბრძოლისა, მორწმუნე ადამიანის, ქართველის ცხოვრება კი არაფერია, თუ არა მუდმივი ბრძოლა სარწმუნოების შენარჩუნებისთვის, უფლის სახელის დამკვიდრებისთვის და სულის წვრთნისთვის.

სულიერი ცხოვრება უხილავი, ხშირად კი ხილული ბრძოლებითაა აღსავსე... ჩემ შემთხვევაში, უხილავ



ბრძოლასთან მარტო მე ვიცი, არ ვიცი, რამდენად ძლიერი ვიყავი და რა იარაღით ვეპრძოდი უხილავ მტერს, მაგრამ ხილულ ბრძოლაში ორივე — ერის და ბერის ხმა ავიმაღლე და ეს ორივე ხმა იმდენად შემზარვი იყო, რომ, ალბათ, ძალიან ბევრი ადამიანი დააფიქრა, უპირველესად კი, დამაფიქრა მე. მე, ვინაც ასეთი მწვავე განცხადებები გავაკეთე, პირველ რიგში, უფრო მეტად მომეთხოვება, ვიყო ის, ვინც სინამდვილეში უნდა ვიყო და, მიუხედავად ბევრი განკითხვისა, ბევრი კრიტიკისა, მაინც დავდგე მოწოდების სიმაღლეზე და უფალს ათასი მადლობა გუთხრა იმ სიტყვისთვის, რაც შემაძლებინა, რომ მეთქვა... უფლის გარეშე, დარწმუნებული ვარ, ვერც ერთ სიტყვას ვერ წარმოვთქვამდი, მაგრამ მე მინდა, ჩემი სიტყვა იყოს საქმიანი...

— მამაო, ამ რამდენიმე ხნის წინ „მრავალეროვანი საქართველოს“ თავმჯდომარემ არნო სტეფანიანმა, სხვა სასულიერო პირებთან ერთად, თქვენც დაგდოთ ბრალი ანტისომხურ პროპაგანდაში... ის მოითხოვს, რომ თქვენნაირმა სასულიერო პირებმა პასუხი აგონ ქსენოფონბისითვის და ამ საქმეში საპატრიარქოს მიიჩნევს თავის „თანამოაზრედ“ და „პარტნიორად“, იმ კომისიის იმედი აქვს, რომელიც სინოდის გახმაურებულ სხდომაზე შეიქმნა და სასულიერო პირების ზნეობრივ საქციელს შეისწავლის...

— დარწმუნებული ვარ, რომ არნო სტეფანიანი ძალიან კარგად ხვდება, რომ ანტისომხური განცხადება არ გამიკეთებია... მე ჩემი ტკივილი ვთქვი, ჩემი ერის ცრემლი მტკიცავ... ჩემსას ვიცავ. ეს მიაჩინა მას სომხების შეურაცხყოფად? ჩემს მრევლში არიან სომხებიც, მყავს სომენი მეგობრებიც და არც ერთ მათგანს არასოდეს უგრძვნია ჩემგან სიძულვილი ამ ერის მიმართ. ძართველებს სხვა ერების სიყვარულს ვერავინ გვასწავლის და ეს ყველაზე უკათ სომხები იცის! კაცომოძულე რომ ყოფილიყო ძართვე-

“საჭიროებული მუშადებულება”[©]

ღი, მის მინაზე საუკუნეების მანძილზე ლამის ოთხოცი ეროვნების ადამიანი ვერ იცხოვდება. მაგრამ მუდმივად მხოლოდ „საუთარ მხარეს“ ცურება, დამერმავეთ, თვით სტუმართ-მოყვარე ეართველისთვისაც კი ქალიან რთული ასათანია! მე ის, რაც ვთქვი, ტკივილით ვთქვი და არა სიძულვილით! რაც შევეხა გრიგოლ ღვთის-გეჭყველისა და ილია მართლის სიტყვებს, რომ-ლებიც საუბარში მოვიყვანე, არა მგონია, არნო სტეფანიანს იმდენი კადნიერება ჰქონდეს, რომ ხილდანების „გაკრიტიკება“ დაიწყოს და ამ საქმეშიც საპატრიარქო გამოაცხადოს თავის დასაყრდენ ძალად და „პარტიონრად“. თუმცა ყოველგვარი სარკაზმის გარეშე მინდა ვკითხო ამ ახალგაზრდა კაცს — ახლა „დაჩაგრულ“ მდგრმარეობაში რომ გინდა თავი წარმოაჩინო და გსურს, გვიჩივლო „უზნეო“ ქმედებების გამო საპატრიარქოში და თანხმამალლა რომ აცხა-დებ, რომ ჩვენი დასჯის საქმეში საპატრიარქო შენი „პარტიონრია“, არ გეცყინება, ალპათ, თუ ცოტა აღინდებ ამჩავს შეგახსენებ: მაშინ თუ მოიაზრებდი „საპატრიარქოს“ და საერთოდ სა-ეართველოს შენ „პარტიონრად“ და ეართველ ხალხს კი მეგობრად, როცა თქვენია სომხურმა საინფორმაციო საშუალებება სომხების პატ-რიარები გარეგინ // ჩვენი უცმინდების „ზრდილო-ბის ტყველ“ გამოაცხადა და თან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია მეორეს ნომერ პირველი ვაშუში უცმიდა? თუ იმასაც გვეტყვი, რომ ამ სტატიის ავტორი გრანტ მელიქ შახ-ნაზარიანი სო-მეხი არ არის, მაშინ ბოდიშს მოგიხდი, ან როცა სომეხი „ისტორიკოსი“ აივაზიანი, უკვე ფანტასტიკის სფერო-საც რომ სცდება ისეთ მარაზმთან ერთად, იმასაც „ამ-ტკიცებს“, რომ არც ჯავახეთია ჩვენი, თუმცა ჯავახეთს

ვინ ჩივის, როცა ქართველების ისტორიულ სამშობლოდ „ბასეთს“ აცხადებს! ვიცი, იმას გვეტყვი, რომ „შენ არაფერი შეგიძლია“, რომ ვიღაც აივაზიანისა და მელიქ-შახნაზარიანის ნათქვამზე პასუხს ვერ აგებ, მაგრამ, დალოცვილო, ზრდილობის გულისთვის მაინც გაგეკეთებინა ერთი განცხადება, თუნდაც ერთსიტყვიანი, რომ „სწუხხარ“ ან „არ იზიარებ“ ამ „პატივცემული“ ადამიანების პათოსს და მერნმუნე, „ზრდილობის ტყვედ“ არ გამოგაცხადებდით.

აქვე ისევ მინდა ილია მართლის „ქვათა ღაღადი“ გავიხსენო: „განა ჩვენთვის კი სანატრელია ასეთი დაქსაქსულობა სომხებისა? ღმერთმა მისცეთ ღონე და უნარყ, ერთად მოიყარონ თავი იქ, საიდანაც აყრილან და აქა-იქ გაფანტულან. ხოლო ჩვენ ჩვენსას ნუ გვეცილებიან. ჩვენი სახელის გატეხვით ნუ ცდილობენ თავიანთი სახელის კეთებას და შემკობას. ჩვენ ბევრი გვქონდა თუ ცოტა, შეგივრდომეთ, შემოგიხიზნეთ, გიძმეთ და შინ მტრად ნუ გვეკიდებით. მტერისა შინა ყოლასა, ლომისა ზედა წოლა სჯობიაო. ასე იტყოდნენ ძველნი ქართველნი, ასე ვამბობთ ჩვენც, ასევე იტყვის ყოველი გონიერი სომები!“.

— როგორც ვიცი, ახლობლებიც და უცხო ადამიანებიც ირიბად თუ პირდაპირ გაფრთხილებდნენ, სანამ რამეს იტყოდით, გეფიქრათ ოჯახზე. მამაო, ამდენი გაფრთხილების მერე ერთხელ მაინც არ იფიქრეთ, რომ გაჩუმებულიყვავით და ეს ცხოველი სიტყვა გულში დაგემარხათ?

— რა თქმა უნდა, ვიხედებოდი უკან და ვიხედები დღესაც... იქ ჩემი შვილები დგანან და მათ მინდა მოვუწოდი წინ — დავითის, თამარის ეპოქისკენ! მინდა, ჩემი შვილების, ახლობლების, მეგობრებისთვის ვიყო მაგალითი. როდესაც ჩემს ქვეყანას, ჩემს ეკლესიას, ჩემს სამშობლოს გაუჭირდება, პირველი ვეკვეთო მტერს, რამეთუ, როგორც პოეტი ბრძანებს: „წვეთი სისხლი არ არის ჩემში არაქართული“.

„ისტორიული ტემპერატურასა“ ©



თავი მარვა

**სახელის საკათედრო ტაძრის
ღია ქვანი, «ნოდეა გიორგის»
სადამოს დამფუძნებელი,
მაა ელიზარი (ჭიათური)**

სახელმწიფო მართავს გიქი, ჩვენ ეკლესიას მართავს გიში! «მისამილ საკაუვილი ესროვალი ნერონი»

— მამაო ელიზბარ, რელიგიური გაერთიანებების-თვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებამ როგორც საზოგადოების დიდი ნაწილის, ასევე საპატრიარქოს აღმფოოთება გამოიწვია. საპატრიარქოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ეს კანონი, ეკლესიისა და ქვეყნის ინტერესებსაც ეწინააღმდეგება, ხელისუფლება კი ირნმუნება, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება რელიგიურ კონფესიებს ქონების გადაცემის უფლებას არ აძლევს. რატომ არის ასეთი საშიში აღნიშნული კანონი?

— ქართულ, მართლმადიდებლურ ეკლესიასთან სხვა რელიგიური კონფესიების სტატუსით გათანაბრება ქონებრივი უფლებების მინიჭებასაც გულისხმობს. რა თქმა უნდა, კანონში არ ჩაუწერიათ, რადგან სხვა რელიგიური კონფესიები სტატუსით გაუთანაბრდნენ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, მათ ახლავე ქონებაც გადავცეთო, მაგრამ დაიმახსოვრეთ, დროთა განმავლობაში ასეც მოხდება. მარტო სომხურ ეკლესიას 635 ტაძარზე აქვს პრეტეზია. ამას გარდა, როდესაც სხვა რელიგიური კონფესიები რაგითა და სტატუსით მართლებადიდებლობას გაუთანაბრდებიან, ისინი სხვა პრივილეგიებსაც აუცილებლად მოითხოვან და ეს ხელისუფლებაც, 70 სულგაყიდული ადამიანი რომ გვყავს პარლამენტში, ტაშისკვრი-

თა და სიხარულით მიანიშვაბს მათ პრივილე- გიებს.

აღნიშნული კანონი ძალიან ცუდია, პირველი რიგში კი მათვეის, ვინც იგი დაამტკიცა. ჩემი ქვეყნისთვის, იცით, რა არის ცუდი? 70 უგუნური ჭეულისდამრიგებელი რომ ჰყავს, რადგან უჭკუობა იყო ამ კანონზე ხელის მოწერა. **ახლა რომ იძახის რუსულან კერვა-ლიგვილი, შერისხულთა სიაში ვართო, რისთ-ვის გაიხადეს თავი შესარისხად?** რა აკლდათ იმის ფასი, რომ სული გაყიდეს? სხვა რელიგიური კონფესიები ვერასდროს გაუთანაბრდება მართლებიდიდებლობას, ის უპირატესია, რად-გან მართლებიდიდებლობა ჩვენი ერის კულტურის შემადგენელი ნაწილია.

— შეიძლება ითქვას, რომ საპატრიარქომ და ხელი-სუფლებამ გარკვეულ შეთანხმებას მიაღწიეს და ვი-თარება განეიტრალდა. ვინ დათმო: ხელისუფლებამ თუ საპატრიარქომ?

— საპატრიარქომ დათმო და თან ქალიან ცუ-დად დათმო, შიგით დათმო. ამითომ ვამგობ ასეთ ფრაზას: სახელმწიფოს მართავს გიზი, ჩვენს ეკლესიას მართავს შიგი. ქალიან სამც-ხაროა, რომ ამის თქმა მიწევს, მერჩივნა, არ მათქვა, მაგრამ ეს სიმართლეა და არ შემიძ-ლია, არ ვთქვა.

13 ივლისს გვსურდა, ყველა ტაძარში ზარები დაგვერეპა და ამით გამოგვეხატა, რომ ყველა-ნი მართლებიდიდებელი ეკლესიის გვერდით ვდგავართ. ამას გარდა, გვსურდა, მთელ მსოფ-ლიოს დაენახა, რომ ყოველთვის მზად ვართ დე-დაეკლესიის დასაცავად. მაგრამ, სამცხეაროდ, ეს საკითხი საპატრიარქოდან დაიგლოპა. მოძღვრება არ დარეკეს ზარი, საპატრიარქო-დან კურთხევა არ გვაძვსო.

ჩინით დაბალი ვარ თუ მაღალი, ამას არ აქვს მნიშვნელობა. ჩინი არ განსაზღვრავს ჩემს ღირსებას. ღირსებას განსაზღვრავს მამულისა და ეკლესიის სიყვარული და თავდადება. ამდენად ზოგიერთ მაღალ იერარქს ნუ ეგონება, რომ მე რადგან დაბალი ჩინის წარმომადგენელი ვარ, ლოცვის უფლება მხოლოდ მათი კურთხევით მეძლევა. ამასთან, ყველამ იცოდეს, მე შეიძლება გავაკრიტიკო, რამე ვთქვა ჩემს ოჯახზე — ეკლესიაზე (რადგან ეკლესია ჩემი ოჯახია), მაგრამ სხვა თუ იტყვის აუგს, აუცილებლად მოვთხოვ პასუხს.

გასულ კვირას, როცა ხალხი სინოდის სხდომამდე ეკლესიის მხარდასაჭერად შეიკრიბა, გამობრძანდა ერთერთი მაღალი იერარქი, მეუფე დანიელი და ბრძანა, უმრავლესობას უნდა დავემორჩილოთო. მესამე დღეს მიიღეს გადაწყვეტილება, უმრავლესობას დამორჩილებოდნენ.

მინდა ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია გავაცრცელო მასშეღის საჭუალებით: რაგდენიმ ეძღვალ იერარქზე „სერიოზული საქმე“ მზადდება, თითქოს ისინი საქართველოს მთრეგი და აგენტები არიან და მათ დაპატიმრებას აპირებენ. ხმამაღლება ვამპობ: შევაკვდები და მათ თავს არავის დავაჩაგვრინებ.

— მამა ელიზბარ, შიში ახსენეთ, ვისი ეშინია საპატრიარქოს?

— გამოჩნდა, რომ ეშინია. ეს შიში უნდა აღმოიფხვრას, რომელიც ყველა მართლმადიდებელშია დღეს ჩაბუდებული. ჰგონიათ, რომ სწორად მოიქცნენ და ხალხის სისხლი არ დაღვარეს. რა თავში ვიხლი იმ სისხლს, რომელიც სატანის მონობაში უნდა დავხარჯო? სიკვდილის თუ გვეშინია, რა ნამუსით ვამბობთ მაშინ „სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველი?“ როდესაც ერიდები სისხლის დაღვრას, მაშინ განსაზღვრულიც უნდა გქონდეს, რა დროს არის საჭირო ამ ნაბიჯის გა-

დადგმა. ახლა ზუსტად ეს დროა... როდესაც ანაფორას ვიცვამდი, ვიცოდი რამხელა პასუნისმგებლობა მელოდა წინ. ვის ვემონებით?

მოვუწოდებ ყველა სასულიერო პირს: გაყიდეთ ეს ჯიპები! ამაზრზენია ამაზე საუბარიც კი. რა გახდა ეს ჯიპი ასეთი, თუ რამე გაქვთ ხელისუფლებისგან მიღებული, გადაყარეთ. დაიბანეთ ხელები. ოლონდ პილატესავით კი ნუ დაიბანთ. გასუფთავდეთ ყველანი და ხელახლა დავიწყოთ ერის აღზრდა. ქონებას ნუ მისტირიან. ერის გადასარჩენად ეროვნული მოძრაობაა ახლიდან დასაწყები. როცა ერს წმინდა ამბროსი ხელაია, კირიონ საძაგლიშვილი, ილია მართალი გვყავს, ვისი გვეშინია?

ერთხელ სტალინთან მივიდა ერთ-ერთი მიტროპოლიტი ტიხონი, რომელიც სტალინმა რუსული ეკლესი-ის სტატუსთან დაკავშირებით დაიბარა და, როდესაც ის სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული გამოცხადდა და არა ანაფორით, სტალინმა უთხრა, როგორც ჩანს, ჩემი უფრო გშინებია ვიდრე ღმერთისო...

მიხეილ სააპაშვილი ქართველი ნერონია, ეპიფებსა და ორგიერს გადაყოლილი, და სახელმწიფოს გედი არ აინთერესებას. ხვალ რომ თბილისი გადაწვას და მართლადადებლებს დაგვაპრალოს, ნუ გაგიკავირდებათ. თუ ეკლესია მასწავლის, რომ ნერონი უზიდი კაცი იყო, რადგან ძრისტიანებს დევნიდა და ჩაგრავდა, იგივე ეკლესია ჩვენი თანამედროვე ნერონის ქადაგსა თაშით რაჭომ ხვდება? მრევლი სად ნავიდეს, როგორ მოიქცეს? მრევლი ხომ ჩვილ პავშვს ჰგავს და დედაეკლესიის იმედი აქვს?

ან რას ნიშნავს ეს დადგმული სპექტაკლები? ეკლესიაც ჩაითრია ხელისუფლებამ უკვე ამ თამაშებში! 13 ივლისს სვეტიცხოვლის ტაძარში, სამწუხაროდ, 100 კაცი ძლივს მოგროვდა. არადა, ახლა, როგორც არასდროს,

ისე უჭირს დედაეკლესიას. დედა ავად არის. **განაცყო-ნებული ვარ შეზე, ჟაფრიარქო, და ამითო შენს ლოცვას არ დავესწრებიო, ასეთი ემედება მრევ-ლის მხრიდან დიდი სიპრიფვე იყო.** ამან ისევ „**ხელისუფლების ნისძილვზე დაასხა წყალი**“. **რვა ავტობუსი ხალხი ჩაიყვანა მიხეილ სააკაშ-ვილმა, არვენა ჟაფრიარქს, აი, მოგახმარე ხალ-ხი, ჩემზე გახდი დამოკიდებულიო.** ისინიც „**მი-შა-მიშას**“ **სკანდილებდნენ.** არ მახსოვს, ეპლესი-ის ეზოში ღოდეს „**მიშა**“ ეყვიროთ, რადგან იქ მლოცველი ხალხი იკრიბება.

— გავრცელებული ინფორმაციით, სინოდის 36 წევ-რიდან, შეთანხმების პირობებს მხოლოდ ნაწილმა და-უჭირა მხარი. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ხელისუფლე-ბასთან დაკავშირებულ საკითხებში, სასულიერო პი-რებს შორის ერთიანობა არ არის?

— ამ შემთხვევაში 20 ხმა იყო 17-ის წინააღმდეგ. 20-მა ეპისკოპოსმა მიიღო სავალალო გადაწყვეტილება. ეს არის შიში, როდესაც ვინმეზე დამოკიდებული ხდები, მერე უკვე ნაკლებად გაძლევს ნამუსი საშუალებას, მის შეკვეთას ალარ დაემორჩილო. ასეთი გამოთქმა არსე-ბობს: ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს...

— **წმინდა სინოდის ოქმის მიხედვით, სასულიერო პირთა ზნეობრივი ნორმების დარღვევათა შემსწავ-ლელი კომისია შეიქმნება.** რატომ გახდა საჭირო კო-მისიის ამოქმედება, არსებობს დღეს საპატრიარქოში ამის საჭიროება?

— **წმინდა მამათა შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრე-ბა დასჭირდა ამ ზნეობრივი ნორმების დადგენას და სა-ინტერესოა, დღეს საპატრიარქოში ან საღმე არის ამ ზნეობრივი ნორმების შემკრები კომისია? ზნეობრივი ნორმებიდან გადახრა როცა დაფიქსირდება, ვინ უნდა დაადგინოს ზღვარი? საინტერესოა, რა ნორმებს გუ-ლისხმობს მავანი, როდესაც ამ კომისიას ადგენს? ხომ**

არ ნიშნავს ეს, რომ ვიღაცას კრიტიკა აეკრძალება? და რადგან ყოველთვის დაუფარავად ვიცავ მართლმადიდებლობას და ჩემს ქვეყანას, გამოჩენდება, რომ ამით თურმე ზნეობრივ ნორმებს ვარღვევ? ვფიქრობ, კომისია შესაძლოა ზოგიერთი სასულიერო პირის თავიდან მოსაშორებლად გამოიყენონ.

მე წამოვჭირი ახალი რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მოწვევის იდეა და საინტერესოა, ამის გამოძახილი ხომ არ იყო აღნიშნული კომისიის შექმნა?

— ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში, მამა პეტრემაც წამოჭრა საკითხი საეკლესიო კრების, ახალი რუის-ურბნისის მოწვევის შესახებ, რომელიც სასულიერო პირებს გააერთიანებს სჯულის კანონის ირგვლივ და მიაღწევს იმ მდგომარეობას, როცა პატრიარქს შეეძლება თამამად უთხრას ქვეყნის მმართველს — „დიდებულო მეფეო, შენ ქუეყანისა ხელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტე — ზეცისა, ქუეყანისა და ქუესკნელთაი“...

— მამა პეტრემაც წამოჭრა ეს იდეა და უკვე ბევრი მეუფე ფიქრობს ამ საკითხზე, მაგრამ რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, ზნეობრივი ნორმების დამცველმა თუ დამდგენმა კომისიამ კი არ უნდა მოაწყოს, არამედ — ხალხმა. კრება ერის ინციატივით უნდა გაიმართოს.

სასულიერო პირთა ზნეობრივი ნორმების დარღვევათა შემსრულებლი კომისია მაგონებს სააკადემიური მიერ მოცყობილ რუის-ურბნის და მას არაფერი აქვს საერთო დავით აღმაშენებლის რუის-ურბნისთან. ჩვენ გვყავდა ცმინდა და დავით მეფე აღმაშენებლი, ახლა კი გვყავს დაღმაშენებელი.

— რატომ იმყოფებოდნენ საპატრიარქოში ხელისუფლების მაღალჩინოსნები სწორედ იმ დღეს, როდესაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად წმინდა სინოდის შეკრება მიმდინარეობდა?

— ქართული ხასიათიდან და ქრისტიანული მორალი-დან გამომდინარე, საპატრიარქო სტუმართმოყვარე ადგილია და მის უწმინდესობასთან და მეუფებებთან სა-ამო საუბარს არაფერი სჯობს, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები მათი სა-უბრისა და შეგონებების მოსასმენად კი არ დადიან იქ, არამედ იმისთვის, რომ სასულიერო პირები მათზე და-მოკიდებული გახადონ და აი შედეგიც მოვიმკეთ.

— მამაო ელიზბარ, ქვეყანაში მოქმედი არასამთავ-რობო ორგანიზაციები სასულიერო პირებს ხშირად ადანაშაულებენ არმენოფობიასა თუ ანტიდასავლურ კამპანიაში მონაწილეობაში. ახლახან, სხვა სასული-ერო თუ საერო პირებთან ერთად, სომხური სათვის-ტომოს დამფუძნებელმა არნოლდ სტეფანიანმა თქვენც დაგადანაშაულათ და, როგორც ის აცხადებს, საჩივრის შეტანას აპირებს.

— მართლა მეცოდება და ჩემი მხრიდან უღირ-სობა იქნება, მას ვეკავათო. იმ საცოდავ სტე-ფანიანს, იცით, რას ვეტყოდი? სომხე ერთან არანაირი პრეტენზია არ მაქვს და არც შეიძ-ლება მეოდეს, მაგრამ დაიმახსოვრონ: მე უაი-რატესი ვარ, რადგან ძართველი და მართლმა-დიდებელი ვარ. თუმცა ეს უაირატესობა, რა თქმა უნდა, არ მაძლევს მისი დაჩაგვრის უფლე-ბას. არავითარ შემთხვევაში. მე უნდა ვუპატ-რონ და მოვეცერო, რადგან მისი უფროსი ძმა ვარ, მაგრამ იმასაც უნდა მივხვდე, თუ ამ მო-ფერებაში სამსალას მირევს, დროზე აღმოვჰხ-ვრა.

სომხებს გაცილებით შორს მიმავალი გეგმები აქვთ. მიადევნონ თვალი სომხურ ვებ-გვერდებს, სადაც ჩვენ-ზე წერენ. წიგნებს უშვებენ, სადაც წერია, რომ ჩვენ მი-ტაცებული გვაქვს მათი მიწები. მათ ზღვაზე გასასვ-ლელი სჭირდებათ და მალე განხორციელდება „დიდი

სომხეთის გეგმა". ნახავთ, მომავალში აფხაზეთში სომხური მოსახლეობა უფრო მეტი იქნება, ვიდრე — აფხაზი და ზღვაზე გასასვლელსაც მოიპოვებენ.

შეიტანოს საჩივარი სტეფანიანია, თუ ვინავ ვაჟაპაშვილია დაუხვდა იმ სასამართლოში და თავზე გადაახიდა ეს სარჩელი, ხომ კარგი. ვის უჩივი? ადამიანს, ვინც გამხილა? მითხარით, „შე სომებო“, რომ მიმართო ყაცს, ეს შეურაცხ-შოვაა? ქართველს რომ უთხრა იგივე, „შე ქართველოვ“, შეურაცხყოფად ხომ არ მიიღებს და ის რატომ იღებს?

მინდა სწორად გამიგოთ, არავისზე ბოლმით არ ვლაპარაკობ, ყოველთვის ჯერ საკუთარ თავს ვამხელ და მერე — სხვებს... თუ ვინმეზე რაიმეს ვამბობ, მხოლოდ სიყვარულით ვამხელ.

— „საქართველო და მსოფლიოსთან“ ინტერვიუში თეა თუთბერიძემ განაცხადა, რომ მართლმადიდებლობას ქვეყანაში არანაირი პრივილეგია არ უნდა ჰქონდეს, რადგან ეს დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპებს ეწინააღმდეგება. უფრო მეტიც: კონკორდატიც უნდა გაუქმდეს.

— ქალბატონი თეა ხომ გახდა თავად დედა? მისი შვილისთვის თავად თეა თუთბერიძე და მეზობლის ქალი ერთი სტატუსით სარგებლობება? არ არის დედასა და მეზობლის ქალს შორის განსხვავება? ასევეა ჩვენთვის მართლმადიდებლობა. მართლმადიდებელი ეკლესია ჩვენი დედაეკლესიაა.

— მან ასევე განაცხადა, რომ პატრიარქის მხარდამჭერები ილია მეორეს სექტის წევრები არიან...

— სექტაზე იქით არ მიდის მისი აზროვნება. ძალიან ვწუხვარ, რომ ასეა. მაგრამ მნიშვნელობა არ აქვს, თეა თუთბერიძეს დავარქმევთ, დავით პაიჭაძეს, ეკა კვესიტაძეს თუ ვის — ყველანი ერთნი არიან... „ხელის ბიჭებზე“ საუბარი არ გვინდა.

— 25 მაისს განვითარებულ მოვლენებზე, საზოგადოების ნაწილი საპატრიარქოს მხრიდან უფრო მძაფრ რეაქციას ელოდა...

— ზემოთაც ვახსენე, საქართველოს ეკლესიას დღეს შიში გართავს. ეკლესიას პოლო ცლების განვალობაში საჯაროდ არც ერთი ფაქტი არ დაუგინა. რამდენიმე ხნის წინ ფერიას მთაზე რომ ეკლესია დაანგრიეს, მხოლოდ მაშინ ითვა, რომ ვთხოვთ ხელისუფლებას, ეკლესიას დაანეგოს თავიო. ხელისუფლებას კი არ უნდა სთხოვო, უნდა მოსთხოვო. ის შენს თხოვნეას ყურად არ იღებს.

— „ქრისტიან-დემოკრატებმა“ მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება მოითხოვეს, რას ფიქრობთ მათ ინიციატივაზე?

— მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება დამდუპველი იქნება. ეს არ უნდა მოხდეს. თუ პარლამენტში ვინმე ეკლესიის გულშემატკივარია და მინდა, იმ 70 სულგაყიდულსაც მოვუწოდო, დაანებონ თავი ზღვაზე ტკბობასა და მზეზე გარუჯვას, სასწრაფოდ მოიწვიონ პარლამენტის სხდომა და მართლმადიდებლურ ეკლესიას დედაეკლესიის სტატუსი მიანიჭონ.

— რატომ აპროტესტებენ ზოგიერთი სასულიერო პირები ჩიპებიან პირადობის მოწმობებს, რა საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს ეს?

— ვიცი, ვინც აპროტესტებს, ე.წ. ანჩისხატის მომლოცველთა ჯგუფი, რომელშიც გადასარევი გულანიერული გოგო-ბიჭები არიან გაერთიანებული, მაგრამ მათ ლიდერთა გამონათებამიგი, რომ ჩიპას არ გავიკეთოთო, ჰგავს ასაცრელად მიყვანილი, შეშინებული ბავშვის ტირილს, ჩევლების რომ ეშინია. ჩიპიანი პირადობის მოცვობების გასაპროტესტირებლად კი არ უნ-

და გამოხვილე ქუჩაში, ერის სულიერი გარევნები რომ მიმდინარეობს, ამის წინააღმდეგ უნდა იპრემილო. ერის მომზადებაა საჭირო მისი სულიერების აღსაღენად. სულიერად გაძლიერება გვჰირდება.

- როგორ უნდა გაძლიერდეს ერი სულიერად?
- მეუფე იობს დავესესხები, რომელმაც მისთვის ჩვეული სიბრძნით კერძო საუბარში ეკლესია წყაროს წყალს შეადარა, რომელიც ხალხს საარსებო წყალს აწვდის, მაგრამ ალმოჩნდა, რომ სათავე დაბინძურებულია და ხალხს ჭუჭყიან წყალს ვასმევთ. სათავე უნდა გავასუფთავოთ, რის ფასადაც არ უნდა დაგვიჯდეს.

ჩვენ გვაქვს გეგმა, თუ რის გაკეთებასაც აპირებს „წმინდა გიორგის სადროოში“ უახლოეს მომავალში. ამ დღეებში პატრიარქს მივაწვდით წერილს ჩვენი გეგმების შესახებ. ჯერჯერობით წამოვჭერით ორი საკითხი: პირველი. **ვინაიდან მიგვაჩნია, რომ მართლა-დიდებლობის დასაცავად უნდა გავაათასკე-ოოთ შრომა და გარჯა, გვაძვს წინადაღება, ეკ-ლესიერში ყოველი წილვა-ტოცვა დასრულდეს მასლობელ უბნებში ჯვარ-ხატით საზეიმო მსვლელობით, კევითა და ნაკურთხი ცყლის პკურებით ეუჩეპში, რათა, არათუ ჩვენი გულებიდან, ქუჩებიდანაც გავყაროთ პოროგი კალები. ამის შემდეგ აღვავლინოთ ტაძარში პარაკლისი ერისა და მართლმადიდებლობის გადა-სარჩენად. თუ ზარების რევენ არ სურთ, ამით გაიცე დავანახოთ მფერს, რომ ჩვენ მართლა-დიდებლები ვართ და რცხონასა და სამშობლოს არ დავთმობთ.**

მეორე. მაძვს იდეა, მთელი საქართველოს მასშტაბით, მოეწყოს საპავლო ბანაკები, სა-დაც ქართველი და არაერთიველო ბავშვები დაისვევებენ, ილოცებენ, იშრომებენ და დაე-

უფლებიან ქართული კულტურისა და ხელოვნების საფუძვლებს. ამ ორი იდეით შევღივართ საპატირიარქოში და ვნახოთ, რა პასუხს მივიღეთ.

ჩვენი შემდგომი ნაბიჯი იქნება თავისუფლების მოედნიდან ყოვლად უსახური და უგვანი, უღირსი ძაგლის აღება. შემიწლოს წმინდა გიორგის მაძლეა, მაგრამ მას წმინდა გიორგის ძაგლს ვერ ვუწოდებ, მითუმეთეს, საიდანაც არ უძა შეხედო, არ ჩანს წმინდა გიორგი — ან ცხენი ჩანს, ან — გველებაპი. არანაირ კანონიკურ წმინდები ეს ძაგლი არ ჯდება. ეს არის წმინდანის უაათივცემულობა. როგორც ვიცი, 7კილოგრამი ოქრო დაიხსრება მის მოსაკირეთი გადადად. მავს წინადაღება, მოვხსნათ ოქრო და ამით ძაბულის ტაძრის სახურავი მოვამდროვთ.

თავისუფლების მოედანზე თავისუფლებისთვის მებრძოლი გმირების ქანდაკება უნდა იდგეს და არა — წმინდა გიორგის უსახური ძეგლი.

საერთოდ კი, მეფე დავით აღმაშენებლის ან ვახტანგ გორგასლის ძეგლის დადგმა არ ნიშნავს მათთვის პატივის მიგებას. მათი საქმის გაგრძელება უფრო დიდი პატივია წმინდანისთვის, ვიდრე მისი სახიერების გამოხატვა.

— მამაო ელიზბარ, გავრცელდა მოსაზრება, რომ ანტონ კათოლიკოსის ხსენების დღე წმინდა სინოდმა მიხეილ სააკაშვილის დაბადების დღეს დაამთხვია.

— ნამდვილად არ ყოფილა ასე. ყოველი დღე რომელიმე წმინდანის ხსენების დღეა და ესეც უბრალო დამთხვევაა, მეტი არაფერი.

— დეპუტატი დიმიტრი ლორთქიფანიძე საეკლესიო გვარდიისა და სადღროშოების შექმნის ინიციატივით გამოვიდა, რათა ეკლესიამ საკუთარი ლეგიტიმური

უფლებების დაცვა შეძლოს. თქვენ რას ფიქრობთ აღნიშნული იდეის შესახებ?

— დიდ პატივს ვუეძ დიმიტრი ლორთიშვილის, აათიონსანი კაცია, მაგრამ ბოდის მოვუს-დი კადნიერებისთვის და შევუსწორებ: სადრო-ზოების შექმნის დრო არ არის ახლა, ეს იგივე იქნება, რაც ჯარა იოსელიანის „მხედრიონის“ დროს შექმნილი საქონები. შექმნილია უკვე „ნეინდა გიორგის საძროშო“, რომელიც მთელ საქართველოში მოქმედებს.

მეუცე იორგა, როდესაც ჩვენი ორგანიზაციის შექმნის შესახებ შეიტყო, დაგვლოცა, გვა-კურთხა და გვითხრა, რომ ცხინდა გიორგის დროშის ქვეშ უდია გაერთიანდეს ყოველი ქარ-თველიო და, თუ სურვილი აქვთ, შემოუერთდენ. თუ ვინერ ღირსეული გამოჩდება, სიამოვ-ნებით დავუთმობ მედროვეობას. კერძო ორგა-ნიზაცია კი არ გვაქვს, რომელიც არავის ვუჟ-ვებთ. ჩვენი საძროშოს ცესდების მუხლები მოლიანად ეყრდნობა მისი უფინვესობის ქა-ძაგებებსა თუ ეპისტოლებას. არის უკვე ორგა-ნიზაცია და ახლის ძიება აღარ არის საჭირო.

«მიღეა ჩვენს ძების, აფხაზების, თვალებში ჩავხედო და გადობსა პირველია ეს ვთხოვო, რომ რდეასაც ერთგანთს ვესერლით»

— მამაო ელიზბარ, რა მიზნით სტუმრობთ საქართველოს რეგიონებს და ვისთან მართავთ შეხვედრებს?

— საკუთარ თანამოზარეებთან ერთად, მთელი საქართველოს შემოვლას ვაპირებ. ჩემთან ერთად არიან „წმინდა გიორგის სადროშოს“ წევრები და მისი თავმჯდომარე გიორგი სუბელიანი. აღსანიშნავია, რომ ჩვენ ვხვდებით როგორც ქართველ, ისე არაქართველ მოსახლეობას, რომლებიც კეთილგანწყობილნი არიან ჩვენ მიმართ. ჩვენი სადროშოს კარი ყველასთვის ღიაა, მთავარია, მართლმადიდებელი იყოს.

ჩვენი ვიზიტის მიზანია, ერთი დროშის ქვეშ რაც შეიძლება მეტი თანამოაზრე, მეტი გულანთებული პატრიოტი შევკრიბოთ, ვინაიდან წმინდა გიორგის დროშის ქვეშ უნდა გავერთიანდეთ და მართლმადიდებლობისა და ქვეყნის მტრებს ერთად ვებრძოლოთ. ჩვენ გვინდა, საქართველოში ქართული საქმე კეთდებოდეს და მართლმადიდებლური ეკლესიის დისკრედიტაცია შეწყდეს. უნდა აღვნიშნო, რომ ეს აქცია სწორედაც რომ პატრიარქის მხარდასაჭერად იმართება, ვინაიდან ჩვენ ყოველთვის მისი უწმინდესობის მხარდამხარ ვიბრძოლებთ. ეკლესიის ერთიანობა იყო, არის და იქნება ჩვენი დევიზი.

ორი მიზნით ვაგროვებთ ხელმოწერებს: გვსურს წმინ-

და გიორგის ვითომდა ძეგლის დემონტაჟი და საქართველოს პარლამენტის მიერ რელიგიური კონფესიების შესახებ მიღებულ კანონპროექტში ცვლილებების განხორციელება.

შიშის ფაქტორი, რა თქმა უნდა, მოსახლეობაში არსებობს, მაგრამ ხალხი მაინც მოდის ჩვენთან და გვიერთდება. ჩვენ ხომ ამ შემთხვევაში არანაირი პოლიტიკური მოტივი არ გვამოძრავებს. ყველა კარგად ხვდება, რომ მართლმადიდებლობას დღეს დაცვა სჭირდება. ხალხს სურს, რომ საქართველოში ქართული საქმე ქართული ხელით კეთდებოდეს და არა სოროსისა და მისი „ხელის ბიჭების“ მემვეობით იმართებოდეს პროცესები. ვხვდებით სასულიერო პირებსაც, რომლებიც მხარს ვაკიჭერენ, თუმცა შეიძლება აშკარად ვერ გამოხატავენ ჩვენს მხარდაჭერას. 30 აგვისტოს, მთელი საქართველოს მასშტაბით, ყველა მართლმადიდებელს მოვუნოდებთ, მოვიდნენ ჩვენს აქციაზე და ერთად გადავწყვიტოთ ყველაფერი. ჩვენ რა, ამ ქვეყნის მოქალაქეები არ ვართ? თუ, რადგან მართლმადიდებლები ვართ, უნდა დავისაჯოთ? თუ სხვის უფლებას იცავს ხელისუფლება, ჩვენიც დაიცვას, არავის არ უნდა მივცეთ ჩვენი დაჩაგვრის უფლება.

— **თუმცა წმინდა სინოდმა იმსჯელა და საპატრიარქომ ხელისუფლებასთან გარკვეულ შეთანხმებას მიაღწია. რას შეცვლის თქვენ მიერ შეგროვებული ხელმოწერები?**

— ჩვენ ხომ ამ კანონის გაუქმებას არ ვითხოვთ? ჩვენ ვაპირებთ 30 000 ხელმოწერის შეგროვებას, რათა აღნიშნული საკითხი პარლამენტმა განსახილველად მიიღოს და კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს. რას იზამენ, არ ვიცი, მაგრამ ჩვენ კიდევ ერთხელ გვინდა პარლამენტს ჭეშმარიტად ქართული საქმის გაკეთების საშუალება მივცეთ.

— **2008 წლის აგვისტოს ომიდან სამი წელი გავიდა.**

ამ ომმა საქართველოს დაკარგული ტერიტო- რიები და მსხვერპლი მოუტანა. ამაზე საზო- გადოებაში დღეს ბევრს მსჯელობენ. შეიძლებო- და თუ არა ომის თავი- დან აცილება?

— ომის თავიდან აცი- ლება ყოველთვის შეიძ- ლება და მითუმეტეს ამ კონფლიქტის.

ომიდან სამი წელი გავ- იდა და მინდა თქვენი გა- ზეთის მეშვეობოთ, ომში დაღუპულ გმირთა ოჯა- ხებს სამძიმარი გამოვუ- ცხადო. ჩვენი მიზანია, როცა თავისუფლების მოედან- ზე, ამ, ვითომდა წმინდა გიორგის ძეგლს აიღებენ, იმ ადგილზე ომში დაღუპული გმირების ქანდაკება აღი- მართოს.

— საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი რუსეთის პატრიარქ კირილს შეხვდა, როგორ ფიქრობთ, რა პო- ზიტიურ შედეგს შეიძლება ველოდოთ?

— ეს იყო ეპოქალური მნიშვნელობის შეხვედრა. მარ- თალია, არც აქამდე ეპარქებოდა ვინმეს ეჭვი მისი უნ- მინდესობის, ჩვენი პატრიარქის სიბრძნეში, მაგრამ ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა.

რუსეთის პატრიარქმა უთხრა ილია მეორეს, რომ მას თავისუფლად შეუძლია ესტუმროს თა- ვის ეპარქიას და იქვე დაამატა, გედიერი ვიქ- ენი, თუ მეც თან გეახლებითო. ეს უკვე დიდი ცარმატება ჩვენი ქვეყნისთვის. ამხელა სა- ხელმიწოდების პატრიარქი, საერო ხელისუფალთა




ცულელური განცხადებების მიუხედავად, მზა-
დას, ჩვენს კათოლიკოს-პატრიარქს სჭუმრად
ეახლოს აფხაზეთის ეპარქიაში მოგზაურობის
დროს.

მე ბედნიერი ვიქწები, თუ ეს მოხდება. დიდი სურვი-
ლი მაქვს, „წმინდა გიორგის სადღომოსთან“ ერთად
მოვილოცო აფხაზეთი. აფხაზეთის ომის დროს, მე არ
ვიყავი სასულიერო პირი და თავად გახლდით ომის მო-
ნაწილე, ამიტომ ჩემი ძმების, აფხაზების, მიმართ სირ-
ცხვილის გრძნობაც კი მაქვს და პატრიარქის ვიზიტი
ამ სირცხვილთან მიახლოების საშუალებას მაძლევს.
მინდა ჩვენს ძმებს, აფხაზებს, თვალებში ჩავხედო და
შენდობა პირველმა მე ვთხოვო, რომ ოდესალაც ერთმა-
ნეთს ვესროლეთ.

— სომხური სათვისტომოს დამფუძნებელი არწოლდ
სტეფანიანი არმენოფონბიურ განცხადებებში გადანა-
შაულებდათ და თქვენ წინააღმდეგ საჩივრის შეტანას
აპირებდა. თქვენი დაპირისპირება პრესის ფურცლე-
ბიდან გრძელდება...

— ეგ ერთი საცოდავი კაცია, პრესაში გამოქვეყნდა
ინფორმაცია, რომ ის სპეცსამსახურების მიერ „დავერ-
ბოვებული“ ყოფილა. ჩვენც გქონდა ეს ინფორმაცია,
მაგრამ სახალხოდ აქამდე არ ვამბობდით და არ გაჩერ-
და. ყველანაირი ფობითაა დაავადებული და ახლა სა-
სულიერო პირებსაც უჩივის, მაგრამ მე სტეფანიანის
ნათქვამმა ერთმა ფრაზამ გამაოცა. „ჩვენ საპატრიარ-
ქოში უკვე პარტნიორი გვყავსო,“ — ახლახან განაცხა-
და. რას ნიშნავს ეს სიტყვები? წარმოგიდგენიათ, სასუ-
ლიერო პირებს უჩივის რომელიღაცა არასამთავრობო
ორგანიზაციის წარმომადგენელი და თან აცხადებს,
რომ დასაყრდენი თურმე საპატრიარქოში აქვს.

„ასტორიული გეტვებიდანუნდა“ ©



თავი მეცხრე

**თბილისი ჯვართამაღლების
ტაძრის ნინებპლვარი,
დეკანოზი
თარძოჩა (გიგეა)**

ჩვენი საზოგადოება სიძვისა და გარევნილების ეფექტური მიზანი!

არა არას დაფარულო...

— მამაო თეოდორე, კითხვა, რომელსაც ახლა და-
გისვამთ, ორიგინალური ნამდვილად არაა თავისი
„მარადიული“ აქტუალურობის გამო. ნაცნობმა ქა-
ლებმა მთხოვეს, მასზე პასუხი, მაინც და მაინც,
თქვენ გასცეთ.

— ყურადღებით გისმენთ.

— რატომ არ შეიძლება ქალისთვის ეკლესიაში ყოფ-
ნა თავსაბურავის გარეშე და რატომ უკრძალავენ
ქალს შარვლით ტაძარში შესვლას?

— როდესაც ქრისტიანობა გვასწავლის, თუ როგორ
ვისწრაფოთ ცოცხალი ღმერთისაკენ, გვასწავლის, მიგ-
ვანიშნებს, გვმოძლვრავს, გვახსენებს, რომ ჩვენი ცხოვ-
რების მიზანი მარადიული სიცოცხლეა, რომ ღმერთი
ჩვენთან ადამიანად მოვიდა, ჩვენ გვერდზე ჩვენთვისვე
იცხოვრა, რითაც ადამიანური ბუნება წმინდა სამების
წიაღში — მარადისობაში შეიყვანა, ამ დროს ზოგიერ-
თებს აწუხებს რაღაც სისულეები და იბრძვიან, რომ
როგორმე პატარაში, მცირედში მაინც გამოიჩინონ ურ-
ჩობა! მათ ავინყდებათ უფლის სიტყვები: მცირედსა ში-
ნა ერთგული იყავი და დიდსა ზედა დაგადგენო.

ადამიანებო, თუ მცირედში ურჩნი ხართ, „დიდსა ზე-
და“ როგორლა დაგაყენებენ?!

— მამაო, რით ახსნით ხალხის მიერ ამ მეორეხარის-
ხოვანი საკითხებით დაინტერესებას?

— ადამიანს დაცემული ბუნება აქვს, რაც ნიშნავს,
რომ მასში პირუტყვული და დემონური საწყისი ჭარ-
ბობს: დემონური — სულში, ხოლო პირუტყვული —

ხორცში. ამის წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო, რადგან ამ დაცემულობამ არ იმარჯვოს ჩვენს პიროვნულ არჩევანზე; რომელიც ასე უღერს: „ღმერთო, მე შენთან მინდა“, და არა ძვირფასი დროს ხარჯვა ამ გაუთავებელ: „რატომ შეიძლება ეს მამაკაცისათვის და არ შეიძლება ქალისათვის...“

მეტად ცუდ, მძიმე დროს ვცხოვრობთ. დღეს ეპროკავშირში, ვითომოდა მამაკაცის და ღედაკაცის თანასწორობის ეგიდით, ძალზე სერიოზულად ცდილობენ, მოასდინონ სეასის ნიველირება. მაგალითად, არსებობს სპეციალური პანიკატები, ლიცეუმები, სკოლები, სადაც ბავშვებს ფსიქიკას უმახინჯებენ. ბიჭებს სათამაშოდ აქლევენ თოჯინებს, ასწავლიან ეპლურ სინაზეს, ხოლო გოგონებს „ამარაგებენ“ ბიჭის სათამაშოებით, მოკრივის ხელთათმანებით და ჩეუბსაც ასწავლიან! თუმცა რაზეა ლაპარაკი, როცა ამ უკუღმართობის სულისხამდგმელი — ეს გონებამოშლილი ხალხი — თვით ბიბლიის რევიზიასაც ახდენენ!

— როგორ, მამაო?!

— ბიბლიის ბეჭდვის დროს, სქესის აღმნიშვნელ ყველა სიტყვას იღებენ! ხედავთ, რა საშინელება ხდება, აქ კი „თავსაფრის“ პროლემით „იტანჯებიან“...

— და, მაინც, მამაო, რა სიმბოლოა ამ თავსაფარში?

— ცნობილია, ყოვლად წმიდა სამება — ღმერთი არც კაცია და არც ქალი. აი, გეკითხებით — სამების მერე, იერარქიულად, ვინ დგას?

— ყოვლად წმინდა ღვთისმშობელი მარიამი!

— ანუ ქალი და არა კაცი! კიდევ გეკითხებით: გინახავთ რომელიმე ხატზე ღვთისმშობელი თავსაბურავის გარეშე? ასეთი ხატი არ არსებობს! მერე, ის თქვენი ნაცნობი ქალბატონები, თავს მართლმადიდებლებად რომ თვლიან, პატივი არ უნდა სცენ დედაღვთისმშობელს?

არ უნდა ისწრაფოდნენ, რომ მას დაემსგავსონ?! შემდეგ, ლმერთი დედამიწაზე მოგვევლინა მამაკაცად — იქსო ქრისტედ, ხომ ასეა? ამიტომ, **ლოცვის დროს, ხაზს ვუსვამ, ლოცვის დროს, ეალს თავსაფარი რომ აფარია, ამით აღიარებს, რომ გვერდზე გდგომი მამაკაცი მისთვის ძრისტეს ხატია!**

— მამაო, კაცს თავზე არაფერი რომ არ აფარია, ეს რას ნიშნავს?

— ნიშნავს იმას, რომ კაცი უშუალოდ დგას ღვთის წინაშე და ამით ადასტურებს, რომ ის პასუხისმგებელია ქრისტეს წინაშე. ეს პასუხისმგებლობა კი, მეტად მძიმეა.

— მამაო, თანამედროვე ქალბატონებს არ მოსწონთ სიტყვები: ცოლს ეშინოდეს ქმრისო. ეს, მათი აზრით, ქალის დისკრიმინაციაა.

— მაგ შემთხვევაში, სიტყვა „შიშში“ არ იგულისხმება შიში კაცის ფიზიკური ძალის წინაშე, ან სოციალური ჩაგვრის შიში, არამედ სხვა შიში — შიში იმისა, რომ მეუღლის ღირსება, როგორც ქრისტეს ხატისა, არ იქნას შეურაცხყოფილი...

— ეს შიში ქმრისადმი იგივეა, **რაც შიში ხატისადმი?**

— დიახ. აქ შიში — კრძალვის სინონიმია. ჩვენ ხატს ხომ კრძალვით ვექცევით? მართალია, ის ფიცარი და სალებავია, მაგრამ მისდამი უდიერად მოპყრობა ნიშნავს მასზე გამოსახული პირველსახის შეურაცხყოფას.

— მამაო, რა არის საფუძველი ცოლის კრძალვისა ქმრისადმი?

— უპირველეს ყოვლისა, ქმრის თავგანწირული სიყვარული ცოლისადმი! პავლე მოციქული ამბობს: ისე უყვარდეს ქმარს თავისი ცოლი, როგორც ქრისტემ ეკლესია შეიყვარაო! ანუ გვეუბნება თავგანწირულ სიყვარულზე. სხვა ადგილას წმინდა მოციქული ბრძანებს: დაემორჩილონ ერთმანეთსო. ასევე, გვმოძლვრავს: ცოლო, არ გეკუთვნის შენი ხორცი შენ, არამედ — ქმარს და იქ-

ვე აგრძელებს: ქმარო, არ გეკუთვნის შენი ხორცი შენ, არამედ — ცოლს; და კიდევ: ღვთის წინაშე არ არის მა- მაკაცება და დედაკაცება. აი, ესაა თანაბრობის უმაღ- ლესი საფეხური!

მაგრამ თანაბრობაში არის ქალსა და კაცს შორის გან- სხვავებულობა, რომელიც ცხოვრებას, კაცობრიობას ალამაზებს. თუ რამე მშვენიერებაა შექმნილი, მათი უდიდესი უმრავლესობა მამაკაცისა და დედაკაცის ურ- თიერთობიდანაა ამოზრდილი, რომელიც მართლაც უპირველესია სხვა მშვენიერებისა და სიყვარულისა!

— მამაო, რაში ულინდება ეს განსხვავებულობა?

— ულინდება ქცევაშიც, თვისებებშიც და ბუნებაშიც. ქალი ნაზია, მამაკაცი — ფიზიკურად ძლიერი. ქალს უხდება კდემამოსილება, მორჩილება; კაცს — რაინდო- ბა, ასევე, უხდება, რომ ქალს მფარველობდეს და მისი დასაყრდენი კლდე იყოს. ქალს უხდება, რომ კაცს მი- ენდოს და მისი მფარველობა აღიაროს. ეს ნამდვილად ალამაზებს ქალს!

— მოვისმინე, მამაო, ერთი ფემინისტი დედაკაცის ჩივილი: რატომ შეიძლება ქმარმა ულალატოს ცოლს, ხოლო ცოლმა არაო. რით ანუგეშებთ მას?

— ღვთის წინაშე ღალატი თანაბრად მძიმეა! როცა უფალმა მოგვცა მცნება „არ იმრუშო“, მას არ უთქვამს — კაცმა იმრუშოსო, ხოლო ქალმა — არა. სხვათა შო- რის, ძველ აღთქმაში მრუშობა სასტიკად ისჯებოდა. თუ მამაკაცსა და დედაკაცს წაასწრებდნენ ამ სამარ- ცვინო დანაშაულზე, ორივეს ქვებით ქოლავდნენ. ეს იყო კანონი! ასე რომ, კაცის ღალატიც სიმახინჯეა! მაგ- რამ ამ სიმახინჯის გამოსწორება უნდა ხდებოდეს ლოცვით, ვედრებით, რომ გონებადაბნელებული კაცი გონს მოეგოს, გახდეს პატიოსანი, ოჯახის ერთგული და არა სკანდალებით, ჭურჭლის მსხვრევით და, არა- ვითარ შემთხვევაში იმით, რომ ქალი თავად გახდეს მო- ღალატე, როგორც კაცი!

— მაგრამ, მამაო, ფსიქოლოგიურად, და არა მხოლოდ ჩვენს სინამდვილეში, არამედ ყველა კულტურაში, ქალის ღალატი შეუდარებლად მძიმედ აღიქმებოდა და აღიქმება. რატომ?

— მართლაც ასეა და ამ დამოკიდებულებას ვერსად გავექცევით. ეს ქალის ფიზიოლოგიდან გამომდინარებს. მისი ფიზიოლოგიური თავის ებურება განაპირობებს იმას, რომ ქალი უფრო ბინძურდება... **არადა, ქალი დედა უნდა იყოს, ანუ ის ნიმინდა ჟურზელი,** საიდანაც ახალი ადამიანი იჩადება! მხოლოდ ამიტომ ქალის ღალატი უფრო ამაზრზენი ხდება, თუმცა ღვთის წინაშე ორივენი თანაბრად დამნაშავები არიან... აქვე მინდა დავამატო, ქართველი ქალი (და ამაში, ვინც ისტორია მეტ-ნაკლებად იცის, დამეთანხმება) საოცრად კდემამოსილი იყო. მისი შესამოსელიც ამას უსიტყვოდ ადასტურებს. მამაკაცისთვისაც კდემამოსილება ბუნებრივია!

— მამაო, რამდენად ბუნებრივია ახლა გაბატონებული მცნებები: „მამამარჩენალი ქალი“, „მშოვნელი ქალი“ და ასე შემდეგ?

— მე კერძო დასახლებაში ვცხოვრობ და არა ერთხელ მინახავს გაზაფხულზე ან შემოდგომაზე, როცა ეზოებში სამუშაოებია, დილიდან საღამომდე როგორ შრომობენ ქალები, კაცები კი ნიავდებიან „ბირჟაზე“, თანაც — შორტებში, ფეხიფეხებადადებულნი... დაიმალე, კაცო, სირცხვილისაგან! ზიხარ უსაქმურად, შენი ცოლი კი წელებზე ფეხს იდგამს. ეს, ხომ შენი ღირსების შემლახველია!

— გამოდის, მამაო, კაცების ბრალია?

— ეს თავისთავად ცხადია! მაგრამ, თუ ქალი მსხვერპლია — შეგეცოდება და თანაუგრძნობ, ხოლო, თუ ქალმა ეს როლი გაითავისა, მოენონა და კაცს არ უთმობს, მაშინ ქალიც დამნაშავე ხდება!

— მამაო, ჩვენში დიდ რეკლამას უწევენ ე. ნ. წარმა-

ტებულ ქალბატონებს, რომლებიც ჩაფლულნი არიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ოჯახი კი, როგორც ჩანს, მიზოვებული ჰყავთ.

— ქალი საფუძველთა საფუძველია ოჯახისა და მომავალი თაობის აღზრდისა! გარეთ მოღვაწე ქალის ბავშვი ან მარტოა, ან, უკეთეს შემთხვევაში, ძიძასთანაა. ასეთი ბავშვი არაჯანსაღ მდგომარეობაშია და, აქედან, არასრულყოფილი იზრდება. **დედის სითბოს მოკლებული ბავშვი სიყვარულს ძელად სცავლობს.** შემდგომში მას ძალზე უჭირს სხვა ადამიანის მიმართ სიყვარულის გამოხატვა; და თუ მასობრივად ასეთი ხალხი ნამოვა, რომლებსაც სიყვარულის გამომზღავნების, აღმის, განცდის უნარი არ ენერგათ, მერე ამ ადამიანთა მართვა ქალიან ადვილი ხდება. მათში უზნეობის ჩანერგვაც არ გაფირდება. საპოლოო ჯამში, ასეთი ადამიანებისაგან და ერგისაგან ადვილია შეემნა კონგლომერატი, რომელსაც თავის გემოზე, ზურაზე ერთი ადამიანი მართავს. უეჭველად, ამის უკან ბოროტი სული დგას, რომელიც ღვთის ხატებით დასახლებულ ამ მასას, თაყვანს აცემინებს ერთ ადამიანს, რომელშიც იქნება სატანის სრული ძალაუფლება. ეს არის ეშმაკის ბრძოლა ღმერთის წინააღმდეგ! ის ადამიანი კი, რომელიც, მეტ-ნაკლებად, აი, ამ ფერხულშია ჩაბმული — პატარა ანტიქრისტე, რომელიც ღმერთს ზურგს აქცევს და დედამიწაზე ეშმაკის საქმეს აკეთებს! საინტერესოა, გარდაცვალების შემდეგ, ღვთის წინაშე თავს რით გაიმართლებს?!

— როგორ თუ რით, მამაო? ნებისმიერ სახელმწიფო მოხელეს რომ შეეკითხო, რატომაა იგი ხაზინის ქურდი, რატომ აჩანაგებს ქვეყანას, რატომაა სამშობლოს მოღალატე და ა.შ., გიპასუხებს, რომ ამ სისაძაგლებს სჩადის არა პირადი კეთილდღეობისათვის, არა-

**მედ მხოლოდ და მხოლოდ თავისი შვილების ნათელი,
უზრუნველი ცხოვრებისათვის მომავალში.**

— ეს გამართლება კი არა, პირიქით, ჩადენილი დანა-
შაულის დამამძიმებელი ფაქტორია. ასეთი „მოაზროვ-
ნე“ შვილებს მომავლის გარეშე ტოვებს! ამ ხალხს უნ-
და ახსოვდეს, რომ მათ შვილებს თავად ღმერთი მოუვ-
ლის და მფარველობასაც გაუწევს, საკუთარი სულის
გადარჩენაზე იფიქრონ!

**— დაბოლოს, მამაო! თქვენ განმარტეთ თავსაფრის
მნიშვნელობა, მაგრამ, რატომ ეკრძალებათ ქალებს
ეკლესიაში შარვალში გამოწყობილებს შესვლა, არ
გითქვამთ.**

— უფალი ბრძანებს: წყეული იყოს დედაკაცი, რომე-
ლიც მამაკაცის სამოსით შეიმოსება და წყეული იყოს
მამაკაცი, რომელიც დედაკაცის სამოსით შეიმოსებაო.
ვისი ტანსაცმელიც გაცვია, იმ სქესის თვისებებით, ასე
ვთქვათ, იმუხტები. ქალს, რომელსაც, ძირითადად,
შარვალი აცვია, კარგავს დამამშვენებელ სინაზეს და
თანდათანობით უხეშდება; ანუ ის არა მარტო არას-
რულფასოვანი ქალი ხდება, არამედ მამაკაცის კარი-
კატურადაც იქცევა! მაგრამ დღეს შარვალს ვინდა ჩი-
ვის, ქალები კოლგოტშემოტმასნული დაიარებიან ქა-
ლაქში! მეძავური უნიფორმა მოირგეს! ეს კი იმას ნიშ-
ნავს, რომ მათში მეძავური სული შევიდა; ეს სული მათ-
ზე ბატონობს!

**ეალმა, რომელიც გამომწვად იცხოვს, შე-
საძლოა, სოციუმში თავისი მდგომარეობის გა-
მო, ვერ გაპედოს, ფიზიკურად აღასრულოს სე-
სოპრივი აქტი, მაგრამ შინაგანად მას აქვს
მზაობა მეძავობისკენ და, თუ ამ დედაკაცს შე-
საბამისი პირობები შეეძმნება, ის ამას აღას-
რულებს! დღეს, სამცუხაროდ, ჩვენი საზოგადო-
ება სიძვისა და გარყვნილების მდგომარეობა-
შია!..**

მე ყველას ვუსურვებ, რომ ცხოვრების მიზანი და საზრისი გაეცნობიერებინოს და ყოველთვის ახსოვდეს, რომ ჩვენი მოქალაქეობა ზეცაშია და აქ მხოლოდ დროებით ვართ. ადამიანს, რომელსაც ეს ახსოვს და შესაბამისად ცხოვრობს, სინდისი არ მისცემს საშუალებას, რომ გაშიშვლდეს და სხვის მაცდუნებლად იქცეს. შერცხვება!

სირცხვილის გრძნობა დაიკარგა. სირცხვილის გრძნობა, რომელიც ღვთისაგანაა ჩადეპული — ითრგუნება. დღეს ეს რეალობაა!

— და ბოლოს. მამაო, 5 ივლისს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის ძალით სხვადასხვა კონფესიები იურიდიული სტატუსით გაათანაბრეს მართლმადიდებელ ეკლესიასთან. მართალია, დღევანდელი საუბრის თემა სხვაა...

— ყველაფერი ერთმანეთზე გადაბმულია და ეს საკითხიც თავსდება ჩვენს საუბარში. **მე მინდა პარლამენტის იმ მოღვაწეებს შევეკითხო, რომლებიც თავს დებარ მართლმადიდებლობაზე:** პატონებო და ძალბატონებო, რამდენად ზნეობრივია, როცა თქვენივე სულიერი მამის — პატრიარქის თხოვნას: „ამ საკითხები არ ავრჩარდეთ, ყველაზერი გავიაზროთ, გამოვიკვლიოთ“, არაუკანად აგდებთ... იცით თუ არა, ეკლესიის ძაუკითხვად, ეკლესიისთვის სასარგებლო კანონის მიღებაც კი დიდი უზნეობაა! აი, ესაა ჩემი პასუხი.

„საქონლიული ტერიტორიული მასა“ ©



თავი მაათა

**თბილისის ივერიის
ღვთისეულის ტაძრის
გლვდელმსახური,
სეიმარეპიმანდრიტი
გაეა გრიგოლი (საგაბიცი)**

მადლობას ვუძი ამ მთავრობას და პირადად მიუა საკავშირს, რომ ყველას სახე ასე აშკარად გვაჩვენა, სიცოდებიც და ერთიც

— მამაო გრიგოლ, უპირველესად, მადლობა მინდა გადაგიხადოთ იმისათვის, რომ ჩვენთან საუბრის სურვილი გამოიტქვით. საზოგადოებას კარგად ახსოვს თქვენი ხმაურიანი განცხადებები სახელმწიფოს არასწორ პოლიტიკაზე, ქართულ ეკლესიაში არსებულ უამრავ პრობლემაზე, სასულიერო პირებს, მათ შორის დიდ იერარქებსაც ხმამაღლა ამხელდით „უზნეო“ საქციელში, მეტიც, მათი შეუფერებელი საქციელის „დამადასტურებელი დოკუმენტებიც“ კი გამოფინეთ ერთ-ერთ გაზეთში. რადგან ჩემთან საუბარი მოისურვეთ, ესე იგი სათქმელი დაგიგროვდათ...

— დღეს სახელმწიფოს საქმეს არ გავარჩევ. არ გაგაკვირვოთ ჩემმა ნათქვამმა, იმიტომ, რომ სახელმწიფოს ქმედებებმა გაამჟღავნა, სინამდვილეში ვინ რას წარმოადგენდა, გვაჩვენა რეალური სახე ადამიანებისა ერშიც და ბერშიც.

ჩვენი წინაპრებისთვის რომ გეთქვა, საქართველოში ჩაშვების ინსტიტუტი ოდესმე ამოქმედდებაო, ალბათ, მხოლოდ ამის თქმისთვის გაგრიყავდნენ და შეგაჩვენებდნენ. ჩამშვებები ყოველთვის იყვნენ. ჯერ კიდევ შოთა რუსთაველმა XII საუკუნეში ბრძანა: „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდებისო“. და დაუდგათ ხანა და აჩვენეს თავიანთი ბუნება. ქართველი რომ ქარ-

თველს ჩაუშვებდა, ჩვენში ისეთ კაცს კაცად არ მიიჩნევდნენ. ჩვენ ქრისტიანები ვართ, ქრისტიანობა კი, პირველ რიგში, იმას ნიშნავს, რომ არა მხოლოდ მოყვასი, მტერიც კი სასიკეთოდ შემოაბრუნო, კი არ უნდა დაწყევლო და შეაჩვენო... კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი ამ მთავრობას და პირადად მიშა სააკაშვილს, რომ ყველას სახე ასე აშკარად გვაჩვენა, სინოდშიც და ერშიც.. დიახაც, მადლობა მიშას! ამ ქვეყანაზე ყველაფერი უფლის დაშვებით ხდება. სახარებაშიც წერია, რომ უფლის ნების გარეშე, თმის ღერიც არ ჩამოუვარდება ადამიანს თავიდან. არავინ ითიქროს ის, რომ რომელიმე მთავრობა, საერო თუ სასულიერო ხელისუფლება ღვთის დაშვების გარეშე მოევლინება ქვეყანას.

...უამრავი პრობლემა, უკეთურებაა ერშიც და ბერშიც, რომელსაც დანახვა სჭირდება.... დღეს ყველამ ხმამაღლა უნდა თქვას თავისი სათქმელი, განსაკუთრებით სასულიერო პირებმა და დიდმა იერარქებმა, თორემ ისტორია მათ ამ დუმილს არ აპატიებს! ხოლო თუ სიმართლის გულისთვის კაცს და განსაკუთრებით სასულიერო პირს დაგრავენ და გდევნიან, ეს კიდეც უნდა გიხარიდეს, თუ მართლა მორჩმუნე ხარ, მორწმუნედ თუ მიიჩნევ თავს, სიმართლისთვის რომც მოგკლან, უნდა გიხარიდეს — ცხონდები ამის გამო. აბა, რისი უნდა გეშინოდეს?

...ანდა იქნება მიკასუსოს ვინეომ, რაში სჭირდება ჩვენს სახელმიწოდების ჯარი? რაც ახლა თავდაცვის სამინისტროზე იხარჯება, იმ თანხების ნახევარი რომ მოახმარო ამ გაუგედურებულ საჭიროს, ევეყანაში შიმარილით მაინც არავინ მოკვდება. რად უნდა საქართველოს ჯარი? ეს არის ტყუილი ხარჯი! ვის უნდა ემომს და ვის უნდა მოუგოს? მერე კიდევ, ვის მოუგეხს ომს — რუსეთს, თურქეთს, სომხეთს თუ აზერბაიჯანს? მიკასუსეთ...

— მამაო, იმ გახმაურებულ კანონპროექტზე მინდა გყითხოთ. მიიჩნევთ, რომ ეს კანონპროექტიც უფლის დაშვებით მოხდა? ყველას გვახსოვს, საპატრიარქოს და უშუალოდ, პატრიარქის ძალიან ხმამაღალი განცხადებები იმ საშიშროებებთან დაკავშირებით, რასაც ეს კანონპროექტი შეიცავდა, იყო ძალიან დიდი გამოსვლები, მრევლის მსვლელობები ქაშუეთის ტაძრიდან სამების საპატრიარქო ტაძრამდე... თუმცა სინოდის გახმაურებული სხდომის შემდეგ ტონიც შეიცვალა და დამოკიდებულებაც. თქვენ ხომ ამბობთ, რომ არასოდეს გაურბისართ სიმართლეს, რის გამოც ბევრჯერ გითქვამთ, რომ ხან სალოსს გინოდებდნენ, ხან უზნეოს, ხან კიდევ გიუს... ჰოდა, ამ მოვლენის თქვენეული ახსნა მაინტერესებს. რა შეიცვალა სინოდზე და სინოდის შემდეგ? რა არის რეალობა და რა არის ტყუილი? სინამდვილეში რა მოხდა და რას გვაწვდიან?

— სინოდის სხდომას სანამ მოიწვევდნენ, ეს უკვე გარკეცული იყო და ეს შეთანხმება მთავრობასა და საპატრიარქოს შორის უკვე არსებობდა. არაა გამორიცხული, პრეზიდენტად რომ დანიშნეს ჩვენი მიხეილი, ეს მაშინდელი პროექტიც კი იყოს და ამაზე თანხმობაც ჰქონდა მიცემული საპატრიარქოს. საპატრიარქოს უკვე გაანალიზებული ჰქონდა, თუ რა ხდება. მე მაპატიოს ყველა იმ სასულიერო პირმა და მოღვაწე მღვდელმთავარმა, ვის მიმართაც ეს არაა სათქმელი, მაგრამ, რასაც ჰქვია სინოდი, ქვეყანას არ ყავს!

იცით, რას ნიშნავს „ნმინდა სინოდი“? რას ნიშნავს სიტყვა „ნმინდა“? როგორ შეიძლება ნმინდანად მიიჩნიო მევახშე, ბარიგა, ნარკომანი, მამათმავალი, მრუში (თუმცა მრუში თუა და „დედათმავალია“, უნდა გვიხაროდეს, კიდევ კარგი, კაცი მაინც ყოფილა), ეს ქვეყნისა და ერის დაცინვა, სასაცილოდ აგდებაა.. სბძართველოს ნახევარზე გათი ტერიტორია აღა გვაძვს, ისტორიული საქართველოს სამოცდა-

ათ პროცენტზე მეტი დაკარგულია. ისტორიიდან ცენტილია, რომ, როცა საქართველო ნიკოზისიდან დარუბანდამდე და ოვსეთიდან არეგაცამდე იყო აღმაშენებლის დროს, მაშინ არ გვყოლია აგდენი მღვდელმთავარი. ყველა რაიონს რად უნდა ეაისარაოსი? რა ვიცი, იძნებ მე ვცდები... და ნეტა, მართლა ვცდებოდე!

ქართველი ადარაა საქართველოში და რას მწყემსავენ, საინტერესოა. ერთი პერიოდი, საპატრიარქოს უნდოდა საღორებების აშენება და, ალბათ, იმათ მომწყესავენ. მთელი საქართველო გაქცეულია საზღვარგარეთ. მე დავდივარ საზღვარგარეთ, რომ ნახოთ, იქ რა დღეში არიან ლუკმაპურის საშოვნელად გაქცეული ქართველები, ცხარე ცრემლით იტირებთ.

— მამაო, განა ეს ეპისკოპოსები პატრიარქის ნაკურთხი არ არიან? ეს ნაკლოვანებები რომ არსებულიყო ამ მღვდელმსახურებში, განა პატრიარქი ვერ დაინახავდა, სანამ ეპისკოპოსებად აკურთხებდა? ვიღაცის იძულებით ამას არ გააკეთებდა...

— მინდა იცოდეს ყველამ, რომ პატრიარქს ვერავინ ვერაფერს აიძულებს, პატრიარქი მაცხოვლის გზას მიჰყვება. მაცხოვარი ბრძანებს: „მე ვარ ნაკლოვანთა აღმავსებელი და უძლეოთა მკურნალიონ“. პატრიარქს უნდა, რომ ყველა განიკურნოს, მაც გათ შორის. მე მას ვეცოდები — გიურია, ალბათ, ფიქრობს... მე მას უდიდეს პატივს ვცემ, მაგრამ საქმე, იცით, რაშია? სინოდზე რაც მოხდა, მაიც არ დაიმალება... თუმცა, საზოგადოების ინტერესის დასაკმაყოფილებლად, უურნალისტებმა არ შეიძლება ტყუილი წერონ!

— მამაო, თქვენ წელან აღნიშნეთ, საქართველოს ჯარი არ სჭირდებაო, მაშინ გეკითხებით: როცა ჩვენი ქართველი ჯარისკაცები მიდიან ავღანეთში ან ერაყ-

ში სამშვიდობო მისიის შესასრულებლად, მათ სასულიერო პირი აკურთხებს და ლოცავს. იქნებ აგვისტონას ვინმემ, რაზე აძლევენ მათ კურთხევას, რის დასაცავად მიდიან ან რისთვის იღუპებიან? განა გვყავს დასაღუპი შეილები?

— ევეყანა სასაცილოდ რომაა აგდეპული, ვერ ხვდებით? სად აგზავნიან ამ ჯარისპაცებს? ვის დასაცავად? ან რისთვის იხოცებიან? იმარული გამოთქმაა ერთი: „ძალლი შინ არ ვარგოდა, სანადიროდ გარპოდაო“. მაგრამ უჭირს ჩვენს ჯარისპაცებს და გასამრჯელოს ფასად თანხმდებიან იმ ევეყნებში თასვლას, სადაც, მგონი, თვითონაც არ იციან, რას იცავენ, რისთვის მიღიან ან როგორ დეომპრატიას იცავენ? დეომპრატია არც არასოდეს ყოფილა და არც იქნება!

...როცა შენს საკუთარ ქვეყანას, ქრისტეს ეკლესიას უჭირს, სასულიერო პირები უნდა გახდნენ მაგალითი თავდადებისა! წილკნელი ეპისკოპოსი რომ მოკლეს გიორგი სააკაძის დროს, მას ორმოცი ისარი ამოაძრეს სხეულიდან; ან თორნიკე ერისთავი, რომ დასჭირდა ქვეყანას და ქრისტეს, ბერის ანაფორაზე აბჯარი გადაიცვა და ისე იბრძოდა...

— მამაო, ამბობენ, რომ იმ სინოდის სხდომაზე საერო პირებიც ბრძანდებოდნენ. სოსო თოფურიძეც ბრძანდებოდა საპატრიარქოს შენობაში.

— ძალიან მიშირს ამის დაჯერება და მართლა მგონია, რომ ზორია. თუკი თუნდაც ერთი ერისპაცი სინოდზე ესწრება, ის სინოდად არ ითვლება. სინოდის სხდომას უნდა ესწრებოდნენ ცხინდა ელვდელმთავრები და უნდა გაირჩის ეკლესიის საქართველოს ეკლესიურად და არა ერულად. საპატრიარქოს შენობაში უამრავი ადამიანია, უბრალო მუშიდან დაწყებული.

— მამაო, კუდის მაღალჩინოსანსა და უბრალო მუშას შორის განსხვავება არ არის?

— რა თქმა უნდა, არის. თუკი სოსო იქ იმყოფებოდა, ალბათ, ტრაპეზზე უნდოდა მღვდელმთავრების დაპატიჟება...

— მამაო, თქვენ გჯერათ რასაც ახლა ამბობთ?

— საქმე ისე წავიდა, რომ ყველაფერი უნდა დავიჯეროთ... მღვდელმთავართა სიწმინდეც. დღევანდელ დღეს დიდ იერარქს იმას რომ ეტყვი, რა საშინელებები ხდება ეკლესიაში, რას სჩადიან სასულიერო პირები, სიმართლეს რომ ეტყვი, დაუსაბუთებ და ის კი გიპასუხებს — ეს კუნეულ-ბარტყული ძალიან გიხდებაო, იქ უნდა დაამთავრო ყველაფერი, აღარაფერი უნდა თქვა... და ვისზედაც ვამბობ, ის კარგად მიხვდება, რაც ვთქვი.

ჩვენ საქმე ეშმაკთან გვაქვს, ჩვენი უკეთურების, აურაცხელი ცოდვების გამო ეშმაკი დაგვეპატრონა, ამიტომაც არ ეწევა ლოცვა ქვეყანას. ასეთ ვითარებაში ეკლესია უნდა გაიწმინდოს! ეკლესია არის თავი და თავი, საყრდენი ერისა, სახელმწიფოსი. ეკლესია სარწმუნოების საყრდენია, სარწმუნოება — სულიერებისა და, როცა ეკლესია ქვეყანაში თავის სიმაღლეზე დგას, მაშინ ერიც ერს ჰგავს და ბერი — ბერს.

— მამაო, თქვენ ცნობილი იყავით თქვენი ოპოზიციური განცხადებებით და საკმაოდ მკაცრად აკრიტიკებდით არა მხოლოდ საპატრიარქოს, არამედ ხელისუფლების პოლიტიკასაც. რას გვეტყვით სახელმწიფოს პოლიტიკაზე ეკლესიასთან დაკავშირებით?

— კიდევ ერთხელ ვაფიქსირებ, რომ სახელმწიფო დღევანდელ სასულიერო პირებთან აპსოლიტურად მართალია. მე რა უფლება მაქვს, სახელმწიფო ვამხილო, მე ჩემიდან უნდა ვამხილო. მაგრამ რა ნამუსით ვაპრიტიკო ხელისუფლება, როცა ეკლესია თავზე მეგრევა? მე სა-

სულიერო პირი ვარ და, პირველ რიგში, ეკლესიის ამგაბი მანფერესებს, მინდა ეკლესია იყოს დალაგებული. მაგრამ სახელმწიფოს თუ დავაპრალე ეკლესიის დანგრევა, ამით საქმეს ეშველება?

— მაგრამ, როცა სახელმწიფოებრივი პოლიტიკა ეკლესიის ნგრევისკენაა მიმართული, მაშინაც არ უნდა ჩაერიოს ეკლესია, სასულიერო პირები?

— ეკლესიის ნგრევა იმავე წამს შეჩერდება, რა წამსაც ეკლესია გაიწმინდება და თავის ადგილზე დადგება ყველაფერი, რად უნდა ამას ბევრი მსჯელობა? სააკამპვილი ბევრ სასულიერო პირთან, თუნდაც სინოდის წევრთან შედარებით უცოდველი კრავია. ის მაინც ვალიაროთ, რომ დღეს ქუჩაში ხალხი უფრო უსაფრთხოდ გრძნობს თავს. მაგრამ ხალხი ისეა გაუკულმართებული, ახლა ქუჩაში რომ გააჩერო, ზოგს ათასი აჩუქო, ზოგს კი მილიონი, რომ მივა სახლში, იტყვის, მეტი მეკუთვნოდა და დამაკლოო, ასეთია ადამიანური ბუნება...

როგორ ენდობოდა ხალხი ადრე ოპოზიციას, ხომ გახსოვთ? დღეს კი მისი ნდობა ნულის ტოლია. არადა, ეკლესიაც მაქეთკენ მიდის, ერთს ქადაგებენ და მეორეს აკეთებენ. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რაც დღეს ხდება, თავიდან ბოლომდე ჩვენი, სასულიერო პირების, ბრალია. იმ გარეწარი ქვაბ-ავაზაკების უმრავლესობა, ვინც ეკლესიასაა შეფარებული, თავის მრევლს რას უქადაგებს? თავის თავს დაიდანაშაულებს? იტყვის, რომ თვითონ კარგია და მხოლოდ მთავრობაა დამნაშავე ყველაფერში. თავის თავს წმინდანად გამოიყვანს. ხალხი გამოსულელებული ჰყავთ. ხოლო თუ ვინმემ გაბედა და სიმართლე თქვა, მას ან პროვოკატორად, ან დემაგოგად, ან სულელად მონათლავენ, თუმცა სიმართლე დღეს ყველამ კარგად იცის... მაგრამ არავინ ამბობს.

— კარგად მახსოვს თქვენი ხმაურიანი გამოსვლები

„საჭიროული ტექნიკურუბადა“^③



**და ადამიანურად ცოტა შე-
მეშინდა, მეგონა, რომ
დაგსჯიდნენ, მაგრამ ცო-
ტა ხანში მეორე ჯვრით
დაგაჯილდოეს..**

— მეორე ჯვარი მე მქონ-
და მეუფე ათანასესგან მო-
ნიჭებული. მე აღვნიშნე,
რომ პატრიარქი ძალიან
მოწყალეა და შემიწყალა
და შემინდო.

— **რატომ, მამაო, სიმარ-
თლის თქმას განა შენდო-
ბა სჭირდება?**

— დღეს სიმართლის
თქმას უნდა შენდობა,
დღეს სიმართლე უფრო
ძნელი სათქმელია... შექს-
პირიც ხომ ამბობს: „რად-
გან სიმართლე სისულე-
ლედ ითვლება ახლა“. ადა-
მიანი ბოლო უამს მიხვდე-
ბა, ბიბლიაში წერია: „ივიშ-
ვიშებ ბოლო უამს, როცა
დაგელევა ხორცი და დაუძ-
ლურდები და იტყვი, რო-
გორ მძულდა ის ცოდვა, მაგრამ მაინც ვიყავი იმ ცოდ-
ვაშიო“. სიცოცხლის ბოლოს ადამიანი ხვდება, რომ მას
აუცილებლად მოეკითხება პასუხი. რაც უნდა ბორო-
ტი იყოს კაცი, როცა საიქიოდან დაექაჩება ეშმაკი, მე-
რე ვიშვიში აღარავის უშველის, ამოტომ დროზე მოვე-
გოთ გონს!

— **მამაო, ეს ბოლო ხანია, ქართველებს ანტისომხურ
პროპაგანდაში გვდებენ ბრალს. მეტიც, ჩვენს სასუ-**

ლიერო პირებს პირდაპირ ადანაშაულებენ ამ ერის სიძულვილში. ერთმა სასულიერო ბირმა თავის ხმაურიან ინტერვიუში ისიც კი აღნიშნა, რომ ჩვენი უბედურება ისაა, რომ ჩვენს ეკლესიას სომხეთი სჭირს, სომხეთი ეკლესიაშიც შემოიჭრათ (გულისხმობდა სომენი წარმომავლობის ეპისკოპოსებს). ეთანხმებით ამ აზრს?

— რას ქვია, არ ვიზიარებ? ეს რომ არ გავიზიარო, მაშინ ან ბრმაუნდა ვიყო, ან ყრუ. მე სომეს ერს შეურაცხყოფას არ ვაყენებ და მასთან ქრისტიანული დამოკიდებულება მაქვს. სომეხი იყო ჩვენი უსაყვარლესი წმინდანი, დედოფალი შუშანიკი, მაგრამ ჩვენ ვართ ქართველები და საქართველო ჩვენი სამშობლოა, ისევე, როგორც სომხების სამშობლოა სომხეთი და ლმერთმა კარგად ამყოფოთ თავიანთ მიწაზე. ჩვენ ჩვენს სამშობლოში დაგვაყენონ, იქით ხომ არაფერს ვედავებით. მაგრამ ეს, არა მგონია, მხოლოდ სომხეთიდან გამოწვეული იყოს, ესაა თითოდან გამოწვევილი მიზეზი, ძალით „შემოგდებული“, სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საკითხის გადასაფარად, ხალხის ყურადღების სხვა მხარეზე გადასატანად.

თუმცა რთული სათქმელია — ეს საერო ხელისუფლებას უფრო აძლევდა ხელს თუ სასულიეროს... დარწმუნებით არ ვიცი, ამიტომ პირდაპირ ხელს ვერც ერთ მხარეს ვერ დავადებ. კაცი რამეს რომ იტყვი, იმაზე პასუხისმგებელი უნდა იყო... რა ვიცი, ვინ რა ლობიო მოხარშა.

— მამაო, უნმინდესი გამობრძანდა და ბრძანა, რომ წმინდა სინოდში არანაირი განხეთქილება არაა, რომ ეკლესია არის ერთიანი და, ვინც შეეცდება ეკლესიის გახლეჩას, იგი ამ ცოდვას მონამეობრივი სისხლითაც ვერ ჩამოირცხავსო. თქვენც გჯერათ, რომ სინოდი ერთიანია თუნდაც სარწმუნოებრივ საკითხებში?

— მე სინოდის წევრი არ ვარ, სინოდის იმ სხდომაზე არ ვყოფილვარ და ტყუილს და ვიღაცის მონაჭორს ხომ

არ გეტყვით? გარედან შეხედულებით, ისეა „შეფუთული“ ეს საკითხი და ისე ჩანს, რომ ერთიანები არიან. აბა, პატრიარქი ტყუილს ხომ არ იტყვის? სად გაგონილა, პატრიარქი ტყუოდეს? მაგრამ აქ ეკლესიის გახლეჩის საშიშროება დგას, როგორც უკარინაშია. როგორ ფიქრობთ, რუსეთის ეკლესია ერთიანია? ეს გარედან ჩანს ერთიანი; საბერძნეთში თერთმეტი თუ თორმეტი სინოდია, იმავე საფრთხის წინაშე იდგა ჩვენი ეკლესიაც და იმ სინოდზე უწმინდესმა ძალიან ბრძნული გადაწყვეტილება მიიღო, რადგან იქ ეკლესიის გახლეჩის საფრთხეს პირისპირ შეეჩება; **პატრიარქი რომ ასე არ მოჰცეულიყო, მოხდებოდა ის, რომ ის თევზემოტი, თუ რამდენიმე იყო მღვდელმთავარი, ცალკე სინოდს შექმნიდა და თავის კათოლიკოსს აირჩევდა.** ეს გადიოდა მთავრობის გაგებებიც. ამ საქციელით, კიდევ გეუგნებით, უცმინდესმა დიდი სიპრენე გამოიჩინა — ამით სახელმწიფოს წაართვა იმის საშუალება, რომ მისთვის მისაღები კათოლიკოსი აერჩია, გაეხლიჩა ეკლესია, დაერღვია ეკლესიის ერთიანობა.

...პატრიარქი ძალიან ბრძენი კაცია და ყველა ნაბიჯს გონივრულად დგამს; როგორც აფხაზეთი თავის ეპარქიად გამოაცხადა, ეს ცოტა დაგვიანებულიც იყო, ჩემის აზრით, ეს რომ ათი წლის წინ მაინც გაკეთებულიყო, უკეთესი იქნებოდა, მაგრამ, ალბათ, უწმინდესს არ ეგონა, რომ ყველაფერი ასე მოხდებოდა. იგი ფიქრობდა და ფიქრობს, რომ მისი ლოცვით საქმე გამოსწორდება.

— რუსეთისა და საქართველოს პატრიარქების შევედრა დადებითად შეფასდა, რადგან რუსეთის საპატრიარქომ აღიარა საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია აფხაზეთსა და სამაჩაბლოში; რუსეთის პატრიარქმა კირილმა კიდევც უთხრა ჩვენს პატრიარქს, რომ მას აფხაზეთში წაყვებოდა ერთიანი ლიტურგიის ჩასატარებლად.

— რუსეთის საპატრიარქოს, სახელმწიფოს მესვეურ-თაგან განსხვავებით, არასოდეს უარუყვია, აფხაზეთი და სამაჩაბლო რომ საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. არც ერთ პატრიარქს რუსეთისას არ უთქვამს, რომ სამაჩაბლო და აფხაზეთი საქართველო არ არის. ეს მიწები ყოველთვის საქართველოსი იყო, არის და იქნება. ეს იცის რუსეთმაც, მაგრამ ეს პოლიტიკის ნაწილია; იქით ამერიკა ძარჩას და აძეთ — რუსეთი, როგორც დიდი სახელმწიფო, ცენტრალური, თავისი ინტერესები დაიცვას და თავისი პოზიციები გაიმყაროს. ამაზე ერთი იმერული ნათებამი მასენდება: „მგელს მგლობა დააპრალეს და ტურამ ევეყანა დააკციაო“. ამ შემთხვევაში მგელია ამერიკა...

...ეს იმხელა დიდი პოლიტიკაა და დიდი საიდუმლოება, ამას ჩვენ რას ჩავწერდებით.

— ამ ორი ქვეყნის პატრიარქების შეხვედრა იყო დიდი წინგადადგმული ნაბიჯი საბოლოოდ ამ ტერიტორიების ფიზიკურად დაბრუნებისთვის?

— რომ გადავხტებით, ჰოპლას მერე დავიძახებ. ეს უდავოდ იყო დიდი მოვლენა, რადგან ბოლოს და ბოლოს ორი პატრიარქი შეხვდა ერთმანეთს, სხვა რომ არაფერი... მაგრამ ამას დრო უნდა, რომ შედეგი დავინახოთ. კი, გატონო, რუსეთის პატრიარქი შეჰე-ვება ჩვენს პატრიარქსა აფხაზეთში და ნიღრავენ ერთად, მაგრამ მაგით რა? რა იძნება? ამით განა დაგვიპულების ვინა ან აფხაზეთს, ან სამაჩაბლოს? ახლა აე ვიტყვი: თუ აფხაზეთში ეპროცესი არ იძნება და თუკი ის ჩემი მიწა არ იძნება, რა მნიშვნელობა აქვს?

აქ სამღვდელოება უნდა იდგეს თავის სიმაღლეზე და უნდა შევიდეს ჩვენს მიწაზე, ჩვენს ტაძრებში, სისხლის ფასადაც კი... აბა, რისი სამღვდელოება ხარ შენ — აქ ფული ითვალო და ფუფუნებაში იცხოვრო? და ხალხი

მოატყუო? მე ვუთხარი პატრიარქს, გამიშვით და შევალ-მეთქი, მოგკლავენო, მე კი ვეუბნები — თუ მომკლავენ, მე მომკლავენ, თქვენ ხომ არა-მეთქი. პატრიარქს ვეცოდები, არ ვემეტები, ეტყობა, სასიკვდილოდ.

...ანგელოზს კაცის სიკვდილი თუ უნდა, იმას რაც უნდა დაცვა დაუყენო, მაინც მოკვდება და, თუ ანგელოზს არ უნდა, მარტო რომ გაუშვა, ტყვიის წვიმაში გაივლის და იქიდან ცოცხალი გადარჩება. აქ რწმენა უნდა გქონდეს...

— მამაო, დღეს განსაკუთრებული აგრესითაა ხალხი განწყობილი მღვდელმთავრების მიმართ. ეს აგრესია მე, როგორც მორნმუნე ადამიანს, ძალიან მაშინებს. ერთმა მწერალმა ერთ მღვდელმთავარს ისიც კი უთხრა გაზეთის ფურცლებიდან, რომ მოვალ და მავ პაგონებს და კაბას თავზე დაგახევო. ამბობენ, რომ წმინდა სინოდის ბევრ მღვდელმთავარზე სერიოზული კომპრომატები აქვს ხელისუფლებას და ამით აშანტაჟებსო...

— აბა, რატომ დაიხიეს უკან?

— თქვენ მაინც ფიქრობთ, რომ ეს უკანდახევა იყო?

— რა თქმა უნდა, უკანდახევა იყო. ხომ გითხარით, ეს წინასწარ იყო შეთანხმებული, მოღაპარაკებული. ეს ერთი და იმავე კაცის მოგონილს ჰგავს. ეს მოხარშული საქმეა, სინოდის საქმე და სომხეთის საქმე — ეს ერთი და იგივე ხელწერაა. სომხეთი აქ არაფერ შუაშია. მათი ეკლესიები რომაა ჩვენს ტერიტორიაზე, რა თქმა უნდა, იმდენი არა, რამდენსაც აცხადებენ, და ჩვენი ტაძრები რომაა იმათ ტერიტორიაზე, ეს ყველამ ვიცით. მეზობელი ერები ვართ და ეს არცაა გასაკვირი.

სააკაშვილის სომხობაზე რომ ლაპარაკობენ, მე ის ვიცი, რომ დედის მხრიდან მიშა ქართველია, მისი დიდი ბაბუა გრიგოლ აბაშიძე იყო... მაგრამ ისე, სანამ მიზას სომხობაზე იყვირებდნენ, სასულიერო პირებს მინდა ვკითხო: რა, წმინდა სინოდში ყვე-

ლა გენეტიკური ქართველი გვყავს? იმდენზე ამპობენ სოხესიაო, რომ საკუთარ თავში ხან-დახან ეჭვი მეპარება ხოლმე, მეც სოხესი ხომ არ ვარ-მეთქი... მე კიდევ გეუბნებით, არც სომხის და არც სხვა ერის მიმართ არანაირი სიძულვილი არ მაქვს, პირიქით, ყველა ქრისტიანულად მიყვარს. აბი ტფილელი არაბი იყო და ვისზე ნაკლები ქრისტიანი იყო, ვისზე ნაკლები თავდადება ჰქონდა? მას ქრისტე უყვარდა!

დღეს მართლა დასადგენია — საერო ხელი-სუფლებაში უფრო მეტი სოხესია თუ სასულიერო იერარქიაში.

— და ეგ ვინ უნდა დაადგინოს, მამაო?

— ჟურნალისტები რას აკეთებთ? გაიგეთ, რომელი ეპისკოპოსი სადაურია, გადით მათ საგვარეულო საფლავებზე. მთელი საგვარეულო რომ სომხური გვარია და მარტო ეგ ერთია გაქართულებული გვარის, დიდი მიხვედრა უნდა, ვინ ვინაა? ხალხმა ყველაფერი იცის, ხალხს თვალებს ვერ დაუბრმავებ, ვერ დააყრუებ. ეკლესია უნდა გაიწმინდოს! ამაზე ორი აზრი არაა.

— თქვენ წელან ახსენეთ, რომ საზოგადოება ძალი-ან დაშინებულია, გადაგვარებულია, ჩაშვების ინსტიტუტიც ახსენეთ. როგორ ფიქრობთ, ქართველმა კაც-მა მართლა დაკარგა თავისი ნამდვილი სახე?

— ერთი ის მითხარი, სადღაა ქართველი. რაღა დარჩა? ყველა წასულია ან გაქცეულია ლუკმაპურის საშოვნელად, სხვისი მონები გამხდარან, მათი სახლ-კარი კი წყალს მიაქვს. სოფელში პატარა მეურნეობა მაქვს და მუშას ვერ ნახავ, რომ დაიქირავო; ფული რომც გქონდეს, კაცი აღარ დარჩა, რომ გადაუხადო და ამუშავო.

მადლობა მიშას, რომ მან ყველას სახე კარგად გვაჩვენა განა მარტო ერში, წმინდა სინოდშიც. ახლა მას გინდა სომეხი უძახება და გინდა ფრანგი. თუ რამე კარგი გაკეთა, რა, ზურგზე მოიგდებს და სომხეთში წაიღებს?

— მამაო, საზოგადოება ძალიან დიდ ნიპილიზმშია ჩა-
ვარდნილი — აღაც მთავრობას ენდობიან და აღარც
ოპოზიციას. ერთადერთი, რაც კიდევ ინარჩუნებდა
ადამიანთა ნდობას, ეკლესიაა, თუმცა ამ ბოლოდრო-
ინდელმა მოვლენებმა და იმ უკეთურობამ, რაც დღეს
ეკლესიაში ხდება, ადამიანთა საკმაოდ დიდ ნაწილში
ეკლესის ნდობა შეარყია, გაურკვევლობაშია ამის გა-
მო. საზოგადოების იმ ნაწილს რას ეტყოდით, ვინც ახ-
ლა ასეთ უიმედობაში და ნიპილიზმშია ჩავარდნილი და
აღარავისი სჯერა?

— იმ ადამიანებს, იცით, რას ვეტყვი? თავი იმიტომ
აბიათ, რომ წყალი არ ჩაუვიდეთ? უნდა იაზროვნოს და
გაიგოს, რა არის ცუდი და რა — კარგი. ყველას და ყვე-
ლაფერს თავისი სახელი დაარქვას — მატყუარას
მატყუარას სახელი უნდა ეწოდოს, კაცს — კაცის, მა-
მათმავალს კი — მამათმავლისა, ურიას — ურიისა,
ქრისტიანს — ქრისტიანისა, ეკლესიას ეკლესის სახე-
ლი უნდა დაერქვას და სახელმწიფოს კი — სახელმწი-
ფოსი. ამას ვეტყვი ამ ხალხს — ტვინი გაანძრიონ და
ტყუილში ნუ სხედან! თორემ წმინდა წერილი რას ამ-
ბობს: „ავად შემნახავი ქურდზე უარესიაო“.

— მამაო, რა ქნას ამ ხალხმა, რომელზეც ამბობთ,
რომ თავს იტყუებენ? ისინი გულწრფელი სურვილით
მივიდნენ ტაძარში, რომ სულიერად იცხოვრონ და
უფალს დაუახლოვდნენ. ამ ხალხის მოვალეობა იმის
გარკვევაა, რომელი მღვდელია კეთილსინდისიერი და
რომელი არა? განა ყველას ჰყოფნის იმის სულიერება,
თუნდაც ხედვა, რომ გაარკვიოს — რომელია მწყემსი
კეთილი და რომელია ცხვრის ტყავში გახვეული მგე-
ლი? ის ყველა შემოსილს პატივისცემით უყურებს... და
ის უფრო დამნაშავეა, რომელიც სასულიერო პირში
მღვდელმსახურს ხედავს თუ ის, ვისაც ევალება, რომ
ასეთი „მგლები“ დედაეკლესიას მოაშოროს? მრევლმა
არკვიოს ყველა იმ უკეთური ადამიანის საქმე, ვინც ეკ-

ლესიას შეაფარა თავი? ან უურნალისტებმა ვარკვიოთ სინოდის წევრთა წარმომავლობა?

— აბა, ხომ ხედავთ, ამას ეკლესია რომ არ აკეთებს თუ ვერ აკეთებს? აბა, როდემდე უნდა იაროთ ასე „გასულელებულებმა“? საქართველოს იტორიას, ეკლესიის ისტორიას გადახედეთ — როდესაც კირიონი გადასახლებაში მყოფმა ერმა გამოიხმო და სწორედ ერის დიდი ძალისხმევით გახდა იგი საქართველოს პატრიარქი. კირიონის მსგავსი მამულიშვილები, მონამეები, ალბათ, იშვიათად ჟყავს უახლეს ისტორიას. ერის ჯანსაღი ძალების კონსოლიდაცია საჭირო, საზოგადოებრივი კონსოლიდაცია. ეს ხალხმა უნდა მოინდომოს, უნდა გააკეთოს. არც ერთი საეკლესიო კრება სასულიერო იერარქების მოწვევით არ ჩატარებულა, ამას ხელისუფლება აკეთებდა, ეროვნული ხელისუფლება. რუსურბნისის კრებაც დავით აღმაშენებლის მონდომებით ჩატარდა... გამგები გაიგებს...

მე ყველაფერი ვთქვი და, ვისაც ასხენ ყურნი სმენად, ისმინოსო, სახარება გვეუბნება.

— თუმცა ისიც არ დაგვავინყდეს, მამაო, რომ კირიონი მოკლეს, სამარცხვინოდ... და, თუკი კირიონის მსგავსი მამულიშვილი გამოჩნდა, არაა გამორიცხული, რომ ისიც სამშობლოს შეეწიროს წმინდა ზვარა-კად... როგორ ფიქრობთ, დღეს კიდევ გვაქვს იმის იმედი, რომ გამოჩნდება ერთი კირიონი?

— უნდა გამოჩნდეს, რადგან დედა ღმრთისმშობელი თავის ერს არ განირავს. ჩვენ შეიძლება უარესის ღირსები ვართ, მაგრამ... არა აქვს მნიშვნელობა, რომ მას მაინც და მაინც კათოლიკოს-პატრიარქის სტატუსი ჰქონდეს, დაუდგეს უწმინდესს გვერდით! ვიღაც უნდა გამოჩნდეს. ახლა დამალვისა და მდუმარების დრო არაა, ახლა იმის დრო აღარაა, რომ მრევლს ისევ მოვატყუოთ — მრევლო, ახლა ამის დრო არააო. დაგვეჭა ეკლესია თავზე! სიმართლის დრო ყოველთვისაა!

შენც მოგეკითხება ძალიან მწარედ, თუ არ გააკეთებ ბოლომდე ის, რაც შეგიძლია — შენ შეგიძლია ადამიანებს სიმართლე უთხრა, შეულამაზებელი სიმართლე, ისინი შენ გენდობიან; ასეც აკეთებ, მაგრამ მეტი უნდა გააკეთო! შენც, საერთოდ უურნალისტებს, დიდი პასუხისმგებლობა გაკისრიათ, რადგან ეკლესია არ თუ ვერ ამ-ბობს სიმართლეს, საზოგადოებას ეკისრება დიდი პასუხისმგებლობა და ერი გამოფხიზლდება.

როგორ ხდებოდა ომის დროს — ნარჩევი ვაჟკაცები მიდიოდნენ, აბა, დაფეხვილი და ხეიპარი ვის რად უნდოდა? ასეა. ამ ნაღები საზოგადოების დიდი ნაწილი გაქცეულია საზღვარგარეთ, აქ დარჩენილებში კი არიან მუნჯი, ყრუ, მშიშარა და მამათმავალი (დედათმავალს კიდევ რა უჭირს) და ამათ რა უნდა გაგიკეთონ? ვინც დარჩა, ის ერთი და ორი და სამი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს. ის ხალხი, ყველა ქართველი, უნდა დაუბრუნდეს საქართველოს და მერე იქნეს მოწვეული კრება და გაირჩეს თეთრი და შავი.

— ესე იგი თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ დღეს ეკლესია რუის-ურბნისის მსგავს საეკლესიო კრებას არ მოიწვევს?

— არა გმონია. თავის დასაკლავ დანას ის არ გამოთხრის. პატრიარქი ძალიან ცუდ დღეში ჰყავთ, თორემ განა უნიცხვესზე მეტად ვინახეს უნდა, რომ ეკლესია მოიცდა იყოს? ყველაზე ამაზრზენი, იცით, რა არის? მაგა რომ გაზრდი შვილებს, დააზრთიანებ და მერე ეს შენი გაზრდილი და გზაზე დაყენებული შვილები ზურგილი ლაბარს ჩაგდეან.

სად გაგონილა ამდენი ეპისკოპოსი და ამდენი ტაძარი? ვინ შედის ამ ტაძრებში ამასაც ხომ აქვს მნიშვნელობა?

— მამაო, ხალხი ეკლესიისკენ მობრუნდაო და ტაძრები ხომ საჭიროა?

— მათი უმრავლესობა ტყუილისკენ მოპრუნდა... ჩვენი პრალია, მრევლი რომ ასეთ დღეშია. სხვისი კი არა — ჩვენი, სამღვდელოების. ზოგიერთი მღვდელი ისეთ უხამსობას სჩადის, მართლა დასახვრეტია. მღვდელს სახლში ათასი მანეთი მიაქვს და მრევლი მშიერი და დაგლეჯილი ტანსაცმელით სახლში ზოგჯერ ფეხით მიდის. მღვდელი უნდა აპურებდეს მშიერ მრევლს, სახლშიც უნდა აკითხავდეს, თუ ის მშიერია, ავადაა. დატვირთავენ მანქანებს, იმდენი მიაქვთ, ნახევარი უფუჭდებათ და მერე ყრიან ან ცხოველებს აჭმევენ, მაშინ, როცა მრევლის ნახევარი მშიერია. ესაა საქმე?

...მერე უკვირთ და ხმამაღლა ყვირიან — ამ-დენი სეატები რატომ მომრავლდაო. თითოოს პასუხი არ იცოდნენ. ჩვენი თავი ვიტიროთ, ჩვენ გამოვსცორდეთ და ნუ დავაპრალიებთ მრევლს ჩვენი უკეთურობით, გაუმაძლრობით; ის სეატები ხალხს ძალიან „გონივრულად“ იახლოვებენ — იძით აპლევენ პურს დამშეულ ხალხს... თუ კაცი მშიერია, თან სულიერებაში არაა მტკიცე, თან იმ საჭიროებებს ხედავს, რაც დღეს ეკლესიაში ხდება, ადვილად მოეპცევა ამ სეატანტების გავლენის ძვეშ...



„ასტორიული გეტვებიდანუნდა“ ©

თავი ეათართეათა
**თბილისი მოძეა ნინოს
სახელობის ტაძრის
ელვაზელასახერი, დეკანოზი
გაგა დავითი (ქვლივიძე)**

კომპარატივი აქვს სახელმწიფოს სახელიარო პირებზე — ეპისკოპოსებზე და გლობალურებზე!

დაუღას ეს კომპარატივი და უთხრეს — ეს ხომ თქვენა ხართ? ახლა ჩასაშ გატყვით, იმას გააკათებთ, თორებები ჩვენ ვიტყვით, თქვენ ვიცხ ხართ!

— მამაო დავით, ამ რამდენიმე ხნის წინ პრესაში გამოქვეყნდა წერილი-მიმართვა უნმინდესისადმი და წმინდა სინოდისადმი, სადაც მღვდელმსახურები სთხოვდნენ მათ, უფრო მკაცრი პოზიცია დაეფიქსირებინათ რელიგიების შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით. წერილზე ხელმომწერთა შორის თქვენც ბრძანდებოდით. რა გამოხმაურება მოჰყვა თქვენს ამ მიმართვას საპატრიარქოს მხრიდან?

— შეგვენიოს უფალი! ჯერ არანაირი გამოხმაურება არ ყოფილა, უბრალოდ, ვიცით, რომ უნდა გაიმართოს წმინდა სინოდის სხდომა და ვფიქრობ, ამ სხდომაზე განიხილავენ ამ საკითხს. ამ ხელმომწერთა გარდა, კიდევ უამრავი სასულიერო პირი იყო, რომელიც ჩვენს აზრს იზიარებდა, უბრალოდ, ფიზიკურად ვერ მოხერხდა, თავიანთი აზრი ხელმომწერით დაეფიქსირებინათ. ეს მართლაც იყო თხოვნა შვილებისა მამისადმი. ეს არის

ჩვენი ტკივილი დედაეკლესიის ირგვლივ მიმდინარე პროცესების მიმართ. ეკლესია ჩვენთვის დედა! როგორც წმინდა კვიპრიანე კართაგენელი ბრძანებდა, „ვისთვისაც ეკლესია დედა არ არის, მისთვის ღმერთი მამა ვერ იქნება“, ამიტომ ვალდებული ვართ ერიც და ბერიც, გავუფრთხილდეთ და დავიცვათ იგი, ამიტომაც მივმართეთ ჩვენს სულიერ მამას, ჩვენს უწმინდეს ამ თხოვნით.

ჩვენს ეკლესიას ნამდვილად მძიმე ჟამი უდგას, რადგან ამ კანონპროექტით ხდება მართლმადიდებლობის დისკრედიტირება. სულ ახლახან გამოვიდა ასირიული კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელი და თქვა, რომ ჩვენც იგივე უფლებები უნდა გვქონდეს, როგორიც მართლმადიდებლებს აქვთო. რატომ? განა ვატიკანში კათოლიკებისნაირი უფლებები აქვთ მართლმადიდებლებს? კითხვა მიჩნდება, უბრალოდ: რომელ ქვეყანაში ხდება ეს? შეიძლება ასე ამერიკის შეერთებულ შტატებშია, მაგრამ ის ხომ სხვადასხვა ერებისგან შექმნილი ქვეყანაა, თანაც — არც თუ დიდი ხნის წინ!

ვნახოთ, როგორაა ტრადიციულ ქვეყნებში — ინგლისში, სადაც ანგლიკანური ეკლესია წარმმართველია და მეფეა თავი ეკლესიისა, ანგლიკანური ეკლესია უპირველესია თავისი უფლებებით. ახლახან ჩვენთან სტუმრად იყო ბერძენი მღვდელი და გაუკვირდა, — ჩვენ, ინგლისში მცხოვრებ მართლმადიდებლებს, რატომ უნდა გვქონდეს პრეტენზია, რომ ისეთივე უფლება გვქონდეს, როგორიც ანგლიკანებსო? შვეიცარიაში, სადაც ოთხასი ათასი მუსლიმანი ცხოვრობს, სულ ოთხი მაჩეთია და კიდევ ორის აპენების გამო რეზერვირუმი ჩაატარეს და მთავრობამ არ მისცა უფლება. საუბარია ნავთობის მაგნატებზე, შეიხებზე, რომელებიც საკუთარ ზაბურლილებს ფლობენ და შემოსავლის უდიდესი ნანიერში აქვთ შე-

ნაცული. გერმანიაში, კიოლში კი საერთოდ შე-არჩევას მეჩეთის დაწყებული მშენებლობა; ახ-ლა არჩევნები იწყება და ერთ-ერთი პარტია წი-ნასაარჩევნოდ აიღდაპირ აცხადებს, რომ ჩვენ თუ მოვალთ, ამათ მეჩეთებს არ ავავრენებინებ-თო. ბრემენში კი რუსებს მართლებადიდებლუ-რი ტაძრის აშენება უდღოდათ და ამის უფლე-ბა, მოსახლეობის პარტიესტის გამო, არ მისცეს — ზარების რეპვა შეგვანუხებსო! რუსინელ და ბულგარელ გართლებადიდებლებს კი წირვა-ლოცვის ჩასატარებლად ტაძრების ძირაობაზე უარს ეუბნებიან. ამის გამო გერმანელებს არა-ვინ ეუბნება, თქვენ ნაცისტები ხართო.

საფრანგეთში მუსლიმან ქალებს ჩადრებით სიარუ-ლის უფლებას არ აძლევენ და მეტიც — მეჩეთის გა-რეთ ლოცვაც კანონით აუკრძალეს; ვინც მეჩეთს გა-რეთ ილოცებს, დავიჭერთო! ვინმე გაბედავს და ან ინ-გლისელს, ან შვეიცარელს, ან ფრანგს, ან გერმანელს არადემოკრატიულობაში დაადანაშაულებს? იქ ყველა ჯერ თავისას სცემს პატივს და უფრთხილდება! წარ-მოგიდგენიათ, ჩვენ საქართველოში ქუჩაში მლოცველ მუსლიმანზე რომ ეს ვთქვათ, რას გვიზამენ? ან ბაზარ-ში მწვანილს რომ ყიდიან აზერბაიჯანელი ქალები და მათ ავუკრძალოთ თავშლით დგომა, რა მოჰყვება ამას, გიფიქრიათ?

— მამაო, იქნებ ეს ყველაფერი ზედმეტი ტოლერან-ტობის, გადამეტებული სტუმართმოყვარეობის, ქარ-თული ხასიათის ბრალია? ნათქვამია, სადაც მიხვალ, იქაური ქუდი დაიხურეო და ჩვენ პირიქით ხომ არ ვა-კეთებთ — ვინც ჩვენთან სტუმრად მოდის, ყველას ქუდს ვიხურავთ? იქნებ ჩვენ ვართ ამაში დამნაშავე?

— მე ცოტა სხვანაირად დავაყენებ ამ საკითხს. ადა-მიანი რომ გიყვარდეს და მას პატივს სცემდე, ეს დანა-შაული არ არის. ქართველებს კაცთმოყვარება სისხლ-

ში გვაქვს და ამიტომაც იყო, რომ 1830-იან წლებში თურქეთიდან გამოდევნილი სომხები შევიფარეთ; გარდაბანში და მარნეულში, სადაც დღეს აზერბაიჯანული მოსახლეობა ცხოვრობს, ისინი ერეკლეს დროსაც იქ სახლობდნენ და ისეთი კეთილგანწყობა იყო ქართველებსა და მათ შორის, რომ კრწანისის ბრძოლაში ერეკლეს მხარეს აზერბაიჯანელთა ერთი ათასეული იბრძოდა. ჩვენი წინაპრები კაცომოყვარენი იყვნენ, ადამიანურად პატივს მიაგებდნენ და გვერდში ედგნენ სხვა სჯულის ადამიანებს, მაგრამ, როდესაც საქმე სჯულს და სარწმუნოებას ეხებოდა, იქ ქართველი შეუპოვარი იყო. დღეს ასე არიან ებრაელები — ებრაელი ყველანაირად მიგიდებს, გვერდში დაგიდგება, მაგრამ, თუ საქმე სარწმუნოებას ეხება, მას აქ თავისი მკაცრი მოთხოვნები აქვს. მე ვფიქრობ, ამ ხალხის ასეთი დამოკიდებულება საკუთარი სარწმუნოების მიმართ ჩვენთვისაც მისაბაძი უნდა იყოს.

მართლმადიდებელ ქართველს რომ უყვარდეს თავისი სარწმუნოება, სამშობლო, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, ისევე, როგორც ინგლისელს უყვარს ანგლიკანური ეკლესია, ებრაელს უყვარს თავისი სინაგოგა. ჩვენთვის ძალით ქმნიან პრობლემას, ხელოვნურად ძაბავენ სიტუაციას და მერე, ამ სიტუაციის „მოსაგვარებლად“ მართავენ კონფერენციებს და უკიუნებენ ხალხს, რომ „ჩაცხრონ“ ეს დაძაბულობა, რომელიც სინამდვილეში თავად შექმნეს. **ეპიროტელი არ სტირდება** სრული კაცომოყვარებისა, ეს მას სისხლში აქვს, მთელი საქართველოს ისტორია ამის ნათელი დაღასტურებაა. ამიტომაც საქართველოს მოსახლეობის ერთი მესამედი უცხოთომელები იყვნენ. საქართველოში ეთნიკური დარღვევის დაზნა არასოდეს ყოფილა! ერთ ფაქტს ვერ მანახებთ, საქართველოში ან სინაგოგა დაეგრიოს ვინახს, ან მაჩათი, ან ყურა-

ნი დაეცვას; კათოლიკები კი, რომელიც ახლა ჟუსტიციას გვარიგებენ, ცეცხლში წვავდნენ მუსლიმანებსაც და ეპრაელებსაც, ჰვაროსნულ ლაშ-ძრობებს ანყობდნენ. ჩვენ არ გვაძირდება მათგან სწავლება იმისა, თუ როგორ მოვეძეოთ სხვებს.

— მამაო, თქვენ ბრძანეთ, რომ ქართველები ყოველთვის ვიყავით კაცომოყვარენი, მაგრამ არასოდეს ვყოფილვართ სჯულთშემწყნარებელნი. დღეს ძალიან ხშირად შეგვახსენებენ, რომ ჩვენი მეფე-ნმინდანი დავით აღმაშენებელი მეჩეთშიც დადიოდა და სინაგოგაშიც. მე ვფიქრობ, რომ აქ ისტორიული რეალობის მიზანმიმართულ დამახინჯებასთან გვაქვს საქმე, რამდენადაც ისეთი მართლმადიდებელი მეფე, როგორიც დავით აღმაშენებელი იყო, რომელიც ნელინადში ოცდაოთხჯერ სამოციქულოს კითხულობდა, მეეჭვება, მეჩეთში სალოცავად წასულიყო.

— დავითის ცხოვრებას რომ გადავხედოთ, იქ არსად წერია, რომ ის მეჩეთში დადიოდა. მისი თანამედროვე არც ერთი ისტორიკოსი — არც ქართველი, არც სპარსი, არც არაბი, არც სელჩუკი — ამას არ წერს. ერთადერთი, ვინც აღნიშნავს დავითის მეჩეთში სიარულს, ეს არის სელჩუკი ისტორიკოსი ალ-ჯაუზი, კაცი, რომლის ისტორიულ მონაცემებსაც მსოფლიოში არავინ სერიოზულად არ მიიჩნევს. იგი ამბობს, ქართველებმა დიდგორის ბრძოლაში იმიტომ გაიმარჯვეს, რომ უფრო მრავალრიცხოვნები იყვნენ, ვიდრე მუსლიმანთა გაერთიანებული კოალიციაო. ამის მერე მისი რაღა უნდა დაიჯერო? დავითი რომ მეჩეთში არ დადიოდა, ამის ნათელი დადასტურება მთელი მისი ცხოვრებაა, დაწყებული რუის-ურბნისის საეკლესიო კრებიდან, რომელიც მისი ძალისხმევით ჩატარდა და რომელსაც ამოსავალ წერტილად დაუდო სიტყვები: „**არა გეცრუვენით შენ, ჩვენო სიცმიდით მშობელო მშიდაო კათო-**

ლიკა ეკლესიაო! არცა გაგდეთ შენ, სიქადულო ჩვენო მართლებადიდებლობავ!“. დიდგორის ბრძოლიდან, მან მრავალრიცხოვანი მტრის წინ მდგარ ქართველ მეომრებს მიმართა: „**ეჰა, მეომარნო ერის-ტესნო! თუ დვოის სჯელის დასაცავად თავდა-დებით ვიბრძოლებთ, არათუ ეშმაპის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვი-ლად დავამარცხებთო!**“. მისი „გალობანი სინანულისანი“ — ეს არის მეფის საჯარო აღსარება მთელი ხალხის წინაშე. იგი ტირის ცხოვრებაში მის მიერ ჩადენილ ცოდვების გამო — მე ბევრი არასწორი რამ ჩამიდენია, ბევრჯერ მკაცრიც ვყოფილვარ, უსამართლოც, მოწყალებაც არ გამიცია, მკაცრად დამისჯია, მაგრამ უცხო ლმერთებისკენ არასოდეს გამიხედავს და, რაც ერთხელ მამა-პაპისგან მისწავლია, იმის ერთგული ვყოფილვარ ბოლომდეო. მხოლოდ ასეთ მეფეს შეაძლებინა უფალმა „ძლევაი საკვირველი“ და აი, ასეთ მეფეს სწამებენ ცილს, რომ ის მეჩეთში დადიოდა!

მე გეტყვით, დავით აღმაშენებელი მეჩეთში როდის იყო. ის ორჯერ იყო იქ: ერთხელ განჯაში, როცა სულიერ საკითხებზე ხოჯას, მუსლიმანთა შორის ერთ-ერთ ყველაზე განათლებულ სასულიერო პირს, ეკამათა და დაადუმა ისე, რომ მან პასუხიც კი ვერ გასცა. დავითმა ძველ ალთემაზე დაყრდნობით დაუმტკიცა, რომ მესია მოვიდა და მესია არის ქრისტე. ის, მეთორმეტე იმამი, ვისაც მუსლიმანები ელოდებიან, არ იქნება მესია.

მეორედ დავითი მეჩეთში შევიდა მაშინ, როდესაც საქართველო თითქმის უკვე გაერთიანებული იყო და ქართველები გასათავისუფლებლად სომხურ ქალაქ ანისს მიადგნენ (დღეს თურქეთის ტერიტორიაზე). იქ სელჩუკების დიდი გარნიზონი იყო გამაგრებული და გაუჭირდათ ქართველებს ქალაქის აღება. ისტორიკოსი წერს: „იმუქაფა დავით მეფემ“, მოლათა და დარიშმანთა სისხლით მოწყობით მოელი ქალაქიო. შევიდა სელჩუკ-

თა მიერ მეჩეთად გადაკეთებულ ტაძარში, სადაც ბერძენთა დედოფალი პატრიონი განისვენებდა, ტაძარი ხელახლა აკურთხებინა და მის საფლავს სამჯერ ჩასძახა: „გიხაროდენ, დედოფალო, ურჯულოთა ხელიდან ვიხსენი დათის სახლიო!“. დედოფალმა კი საფლავიდან სამჯერ ამოსძახა: „გიხაროდენ! გიხაროდენ! გიხაროდენ!“. აი, როგორი იყო წმინდა მეფის „შესვლა მეჩეთში!“!

ის თავისი სამშობლოს და ქრისტეს მტრებს ასე უსწორდებოდა. როდესაც თბილისი აიღო, სასტიკად დასაჯა ის მუსლიმანები, რომლებიც ამირას მხარეს იყვნენ, მაგრამ მაშინვე გამოსცა ბრძანება, რომ ქართველებს შეურაცხყოფა აღარ მიეყენებინათ მათვის, აღარ დაეჩაგრათ. დავითი თავის თავს არა მარტო ქართველთა მეფედ მიიჩნევდა, არამედ ის იყო მეფე ქართველთა, აფხაზთა, ჰერთა, რანთა, კახთა; თბილისში მცხოვრები მუსლიმანების მეფეც იყო, თუმცა მათ უთხრა, — ჩემთვის მეჩეთში ნუ ლოცულობთ, რადგან ჩემთვის ის ხალხი ლოცულობს, ვინც ჭეშმარიტ ლმერთს ემსახურება! თქვენთვის ილოცეთ, მაგრამ მეჩეთს არ გამოსცდეთო. სახარებაზე გაზრდილი მეფე სხვანაირად ვერ მოიქცეოდა!

— მამაო, როგორ ფიქრობთ: მაშინ, როდესაც სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებობდა კონკორდატი, მაშინ, როდესაც ხელისუფლების ნარმომადგენლები ხმამაღლა გვეუბნებიან, რომ, როცა სხვები ქუჩაში ყვირიან, ჩვენ ტაძრებს ვაშენებთო; როცა ჩვენს უნმინდესთან ერთად ტაძარში დგანან დიდი კელაპტრებით ხელში, უფრო მეტიც — უნმინდესი „ძალიან უყვართ, ... რატომ გახდა ამ კანონის ასე დაჩქარებული წესით მიღება საჭირო, უნმინდესთან შეთანხმების გარეშე? და საერთოდ, ვისთვის და რისთვის მიიღეს ეს კანონი, კანონი, რომელიც ჩვენ წინააღმდეგ უკვე ამოქმედდა?

— რატომ მიიღეს ასე დაჩქარებული ტემპით, არ ვიცი, ალპათ, ვიღაცის მითითება შეგასრულებს... შედეგები კი სახეზეა — კათოლიკები იმავე უფლებებს ითხოვენ, რასაც მართლმადიდებლები. **სომხები საქართველოში 600 ტაძარს გვედავებიან.** მათ პითხვა დავუსვი: თუ თქვენ საქართველოში 600 ტაძარი ააშენეთ, ძართველები — ჩემი ნინაპრები, რაღას აკეთებდნენ-მათი? გამოდის, ძართველებს არაფერი აუშენებიათ! ეს — იმ ფონზე, როდესაც სომხეთში ამაზე გაცილებით ნაკლები ტაძრები აქვთ! წაიკითხათ „ქვათა ღაღალი“ — საკუთარი, მამაკაცისეული, საპრეზიდენტე-კომიტეტიც კი არ აქვთ! ეჩინაპინის სამრეკლოზე შაჰ-აბასის ბარელიეფია გამოსახული! გესმით? ძრისტიანების დაუძინებელი მთრის გამოსახულება მათი მთავარი სალოცავის სამრეკლოზეა! ამაზე არავინ ღაღარაპობს! წავიდნენ თავიათ ქვეყანაში და ულვაშებიანი შაჰ-აბასის გამოსახულებიან სალოცავებს მიხედონ და ჩვენსას ნუ გვედავებიან!

სომხებმა იერუსალიმში წაგვართვეს წმინდა იაკობის ტაძარი XVII საუკუნეში, რომელიც ქრისტეს საფლავიდან სულ რაღაც ორმოცდაათ მეტრშია. ვეუბნებით, რომ დაგვიბრუნონ ის ტაძარი, რომელიც ჩვენი იყო, „ის სხვა ეპარქიადა და ვერ დაგიპრუნებთო,“ — ესაა მათი „ძმური პასუხი“!

— მამაო, ამ რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ საინგილოში სკოლაში ქართული წიგნები დაუწვეს ბავშვებს. ქართულად ლაპარაკს, ქართული სახელების დარქმევას უკრძალავენ. ამ სიტუაციაში მხოლოდ ეკლესია ვერაფერს გახდება, რადგან ის სხვა სახელმწიფოა თავისი კანონებით, არ ფიქრობთ, რომ ჩვენი ხელისუფლება უფრო აქტიურად უნდა მოქმედდებდეს ინგილო ქართველების დასაცავად?

— მე იმის იმედი მაქვს, რომ სახელმწიფოში არიან გონიერი ადამიანები, რომლებიც, ალბათ, ანალიზს აკეთებენ. ბევრი მათგანი ეკლესიაში დადის, მოძღვარი ჰყავს და ვიმედოვნებ, რომ ეს ხალხი მართლა დაფიქრდება... რაღაც თუ არ შეიცვალა, არაფერი აღარ დარჩება! მე არ ვიცი, კონკრეტულად დღეს და გუშინ საინგილოში რა მოხდა, მაგრამ ის ვიცი, რომ ქართული კულტურის ცენტრი დაინვა და ამას ადგილობრივი პოლიცია გაუმართავ ელექტროგაყვანილობას აბრალებს. ის ვიცი, რომ ქართველ მღვდლებს ყოველთვის პრობლემა აქვთ ნირვა-ლოცვის ჩატარებაზე. ქართული ნიგნების, ხატების, სასულიერო ლიტერატურის შეტანაც პრობლემაა და ამის გამოა სწორედ გასაკვირი, როდესაც საქართველოში ყველა კონფესიას ასეთი თავისუფლება ეძლევა. თუ გვეუბნებიან, რომ ჩვენი მეგობრები და ძმები არიან, ძმობა და მეგობრობა მარადიულად ცალმხრივი ხომ არ შეიძლება, ორმხრივიც ხომ უნდა გახდეს?! ხომ არ შეიძლება, მხოლოდ მე ვიყო მისი ძმა და ის ჩემი მტერი იყოს?!

განა თურქეთში ნაკლები ხდება? როგორც ვი-ცი, რადგან თურქეთს ევროპავშირში უდია შეს-ვლა, გარკვეულ მოთხოვნებს უზენებენ, პირველი მოთხოვნა კი ის არის, რომ რელიგიური თავისუფლება უდია მისცეს ყველას — ტაძრები და უბრუნეოთ ყველასო. მა ვიცი, რომ სომხებმა უკვე ასამდე ტაძარი დაიპრუნეს. ჩვენს ქართულ ტაძრებზე კი ლაპარაკიც არ არის! როდესაც ამ კანონის მიღებამდე თურქები გვეუბნებოდნენ: „აჭარაში მოთხოვნების აზენების უფლება მოგვეცით და ჩვენ სანაცვლოდ მოთხოვანს ტაძარს გაგაკეთებინებთ ტაო-კლარჯეთშიონ,“ მათ შორის მოგვეცით ლაპარაკი, ახლა საერთოდ აღარ გვპიოსავენ, ისე ააზენებენ, მოთხოვანს კი არა, რამდენიც მოუდებათ — იმდენს! ამ კა-

ნონება აი ეს მოიტანა — საერთოდ არავინ არა-
ფირს შეგვეპითხება, არანაირ მოლაპარაკება-
ზე აღარ წამოვლენ. აჩამდე საპატირიარქო
უცევდა ნინეალმდეგობას და ვერ აშენებდენ
საპატირიარქოს ნებართვისა და თანხმობის გა-
რეშე, ახლა აღარც საპატირიარქოს ჰპიტსავენ,
პირდაპირ ააშენებენ არა მარტო მეჩეთებს,
მედრესებსაც!

— მამაო, მრევლი ნიჟილისტურადაა უკვე განწყო-
ბილი საპატირიარქოს მიმართ. სინოდის გახმაურებულ
სხდომამდე მრევლს ძალიან დიდი იმედი ქონდა, რომ
გადაწყვეტილებაში მკაცრად დაფიქსირდებოდა მისი
უარყოფითი დამოკიდებულება ამ კანონის მიმართ.
ჩვენ დიდი იერარქებისგან გვესმოდა მოწოდებები,
დაგვეცვა ეკლესია და ამაზე უკან არავის დაგვიხევია.
მაგრამ სინოდის შემდეგ, რომელზეც ამ კანონთან და-
კავშირებით პრაქტიკულად არაფერი შეცვლილა, გვე-
უბნებიან, რომ ყველაფერი კარგადაა, რომ რაღაც
შესწორებებს შეიტანენ კანონში... დღემდე არაფერი
შეცვლილა... რა მოხდა სინოდზე? თუკი არაფერი შე-
იცვლება, ჩვენ მართლმადიდებლებმა და მორწმუნე
მრევლმა რა უნდა გავაკეთოთ? ეკლესია ხომ მხოლოდ
თქვენ — სასულიერო პირები და დიდი თუ პატარა
იერარქები არ ხართ? ეკლესია ხომ მრევლის გარეშე
არ არსებობს? ნუთუ ჩვენ, მრევლს, არაფრის უფლე-
ბა არ გვაქვს, მხოლოდ უნდა მიგვითითონ, რომ სასუ-
ლიერო პირები არ განვიკითხოთ და ყველაფერზე თა-
ვი დავხაროთ? განა არ გვაქვს უფლება, სიმართლე ვი-
ცოდეთ?

— თქვენი დასმული კითხვა აბსოლუტურად მართე-
ბულია. ეკლესია არის ბერძნული სიტყვა და ნიშნავს
საკრებულოს. ეკლესია არის სასულიერო პირთა და
ერისკაცთა ერთობლიობა! ეკლესიის ისტორიაში ყოფი-
ლა შემთხვევები, როცა სასულიერო პირები გაჩერებუ-

ლან, სხვადასხვა მიზეზების გამო, რადგან ერთეულებზე ზემოქმედება ძალიან ადვილია. შეიძლება ეპისკოპოსი, მღვდელი შეაშინო, მოელაპარაკო, ზემოქმედება მოახდინო, გააჩერო, მაგრამ მრევლი არ ჩერდებოდა და იცავდა ჭეშმარიტებას. მრევლის თავდადების უამრავი მაგალითია საქართველოშიც და რუსეთშიც. როდესაც ახალ სტილზე გადავიდნენ რუსეთში პატრიარქი ტიხონი და საქართველოში ქრისტეფორე, მრევლი ტაძარში არ დადიოდა და ისევ ძველი სტილით ზეიმობდა შობას და აღდგომას! ისინი იძულებულნი იყვნენ, ისევ გადასულიყვნენ ძველ სტილზე, ანუ მრევლი არის სული და გული ეკლესიისა. მეტსაც გეტყვით, სასულიერო პირის არჩევისას გადამწყვეტ როლს თამაშობს მრევლი. როცა ხდება კურთხევა სასულიერო პირისა, მღვდელმათავრის მოწოდებაზე: „აქსიოს“ (ბერძნ. „ლირსია“) ჯერ ეპისკოპოსები პასუხობენ, მერე — მღვდლები, და ბოლოს — მრევლი. თუ მრევლმა დაიძახა: „ანაქსიოს“, ანუ ლირსი არ არის, კურთხევა ჩერდება! აი, რა ძალა აქვს მრევლს! მე ვფიქრობ, რომ ეს არის ჯანსაღი ტრადიცია და ამ ტრადიციამ და მრევლის ამ დამოკიდებულებამ მოიყვანა მართლმადიდებლობა აქამდე უცვლელად.

თქვენ მეკითხებით, სინოდზე რა მოხდაო. როგორც გაირკვა, კომპარომატები აპვს სახელმიწოდებულოს სასულიერო პირებზე — ეპისკოპოსებზეც და მღვდლებზეც! დაუდეს ეს კომპარომატები და უთხრეს — ეს ხომ თქვენა ხართ? ახლა რასაც გაფიცვით, იმას გააკათებთ, თორებ ჩვენ ვიტყვით, თქვენ ვინ ხართ! ამიტომ არის, რომ, როდესაც ეკლესიაში სასულიერო პირს აკურთხებან, ის აუცილებლად სულთა ადამიანი უნდა იყოს. მას თავის განვლილ ცხოვრებაზე პასუსისგება არ უნდა უჰირდეს. რა თქმა უნდა, არის ადამიანური ცოდვები, რაც ახალგაზრდობაში

ჩაუდენია, მაგრამ, როდესაც შემდგომშიც აკეთებ ახას და შენზე მთელი მასალები არსებობს და საემოებია აღძრული, მაშინ შენზე ზემოქმედება, ზენოლა ძალიან აღვილია! დასჭირდათ და „აამუშავეს ეს მანქანა“. სწოდის ცალკეულ წევრებზე მართლაც იყო ზენოლა! სინოდზე, როგორც ვიცი, დადგენილებაში დაინტერა, რომ ჩვენ არ ვეთანხმებით ამ კანონ-პროექტსო. ეს ცალსახად იყო ნათქვამი, მაგრამ, როდესაც ოქმი შედგა, ეს ფრაზა იქ უკვე აღარ ეწერა. სწორედ ამ ფრაზის დაფიქსირებას ვითხოვთ ჩვენ, სასულიერო პირები, ჩვენი უნმინდესი-სადმი გაგზავნილ თხოვნაში.

— სხდომის მდივანი იყო მეუფე გრიგოლი (ბერბი-ჭაშვილი)... ალბათ, მას უკეთ ეცოდინება...

— მე არ ვიცი, ვინ რა იცის, ვინ რა გააკეთა თუ არ გააკეთა, მაგრამ არ არის დაფარული, რომელი არა გაცხადდეს! ყველაფერს ნათელი მოეფინება.

ჩვენ ახლა გულისტყივილით ვსაუბრობთ ეკლესიის-თვის საჭირბოროტო საკითხებზე, სინოდზეც. ეს ეპისკოპოსებიც ჩემი ეპისკოპოსები არიან. როცა ტაძარში ვხვდები, მათ მაკურთხებელ მარჯვენას ვემთხვევი. ასეთია წესი იერარქიული. შეიძლება ბევრი მათგანი არასწორად იქცევა, მაგრამ ნახეთ, რა ხდებოდა — იუდას ებარა საერთო ფული, ის პარავდა ფულს იესო ქრისტეს და მოციქულებს, მაგრამ, როდესაც ქრისტემ 5 პურით 5000 დააპურა და თვითონ კი არ დაარიგა, მოციქულთა ხელით ურიგებდა, პური, რომელიც მრავლდებოდა მოციქულთა ხელში, ერთ-ერთი იყო იუდას მარჯვენა. ანუ რაზეა საუბარი, სანამ იუდა მოციქული იყო, მას ჰქონდა მღვდლობისა და მოციქულობის მადლი. ამიტომ ეპისკოპოსი, რაც უნდა ცუდად იქცეოდეს, ის უნდა განკვეთოს საეკლესიო კრებამ ან სინოდმა. არ არის სწორი მათი უშვერი სიტყვებით მოხსენიება, ეს ჩვენთვისვეა ძალიან ცუდი.

თან დააკვირდით, ეს ამდენი შეურაცხმყოფელი მიმართვები პრესიდან რის ფონზე ხდება — როცა გუჯეროტის, ვატიკანის ელჩს ღირსების ორდენს ჩუქნიან! კათოლიკეს ღირსების ორდენით აჯილდოებენ, მართლმადიდებელ მღვდელმსახურებს კი აგინებენ! თუმცა დღეს მთელ მსოფლიოში მიდის ანტიკათოლიკური პროპაგანდა! **ჩართეთ სი-ენ-ენი, ბი-ბი-სი, მთელი ფილმებია გადაღებული კათოლიკე მღვდლების პედოფილიაზე!** ეპისკოპაოსები ლამის დაიჭირეს! 4 მილიარდი აქვს საპროცესო გარიგებებში გადახდილი კათოლიკურ ეკლესიას იმ დაზარალებული მართლებისთვის, რომელთა შვილებთანაც აგათ ურთიერთობა ჰქონდათ. ესაანთში რომის პაპის ჩასვლა რატომ არ უნდოდათ? — ამ მიზანების გამო! რომის პაპი გერმანელია, მაგრამ გერმანიაში ჩასულს ესროლეს! კათოლიკეზე რატომ არავინ არავერს წერს ჩვენს გაზითებში, მხოლოდ მართლებადიდებები მღვდელმსახურების ლანდვა-გინებით რომაა აჯრებული პრესა? გასაგებია, რომ შეიძლება ყველა არ იყოს ეპისკოპოსობის ღირსი, იუდაც არ იყო მოციქულობის ღირსი, მაგრამ ეს განა გვაძლევს იმის უფლებას, რომ ყველა მოციქული ვლანძლოთ?

— მამაო, თქვენ ბრძანეთ, რომ უბრალო ერისკაცს არ აქვს უფლება, ამხილოს მღვდელმთვარი, მაგრამ, როცა ძალიან ბევრ უკეთურებას ხედავს ხალხი, ბევრი ბრკოლდება კიდეც. დღეს ვეღარავის მოატყუებ, ხალხი მართლა ყველაფერს ხედავს, მაშინ, როდესაც მღვდელმსახურები ფუფუნებაში ცხოვრობენ, აღარ ვლაპარაკობ მათ სახლ-სასახლეებზე და აგარაკებზე, ამბიონიდან კი მრევლს უქადაგებენ, — სიღარიბე უნდა დაითმინოთ და აიტანოთ შიმშილიც, რადგან ეს გაცხონებთო. ეს ეკლესიაში ახალფეხადგმული მრევ-

ლისთვის ადვილი მოსასმენი არაა. და თუ რომელიმე ჩვეულებრივმა ადამიანმა ხმამაღლა გამოიქვა პრო-ტესტი, მას სასწრაფოდ შეახსენებენ, რომ არ შეიძლება განკითხვა, ამ დროს მრევლი მობრუნდება და აუცილებლად გეტყვის — არც ასეთი სასულიერო პი-რები შეიძლება და განკვეთეთო... ეს მრევლი ამის გა-მო შეჩვენების ლირსია?

— მე ასეთ ადამიანებს არ განვიკითხავ. ეს შეგონებაა და ჩემი, როგორც მოძღვრის, რჩევაა. მე, იცით, უბ-რალოდ, რა მინდა, გითხრათ, რომ ეკლესიის მტრებმა ეს სინოდის დადგენილება გამოიყენეს არასწორად და კამპანია წარმართეს ეკლესიის საწინააღმდეგოდ. **ახ-ლა ესენი ამზადებენ ნიაზაგს, რომ მერე დაი-ზირონ გლვდლები, ამისაც მიღის ცველაფერი.** პერ ვერ იშერენ, რადგან ამაზე მთელი ამბავი ატყდება. **როდესაც ხალხს დაავერებენ, რომ გლვდლები ასეთები არიან და ენას შეაჩვენებენ და ხალხის განცყობაც მავეთრად უარყოფითი იქნება, ამ ფორზე გლვდლების დაზერა აღარდებათ.** ამიტომ მოვუწოდებ ამ ადამიანებს, რომ ამდენი ლანძღვით უწმინდესისა, სასულიერო პირები-სა, ეკლესიის მტრების საქმეს ნუ გააკეთებენ. აუცი-ლებლად უნდა ამხილო, დიდი იერარქი იქნება თუ პა-ტრა — თუ შენი ძმა სცოდავს, მიდი და უთხარი; თუ არ დაგიჯერა, ორნი მიდითო და კიდევ თუ არ დაგიჯე-რა, მერე მთელი კრება მიდით და ამის მერეც თუ არ დაგიჯერებთ, იყოს იგი თქვენთვის, ვითარცა მეზვე-რეო.

თქვენ იცით, როგორი სიტყვებით მიგართა-ვენ ათონელი მაშები, როცა რაღაცებში ამხე-ლენ მსოფლიო პატრიარქს — ბართოლომეოსს? — ჩვენო მაკურთხებელო მამაო, ვემთხვევი თქვენს მაკურთხებელ მარჯვენას, მაგრამ თქვენ მართალი არ ხართო... ანუ ეკლესიას აქვს

თავისი მიმართვის ფორმა, რომელიც აუცილებლად უნდა დავიცვათ. ჩვენც თუ ისეთები გავხდით, როგორებიც სხვები არიან, მაშინ რაღა ქრისტიანები ვყოფილვართ? ამას დმერთი განა მოგვიწონებს? ვერც მოვიგებთ ამ ბრძოლას!

რაც შეეხება დასჯას, ზნეობრივი კომისიაა შექმნილი და ვფიქრობ (მინდა ვიფიქრო), რომ ის თავის საქმეს შეასრულებს. მათ რამდენიმე მღვდელი განაყენეს ულიორსი ქმედების გამო. თუ ვინმეს რაიმე ფაქტები აქვს, დასაბუთებული წერილობით, უნდა მიმართოს ამ კომისიას და იქ განიხილავენ.

— მამაო, რასაც ვუყურებ, იმ მღვდელმსახურთა ნელი-ნელ შევიწროება მიდის, ვინც ხმამალლა გამოთქვა თავისი გულისტკივილი ეკლესიის ნაკლოვანებების შესახებ... ისევ ეს პატიოსანი მღვდლები ისჯებიან.

— ჩვენ ქრისტიანები ვართ. იესო ქრისტე ბრძანებს — რადგან მე მიმიღეს, თქვენც მიგიღებენ, რადგან მე მდევნეს, თქვენც გდევნიანო! მართლმადიდებლობის დამცველებს, რა, ყოველთვის არ დევნიდნენ? ეკლესია ასეა. ვინც სიმართლეს ამბობს, ეკლესიას იცავს, ის ხშირად ხდება დევნის მსხვერპლი. მაგრამ ჩვენ ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ მთავარია, უფალთან ვიყოთ მართალნი!.. ვამხილოთ, ვთქვათ ჩვენი სატკივარი, მაგრამ შეურაცხყოფა არავის მივაყენოთ, თუმცა სათქმელი აუცილებლად უნდა ითქვას! ჩვენ არ ვაკეთებთ პოლიტიკურ განცხადებებს, ჩვენ ჩვენი დედა ეკლესია გვტკივა!

ჩვენ კი არა, უდიდესი მამები, წმინდანები იდევნებოდნენ. რა უქნეს იოანე ოქროპირს? — იოანე ოქროპირი გადასახლებაში გარდაიცვალა. იოანე დამასკელიც განკვეთილი მოკვდა. გენადი კონსტანტინეპოლელი განკვეთეს, თანაც ცრუ VII საეკლესიო კრებამ! რა უქნეს მარკოზ ეფესელს, გრიგოლი პალამას? რომელი წმინდანი იყო დაწყნარებული? ამბროსი ხელაია, კირი-

ონ მეორე... რომელი ერთი გავიხსენო? „სიყვარული ამა სოფლისა მტერობაა ღვთისაო,“ — წერია პირდაპირ და ამა სოფლის მოყვარული ხალხი ყოველთვის ებრძოდა ეკლესიას. ეს არც უნდა გაგვიკვირდეს. ჩვენ მთელი სასოება ისევ ღმერთზე უნდა გვქონდეს, ვლოცულობდეთ. ამიტომაც ვიძახი, რომ ამ ბრძოლაში, რომელიც მიმდინარეობს, აუცილებელია, ღმერთი არ განვარისხოთ ჩვენი სიტყვებით და მიმართვებით, შევარჩიოთ სიტყვები, რითაც მივმართავთ თუნდაც ყველაზე ულირს მღვდელს.

— **მამაო, როცა დაგირეკეთ, ასე მითხარით, რომ მე ვარ მოძღვარი და მრევლში მყავს პოზიციაც და ოპოზიციაც, ნაციონალიც და არანაციონალიც, კეთილიც და ბოროტიც, მეძავიც და მრუშიც, ქურდიც და რეციდივისტიც, მკვლელიც, მამათმავალიც კი და ჩემი მთავარი დანიშნულებაა არა მათი განკითხვა და კარგებად და ცუდებად დალაგება, არამედ მათი ღმერთთან მიყვანა და... ყველაფერი უნდა ვიღონო, რომ ეს შევძლოო... მამაო, არ გიჭირთ დღევანდელ დღეს ასეთ რთულ ვითარებაში, როცა არეულია მონასტერი, ამ ადამიანების ღმერთამდე მიყვანა?**

— თქვენ არ დაიჯერებთ და სწორედ ესაა მრევლი, რომელიც ეკლესის პატიოსნებას იცავს. ადამიანები, რომლებიც გრძნობენ, რომ ეშმავს დაუსხლტნენ, და ღმერთმა ისინი მიიღო და გულში ჩაიკრა, ყველაფერს აკეთებენ ეკლესის დასაცავად. ასეთი ხალხი იცავს ჭეშმარიტებას. მათ იციან ბოროტების ფასი და სასჯელიც იციან, რა დღეში იყვნენ და როგორ დააღწიეს თავი ამ საშინელ ცოდვებს, ღმერთის კალთის ქვეშ დაივანეს, ღმერთმა მათ საკუთარი სისხლი და ხორცი მისცა, აზიარა და მათ ამის დაკარგვა აღარ უნდათ, ყველაფერს აკეთებენ, რომ ეკლესია დაიცვან, ღმერთთან ყოფნის სიტყბოება რომ არ დაკარგონ. ესეც იყო ეკლესის ისტორია — ასეთი ხალხი იცავდა მარკოზ ეფე-

სელს. პირდაპირ წერია, რომ მარკოზ ეფესელს იცავდნენ რამდენიმე სოფლის მღვდელი და მრევლი. აი, ვინ იყო მარკოზ ეფესელის გვერდით — მრევლი! რომელთა ნაწილიც, ღმერთმა იცის, როგორ ცხოვრობდა ტაძარში მისვლამდე. მრევლმა გადაარჩინა უნიისგან კონსტანტინეპოლის საპატირიარქო, რომ იცოდეთ. დღეს რომ მსოფლიო პატრიარქია კონსტანტინეპოლში, ეს ბერძენი მრევლის დამსახურებაა, რადგან მათ არ მიიღეს უნია, არ მიიღეს კათოლიკობა და იძახდნენ — ჩვენ გვირჩევნია, ჩალმა დავითაროთ თავზე, ვიდრე — რომის პაპის ტიკარაო. ამხელა ძალა აქვს მრევლს.

ადვილი არაა მათი მიყვანა ღმერთამდე. ეს ძალან რთული პროცესია, მაგრამ ისინი ღმერთს მიჰყავს თავისთან, მე მათაც ისევე ვესაუბრები, როგორც ახლა თქვენ, ციტატებით ისტორიიდან და წმინდა წერილიდან. სახარებისეული სიტყვები კი იმდენად გულშიჩამნვდომია, რომ სახარებას მიჰყავს ისინი ღმერთამდე. მთავარია, მღვდელმა არ გააუბრალოს მათი ცხოვრება და „მერე რა“-ს არ შეაჩვითოს მრევლი.

დიდი სიცრთხილეა საჭირო და დიდი კასუ-ბისმგებლობა აქვს ეკლესიას! ქრისტე მოციქულებს და, მათი სახით, მღვდლებს ეუბნება — თქვენ მარილი ხართ, რათა ეს სოფელი დაამარილოთ, რაზამს მარილი განძარდება და ქალას დაკარგავს, ეს მარილი უნდა გადაიყაროს. ქალიან ცრთხილად უნდა ვიყოთ ყველანი, რომ ის მისია, რაც ღმერთმა დააკისრა სახართველოს ეკლესიას, შესრულდეს. ეს მისიაა ჟეზვარიტი სარმაზულოების, ეროვნულობის, ტრადიციების დაცვა. ეს თუ ჩვენ ვერ გავაკეთოთ, მაშინ ჩალის ფასი აქვს ჩვენს მღვდლებად ყოფნას!

„საჭიროული ტექნიკური და მეცნიერებელი“[©]



თავი ეათორეაფა

ნიმდევ მარინეს სახელობის
ეკლესიის წინამძღვარი,
დაკანოზი დავითი (ისაკაპა)

მორნივე აღამიანი საკუთარ ხალხს ტერორს არ უცურეს

არა არას დაფარულო...
არა არას დაფარულო...

— მამაო დავით, პირველ რიგში, უწმინდესის კიევში ვიზიტზე მინდა გკითხოთ: რა შედეგების მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს ეს სელა?

— უწმინდესი ძალიან ბრძენი ადამიანია, ეს ნაბიჯი ორ ეკლესიას, ორ ხალხს — ქართველებსა და რუსებს შორის მეგობრული ურთიერთობის მომტანი იქნება. მიუხედავად იმისა, რომ რუსებსა და ჩვენს ხალხს შორის დღემდე უამრავი დაპირისპირება ყოფილა, მათ-თან ურთიერთობის აღდგენა მაინც აუცილებელია. ბოლოს და ბოლოს, ცივი ომი უნდა დასრულდეს. სწორედ ამას ემსახურება პატრიარქის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი. ჩვენი პატრიარქი არა მარტო რუსებთან, სხვა ქვეყნების ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებთან ურთიერთობს, მათ შორის ბელგიის, სერბეთის, ბულგარეთის და ა.შ.

ეს არის ერთი რიგის სივრცე, რომელსაც მართლმადიდებლური სამყარო ჰქვია და რომელთანაც ურთიერთობა აუცილებელია.

— მამაო დავით, არ ვიცი, თქვენთვის რამდენად ცნობილია, მაგრამ კონკორდატის გაუქმებაზე დღეს სასულიერო პირებიც საუბრობენ, თქვენ რა დამოკიდებულება გაქვთ ამ საკითხთან დაკავშირებით?

— კონკორდატი ეს არის ორ დამოუკიდებელ სუბიექტს შორის დადებული ხელშეკრულება, უმაღლესი დონის შეთანხმება. მისი გაუქმება განსაკუთრებით კატასტროფა იქნება, მაშინ, როცა მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებაზე დაიწყო საუბარი. კონკორდატის გაუქმებით ეკლესია ხელისუფლებისაგან მართული გახდება, რაც დაუშვებელია.

ვინც კონკორდატის გაუქმების მომხრეა, ის ეკლესიის მტერია, თუნდაც სასულიერო პირი იყოს.

ზუსტად ამ კონსტიტუციური ხელშეკრულების უხეშ დამრღვევად გვევლინება დღეს ხელისუფლება. მას უფლება არ ჰქონდა, ეკლესიასთან მსჯელობისა და შეთანხმების გარეშე, სხვადასხვა რელიგიური კონფესიების-თვის იურიდიული სტატუსი მიენიჭებინა, მითუმეტეს კანონის მიღებამდე საპატიორემო არაერთხელ გააკეთა განცხადება, თუ ეს კანონი ძალაში შევა, დანაშაულად ჩაითვლება ეკლესიისა და ერის ნინაშეო. პატიორემო პრეზიდენტს ვეზოს უზლების გამოყენება ურჩის, თუმცა ეს მოთხოვნაც უგულებელყოფილი იქნა. მთელმა საქართველომ იცის, როგორ პირობებში ჩატარდა სინოდის კრება. სწორედ ზეობლის გამო იყო წმინდა სინოდის განჩინება სუსტი, რომელსაც საზოგადოება ნამდვილად არ ელოდა.

— ზენობლაში რას გულისხმობთ, ანუ მოარული ხმები იმის შესახებ, რომ სინოდის კრება კუდის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა ოთახში შევარდნით ჩაშალა რეალობაა?

— ოთახში შევარდნას რამდენად ჰქონდა ადგილი, ჩემთვის ცნობილი არაა, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ კუდის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი კრების დროს საპატრიორქოში იმყოფებოდა და მისი ზედამხედველობის ქვეშ მიმდინარეობდა წმინდა სინოდის კრება. საპატრიორქოს შენობაში იმყოფებოდნენ ხელისუფლების, მათ შორის, უშიშროების მაღალჩინოსნებიც, რომლებიც, რბილად რომ ვთქვათ, მოვლენებს აკვირდებოდნენ და ყველაფერს აფიქსირებდნენ: იწერდნენ შემოგარენში მოძრავი ყველა მანქანის ნომერს, შიფრავდნენ ყველა შემოსულ და გასულ პიროვნებას, თუ რას წარმოადგენდნენ ისინი, რატომ იმყოფებოდნენ იქ იმ კონკრეტულ მომენტში და ა.შ.

სწორედ ამ პირობებში მიღებული განჩინების ტექსტი აღიქმება სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიაზე ზენოლად. არადა, ყოვლად დაუშვებელია, წმინდა სინოდს სამღვდელოება, ერის ადამიანი ან მთავრობა დაუპირისპირდეს. მითუმეტეს მაშინ, როცა წმინდა სინოდში ასეთი ღირსეული პატრიარქი და მღვდელმთავრები გვყავს.

ჩვენი ამჟამინდელი მცდელობაა, ეკლესიამ იმ შინაარსის განცხადებები გააკეთოს, რისი საშუალებაც სინოდის კრებას არ მიეცა აღნიშნული ზენოლის პირობებში. ეკლესიამ უნდა თქვას, რომ იგი საერთოდ არ სცობს ამ კანონს და რომ პარლამენტი ვალდებულია, კანონი გააუქმოს.

— გასაგებია, რომ საპატრიარქო ამ კანონის წინააღმდეგია, თუმცა კონკრეტული არგუმენტები, რატომ არის წინააღმდეგი, არ გვსმენია...

— უკვე დიდი ხანია, რაც ამ უკანონობასთან გვაქვს შეხება, ვგულისხმობ საქართველოში სხვადასხვა სალოცავის მშენებლობას. მაგალითად, ქავთარაძის ქუჩაზე უკანონოდ ააშენეს უზარმაზარი კათოლიკური ეკლესია, ბოლნისისა და მარნეულის ტერიტორიაზე კი დღემდე მეჩეთი მეჩეთზე შენდება, რა თქმა უნდა, ყოველგვარი ოფიციალური დოკუმენტის გარეშე. ჩვენ — მართლმადიდებელმა სასულიერო პირებმა და მრევლმა — არაერთხელ მოვითხოვთ ამ მშენებლობების საბუთების წარმოდგენა, თუმცა, რაც არ ჰქონდათ, რას წარმოგვიდგენდნენ. მიღებული კანონის საფუძველზე კი, ყველა ეს უკანონო მშენებლობა კანონიერად ჩაითვლება. აქამდე რამდენს ბედავდნენ და, ხომ წარმოგვიდგენიათ, კიდევ რამდენი მეჩეთი და კათოლიკური ეკლესია შეემატება საქართველოს, სხვადასხვა რელიგიური კონფესიების იურიდიულ პირად დარეგისტრირების შემდეგ.

ამ კანონის მიღებამდე როგორ კაბალურ პირობებში გვაგდებდნენ მართლმადიდებლებს, ცნობილია და დი-

დი ფილოსოფია არ სჭირდება, რას მოიმოქმედებენ მომავალში, როცა კანონი მათ სასარგებლოდ მეტყველებას. უნდა ნახოთ, საინგილოში, ბოლნისში, მარნეულში რა აგრესით გვხვდებიან მართლმადიდებელ სასულიერო პირებს, თითქოს უცხოტომელები ვიყავით საკუთარ მიწაზე. საინგილოში წირვა-ლოცვის ჩატერების უფლებას არ გვაძლევენ, იქაურ ქართველებს პირჯვარი ვერ გადაუწერიათ პრობლემების გარეშე. კათოლიკებმა ვატიკანის ფინანსებით უამრავი ადამიანის გადაბირება, უამრავი ადამინის სულის ყიდვა მოახერხეს, ჩვენ კი ჩვენს პატარა საქართველოში ვერ შეგვინარჩუნებია მართლმადიდებლობა. ამას იმ ხალხის მისამართით ვამბობ, ვისაც ქვეყანაში გარკვეული დამტავი ბერკეტების შექმნა ევალება, რათა მართლმადიდებლების სულიერი და ფიზიკური ანექსია შეწყდეს საქართველოში.

უკვე სომხებიც არაერთ (650) ეკლესიას გვეცილები-ან მართლმადიდებლებს, რაც სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

ეკლესიაში მარტო სასულიერო პირები არ მოიაზრებიან, ეკლესია სასულიერო პირებისა და მრევლის ერთობაა, ამიტომ ხმა თითოეულმა მართლმადიდებელმა უნდა აღიმაღლოს ამ უმსგავსობის წინააღმდეგ. ბოროტი გამძვინვარებულია. **გავისესენოთ, რა გააკეთეს სერპეთში, როგორ ჩამოაზრეს ძველანას სერპი ხალხის მართლმადიდებლობის აკვანი და ძირძველი კუთხი — კოსოვო; რა გააკეთეს საპერაზეთში, წვიმდა სინოდი იძულებული გახდა, განცხადება გაეკეთებინა, რომ მათ ძველანას უცხო ძალები მართავენ. იგივე ანომალი-ები ხდება საქართველოშიც და არანაკლებ მასშიც განცხადებებს აკეთებს ჩვენი საპატრიარქო. ვფიქრობ, საპატრიარქო დროულად რეა-გირებს ხელისუფლების ყველა უმსგავსო ძმე-დებაზე.**

— ალბათ, რთული წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა მოხდება, სომხეთში მცხოვრებ ქართველებს რომ ეჩ-მიაძინის წინააღმდეგ შეეტანა საჩივარი ან იქ მართლმადიდებლური ეკლესიები აეგო...

— რაღა შორს წავიდეთ, გავიხსენოთ თუნდაც კუ-მურდოს ინციდენტი, როცა იქ მართლმადიდებლური ტაძრის რესტავრაციის გამო სტუდენტები ჩავიდნენ, სომხებმა მათ ქვებით ჩაქოლვა დაუპირეს. ახალგაზრდებმა ძლივს დააღწიეს თავი მათ აგრესიას.

დღეს კი ვინმე სტეფანიანი და მისი თანამოაზრები ქსენოფონბიასა და არმენოფონბიაზე საუბრობენ, ვინ გამოდის დისკრედიტირებული — სომხები თუ ჩვენ, მართლმადიდებლები, თან საკუთარ მიწა-წყალზე?! მიმაჩნია, რომ მათი მხრიდან ეს ქმედება ეთნო და რელიგიური შუღლის გაღვივების მცდელობას ემსახურება. აქამდე სომხები და აზერბაიჯანელებიც საქართველოში კეთილმეზობლურად ცხოვრობდნენ, მაგრამ წარმოიშვა თუ არა რელიგიური თემა, მაშინვე დაძაბულობა დაიწყო, ესე იგი ქართველი თუ საკუთარ ქვეყანაში ხმას ამოიღებს (რატომ უნდა ხდებოდეს ჩვენს ქვეყანაში მსგავსი ინციდენტები), ქსენოფონბი არიან?! მე რომ ქსენოფონი ვყოფილიყავი, მეყოლებოდა მრევლში იმდენი სომეხი, აზერბაიჯანელი, ამერიკელი და სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი?! რა მნიშვნელობა აქვს, რომელ რასას განეკუთვნები, მთავარია, რა იდეოლოგიის მატარებელი ხარ.

— ცნობილია ის ფაქტიც, რომ ამ კანონის მიღებას-თან დაკავშირებით სამღვდელოება არაერთსულოვანი იყო, ზოგმა კანონის მიღებასაც კი მოაწერა ხელი...

— სამღვდელოების ნაწილს სწორი პოზიცია ნამდვილად არ გაჩნია ამ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა საპატრიარქოს განცხადება, რომ ეს კანონი ერისა და ეკლესიის წინააღმდეგაა მიმართული, ნადვილად იმაზე მეტს ნიშნავს, ვიდრე ზოგიერთი არამყარი მღვდელ-

მთავრის პოზიცია. ამ მღვდელმთავრების ვინაობა არა-მარტო ჩვენთვისაა ცნობილია, არამედ მრევლისთვი-საც, თუმცა ჯერჯერობით მათი ჩამოთვლისგან თავს შევიკავებ. იმის დროც დადგება, რომ მათ სახელებს მთელი ერთ გაიგებს, მეტიც — პატრიარქმა ერთ-ერთ ბოლო ქადაგებაში აღნიშნა, ვინც ეკლესიას ებრძვის, ის დაისჯებაო.

მართალია, ყველას აქვს ადამიანური სისუტე, მაგრამ სხვა საკითხია, ეკლესიას უპირისპირდებოდე სწავლე-ბით, ცნობიერებით, აზროვნებით და ა.შ. ეს სისუტე კი არა, ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაა, გინდაც სასუ-ლიერო პირი გერქვას.

— კულუარული ინფორმაციით, სამღვდელოების ის ჯგუფი, რომელიც რელიგიურ კონფესიებთან დაკავ-შირებულ კანონს დაეთანხმა, თქვენ — აღნიშნული „კანონის“ მოწინააღმდეგებს — ერთხმიანი საგა-ლობლების გამო გიპირისპირდებათ, მას შემდეგ რაც თქვენი პოზიცია დააფიქსირეთ...

— ეს არის ფარული დაპირისპირება. სამღვდელოების ეს კონკრეტული ჯგუფი საგალობლის მოტივს ჩვენზე სამაგიეროს გადახდის საბაბად იყენებს. ამით ჩვენი დას-ჯა სურთ, რადგან მათ მიერ მოწონებული და ხელმოწ-რილი კანონი ჩვენთვის ყოვლად მიუღებელია. მსოფლი-ოში მისაღებია, როგორც პოლიფონიური, ასევე ერთხ-მიანი გალობა. ჩვენ არც ერთ მათგანს არ ვეწინააღმდე-გებით. ეპისკოპოსები, რომლებიც ერთხმიანი გალობის წინააღმდეგ გამოვლენ, უფლისა და ერის მტრებად ჩა-ითვლებიან.

— ამ ფონზე რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ის, რომ სამღვდელოების ნაწილი შესაძლოა უშიშროებას-თანაა შეკრული და მათ აღსარების საიდუმლოს გა-ცემაც ევალებათ?

— რაც შეეხება კონრეტულად აღსარების საიდუმ-ლოს გაცემას, მე ჯერ მსგავსი ფაქტი არ მსმენია.

ვთვლი, რომ ეს თემა ხელისუფლების მიერაა პროვო-ცირებული, რათა ეკლესიისადმი არსებული ნდობა და სიყვარული საზოგადოებას შეურყიონ. უნდა აღინიშ-ნოს, რომ სამღვდელოების ნაწილი ნამდვილადაა შემ-ჩინეული ანტიეკლესიურ და უზნეო ქცევაში, თუმცა ჩვენ ამის გამოსწორებაზე ვმუშაობთ. არსებობს ორი მცნება, რომლის გამოც მოძღვარი უნდა დატოვოს ადა-მიანმა: პირველი – ანტიეკლესიური, მწვალებლური სწავლება და მეორე – უზნეობა. ამასთან დაკავშირე-ბით სინოდის ბოლო კრებაზე ზნეობრივი კომისიაც კი შეიქმნა, რომელსაც რამდენიმე ღირსეული ეპისკოპო-სი ხელმძღვანელობს. თუ რომელიმე სამღვდელო პი-რი მსგავს ქმედებაში იქნება შემჩნეული, ეს კომისია მის დასჯასთან დაკავშირებით შესაბამის დადგენილებას გამოიტანს. შეიძლება ზოგიერთი მღვდელმთავარი მართვადი იყოს, მაგრამ, ამის მიუხედავად, ეკლესია ვერ იქნება გარედან მართული. უფალი ამბობს, ეკლე-სია იქნება მეორედ მოსვლამდე და ბჭენი ჯოჯოხეთი-სანი ვერ ერეოდიან მას.

— როგორ ფიქრობთ, სხვადასხვა რელიგიური კონ-ფესიისთვის იურიდიული სტატუსის მინიჭებით ხელი-სუფლებამ შეგნებულად გამოუცხადა ბრძოლა მარ-თლმადიდებლობას თუ ეს, უბრალოდ, გაუთვლელი, უგუნური სვლა იყო მათი მხრიდან?

— როცა საკითხის შესწავლა სურთ, მას კომპეტენ-ტურ პირებთან არკვევენ ხოლმე, რასაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ჩვენ მიგვაჩინია, რომ ამ კანონით მართლმადიდებლურ ეკლესიას ბრძოლა გამოუცხადეს. ამას ბევრი ახსნა-განმარტება არ სჭირ-დება. მე, უბრალოდ, მებრალება ყველა ის ადამიანი, რომლებმაც ამ კანონის მიღებას მოაწერეს ხელი. სხვა-თა შორის ხელისუფლებაშიც მოიძებნებიან პიროვნე-ბები, რომლებიც მსგავსი გადაწყვეტილებების გამო შეწუხდნენ, თუმცა პილატეც წუხდა, როცა იესო ქრის-

ტეს ასამართლებდნენ, მაგრამ რა? თუკი ხელისუფლება ეკლესიასთან დაპირისპირებას გააგრძელებს, მათი მხრიდან ეს იქნება ანტიქრისტეს საქმის კეთება. ორ ბატონს ერთად ვერ ემსახურება ადამიანი.

— ანუ ჩვენი ქვეყნის პირველი პირი, ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც რელიგიურ დღესასწაულებზე პატრიარქის ნირვას ესწრებიან, ფარისევლობენ და ზურგს უკან მას მტრობენ?

— არ მინდა პირდაპირ ფარისევლები ვუწოდო მათ, მაგრამ ვიტყოდი, რომ მორწმუნე ადამიანი ეგრეარ იქცევა.

მორწმუნე ადამიანად ითვლება ის, ვინც აღსარებას აპარებს, ეზიარება, ლოცულობს და არა ის, ვინც ხუთი წუთით შევარდება ეკლესიაში, არ იცის, სად დადგეს, რა გააკეთოს, სანთელი როგორ დაიჭიროს და ა.შ.

მორწმუნე ადამიანი საკუთარ ხალხს ტერორს არ უცყორბს. საგინელ ცოდვაში იმყოფებიან ისინი, ვინც ცოტა ხნის წინ რუსთაველის გამზირი მოძმის სისხლით შეღებეს. პოლოს და პოლოს, როდიონოვა მოიფიქრა გასასვლელის დატოვება. ეს იყო უძაბნელი დანაშაული უფლისა და ერის წინაშე, რის განკარგულებასაც მორწმუნე ადამიანი ვერ გასცემდა. რაფომ არ მივიღეოდ აღლუმზე პატრიარქი და არც ერთი საულიერო პილი? იმიტომ, რომ საზეიმოდ ფახს იმ მიწაზე ვერ დადგამდა, რომელზეც სისხლი ჰერ კიდევ შეუშმრალი იყო. საპატრიარქომ თავისი პოზიცია ამ ქადაგებით გამოსატა. მორწმუნე ადამიანი კი პატრიარქის ამგვარ ცყრმას არ დაიმსახურებდა. მკითხველება ახლა თავად განსაჯოს, ვინ არის ფარისეველი და ვინ — მორწმუნე.

— მინდა ყბადალებულ თემასაც შევეხოთ, საზოგადოებას სასულიერო პირებზე საჩუქრად გადაცემუ-

ლი ძვირადლირებული ჯიპები ალიზიანებს, მაშინ, რო- ცა მრევლში უამრავი გაჭირვებული ადამიანია...

— როცა ასეთ ძვირადლირებულ და ფუფუნების სა-
განჩეა საუბარი, შეიძლება ეს საჩუქარი არც მიიღო,
მაგრამ, როდესაც საქმე ელემენტარულად გადაადგი-
ლების საშუალებას ეხება, სახელმწიფო ვალდებულიც
კი არის, სასულიერო პირებს ამის საშუალება მისცეს.
თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ ადგილებში გვი-
ნევს მრევლთან მისვლა. ვფიქრობ, ხელისუფლებამ ეს
ჯიპები იმიტომ დაარიგა, რომ შემდეგ სასულიერო პი-
რებისთვის ანტიპარი გაეკეთებინა, მღვდელმთავრე-
ბი განცხრომაში იმყოფებიანო. არადა, ჩვენ, სასული-
ერო პირებს, ხელფასებიც კი არ გვაქვს, არც ტარიფებს
ვაწესებთ (თუ ვინმე აწესებს, ეს მისი პიროვნული ცოდ-
ვაა). ჩვენი ოჯახები შემოწირულობებით ცხოვრობს,
თუმცა ჩვენ რას გავცემთ, ამ შემოწირულობის სანაც-
ვლოდ, ეს არავინ იცის. არ ვაკეთებთ იმის აფიშირებას,
რომ ზოგიერთ გაჭირვებულ მრევლთან სახლში მისვ-
ლისას (წესის ასაგებად, ნათლობისთვის თუ ა.შ.), სა-
ფასურის ალების ნაცვლად, იქეთ ვტოვებთ შემოწირუ-
ლობას. არ ვყვირით იმას, რომ ჩვენი მრევლისთვის —
თითოეული მათგანისთვის ღამეებს ვათევთ და ვზრუ-
ნავთ შეძლებისდაგვარად, ამიტომაც გვყავს ამხელა
მრევლი.

მიუხედავად ყველაფრისა, ხელისუფლებამ ხელფასე-
ბი კიდეც რომ დაგვინიშნოს, ჩვენ კატეგორიულად არ
მივიღებთ, რადგან სანაცვლოდ მათ დაქვემდებარება-
ში ყოფნა მოგვიწევს.

მინდა აღვნიშნო, რომ ხელისუფლებას აქეთ აქვს ეკ-
ლესიის ვალი, აქეთ აქვს დასაპრუნებელი კომუნისტე-
ბის მიერ მიტაცებული მიწები, საეკლესიო ნაგებობე-
ბი, რომლებსაც დღეს ეს ხელისუფლება განკარგავს,
ასევე ბოლშევიკების დროს მიტაცებული სიწმინდეე-
ბი, სხვადასხვა ღირებულების მქონე ნივთები, პირველ

რიგში, დაპატიმრებული ხატები, რომლებიც მუზეუ-
მებში გამოამწყვდიეს. თუკი ხელისუფლება იტყვის,
რომ ეკლესია ამ სიწმინდეებს ვერ დაიცავს და ამის გა-
მო არ აბრუნებს, იგი ვალდებულია, ეკლესიების დაც-
ვა უზრუნველყოს შესაბამისი თანამედროვე ტექნო-
ლოგიებით. რატომ არ იღებს ხმას საზოგადოება ამ თე-
მებზე? ვიმეორებ, ეკლესიაში მხოლოდ სასულიერო პი-
რები არ მოიაზრებიან. ანტიქრისტეს მოსვლის არსიც
ისაა, რომ ეკლესიას მრევლი ჩამოაშოროს, მართლმა-
დიდებლებს ფიზიკური გენოციდი მოუწყოს. ასე რომ,
ერთად დგომა გვმართებს ნებისმიერი პრობლემის
დროს. ჩვენ არ ვიცით, როდის იქნება მეორედ მოსვლა
და ანტიქრისტეს გამოჩენა, ამას თავისი წინაპირობე-
ბი აქვს, მაგრამ უკვე ამ პერიოდს რომ ვუახლოვდებით,
ფაქტია.

«სატესალოში ყველაფრი ისმინდა, მათ გრჩის – პატიმრების აღსაჩენაშ»

არა არას დაფარულო... .

— ჩვენი მოვალეობა ისაა, რომ არგუმენტირებულად, დასაბუთებულად და ობიექტურად საზოგადოებას ვა-უწყოთ სწორი ეკლესიური ხედვა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. მე როგორც ამბიონიდან ვესაუბრები მრევლს, ასევე შემიძლია ვესაუბრო თქვენი გაზეთის მეშვეობით. ესეც არის თავისებური ამბიონი, საზოგა-დოებისთვის ხმის მიწვდენის ერთ-ერთი გზა. ვფიქრობ, ეს საშუალება აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. მი-თუმეტეს მაშინ, როცა ქართულ მართლმადიდებელ სარწმუნოებას და ეროვნულ ცნობიერებას ასე ძალუ-მად ეპრძვიან, როცა ერი სულიერ და ფიზიკურ ანექ-სიას განიცდის. ეს სიტყვები ჰაერიდან არ მომაქვს. ჩე-მი სიტყვების დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ სომ-ხურ და აზერბაიჯანულ ენებს რეგიონული ენობრივი სტატუსი მიენიჭებათ. ამ სტატუსის მინიჭებით სომ-ხური და აზერბაიჯანული ენები და რელიგიები იმ რან-გში აპყავთ, რომელშიც ქართული ენა და მართლმადი-დებლობა, ანუ **მართლადიდებების სარმაზულო-ბა საქართველოში დომინანტი აღარ იძნება.** შეიძლება ავტონომიური ერთეულები, რომლე-ბიც სწავლება სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე იძნება, ქართული კი დამატებითი სა-განი გახდება, საქართველოს, აპრევიატუ-რა მათ ენაზე ცარიმართება. ვამში კი ყოვე-ლივა იმას გამოიწვევს, რომ ახალ სამარიაბლო-სა და აფხაზეთს მივიღებთ, ზუსტად იმ ფორ-მით, რა ფორმითაც დღეს გვაძვს. ამის ნინაპი-

როგა იყო სხვადასხვა რელიგიის მიმართ რელიგიური კონფესიების მინიჭება.

რომელი ქვეყანა დაუშვებდა მსგავს უგუნურებას?! მაგრამ, რადგან ეს ევროსაბჭოს მოთხოვნა იყო, ხომ უნდა შეესრულებინა ჩვენს ხელისუფლებას. როგორც იღია მართალი ბრძანებს, — ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოდესო. თუმცა რეალობა გვიჩვენებს, რომ, უკვე კარგა ხანია, საკუთარი თავი დავკარგეთ, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ. სახარეპაში ასეთი სიტყვებია: „საქმემან შენმა გამოგაჩინოს შენ“. ხე ნაყოფით შეიცნობაო, — ჩვენი ხელისუფლების ნაყოფი კი უკვე საკმაოდ ვიგემეთ.

რაც ყველაზე უარესია, ევროსაბჭოს დაკვეთით მზადდება კანონაროებითი ერთსესიანთა ეროვნითობის შესახებ, რაც უდიდესი ტრაგედიაა. ესაა ქვეყნის დაღუპვა, ერის გადაგვარება. რაში გვიტრდება ევროსაბჭოში შესვლა საკუთარი ზეობის, მორალის, ლირებისა და მრავალის დაკარგვის ხარჯზე?!

ყველა ქვეყანა ცდილობს, რომ თავისი რელიგია წინ წამოწიოს, მხოლოდ საქართველოში ხდება, რომ დედა-ეკლესია ყველაზე ნაკლები უფლებებით სარგებლობს. რაც გვემართება, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი უნიათობის ბრალია. მტერს თუ საშუალება მიეცი, ის თვითდამკვიდრებაზე უარს იტყვის?

ავიღოთ თუნდაც ვატიკანი, რომელსაც საქართველოში იმდენად ფართო უფლებამოსილება აქვს მინიჭებული, არავის არაფერს ეკითხებიან. როცა ჩვენ ითალიის საელჩოს მდივანს, მღვდელ შულჩინსკის, კითხვით მიმართოთ — ასეთ უფლებებს ჩვენ თუ მოგვანიჭოთ იტალიაში-თქმ, გვიპასუხა: — რომელი ულელი იზამ აგასრო?! ესე იგზ ჩვენ ვყოფილ-ვართ სულელი.

მეტიც, როცა ქვემო ქართლში, სოფელ ტალავერში მეჩეთის მშენებლობის დროს სამართალდამცავებთან ერთად ჩავედით, აზერბაიჯანელი უურნალისტი მომ-ვარდა და მე, ქართველს, ჩემსავე ქვეყანაში მეკითხება, — შენ აქ რა გინდა, რისთვის ჩამოხვედიო(?!).

ჯავახეთში მონოფიზიტობა ყვავის. კუმურდო, იქა-ური აღზნებული ბრძოს გადამკიდე, ვერ მოგილოცია. ქვემო ქართლში მეჩეთზე გვიშენებენ...

— მამაო დავით, როგორც ვიცით, თქვენ საკმაოდ ბევრი პატიმარი სულიერი შვილი გყავთ და, აქედან გამომდინარე, ხშირად გინევთ მათთან სტუმრობა. რა სულიერი და მორალური პრობლემების წინაშე დგა-ნან დღეს ისინი?

— საერთოდ ყველაზე დიდი პრობლემა თავად პატიმ-რების რაოდენობაა. ეს არის ქვეყნის ყველაზე დიდი ტრაგედია, ერის გენოფონდისთვის ყველაზე გამანად-გურებელი დარტყმა. არადა, უამრავი საშუალება არ-სებობს იმისთვის, რომ ადამიანები გამოსწორდნენ. ხე-ლისუფლება ეკლესიასთან ერთად უნდა ადგენდეს სწორ მეთოდებს მათ გამოსასწორებლად.

მთელმა საქართველომ იცის ის ფაქტები, რაც ხდება კარანტინში, როგორ სცემენ იქ პატიმრებს. ეს დაუშ-ვებელია! კაცი ისედაც დაჭერილია, რაღად უნდა იმას ცემა?! როგორ შეიძლება, ადამიანს ისე მოექცე, რო-გორც პირუტყვს?! იქ არიან ასაკოვანი ადამიანები, ასე-ვე ისინი, ვისაც ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები აქვთ, მაგრამ, ამის მიუხედავად, გარჩევა არ ხდება, ყვე-ლას სცემენ.

ასევე, დაუშვებელია სასჯელის შეკრების მეთოდი. ზოგიერთ ადამიანს ასე შეიძლება 20-30 წელიც მიუსა-ჯონ, ანუ ეს არის სამუდამო პატიმრობა, რაც დაუშვე-ბელია. არადა, არაერთი პატიმარი ამ მეთოდით იხდის სასჯელს, ჩვენდა სამწუხაროდ. ამ საკითხთან დაკავ-შირებით ჩვენ მის უნმინდესობასთანაც გვქონდა საუ-

„საჭიროული ტექნიკური და მეცნიერებების განვითარება“^③

ბარი და მან შესაბამის ორგანოებს მიმართა, რომ კრებითობის მეთოდი ისე დამუშავებულიყო, პატიმრები გაცილებით ნაკლებ ვადაში დაბრუნებოდნენ ოჯახებს, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გაკეთებულა. თუ პატრიარქის მიმართვის გათვალისწინებას აპირებდნენ, წესით, შედეგები უკვე სახეზე უნდა გვქონოდა.

— მამაო, პატიმრებს რამდენად ეძლევათ იმის საშუალება, რომ აღსარება თავისუფლად ჩაგაბარონ, მართალია, რომ საიდუმლო აღსარებაც ისმინება ციხეში?

— ჩვენი შესვლის მომენტიდან საჭუსალოში ყველაფერი ისმინება, მათ შორის — პატიმრების აღსარებაც. აპიდან გამომდინარე, აღსარების მიღება, სხვადასხვა პირად საკითხები მსჯელობა, შეგონება ჩურჩულით გვინევს. არის საკითხები, რომლებზეც შეგნებულად არ ვაგახვილებთ ყურადღებას. მთავარია, პატიმრს ზიარების საშუალება მიეცეს.

მიმართვის გარდა, სხვა ბერკეტი ჩვენ, უბრალოდ, არ გაგვაჩნია. რაც შეეხება საზოგადოებას, იგი მხოლოდ საკუთარი საზრუნავით არ უნდა იყოს დაკავებული. ყველა მართლგადიდებლის ვალია, პატიმრების რაოდენობაზე, თუნდაც ამ ბიზების უკანონო



დაკავებაზე, ამდენი საპატიომოების აშენებაზე რეაგირება მოახდინოს. არ შეიძლება ყველას საძახებელს მხოლოდ ერთეულები გაჰყვი-როდნენ.

ხელისუფლება საპურობილეების გარეშე უნდა ელაპარაკოს საკუთარ ხალხს. არ ვამბობ იმას, რომ კრიმინალები და საერთოდ დამნაშავეები არ უნდა ისჯებოდნენ. უფალიც ბრძანებს: — დამნაშავემ პასუხი უნდა აგოსო, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს უსაფუძვლო ან გადამეტებული დასჯის ხარჯზე. ადამიანის გამოსწორება სიყვარულითა და შეგონებითა შესაძლებელი. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ხელისუფლებამ ეკლესიასთან ერთად უნდა შეიმუშაოს დასჯისა და გამოსწორების მეთოდები, რომ ქვეყანაში ამდენი პატიმარი აღარ იყოს, მაგრამ ხელისუფლებას ეს ხელს არ აძლევს. ამ საკითხთან დაკავშირებით პირადად მეც მივმართე შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს, მაგრამ პასუხად მხოლოდ დუმილი მივიღე.

თუ მშენებარე საპატიომოებით ვიმსჯელებთ, ჩვენი ხელისუფლება აატივართა რაოდენობის გზირდას აპირებს. ვინ იცის, რამდენი მსუბუქი დანაშაულის ჩამდენი, უკანონო აატივარი გვყავს და გვეყოლება მომავალში, თუ საზოგადოებამ ხეა არ ადიმაღლა.

გავიხსენოთ, თუნდაც ის რვა ბიჭი, რომლებიც ილიას უნივერსიტეტისა და კავკასიის ინციდენტის გამო დააკავეს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ამ ბიჭების დაკავება მხოლოდ იმის გამო მოხდა, რომ ისინი მუდამ ამხელდნენ და ამხელენ ხელისუფლების უმსგავსო ქმედებებს; აპროტესტებდნენ პაპიზმის, მუსლიმანობის, მონოფიზიტობის გააქტიურებას საქართველოში, უზნეობის ქადაგებას სკოლებში, ვგულისხმობ სექსუალური აღზრდის შემოტანას და ა. შ.

ილიას უნივერსიტეტის მეშვეობით ღმერთი დაგვიგ-

მეს, ღვთისმშობელი შეგვიგინეს, ოჯახური სიწმინდე შეგვიპილნეს და პროტესტი არ უნდა გამოთქმულიყო მართლმადიდებლების მიერ?! ეს რომ სადღაც კაფეში ან კონკრეტულ ოჯახში ყოფილიყო, ჩვენ შეიძლება ვერც გაგვეგო და არც ასეთი რეაგირება მოგვეხდინა, მაგრამ ეს ხდება სახელმწიფო სასწავლებელში (თუნ-დაც კერძო ერქვას, ამას მნიშვნელობა არ აქვს), სადაც უამრავი სტუდენტი ირიცხება. შესაბამისად, ამას მძაფრი პროტესტი მოჰყვა, რისთვისაც მათ სჯიან.

აქედან გამომდინარე, მინდა ვთქვა: საქართველოში მართლადიდებლობა და მისი აღმსარებელი შემოვლითი გზებით იღევეგიან. მოგეხსევებათ, ამ ბიჭების აყვანის მოტივად ადამიანის უფლებების ხელყოფა, ხულიგნობა სახელმძღვანელოს მიერთვა, ნიშანავდა, წინა დღეებში პარლამენტი ერთმა პარლამენტარება მეორეს რომ გაარტყა ხელი?! ეს ემედება ადამიანის უფლებების ხელყოფად რატომღაც არ ჩათვალეს სამართალდამცავებამა. თუ ეს ბიჭები ამ მიზანით დააკავეს, რატომ არ მოხდა პარლამენტარის დაკავება? რატომ უნდა იცავდეს მას რაღაც იმუნიტეტი და რატომ უნდა განსხვავდებოდეს ჩვეულებრივი მოქალა-ეისგან?

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს ბიჭები ამერიკის ელჩის მოწოდებით თავისუფლების ინსტიტუტმა დააკავა. რაც ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ხარისხზე მეტყველებს, თუ საერთოდ ხარისხი გაგვაჩნია.

მინდა მკითხველს შევახსენო, რომ ეს ბიჭები განაჩენს გალობით „აცხოვნე, უფალო, ერი შენი“ შეხვდნენ და არა — თავჩაღუნული დამნაშავეებივით. მეტიც, ისინი საპროცესო გარიგებაზე უარს აცხადებენ; დამნაშავენი არ ვართ და სრულად მოვიხდით უსამართლო სას-

ჯელსო. ვამაყობ იმით, რომ XXI საუკუნეში ასეთი ახალ-გაზრდა აღმსარებლები გვყავს.

ქართველები უფრო მეტად უნდა ვქართველობდეთ, მაგალითს ამ ბიჭებისგან უნდა ვიღებდეთ.

— მამაო, რამდენად შეიძლება ამ ბიჭების „სამაგა-ლითო“ დასჯამ საზოგადოება შეაშინოს და მასში ხმის ამოღების მცდელობა ჩაახშოს?

— მე პირიქით ვფიქრობ. რაც მეტი აგრესია და დევნა იქნება აღმსარებლების მიმართ, მით მეტი მადლი დაეშვება მათზე და მით მეტად გაძლიერდება ამის თვითმხილველი საზოგადოებაც. მაგალითად, ამ ბიჭების დაკავების შემდეგ ჩვენთან ახალგაზრდა მერევლმა იმატა.

ყველასთვის გასაგონად მინდა ვთქვა: ჩვენ ბრძოლას არ შევწყვეტთ არც ამ ბიჭების და არც ჩვენი სარწმუნოების გამო. მიმვართავთ ყველა იმ საშუალებას, რომლებიც ეკლესიურად და კანონმდებლობით გამართ-ლებული იქნება.

— მამაო, იქნებ გარკვეული პრობლემები მაინც მოგვარებულიყო სხვადასხვა სფეროში, საპატრიაქო ხომ იმაღლებდეს ხმას ხელისუფლების მისამართით? კითხვებს აჩენს ის ფაქტიც, რომ საზოგადოებაში პატ-რიაქი ხშირად მაღალჩინოსნების გვერდით ჩნდება...

— საინტერესო შეკითხვაა. დავინყოთ იმით, რომ პატრიარქს არც ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი უპასუხოდ არ დაუტოვებია და მკვეთრი პოზიციაც დაუფიქ-სირებია. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ მის გვერდით მუდამ ჩინოვნიკებს ვხედავთ, ეს შეგნებულად ხდება, რა-საც ერთადერთი მიზანი აქვს: პატრიარქის რეპუტაციის შელახვა. იციან, პატრიარქი ვერავის ეტყვის, ტაძარში ნუ მოხვალ, ჩემ გვერდით ნუ დადგებიო და ისინიც ამ მდგომარეობას სათავისოდ, მზაკვრული განზრახ-ვებისთვის იყენებენ.

აე გახდარებელი კანონირეაქტის გამოღვის გამდეგ საქართველოში რჩასაგდე მეჩეთის აეგისტრაციაში გატარებელი

— მამაო დავით, პირველ ყოვლისა, მადლობა მინდა გადაგიხადოთ, რომ დაგვთანხმდით საუბარზე და პირველი კითხვა აუცილებლად მინდა დაგისვათ იმ „პოეტურ შედევრთან“ დაკავშირებით, რომელიც მეუფე კალისტრატემ მიუძღვნა პრეზიდენტ სააკაშვილს და რომელმაც მთელი საინფორმაციო საშუალებები მოიცვა... თავისთავად იმაში, რომ სასულიერო პირი ლექსს წერს, ცუდი არაფერია, მაგრამ მაშინ, როდესაც არიან სასლიერო პირები, რომლებიც ლექსს წერენ, ხანდახან გაზაფხულზე, თუნდაც სიყვარულზე, თუ პირად ტკივილზეც და ამის გამო მათ მერეხელობაშიც კი ადანაშაულებენ და ლამის შეაჩვენონ, ამ დროს მღვდელმთავარი გამოდის და ასეთ ლექსს წერს პრეზიდენტზე... მამაო, გულწრფელად მითხარით, ეს რა არის?

— უპირველეს ყოვლისა, მივესალმები თქვენი გაზეთის მკითხველს და მოხარული ვარ თქვენთან შეხვედრის, რადგან გამოყავით დრო, ისეთ მნიშვნელოვან და აქტუალურ თემებზე სასაუბროდ, რომლებიც მნიშვნელოვანი და აქტუალურია ჩვენი ეკლესიისთვის, სამშობლოსთვის და საერთოდ, საზოგადოებისთვის. მე ამ საკითხს მივუდგები ისევ და ისევ ეკლესიის სწავლებიდან გამომდინარე. ეკლესიის სწავლება ჰიმნოგრაფიასთან,

საეკლესიო მწერლობასთან მკაფიოდ და კარგად ჩამოყალიბებული და გარევეულია. საღვთისმსახურო წიგნებში ხდება განდიდება ღმერთისა და ან ქება-დიდება, ხოტბის შესხმა წმინდანებისა, რომელთაც საოცარი ლვანლით ილვანეს. იყვნენ უდიდესი ჰიმნოგრაფები, როგორიცაა იოანე დამასკელი, სვიმეონ ახალი ლვთისმეტყველი, იოანე მინჩხი, მიქაელ მოდრეკილი, რომელთა ნაშრომებშიც გადმოცემულია უფლის დიდება და წმინდანის ლვანლის აღიარება და მათდამი ლოცვა-ვედრება. აი, ასეთ პოეტიკას ვიცნობთ ჩვენ ეკლესიაში.

ახლა კი, რაც შეეხება პიროვნების განდიდების ამ კონკრეტულ შემთხვევას. უპირველეს ყოვლისა, ის მინდა აღვნიშნო, რომ წმინდა მამები ბრძანებდნენ — სა-დაც გაქებენ, იქიდან უნდა გაიქცეო. ასე რომ, ჩვენ ყოველთვის უნდა მოვერიდოთ ადამიანის შექებას, ის რომც იმსახურებდეს, რომ არ ჩავაგდოთ ხიბლში, პატივმოყვარეობასა და ამპარტავნების ცოდვაში და, რათქმა უნდა, ეკლესიის მღვდელმსახური, განსაკუთრებით კი დიდი იერარქი, ამას არ უნდა აკეთებდეს. მას უნდა ესმოდეს, რომ არ შეიძლება ცოცხალი ადამიანის ასე განდიდება და პირში ქება. რაც შეეხება ტაძრების მშენებლობას, რომლის გამოც ასე განადიდებს თავის სათაყვანებელ პიროვნებას ამ ლექსში თუ „პოეტურ შედევრში“, როგორც თქვენ უწოდეთ, მავანნი დღეს თავს იწონებენ, რომ აშენებენ ტაძრებს, მართლმადიდებლურ ეკლესიებს, მაგრამ ჩვენ როსტომ ხანის და ევდემოზ კათალიკოსის ეპოქაც ვიცით. როსტომ ხანი ერთი ხელით მართლმადიდებლურ ეკლესიებს აშენებდა, მეორე ხელით — მეჩეთებს და ჰარამ-ხანებს. ასე რომ, ეს თემაც დასაფიქრებელია ყოველთვის. მარტო ტაძრის მშენებლობა არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი უკვე ღირსეული ქრისტიანია, მთავარია ქრისტიანული საქმეები. კიდევ ვიმეორებ, როცა ერთი ხელით აშენებ მართ-

ლმადიდებლურ ტაძარს და მეორეთი მეჩეთს, რომელ მამული შევილობასა და აღმშენებლობაზეა ლაპარაკი? იცით, რომ ორასამდე მეჩეთია ახლა ამ ბოლო დროს რეგისტრაციაში გატარებული, ამ გახმაურებული კანონპროექტის შემოღების შემდეგ? ასევე, არა ერთი სქიზმატური დაჯგუფება იღებს საქართველოში რეგისტრაციას. ეს ყველაფერი ისევ და ისევ ჩვენს ეკლესიასა და ჩვენს ხალხს დაუბრუნდება ძალიან ცუდად. ამიტომ კარგად უნდა გავაცნობიეროთ, განსაკუთრებით სასულიერო პირებმა, ყველაფერი, რასაც ვამბობთ და ვაკეთებთ და დავიკავოთ ეკლესიის პოზიცია, მისი სწავლების მიმართ მორჩილება და სწორი დამოკიდებულება. ასე მინდოდა მეპასუხა ამ კითხვაზე.

— მე ვფიქრობ, მამაო, რომ განსაკუთრებით ამ კანონპროექტის შემდეგ საზოგადოებისა და მრევლის ძალიან დიდი ნაწილის დამოკიდებულება ეკლესიის, წმინდა სინოდის მიმართ მკვეთრად უარყოფითი გახდა და მთავრობის მიმართ კი ეს უარყოფითი დამოკიდებულება პიკს აღნევს. ასეთი ლექსის გამოქვეყნება გამიზნული ქმედება მგონია საზოგადოების ამ უარყოფითად განწყობილი ნაწილის პროვოკაციაზე წამოსაგებად...

— მე არ მინდა, ვინმეს ცილი დავწამო, ამიტომ, რაც არის რეალობა ეკლესიის სწავლებით ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირდებით, ისე გადმოგეცით. დღევანდელ დღეს, რა თქმა უნდა, არაფერია გამორიცხული...

— აქ საზოგადოების განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია ფრაზამ „დაგჭირდეს — დაღვარე სისხლიო“. ხალხი ამან მართლა გააოგნა — ამაზე მეტი სისხლი რაღა უნდა დაღვაროს, რაც დაღვარა, და ამაზე მეტი რაღა უნდა დაიხოცოს. მე და არა მხოლოდ მე მივიჩნევთ, რომ, მგონი, ასეთ დაძაბულ ვითარებაში დიდ იერარქს ცოტა მეტი დაფიქრება მართებს, რომ ადამიანების ის ნაწილი, რომელიც ძალიან აგრესიუ-

ლადაა განწყობილი ხელისუფლების მიმართ და არც თუ უსაფუძვლოდ, განკითხვასა და მრისხანებაში არჩაგდოს. თქვენს გამოსვლებსა და ქადაგებებში ხშირად მომისმენია, რომ ეკლესია მხოლოდ ეპისკოპოსი, მხოლოდ იერარქი არაა, ეკლესია არის მრევლი, მრევლის გარეშე ეკლესია არ არსებობსო.

— მე გამოვხატავ ჩემს პატივისცემას ღირსეული მღვდელმთავრების, ღირსეული სასულიერო პირების და ასევე ღირსეული მრევლის მიმართ, მაგრამ უნდა განვაზოგადოთ, რომ სიტყვა ეკლესია ითარგმნება ასე —

სასულიერო პირებისა და ერის ადამიანების ერთობა, ამის გარეშე ეკლესია არ არსებობს. კი, რა თქმა უნდა, სადაც ეპისკოპოსი არ არის, იქ ეკლესია არ არის, მაგრამ, სადაც ასევე არ არის მღვდელმსახურები და არ არის მრევლი, ისიც არ არის ეკლესია. ამიტომ ჩვენთვის ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ მღვდელმთავრებმა მოგვცენ მაგალითი ეკლესის სწავლების დაცვის, სამშობლოს სიყვარულისა და ზნეობის. ჩვენ მათგან ასეთ მაგალითს ველით.

— კარგია, თუ ეს მოლოდინი გაგვიმართლებს და ეს მოლოდინი მოლოდინად არ დარჩება. ახლა კი მინდა, შეგეკითხოთ პარლამენტარ დარჩიაშვილის ინიციატივასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს სომხური და აზერბაიჯანული ენებისთვის რეგიონული სტატუსის მინიჭებას. მამაო, ამ ინიციატივას მრევლი და საზოგადოება ცალსახად აფასებს, როგორც ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართულ ნაბიჯს.

— აბსოლუტურად სწორი შეფასებაა. ამაში ორი აზ-რი არ არსებობს. **თვითონ დარჩიაშვილი არის თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელი** და, ბუნებრივია, რომ მის გამონათქვამებსა და ქმედებებშიც აისახება ასეთი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ. სომხური და აზერბაიჯანული ენებისთ-

ვის რეგიონული ენების სტატუსის შესაძლო მინიჭება ძალიან დიდი საფრთხეა, ეს არის ახალი აფხაზეთი და სამაჩაბლო, ეს არის ძალიან დიდი ნაღმის ჩადება საქართველოს წინააღმდეგ და თან ეს არის იგნორირება საკუთარი ქვეყნისა და საკუთარი ხალხისა! აბა, ერთი გავძედოთ ჩვენ და მოვითხოვოთ საინგილოში ან სომხეთში ანალოგიური რამ, გაგვიკეთებენ ამას? საინგილოში პირჯვარი ვერ გადაუწერია ადამიანს გაბედულად, ამას წინათ საინგილოში დედაენა შეიტანეს და თვალწინ დაუხიეს ხალხს, ქართულად საუბრისაც კი ეშინიათ იქ.

— მამაო, კახის წმინდა გიორგის ტაძარში აღდგა მღვდელმსახურებაო...

— დიახ, აღდგა. ყოველთვის იყო იქ მღვდელმსახური, ეს სიახლე არ არის. მხოლოდ წირვის ჩატარების უფლებას აძლევენ და, აბა, გაბედოს მრევლმა და დაქსწროს წირვალოცვას. რა მრევლი? რაზეა ლაპარაკი? იქაური უშიშროება დგას და, აბა, ვინმემ გაბედოს პირჯვრის გადაწერა. მოსაჩვენებლად შეიძლება რამდენიმე ადამიანი თვითონ შეიყვანონ. საშინელი მდგომარეობაა საინგილოში და ანალოგიურია ჯავახეთშიც. **საზოგადოებამ იცის იმ შემთხვევის შესახებ, სამსარში რაც მოხდა რამდენიმე ცლის ცინ — სფუძენოებს ადგილობრივა მოსახლეობამ ავეგი რომ დაუშინა. იქ, კუმურდობი, ვერ შეხვად ტაძარში, თუ პოლიცია არ გახდავს თან. სომხები როგორც კი დაინახავენ მართლა- დიდებელ ერთველ ქრისტიანებს, მაგინვე იძა- გება სიტუაცია. ასეთი მდგომარეობა გვაქვს სა- ერთველობი და ამის ფონზე, რა ენის სტატუსზეა ლაპარაკი? ეს არის დანაშაული! დანაშაული ეკლესიისა და ევეფენის ცინაშე! საერთოდ ამ თე- მაზე საუბარიც კი არ შეიძლება. სომხებმა არა ერთი ტაძარი ცაგვართვეს იღრუსალიშვილ, მათ შორის — მინდა იაკობის სახელობის ტაძარი.**

ჩვენ ფობია კი არ გვაქვს სომხების მიმართ, მაგრამ ჩვენ გვიყვარს ჩვენი სამშობლო, ისევე, როგორც მათ უყვართ თავიანთი სამშობლო და, თუ ჩვენ ჩვენი სამშობლო გვიყვარს, მაშინ უნდა დავიცვათ იგი და ჯერ ჩვენსას უნდა უჰატრონოთ. არც სომხებს და არც აზერბაიჯანელებს არასოდეს არანაირი პრობლემა არ ჰქონიათ საქართველოში, როგორც კი რელიგიური მუხტი შემოვიდა, მაშინვე დაიძაბა მდგომარეობა.

ავიღოთ ქვემო ქართლის რეგიონი. თითქმის ყველა დიდ აზერბაიჯანულ სოფელში აშენდა უზარმაზარი მეჩეთები. პოლისის სიონის გასწვრივაც უზარმაზარი მეჩეთი მართია. ამ დროს შვეიცარიაში, სადაც ოთხასი ათასამდე მუსლიმანი ცხოვრობს, მხოლოდ ოთხი მართი აკვთ. კიდევ ორი მართის აშენება უნდოდათ და ხალხი წავიდა წინააღმდეგი — რეზერვირებული ჩატარდა და ვერ ააშენეს. პერლინში უნდათ მართის აშენება და მთელი გარემონი მოვალეობითა ფოტოთი, რომელზეც გადახაზული მართია გამოსახული. ხალხი სასტიკი წინააღმდეგია. მაგრამ ვერც შვეიცარიელს და ვერც გარემანელს ვერავინ გაუგედავს ამის გამო არადემოკრატიულობაში პრალის დადებას...

საკმარისი მეჩეთები აქვთ აქ მცხოვრებ მუსლიმანებს, თუ თავიანთი რელიგიური მრნამსისთვის ეს მათ დასჭირდებათ. აღარაა საჭირო მეტის აშენება.

— მამაო, თქვენ ქართველი მართლმადიდებლების მიმართ სომხების უარყოფით დამოკიდებულებაზე ისაუბრეთ — სადმე სხვაგან კი არა, ჩვენს საკუთარ მიწაზე პოლიციის გარეშე მრევლი ტაძარში მოსალოცად ვერ შესულა. ამ ყველაფრის ფონზე განსაკუთრებით მძაფრად მახსენდება „მრავალეროვანი საქართველოს“ თავმჯდომარის — არნოლდ სტეფანიანის ცნობილი განცხადება, რომ ის მოხარულია იმ ზნეობრივი კომი-

სიის შექმნით, რომელიც სინოდის გახმაურებულ სხდო-
მაზე შეიქმნა, რადგან ეს კომისია მისი პარტნიორი იქ-
ნება იმ მღვდელმსახურთა დასჯაში, რომელებიც „ან-
ტისომხურ პროპაგანდას“ ეწეოდნენ, მათ შორის, თუ
არ ვცდები, თქვენც მოიაზრებოდით. ტრაგედია არაა,
რომ ეს ადამიანი ასეთი განცხადების გაკეთების უფ-
ლებას ანიჭებს საკუთარ თავს — საპატრიარქოს თა-
ვის მხარდამჭერად მოიაზრებს?

— მოკლედ და კონკრეტულად მინდა ვთქვა: მე არ
ვიცნობ, ვინაა ეს ადამიანი — ვინმე სტეფანიანი, და მის
გამონათქვამებზე, მის განაცხადებებზე ჩვენ, მღვდელ-
მსახურები, კომენტარს არ გავაკეთებთ. მითუმეტეს,
რომ სახეზეა, რომ მუდმივად ცდილობს, პროვოკაცია-
ზე წამოაგოს ქართველი საზოგადოება.

...იცოდეთ, ეს ჩვენი უნიათობის ბრალია და არა ვინ-
მე სტეფანიანების.

— როდესაც მეჩეთებისა და სქიზმების მომრავლე-
ბაზე ვსაუბრობთ, ვფიქრობ, ისიც უნდა გავითვალის-
ნინოთ, რომ ეს დიდნილად იმის ბრალია, რომ ჩვენ არ
გვაქვს ჭეშმარიტი რწმენა, მთელი გულით არ ვემსა-
ხურებით უფალს, ჩვენ არ ვსასოებთ უფალს წრფე-
ლად, ვერც მრევლად ვვარგივართ. ალბათ, ჩვენს
ლოცვას უფალი არ ინირავს — არც ერისას და არც
ბერისას... არ მიიჩნევთ, რომ ეს ასეა?

— რა თქმა უნდა, ასეა... ჩვენ არ გვაქვს საკმარისი
რწმენა, მთლიანად — ჩვენს ერს. თორემ უფლისთვის
არაფერია შეუძლებელი, მთელმა ერმა რომ გულმხურ-
ვალედ „უფალო შეგვინყალენ“ თქვას, ერთ წამში შე-
იცვლება ყველაფერი სიკეთისკენ — ვინ დაუდგება ერს
წინ ან ეკლესიას? წამდვილად გეთანხმებით იმაში, რომ
გვაკლია ეკლესიური განათლება, გვაკლია სარწმუნო-
ებრივი მხურვალება და სიყვარული. ჩვენ ერთმანეთიც
არ გვიყვარს... აქედან გამომდინარეა ეს ამდენი გან-
საცდელი.

— ამ ბოლო დროს მრევლის და საერთოდ საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ხელისუფალთა ეროვნების საკითხი არ წამოიჭრებოდა, მათ ქართული საქმე რომ ეკეთებინაო. მართლაც, ქართული საქმე რომ ეკეთებინათ, ეკლესიის მიმართ ამხელა აგრესია რომ არ ყოფილიყო, ხალხს არც არასოდეს გაუჩინდებოდა, ალბათ, ვინმეს ეროვნების გარკვევის სურვილი. ეკლესიის მხარში დგომა ეპისკოპოსებისთვის მხოლოდ ჯიპების ჩამორიგებით ხომ არ გამოიხატება? ყველაფერი ხომ სათავიდან იწყება? იქნებ მართლა მაგალითი გვაკლია დიდი იერარქების მხრიდან? და რადგან ეკლესიაა საყრდენი ქართული სახელწიფოებრიობისა, სწორედ ეკლესიის დალაგებით ქვეყანასაც ეშველოს? იქნებ სახელმწიფოს მოხელეთა მხილების ნაცვლად ულირს სასულიერო პირთა მხილებით უნდა დაგვეწყო?

— ეს ჯიპებიც უფრო პროცეკაციისთვის ჩამოურიგეს მღვდელმთავრებს, რომ შემდეგ მათ მიმართ საზოგადოების აგრესია გამოეწვიათ.

...რა თქმა უნდა, სახელწიფოს საყრდენი ეკლესია უნდა იყოს სუფთა და მყარი... სახარებისეული სიტყვებით გეტყვით — მკურნალო, განიკურნე თავი შენიო. საკუთარი თავიდან უნდა დავიწყოთ ყველამ. ასევე ფიქრობს, ალბათ, ყველა ის მღვდელმსახური, რომელმაც კარგად იცის, როგორც ხოვრობს, რას აკეთებს. ალბათ, ჩვენ თვითონ ვერ ვართ ისეთები, როგორებიც უნდა ვიყოთ. როგორც მღვდელმთავარი, ასევე მღვდელი, მრევლი, ერის ადამიანი — ყველა უნდა დაფიქრდეს იმაზე, რომ ისინი არიან ეკლესიის სახე, ამიტომ ჩვენ უნდა გამოვიყურებოდეთ ღირსეულად და უნდა შევძლოთ, რომ სხვას მაგალითი მივცეთ და არ დავაბრკოლოთ.

...ხელისუფლებაც და სხვადასხვა სტრუქტურის წარმომადგენლებიც ხომ ძირითადად ჩვენი ნაწილი არიან

და ჩვენ მათაც უნდა მივცეთ მაგალითი და, თუ ისინი არ დაიწყებენ ეკლესიურ, რწმენით ცხოვრებას, ფიქრს სამშობლოზე, ქვეყანაზე, ყოველ შემთხვევაში, ღვთის წინაშე ვიქნებით მართალი, რომ მათ სწორი მაგალითი მივეცით, მაგრამ მათ არ შეისმინეს, არ დააკვირდნენ, მაგრამ ეს მაგალითი ხომ ვიღაცამ უნდა მისცეს ერს? ეს, პირველ რიგში, ჩვენ, სასულიერო პირებმა უნდა გავაკეთოთ...

— ის, რომ დღეს ყველაფერი ქართული რღვევისკენ არის მიმართული, იქიდანაც ჩანს, რომ სკოლაში ბავშვის გარდაქმნა და „ახალ ადამიანად“, „ახალ ქართველად“ ჩამოყალიბება მიმდინარეობს, თუმცა ის როგორი ქართველი იქნება ან საერთოდ თუ იქნება ქართველი, საკითხავია. ასე ძალუმი ბრძოლა ყოველგვარი ქართულის წინააღმდეგ მე არ მახსოვეს. ახლა ახალი კანონის ამოქმედებას აპირებენ, რომელიც მიცვალებულის კრემაციას ითვალისწინებს. რა თქმა უნდა, გეტყვიან, რომ, თუ გინდა, ტრადიციულად დაასაფლავე მიცვალებულიო, მაგრამ ალტერნატივას არ გიტოვებენ. ალბათ, საფლავების ფასი ისე გაიზრდება, რომ ადამიანი, რომელსაც დღეს პურის ფულიც არ აქვს და შიმშილობის ზღვარზეა, უბრალოდ, ვერ შესწვდება. ფაქტია, რომ, რაც მოინდომა სახელმწიფომ, ყველა კანონი მიიღო და ეკლესიის წინააღმდეგ თითების ყველა ბრძოლა „მოიგო“... ამან გაახელა და წააქეზა უფრო მეტი არაქართული ქმედებისკენ... ნუთუ ამაზეც უნდა დადუმდეს ეკლესია, უფრო სწორად, წმინდა სინოდი?

— ვფიქრობ, რომ აუცილებლად უნდა მოხდეს ამაზე დიდი რეაგირება, რადგან ეს ქრისტიანული წესის წინააღმდეგ წასვლაა! ალბათ, ჩვენი წინაპრები მიწაში გადაბრუნდებიან, როდესაც მათი სულები გაიგებენ, თუ რა საშინელება მზადდება ადამიანის დაწვის სახით. **განაჩენს წინაპრებს არ უშირდათ? მათაც ჰქონ-**

დათ ძალიან დიდი განსაცდელები, მაგრამ, ალ-კატ, არასოდეს უფიქრიათ, რომ მიცვალებული დაეცვათ, არასოდეს! ამის კანონად შემოღება კი არა, აზრად გავლებაც კი დანაშაულია. რა თქმა უნდა, ეკლესიამ უნდა გამოხატოს ამასთან დაკავშირებით თავისი მკვეთრი და ცალსახა პოზიცია, რომ ეს მიუღებელია! მე გეტყვით, რომ ეკლესის წიაღში არიან ღირსეული სასულიერო პირებიც და მრევლიც და ისინი თავიანთ პოზიციას ყოველთვის ხმამაღლა აფიქსირებენ, მაგრამ, რა თქმა უნდა, უფრო ავტორიტეტული იქნება წმინდა სინოდის განცხადება ამ საკითხთან დაკავშირებით, რომ ქართველი, მართლმადიდებელი ადამიანის დაწვა მიუღებელია და დაუშვებელი!

— მამაო, სინოდის განცხადებებს ძალიან ბევრ საკითხზე მრევლი, უკვე დიდი ხანია, ელოდება. როცა მორწმუნე მრევლი ასე დაბნეულია ბიომეტრიულ პასპორტებთან დაკავშირებით, როგორ ფიქრობთ, აღარ დადგა დრო, რომ წმინდა სინოდმა ამაზე განცხადება გააკეთოს და თავისი მკვეთრი პოზიცია დააფიქსიროს? თუკი საბერძნეთმა თქვა უარი ამ პასპორტებზე და ათონის მთის კინოტმაც ძალიან მკვეთრად უარყოფითი განცხადება გააკეთა ამასთან დაკავშირებით და მეტიც, დიდი ბრიტანეთის მთავრობამ უარყო და არ მიიღო ეს ბიომეტრიული პასპორტები, ჩვენთან რა ხდება? რას ელოდება ეკლესია? როდემდე იყოს მრევლი დაბნეული?

— დარწმუნებული ვარ, რომ ეკლესია ამასთან დაკავშირებით აუცილებლად გააკეთებს განცხადებას და დააფიქსირებს თავის პოზიციას, რათა ხალხი არ იყოს დაბნეული. ძალიან ბევრ ქვეყანაში არის ალტერნატიული საპასპორტო საშუალებები, მინიმუმ ასე მაინც შეიძლება გაკეთდეს. მე მინდა განვაცხადო, რომ ეს არ არის ანტიქრისტეს ნიშანი, მაგრამ ეს არის მაქსიმალური კონტროლის საშუალება ადამიანზე — მე მერთმე-

ვა თავისუფლება, ანუ ის უფლება, რომელიც უფალმა მომანიჭა და, როცა „დიდი დემოკრატები“ დღეს აცხადებენ, რომ ადამიანის უფლება უნდა იყოს ხელშეუხებელი, დაცული, სად არის ჩემი უფლება ხელშეუხებელი? ამ საპასპორტო საშუალებით ხომ მე არა მხოლოდ მაკონტროლებენ, არამედ კრიმინალს შეუძლია გამძარცვოს! არის ასეთი სკანერები — პასპორტთან, ჩიპთან მიიტან და მთელი მონაცემები მოდის სკანერზე. ამაზე ერთი ამერიკული ფილმიცაა გადაღებული. ამ ფილმში ძალიან კარგად ჩანს, რა ადვილად შეიძლება მოხდეს ეს, ანუ კრიმინალმა ჩაიდინოს ჩემს წინააღმდეგ დანაშაული — შეიტყოს ჩემი ანგარიშები, შემოსავალი, გასავალი, ყველაფერი აბსოლუტურად, ანუ მე მერთმევა თავისუფლება. ვიდაცას, ალბათ, ჰერინია, რომ ამ ბიომეტრიული პასპორტების შემოღებით ინგლისსა და სხვა ქვეყნებზე, რომელთაც ალტერნატიული საპასპორტო საშუალებები შემოიღეს, უფრო დემოკრატიულ ქვეყანას ააშენებს!

— მამაო, ამ ყველაფრის მერე ერთი აზრი მებადება: როდესაც ხმამაღლა ნამოგვდახებენ ხოლმე ჩვენი სახელმწიფო მოხელეები, რომ მეტი რაღა გინდათ ამ მართლმადიდებლებს, მართლმადიდებლობა ხომ პრივილეგირებულია საქართველოში, მივდივარ დასკვნამდე, რომ საქართველოში ყველა ეროვნებისა და რელიგიური აღმსარებლობის უფლებებია დაცული, ქართველი მართლმადიდებლების გარდა.

— ზუსტად ასე ვფიქრობ მეც! დღეს საპართველოში ყველაზე მეტადაა მართლობის და მეტიც — იმ ინციდენტის გამო, რომელიც ჰელეპომაანის „კავკასიის“ ეთერში მოხდა, როცა გიზები დაიშირეს მრეამსის გამო, ჩვენ რწმენის პატიმრებიც გვყავს. ამაზე მეტი უფლებების შელახვა რაღა გინდათ?

— მამაო, რა მოხდა მაშინ ტელეკომპანია „კავკასიონ“ ეთერში?

— მე რამდენადაც ვიცი და ყველა პროცესს ვესწრებოდი, მიწვეული მართლმადიდებელი სტუმარი, სკოლის მოსწავლე სტუდიაში სცემეს. სტუმარი სცემეს! და ამის შემდეგ, როდესაც ჩვენ ვითხოვდით სახალხო დამცველის მიბრძანებას იქ, სამი ადამიანი კიდევ იქვე აიყვანეს. სახალხო დამცველის მისვლას კი იმიტომ ვითხოვდით, რომ პოლიცია იდგა იქ და არაფერს აკეთებდა. „კავკასიონ“ ეთერში ერთი ადამიანი იღებდა და ორნი, ვინც მერე დააპატიმრეს, ჩვეულებრივად საუბრობდნენ. ამ ტელეკომპანიის შესასვლელი არ არის დაცული, ვერც გაიგებ, იქ ვინ შედის და გამოდის. იქ დაცვა არ დგას და, როდესაც დავინახეთ ეს დასისხლიანებული ბავშვი და პოლიცია უმოქმედოდ იყო, მერე ვითხოვეთ, რომ გაეღოთ კარი, რომ გაგვეკეთებინა განცხადება, რომ სახალხო დამცველი მოსულიყო. იქიდან გაისმა ხმა — გაუღეთო. ასე აღმოჩნდნენ იქ ადამიანები და ასე გაკეთდა განცხადება პოლიციელებთან ერთად. ალბათ, იქვე გაიცა მათი დაჭერის ბრძანება. სამი ახალგაზრდა იქვე დააკავეს, მერე — დანარჩენებიც. არჩევდნენ სამმართველოსთან, ვინ დაეჭირათ და ვინ არა!

მთავარი ამ ამბავში ისაა, რომ ეს ბიჭები სარწმუნოების დამცველები იყვნენ. გახსოვთ, ალბათ, დეისაძის ის ავადსახსენებლი წიგნი („საიდუმლო სირობა“. — შ.ს.), ამას აპროტესტებდნენ, ამის წინააღმდეგ მიღიოდა საუბარი, ამის გამო რვა ადამიანია დაჭერილი.

— დეისაძე, სამწუხაროდ, პირველი არ ყოფილა, ვინც ქართველისთვის სათაყვანებელს და წმინდას შეეხო — მანამდე წმინდა თამარ მეფე გაგვილანდეს, არც „ქართლის დედისთვის“ დაუკლიათ... ამ დეისაძემ კი თავისი წიგნით მორნმუნე მართლმადიდებლებს შეურაცხყოფა მოგვაყენა. წარმოიდგინეთ, რომელიმე მუსლიმანურ ქვეყანაში ეს რომელიმე მუსლიმანს

რომ გაეკეთებინა საკუთარი რწმენის მიმართ, რას უზამდნენ.

— სწორედ ამაშია საქმე. იყო არა ერთი ასეთი ფაქტი, როდესაც მუსლიმანური ქვეყნიდან გაქცევაც კი მოუხდათ ადამიანებს, რომლებმაც მსგავსი მკრებელობა ჩაიდინეს. მსგავსი შემთხვევები იყო ევროპის ქვეყნებშიც — ყველგან მოჰყვება ამას პროტესტის გრძნობა. სწორედ ის მინდა ვთქვა, რომ მაოცებს ადამიანების მარლმადიდებლობა, რომლებიც ასეთ რამეზე პროტესტს არ გამოხატავენ. დეისაძის წიგნის პრეზენტაცია სადმე კერძო დაწესებულებაში ან სახლში კი არ ჩატარებულა, არამედ — ილიას უნივერსიტეტში.

მთელგა საძართველომ იცის, ილიას უნივერსიტეტი რას წარმოადგენს და რა ანტიეპართული, ანტიმართლებადიდებულ საქმიანობას ეწევა, ამიტომაც სცორედ იქ ჩატარდა ღვთის გმოგის შესახებ გამოცემული ციგნის პრეზენტაცია.

— მამაო დავით, გულწრფელად მითხარით, არ გქონდათ შეგრძნება, რომ ამ ბრძოლაში მარტო იყავით?

— დიახ, გამიჩნდა ასეთი გრძნობა. მეტიც, ადამიანებმა, რომელთაც არ იცოდნენ ზუსტად საქმის ვითარება, წარმოიდგინეს, რომ ჩვენ ვიყავით დამნაშავეები და დებოშის ამტეხები. ამ დროს მეტი შეურაცხყოფა რაღა უნდა მოგვაყენონ? ღვთისმშობელი შეგვიგინეს!

— მამაო, საპატრიარქოს ამაზე განცხადება არ უნდა გაეკეთებინა?

— პატრიარქმა გააკეთა განცხადება იმით, რომ დამაჯილდოვა მიტრით და გამშვენებული ჯვრით. ეს განცხადებაზე მეტი იყო! ამასთან ერთად, როგორც კი ციხეში გადაიყვანეს ბიჭები, ისინი პირველივე დღეს მოინახულა უნმინდესმა. იმ დაპატიმრებულთაგან ერთი სკოლის მოსწავლე იყო, ერთი — ოთხი შვილის მამა. მათ ოთხწელიწად-ნახევარი აქვთ მისჯილი.

კიდევ ერთხელ ვიტყვი, მე ის ხალხი მაოცებს, რომე-

ლიც ამ საკითხებით არ ინტერესდება, იმ ადამიანებს ვგულისხმობ, რომელთაც მართლმადიდებლები ჰქვიათ.

— მამაო, როდესაც ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებთან, როგორიცაა მართლმადიდებლობა, ეროვნული ფასეულობები, სინოდს ერთიანი პოზიცია არ აქვს, მაშინ, რამდენიც უნდა იძახონ, რომ სინოდი ერთიანია, არავინ დაიჯერებს...

— კიდევ ერთხელ ვადასტურებ ჩემს პატივისცემას წმინდა სინოდის იმ ღირსეული მღვდელმთავრების მიმართ, რომლებიც უფლის წყალობით იქ არიან. მაგრამ ერთი რამ მინდა გითხრათ — **ამას ნინათ საბერძნეთის, ელაზის ეკლესიის სინოდია გააკეთა განცხადება, რომელიც ის თავის ერს, ძველანას სთხოვს პატივებას იმიტომ, რომ თავის ღრმზე არ გამოიჩინა ძალისსხვავა იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რომლებიც დღეს საბერძნეთში ხდება. პირდაპირ არის ნათებამი ამ განცხადებაში, რომ საბერძნეთი დღეს არის უმაღლეს მდგრმარეობაში როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად. მღვდელმთავრები პირდაპირ ამბობენ — შეცდობას გთხოვთ თქვენ, ხალხო! ამის ტექსტი არსებობს და მერე მოგაწვდით. ეს არის ელაზის წმინდა სინოდის განცხადება.**

...ჩვენ, ყველანი, ადამიანები ვართ, ადამიანები არიან ის მღვდელმთავრებიც და შეიძლება რაღაც შეცდომები და ადამიანური სისუსტეები ჩვენც გვქონდეს, მაგრამ, როცა ამას მიხვდები, მაშინვე უნდა გააკეთო განცხადება ამასთან დაკავშირებით და ამის მაგალითს გვაძლევს პატრიარქი. ერთ შემთხვევას შეგახსენებთ — ეკუმენური საბჭოდან საქართველოს ეკლესიის გამოსვლასთან დაკავშირებით მან შენდობა ითხოვა, შესანიშნავი მაგალითი მოგვცა. ასეთ მაგალითებს უნდა მივბაძოთ ჩვენც.

სექსუალური აღზრდა არ უნდა ისწავლებოდეს სკო-

ლებში და ამის წინააღმდეგ ჩვენი მრევლი და მართლ-მადიდებელ მშობელთა კავშირი ძალიან აქტიურად გა-მოხატავდა პროტესტს. ღმერთის შეწევნით, სექსუა-ლური სწავლება ჯერჯერობით შეჩერდა. ყველაფერ ამაზე, რა თქმა უნდა, ეკლესიამ რეაგირება უნდა მო-ახდინოს და თავისი პოზიცია დააფიქსიროს — განუ-მარტოს მრევლს, რა არის კარგი თუ ცუდი და რატომ.

— და როგორ ფიქრობთ, რატომ დუმს ხშირად ეკ-ლესია, წმინდა სინოდი? ხანდახან მრევლს რჩება შთა-ბეჭდილება, რომ პატრიარქი მარტოა...

— დიახ. შეიძლება ეს ასე ჩანდეს, მაგრამ კიდევ ერ-თხელ ვაფიქსირებ, რომ წმინდა სინოდში არიან ღირ-სეული მღვდელმთავრებიც, რომლებიც ყოველთვის დედაეკლესიის, სამშობლოს სადარაჯოზე დგანან და ხმამაღლ განცხადებებს აკეთებენ საჭირბოროტო სა-კითხებზე...

თუმცა თქვენ მართალი ხართ — ძალიან დიდი მნიშ-ვნელობა აქეს იმას, რომ ეს განცხადებები კრებითად მოხდეს, ეს იყოს წმინდა სინოდის ერთიანი ხმა, რომ ეს განცხადება იყოს უფრო ავტორიტეტული, ძლიერი, რომ ხალხს სჯეროდეს ეკლესიის ერთიანობის, ეკლე-სიისა და ერისთვის მნიშვნელოვან საკითხებთან მიმარ-თებაში!

— მამაო, საეკლესიო კრება ახსენეთ. დღეს საზო-გადოებაში ძალიან მძაფრად მუსირებს აზრი, რომ ეკ-ლესიის გასაწმენდად აუცილებლად საჭიროა რუს-ურბნისის დონის საეკლესიო კრება, რათა განირჩეს „მწყემის კეთილი“ და „სასყიდლით დადგინებული“. ეთანხმებით ამ აზრს?

— მრევლმა, ვინც მართლა მრევლია ეკლისიისა, შე-სანიშნავად იცის, ვინ ვინ არის და ვისთან უნდა იაროს. თუ მას მრევლი ქვია, ის აუცილებლად მიხვდება ამას.

— მაგრამ ვინც ჯერ კიდევ არ არის მრევლი და გზა-გასაყართან დგას?

— ცოტახანში ისიც მიხვდება... რაღაც გარკვეული პერიოდის შემდეგ აუცილებლად გააცნობიერებს, რომ იქ არ უნდა იაროს, სადაც ეკლესიური თვალთახედვით არაა საჭირო, რომ იაროს.

— კრების მოწვევის აუცილებლობას ვერ ხედავთ?

— შეიძლება მოხდეს ისე, რომ სინოდის სხდომაზე ამა თუ იმ მღვდელმსახურის (ეს მღვდელმთავარი იქნება თუ რიგითი მღვდელმსახური) საკითხი დადგეს და მე მიმაჩნია, რომ ეს სავსებით საკმარისია. ეს ასე უნდა ხდებოდეს.... რაც შეეხება რუის-ურბნისის დონის კრების მოწყობას, მას სჭირდება არა მარტო ღირსეული მღვდელმთავრების უმრავლესობა, არამედ ღირსეული ხელისუფალიც, ისეთი, როგორიც იყო დავით აღმაშენებელი. ოღონდ ის მინდა გითხრათ, რომ დავით აღმაშენებელი არ ჩარეულა ამ კრების მუშაობაში, მან მხოლოდ ხელი შეუწყო ამ კრების მოწყობას. დღევანდელ ვითარებაში ეს რამდენად შესაძლებელია, თქვენც კარგად ხედავთ... უნდა ვილოცოთ, რომ ეროვნული მთავრობა მოვიდეს...

ამ ხელისუფლების მხრიდან საეკლესიო კრების მოწვევა ხომ ანომალია იქნებოდა? თუ ადამიანს მრწამსი არ გააჩნია, ეკლესიურად არ ცხოვრობს და საუბარია, რომ არაქართველია, ბუნებრივია, რომ არ დაინტერესდება ამ საკითხებით...

ძალიან დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა, რომ შექმნილიყო ზნეობრივი კომისია, რომელიც სინოდის ბოლო სხდომაზე შეიქმნა და იმედი გვაქვს, რომ ეს კომისია და სინოდი იშრომებენ და იღვანებენ იმისათვის, რომ არაერთი ულირსი სასულიერო პირი ჯერ გაფრთხილებული იქნას, მერე მას შეუჩერდეს მღვდელმსახურება...

სინოდში არიან ძალიან ღირსეული მღვდელმთავრები, რომლებსაც მკვეთრად გამოხატული ეროვნული პოზიციები აქვთ და ძალიან უარყოფითად აფასებენ ამ

ავადსახსენებელ კანონ-პროექტსაც. მე მათი იმედი მაქვს...

— მამაო, კარგია, რომ ამ კომისიის იმედი გაქვთ... გუშინ სახელმწიფომ დაამტკიცა ის ავადსახსენებელი კანონპროექტი, დღეს კრემაციის დამტკიცება უნდა, კიდევ აზერბაიჯანული და სომხური ენებისთვის რეგიონული სტატუსის მინიჭება სურს, ხვალ, ალბათ, ზედემოკრატიულობის ნილბით ერთსქესიანების ქორნინებას დააკანონებს. ხელს ვერავინ და ვერაფერი უშლის... სინოდი არა კი არა, ვერ უნევს ნინაალმდევობას. ალბათ, საფუძველს მოკლებული არაა აზრი იმის შესახებ, რომ ხელისუფლებას სინოდში თავისი დასაყრდენი ჰყავს, ეპისკოპოსები, რომლებიც უკვე საქვეყნოდ დითირამბებს უმღერიან მიშას. საით მივექანებით? და საერთოდ, სად არის ხსნა?

— ეკლესიამ თავისი ავტორიტეტული სიტყვა უნდა თქვას! ჩვენ, ორმოცდაათმა მღვდელმსახურმა, შევადგინეთ წერილი, რომლითაც თხოვნით მივმართავთ წმინდა სინოდს, რომ საპატრიარქომ, წმინდა სინოდმა გააკეთოს უფრო მკვეთრი შეფასება ამ კანონთან დაკავშირებით. ხელმომწერთა შორის არიან არქიმანდრიტებიც. თქვენთვისაც და საზოგადოებისთვისაც ცნობილია, რომ არაერთი მღვდელმთავარი იზიარებს ამ პოზიციას.

როცა ადამიანი ეკლესიაში მხოლოდ იმიტომ მოდის, რომ სანთელი დაანთოს და პირჯვარი გადაიწეროს და არ უნდა სულიერად გაზრდა, მის განათლებაზე, ბუნებრივია, ეკლესია ვერ იფიქრებს. მისთვის გაუგებარი იქნება, რა საფრთხის შემცველია სახელმწიფოს მიერ მიღებული ესა თუ ის კანონი და დაიჯერებს იმას, რასაც ეტყვიან. ამიტომ ერმა უნდა მოინადინოს, რომ ჯერ თავის სულს უშველოს და შემდეგ — მთელ ქვეყანას!

„საჭიროული ტექნიკური და მეცნიერებლისა“ ©



თავი მაცამათა
**თბილისის აღვესაძეება
ნეველის ტაძრის
ნინებძვარი
აჩემაძეების აცორი**

რესა იშის, რომ გას და ქართველს ერთი ღმართი ჰყავს...

არა არას დაფარული...

დასავლეთის ქვეყნებში XXI საუკუნის დასაწყისში გამოაქვეყნეს პროგრამა „ათასწლეულის გამონვევა“. მსოფლიო ლიდერების თქმით, ახალ საუკუნეში კაცობრიობის ნინაშე სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური ამოცანები დადგებოდა. დადგა ეს საუკუნეც და აღნიშნულთან ერთად არანაკლებ სერიოზული პრობლემები ნარმოიქმნა ადამიანების სულიერ ცხოვრებაში. ეს, უნინარეს ყოვლისა, მართლმადიდებლობაზეც ითქმის. რა პრობლემებია და როგორ უნდა გადავწყვიტოთ ისინი? ამ შეკითხვებს უპასუხებს თბილისის ალექსანდრე ნეველის ტაძრის ნინამძღვარი, არქიმანდრიტი ანტონი.

— მართლმადიდებლობა ვერასოდეს დამშვიდდება, რადგან იბადებიან ბოროტი და კეთილი ადამიანები. მით უფრო დღეს, როცა იმდღავრა სექტანტურმა მოძრაობამ. ადამიანებს არ ესმით ან არ სურთ, გაიგონ, რომ მართლმადიდებლობა უკვდავია. დღეს ადამიანები კვლავ დაუპრუნდნენ ტაძრებს, აქტიურად ესწრებიან ღვთისმსახურებას, მაგრამ საკმარისი არ არის, იარო ეკლესიაში და ილოცო, უნდა შეასრულო უმთავრესი — არ გაუკეთო ადამიანს ის, რასაც საკუთარ თავს არ უსურვებ. ვიქცევით კი ასე? საკუთარ თავს მართლმადიდებელს ვუწოდებთ, მაგრამ ეს იქნება ფიქცია, თუ ისე არ მოვიქცევით, როგორც ვამბობთ... არც ერთი ჩვენგანი სრულყოფილი არ არის, მაგრამ ამისკენ უნდა ვისწრაფვოდეთ.

— მამაო ანტონ, გამოწვევები, რომლებიც მართლ-მადიდებლობის წინაშე დგას, განსხვავდება უნინდე-ლისგან?

— გამოწვევები არის და ეს ჩვენი სისუსტეა. დღეს ჩვენ ჩვენს წინაპრებზე სუსტები ვართ. უნინ ისანი მზად იყვნენ, რნმენისთვის თავი გაეწირათ, ჩვენ კი დღეს მართლმადიდებლობის ნიღაბს ვირგებთ და უკადრებელ საქმეებს ვიქმთ. ესაა ჩვენი უბედურება...

— 20 წლის წინათ ამერიკელმა პოლიტიკოსმა ზბიგ-ნევ ბუეზინსკიმ განაცხადა: „საბჭოთა კავშირის დამ-სხვრევის შემდეგ ჩვენ ერთი მტერი დაგვრჩა — მარ-თლმადიდებლობა“...

— ბუეზინსკიმდე ეს თქვეს რევოლუციონერმა მასო-ნებმა: „თვითმპყრობელობა დავამარცხეთ, დაგვრჩა მართლმადიდებლობა“. მართლმადიდებლობის წინა-აღმდეგ დაწყებული ბრძოლა, სექტანტების მოძალება გრძელდება. მთავარი ისაა, რომ ჩვენ არ გვესმის უმ-თავრესი — მართლმადიდებლობის ბირთვი. ქრისტემ თქვა, რომ, ვინც არ ჭამს ჩემს სხეულს და არ სვამს ჩემს სისხლს, ქრისტიანი არ არის. ის, ვინც დადის ეკლესია-ში, მაგრამ არ ეზიარება, არ მონაწილეობს ეკარისტი-აში, იგი თავის თავს მართლმადიდებელს ვერ უნო-დებს...

ერთ ახალგაზრდა კაცს გულახდილად ველაპარაკე. მან მითხრა, რომ კომპიუტერს მიეძალა. დღეს ეს გავ-რცელებული გადამდები სენია. თავისთავად კომპიუ-ტერი და ინტერნეტი ბოროტება არ არის. ღმერთმა ეს დაუშვა, არ ისურვებდა, არ დაუშვებდა, მაგრამ იგი გო-ნივრულად უნდა გამოვიყენოთ. წმინდა მამები ამბო-ბენ, რომ ეშმაკს შენ უნდა წამოაჯდე და არა პირიქით... თუ კომპიუტერმა გაგიტაცა, ყველაფერი გავიწყდება — ძილის წინ არ ლოცულობ, დილით კი, გაიღვიძებ თუ არა, მივარდები კომპიუტერს და შედეგად მისი მონახდები. ეშმაკმა შენიშნა შენი სწრაფვა და დაგიწყო მი-

სით ვაჭრობა. შენ კომპიუტერის პატრონი უნდა იყო და არა პირიქით, რადგან შენ შეგქმნა ღმერთმა, ტექნიკა კი ადამიანის ხელითაა შექმნილი. რომელი უფრო მაღლა დგას?

— მამაო ანტონ, დღეს მარტო ადამიანებს შორის კი არა, ეკლესიათა შორის არის გაუგებრობები. მხედველობაში მაქვს საქართველოსა და რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიების ურთიერთობა, კერძოდ ის, რომ რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის იერარქები, ერთის მხრივ, აღიარებენ საქართველოს ეკლესიის შემადგენლობაში აფხაზეთის ეპარქიის ყოფნას, მეორე მხრივ, მხარს უჭერენ ღვთისმსახურებს აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომლებიც საქართველოს დედაეკლესიას განუდგნენ.

— დარწმუნებული ვარ, რომ ეს დროებითაა. ღმერთმა ეს დაუშვა, რათა კიდევ ერთხელ დავრწმუნებულიყავით ჩვენი ერთად ყოფნის აუცილებლობაში. როგორ შეიძლება არ გიყვარდეს ადამიანი, რომელიც შენთან ერთად პირველი ინერს, შენთან ერთად დადის ეკლესიაში და შენთან ერთად ეზიარება?! ეს ნაკლებად განათლებული პოლიტიკოსების ბრალია, რომლებიც შოვინიზმით არიან დაავადებულნი. მათ მე ქრისტიანებს ვერ ვუწოდებ, მაგრამ ამ სიტუაციაში ვერ იმოქმედა ქართულ და რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიათა ურთიერთობაზე. ბევრი მეგობარი მყავს რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის უმაღლეს ღვთისმსახურთა შორის და ვერ წარმომიდგენია, რომ მე მათ შევძლდები ან — პირიქით. ჰკითხეთ ნებისმიერ რუსს და იგი სიამოვნებით დაგელაპარაკებათ ქართულ ეკლესიაზე... მე ვიცი ეკლესიები, სადაც დიდ პატივს მიაგებენ წმინდა ნინოს ხატებს. ერთ-ერთ ეკლესიას შევწირე წმინდა ნინოს ხატი და მრევლი მას დიდი პატივისცემით ეთაყვანება. რუსმა იცის, რომ მას და ქართველს ერთი ღმერთი ჰყავს... ყველანი ცოდვილნი ვართ, წა-

ვიფორხილებთ, ვვარდებით, მაგრამ რამდენჯერაც და-
ვეცემით, იმდენჯერ უნდა წამოვდგეთ, ღმერთს შენდო-
ბა ვთხოვოთ და შევრიგდეთ.

არიან, ალბათ, ადამიანების ჯგუფები, რომლებსაც
სძულთ ქართველები, ქართველებს — რუსები, მაგრამ
მათი რაოდენობა უმნიშვნელოა და არამასშტაბური.
მიმაჩნია და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ყველაფერი
დროებითია...

შეიძლება იქ არიან ადამიანები, რომლებიც ორ
ღმერთს მსახურებენ. ბევრი მეგობარი მყავს რუსეთ-
ში, რომლებიც ჩემზე ლოცულობენ, მე — მათზე. ჩვენ
ვერავინ დაგვაცილებს, რადგან ჩვენ ერთ ღმერთზე
ვლოცულობთ.



„საჭიროებული ტექნიკური და მეცნიერებლისა“ ©

**თავი მათოთხეათა
მოსკოვის საკატებიარების
საგარეო ეკლესიური
კავშირის გაცემის
თავეპიზომარის მოადგილა,
დაკანოზი ნიკოლა
(გალავანი)**

«ჩვენი სალსები ერთიანი მპლაზი სარცეულოვანით იმდენად გჭირდებოდ არიან გაერთიანებული, რომ არავის ქალაქს ამის დაჩრდვევა»

ეს სიტყვები ორი ხალხის ისტორიულად ჩამოყალიბებული ურთიერთობის არსს სრულად განსაზღვრავს. სწორედ ორი მართლმადიდებლური ეკლესია არის დღეს ის ერთადერთი ინსტიტუტები საქართველოშიც და რუსეთშიც, რომელთა ურთიერთობა, ყველაფრის მიუხედავად, გრძელდება. მართლმადიდებლური ეკლესია დღეს, ურთიერთობა, მომავლის განწვრეტა — მამა ნიკოლაისთან ინტერვიუს თემებია.

— მამა ნიკოლაი, როგორ აფასებთ მართლმადიდებლობის ადგილს დღევანდელ რეალიებში, მის როლს მართლმადიდებლურ სამყაროში და მთლიანად მსოფლიოში?

— ეკლესია საუკუნო, ღვთაებრივ ჭეშმარიტებას ინახავს. იგია „მარტობის გადალახვის საიდუმლო“, როგორც ეს შესანიშნავად თქვა XX საუკუნის ერთ-ერთმა რუსმა სასულიერო მწერალმა. იგი უხილავი კავშირით აერთიანებს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ქრისტე — ცოცხლებსა თუ იმათ, ვინც ჩვენზე ადრე დაამთავრა მიწიერი არსებობა. მართლმადიდებლებისთვის ეკლესია მათი სულიერი ერთიანობის თავშესაყარია, ეროვნულ, პოლიტიკურ, კულტურულ და ყველა განსხვავებათა ზედა მდგარი. ეკლესია არასოდეს არ შეერწყმის

„საეროს“, რომელიც ღმერთის კანონით კი არ ცხოვ-
რობს, არამედ მომხმარებლობის, მომხვეჭელობის
წყურვილის კანონით. მისი ბედი ქრისტეს მიერ არის ნა-
ნინასწარმეტყველები: „მე თუ მდევნიდნენ, თქვენც
გაგდევნიან“ (ინ. 15, 20).

**— რა გამოწვევები დგას დღეს მართლმადიდებლო-
ბის წინაშე და რომელი ამოცანები უნდა გადაწყვიტოს
მან?**

— ეკლესია არ არის საერო ორგანიზაცია, რომლის
მოღვაწეობის ამოცანები კონიუქტურის ზემოქმედე-
ბით იცვლება. ეკლესიის ამოცანა ყოველი დროისთვის
ერთია: სახარების ქადაგება, ადამიანების წარმართვა
სულის გადასარჩენად. ამ გზაზე დაბრკოლებები ყო-
ველთვის არსებობს. უფიქრობ, რომ დღეს განსაკუთ-
რებით მნიშვნელოვანია ეკლესიის შიდა ერთიანობის
განმტკიცება.

**— როგორ აფასებთ რუსული და ქართული მართლ-
მადიდებლური ეკლესიებისა და ორი ერთმორნმუნე
ხალხის დღევანდელ ურთიერთობას?**

— მიუხედავად იმისა, რომ დღეს პრაქტიკულად არ
არსებობს სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობა, რაც,
უკვე რამდენიმე წელიწადია, გრძელდება, ორი ეკლე-
სია განაგრძობს თავიანთი ძმური კავშირების განვი-
თარებას უწინდელზე არანაკლები აქტიურობით, შე-
საძლოა, უფრო აქტიურადაც კი, რაც სხვა სფეროებში
ჩავარდნის ერთგვარ კომპენსაციადაც წარმოგვიდგე-
ბა. ჩვენ ვსტუმრობთ ერთმანეთს, ვლოცულობთ ერ-
თად, მოვიხილავთ წმინდა ადგილებს, ხელს ვუწყობთ
ერთობლივ საგანმანათლებლო და სხვა ინიციატივების
განხორციელებას. ჩვენი ხალხები იმდენად მტკიცედ
არიან გაერთიანებული ერთიანი მძლავრი სარწმუნო-
ებით, რომ არავის ძალუძს ამის დარღვევა.

**— რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია აფხა-
ზეთის ეპარქიას ქართული მართლმადიდებლური ეკ-**

ლესის ნაწილად აღიარებს, მაგრამ, ამასთან, მხარს უჭერს აფხაზეთის ეკლესის ავტონომიურობას. როგორ შეაფასებთ ამ სიტუაციას?

— ბოლომდე ვერ ვიგებ თქვენს შეკითხვას. დარწმუნებული ვარ, რომ რუსული ეკლესია, ისევე, როგორც ქართული, უნინარეს ყოვლისა, დაინტერესებულია, რომ მართლმადიდებლობა აფხაზეთში, რომელიც ოდითვან მართლმადიდებლურია, არ დასუსტდეს და არ დაკარგოს გავლენა ხალხის ცხოვრებაზე. თუ სხვაგვარად მოხდება, თუ წარმატება ექნება აფხაზი ხალხის უმრავლესობის იდენტურობის წინააღმდეგ მიმართულ ძალისხმევას, ამას მართლმადიდებლობისთვის სავალო შედეგები მოჰყვება, განსაკუთრებით, — კავკასიაში. რუსული ეკლესია აფხაზი მართლმადიდებლების ცხოვრებაში არ ერევა, თუმცა ბევრს სწორედ ეს სურს, იფარგლება ყველაზე აუცილებელი დახმარებით. ვიმედოვნებთ, რომ ბრძნული სამშვიდობო ღონისძიებები დროთა განმავლობაში შედეგს გამოიღებს და აფხაზთა და ქართველთა კეთილმეზობლური დიალოგი ბოლოს და ბოლოს შესაძლებელი გახდება. ადამიანებს დრო სჭირდებათ სულიერი ტკივილების მოსარჩენად, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა სისხლია დალვრილი.

— თქვენი აზრით, როგორ უნდა მომხდარიყო, რომ ორი ერთმორწმუნე, მართლმადიდებელი ხალხი ერთმანეთთან ომში ჩართულიყო 2008 წელს? როგორია რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის დამოკიდებულება ამ კონფლიქტის მიმართ და, თქვენი აზრით, თავიდან როგორ უნდა ავიცილოთ მსგავსი რამ?

— ვფიქრობ, რომ ის, რაც მოხდა, უნდა შევაფასოთ იმით, თუ ვის აძლევს ხელს მომხდარის შედეგები. ეს აშკარად რუსეთი არ არის, არც საქართველოა და არც წმინდა მართლმადიდებლობა. აი, გარე ძალები, რომელთა მრავალწლიანი საქმიანობა მიმართული იყო

მართლმადიდებლური აღმოსავლეთქრისტიანული ცივილიზაციის დასაწყისიდან გრძელდებოდა, ნამდვილად არსებობს. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებს იმ პირებს, რომლებმაც საომარი მოქმედება დაიწყეს. ისინი პასუხისმგებლობას ღმერთის წინაშე ვერ გაექცევიან.

— მართლმადიდებლობა დღეს პრაქტიკულად სულიერად და მორალურად ერთადერთი პოზიტიური ერთობაა, რომელიც თავისი არსით მოწოდებულია, ემსახუროს მშვიდობასა და აღმშენებლობას. ქართული მართლმადიდებლური ეკლესია სერიოზული წნეხის ქვეშაა. ჩვენი გაზირისთვის მიცემულ ინტერვიუში ცნობილმა პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ განაცხადა: «ილია მეორე დღეს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ერთიანობის გარანტია. ღმერთმა დღეგრძელი ამყოფოს, მაგრამ ადამიანები უკვდავნი არ არიან. თავად მან, ჭეშმარიტად მართლმადიდებელმა ღვთისმსახურებმა და მთელმა სამწყსომ უნდა იფიქრონ იმაზე, თუ ვინ ჩაუდგება სათავეში ჩვენს ეკლესიას ილიას შემდეგ. ხელისუფლება შეეცდება, სინოდის ნასყიდი წევრების მეშვეობით პატრიარქის ტახტზე დასვას ვინმე „რეფორმატორი“, ეკუმენისტი, „ზოგადსაკაცობრიო ფასულობათა“ მომხრე...”

— როგორ აფასებთ ამ რეალიებს და რა შედეგებს უნდა ველოდოთ, თუ მართლმადიდებლური ეკლესიის პოტენციალი მომავალშიც «ზოგადსაკაცობრიო ფასულობათა» მომხრების სცენარით შეილახება?

— თქვენ მიერ მოხმობილი ციტატის მხოლოდ პირველ სიტყვებს შემიძლია დავეთანხმო: უნმინდეს კათალიკოს-პატრიარქს — ილია II-ს მართლაც აქვს განსაკუთრებული და ძალიან მნიშვნელოვანი როლი საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ერთიანობის საქმეში. ვიზიარებ თქვენი ავტორის სურვილს: ღმერთმა ადღეგრძელოს საქართველოს ეკლესიის წინამძღვრობა და მომხრების სცენარით შეილახება.

ვარი. აი, მომავლის მკითხაობა კი ჩემი საქმე არ არის. ღმერთი ზრუნავს წმინდა ეკლესიაზე, იზრუნებს მომავალშიც.

— რას უსურვებთ ერთმორნმუნე ქართველ ხალხს?

— წმინდად შეინახონ მართლმადიდებლური რწმენა, რომლითაც ფორმირებულია მთელი ქართული ისტორია. ეს არის საუკუნო საფუძველი, ეს არის ხალხთა ერთობის საძირკველი. მნიშვნელოვანია, რომ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესს მიეცეს უეჭველი პრიორიტეტი. ქრისტიანული ფასეულობანი პირველ ადგილზე უნდა იყოს, დანარჩენმა — ეთნიკურმა, კლანურმა, ეკონომიკურმა, პარტიულმა ინტერესებმა არ უნდა დათრგუნოს უმაღლესი უმნიშვნელოვანესი ცხოვრებისეული გადაწყვეტილებების მიღებისას.

სსჩვევი

შესაგალი

5

თავი ბირეველი

წმინდა სინოდის წევრი, რეის-ურბნისის
მიტროპოლიტი მეუფე იობი (აქაშვილი)

ეკლესიის საქართვი არასას შოთელი პირები ერევან 8

აზხაზები, ოსმალ... მე ისინი მიყვარს 17

იგ სულიერი შესაძლებლობებით,
რომელიც ღღეს გაგვაჩნია,
საქართველოს გერ გაგაბრზყინებათ 25

ჩვენი სხია გართლებადიღებალ ერთა ერთობაშია 31

ღღეს რასაც აოლიფიკას გეპახით,
ცაიერებაზე ღა ფუილზეა ღაფუძნებული 41

თავი მეორე

წმინდა სინოდის წევრი, ბოლნელი ეპისკოპოსი ეფრემი
(გამრეცელიძე)

ხეამაღლა ღა გეაზიოდ უდეა გოევათ,
26 მაისის ღამე იყო ბოროტება! მს იყო პავის ცოდვა
ღა არა მხოლოდ ცოდვა, მს ღანაშაული იყო! 56

„ელიან რთულია ჩვენი უფიციალის გდგომარეობა!“ 68

„იქ, საღაც გართლებადიღებლობას არღვევენ,
ირღვევა ეპიტელი სახელმწიფოებრივაა“ 80

„მაგანი საქართველოს ისე უყურებენ,
როგორც აირად საჭუთოებას, რომელიც
უეუპლიათ ისე განკარგონ, როგორც თავად უდეათ“ 89

თავი მესამე წმინდა სინოდის წევრი, მესტიისა და ზემო სვანეთის ეპისკოპოსი, მეუფე იღვარიონი (ქიტიაშვილი) ნერავინ 0301ძრებს, რომ პალაუფლება სულ ექცება... ღრმ ჩართულია...	100
თავი მეოთხე წმინდა სინოდის წევრი, პორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტი მეუფე სერაფიმე (ჭოჭუა) უფრისების სურგილი, არ გაცყვიტოს ის მცირედი პატიორი, როგორიც ღლეს გვაპვს რუსთის ეპლესიასთან, ცავდგილად სორი და პრეცედია	116
ჩვენი მთავარი მოხანი, ევეფანაში ღემოპლატიის აუგვება კი არა, ეროვნელი ცხოვიერების განეტკიცება უდია იყოს	125
საღ გაგონილა, ჩართული ტაქარი შუშის პედლებითა და სახურავით?	135
თავი მეხუთე საქართველოს საპატირიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოფნებისა და რესტავრაციის ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელი, წმინდა სინოდის წევრი, აბბა აღაგერდელი მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე)	144
შეთანხმება დასაგლების გადავის ახალი პროექტის თაობაზე საპატირიარქოსა და კულტურის სამინისტროს შორის არ მომდერა	144
თავი მეექვსე ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი, საპატირიარქოს სავარეო საქმეთა განყოფილების თავმჯდომარე, წმინდა სინოდის წევრი, მეუფე გერასიმე (შარაშენიძე):	152
სელისუფლება რუსეთში პატრიარქის 80%-ის თაობაზე 06ზორმირებული იყო	152

თავი მეშვიდე

წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მღვდელმსახური,
დეკანოზი მამა ბეტრე (კვარაცხელია)

**საეპლესიო პრეზა აუცილებლად უდეა მოგიზვიოთ და
„ძგას-აგზაპნი“ დედამცლესიდან განვდევნოთ!** 164

„მს პაცინაროვები და ის, რაც ღღეს ხდება,
ზონააირობაა სარტყელოების,
ეართველობის ზონააღმდეგ ბრძოლის“ 193

თავი მერვე

სამების საკათედრო ტაძრის დიაკვინი, „წმინდა გორგას“
საღროშოს დამფუძნებელი, მამა ელიზბარი (დიაკონიე)

სახელმწიფოს მართავს გიში,
ჩვენს ეპლესიას მართავს შიში!
„მიხეილ სააპაშვილი ეართველი ნერონია“ 200

„მიდეა ჩვენს ძმებს, აზხაზებს, თვალებაზო ჩავხედო
და უედობა პირველმა ევ ვთხოვო,
რომ ოდესლაც ერთმანეთს გვსროლეთ“ 212

თავი მეცხრე

თბილისის უგართამაღლების ტაძრის წინამდღვარი,
დეკანოზი თეოდორე (გოგნაძე)

ჩვენი საზოგადოება სიძვისა და
გარყვნილების მღბომარეობაშია! 218

თავი მეათე

თბილისის ივერიის ლეონიმშობლის ტაძრის მღვდელმსახური,
სქიმარქიმანდრიტი მამა გრიგოლი (აბაშიძე)

გადლობას ვუხდი ამ მთამრობას და
პირადად მიუა სააკაშვილს, რომ ყველას სახე
ასე აშკარად გვიჩვინეა, სიცილიც და ერგიც 228

თავი მეთერთმეტე

თბილისის წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის მღვდელმსახური
დეკანოზი მამა დავითი (ქვლივიძე)

პრმპრომატები აშგს სახელმწიფოს სასულიერო

პირებზე - ეპისკოპოსებზეც და მღვდლებზეც!

**დაუდეს ეს კრმარმატები და უთხრეს - ეს ხომ თქვენა
ხართ? ახლა რასაც გეტყვით, მაგან გააკათებთ,**

თორებ ჩვენ ვიტყვით, თქვენ ვინ ხართ!

246

თავი მეათე

წმინდა მარინეს სახელობის ეკლესიის წინამძღვანი,
დეკანოზი დავითი (ასაკაძე)

მორცეულ აღამიანი საბუთარ ხალხს

ტერორის არ უცყობს

264

„საცუსაღოში ყველაფერი ისმითება,

მათ შორის - პატიმრების აღსარებაც“

274

ამ გახმაურებული კანონის მიზანის

უეროვების უემდებ საქართველოში რრასამდე

მაჩვენებელი რეალისტი გაფარებული

281

თავი მეცმეტე

თბილისის აღექსანდრე ნეგველის ტაძრის არქიმანდრიტი ანტონი

რასება მცირე, რომ მას და ქართველს

მრთი ღმერთი ჰყავს...

300

თავი მეთოხმეტე

მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო ეკლესიური კაგშირების
განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე,
დეკანოზი ნიკოლაი (ბალაშვილი)

„ჩჩენი ხალხები ერთიანი ეპლაზრი სარცმულოებით

იმდენად მშიდროდ არიან გაერთიანებული,

რომ არავის ძალებს ამის დარღვევა“

305

ବୋର୍ଡିଙ୍ କେନ୍ଦ୍ର
Boarding Center